

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალური მეცნიერებათა, ბიზნესის და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტი

ბიზნესის ადმინისტრირება

ლილით მელოიანი-ფუტკარაძე

სოციალური დაზღვევის როლი მოსახლეობის სოციალური
რისკებისაგან დაცვაში

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი ასიე ცინცაძე

ბათუმი
2013

შინაარსი:

შესავალი	3
1. მოსახლეობის სოციალური დაცვის როლი სოციალური რისკების მართვაში.	12
1.1 სოციალური რისკების თეორიული ასპექტები	12
1.2 მოსახლეობის სოციალური დაცვა, როგორც ეკონომიკის მთავარი ამოცანა	25
1.3 სოციალური ტრანსფერების როლი მოსახლეობის სოციალურ დაცვაში	48
2. სოციალური დაზღვევის, როგორც სოციალური დაცვის განვითარების ეტაპები.	65
2.1 სოციალური დაზღვევის თავისებურებები საზღვარგარეთის ქვეყნებში	65
2.2 მოსახლეობის სოციალური დაცვის მდგომარეობა საქართველოში	94
2.3 კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა და სადაზღვევო ბიზნესის როლი მის განხორციელებაში	122
3. სოციალური დაზღვევის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობა და მისი სრულყოფის მიმართულებები.	143
3.1 სოციალური დაზღვევის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასება	143
3.2 სოციალური დაზღვევის ფონდები და ფინანსური მექანიზმი	160
3.3 ნებაყოფლობითი სოციალური დაზღვევის განვითარების პრობლემები და სრულყოფის ძირითადი მიმართულებები საქართველოში	195
დასკვნა	213
გამოყენებული ლიტერატურა	223
დანართები	233

შესავალი

თემის აქტუალობა. მეოცე საუკუნის ბოლოს მოსახლეობის სოციალური დაცვა ნებისმიერი სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა. სოციალური დაცვის სისტემის ორგანიზაცია ემსახურება მიზანს – ეროვნული შემოსავლის გადანაწილებით უზრუნველყოფილი იქნას მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ხარისხის დადგენილი სტანდარტები, მოსახლეობის შრომისუნარო და ნაკლებშემოსავლიანი ნაწილისათვის სოციალური სოლიდარობის პრინციპის რეალიზაციით. სოციალური დაცვის პრობლემების გაღრმავებამ, დაცვის მექანიზმების სახვადასხვა ფორმით გამოყენებამ საკითხი სოციალური დაცვის სისტემის სრულყოფის მიმართულებით ეკონომიკური კვლევების ცენტრალურ ნაწილად აქცია.

თანამედროვე პერიოდში, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყანა გეგმიან-მბრძანებლური სისტემიდან საბაზრო ეკონომიკურ სისტემაზე 20 წელზე მეტია გადავიდა, ჯერ კიდევ ვერ ჩამოყალიბდა სოციალური დაცვის ისეთი სისტემა, რომელიც უპასუხებდა დემოკრატიული საზოგადოების მოთხოვნებს. ცივილიზირებული საბაზრო ურთიერთობების ფორმირებისას არსებითი მნიშვნელობა აქვს დაქირავებული მუშახელის, დამსაქმებლის და სახელმწიფო ინსტიტუტების ურთიერთქმედებას. ერთ-ერთი ეფექტური მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს სოციალურ-პოლიტიკურ სტაბილურობას, არის სოციალური დაცვის განვითარებული სისტემა, რომელიც როგორც ორგანიზებული, ასევე სამართლებრივი ცვლილებების ქვეშ რიგი ფაქტორების გავლენით ფუნქციონირებს. მსოფლიო პრაქტიკა მოწმობს, რომ სოციალური დაცვის სისტემა იქნება ეფექტიანი იმ შემთხვევაში, როდესაც მექანიზმები, რომლებიც ამ სისტემის გამართულობაზე აგებს პასუხს, დაფუძნებული იქნება გამართულ საკანონმდებლო და ნორმატიულ ბაზაზე.

სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის მნიშვნელოვანი ამოცანაა დასაქმებული მოსახლეობის სოციალური დაცვის სისტემის ფორმირება, რომლის ცენტრალური რგოლი სოციალური დაზღვევაა. ამ უკანასკნელი მექანიზმით სახელმწიფო არეგულირებს ეკონომიკას, ზემოქმედებს კლავწარმოების პროცესზე და აგროვებს კაპიტალს. მოსახლეობის სოციალური რისკებისგან დაცვა საბაზრო ეკონომიკის

პირობებში ერთი მექანიზმის ორ ასპექტში ფუნქციონირებას მოითხოვს: ერთი, სავალდებულო სოციალური სადაზღვევო შენატანებით ფორმირებული ფონდიდან ნაკლებად უზრუნველყოფილი მოსახლეობის სოციალური დაცვა, მეორე – დამატებითი სოციალური გარანტიების უზრუნველყოფა ნებაყოფლობითი სოციალური დაზღვევის გამოყენებით.

საქართველოში სოციალური დაზღვევის გამოყენება სოციალური რისკებისგან მიღებული ზარალის კომპენსაციისათვის სრულყოფილად ვერ ჩამოყალიბდა. მსოფლიო პრაქტიკაში დაგროვებულია დიდი გამოცდილება მოსახლეობის სოციალური დაცვის ორგანიზებისა, მაგრამ არცერთ მათგანში (აშშ, იაპონია, დიდი ბრიტანეთი და სხვ.) ეს პროცესები იოლად არ წარმართულა. მათმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ სოციალური დაცვის მექანიზმების ფორმირება ეფექტიანია მაშინ, თუ მათ წინ უსწრებს მნიშვნელოვანი ეკონომიკური გარდაქმნები. სოციალური რისკების ხარისხის ზრდა, ახალი სახის რისკების გაჩენა, მოითხოვს შესაბამისი სადაზღვევო პროდუქტის დროულად შექმნას და მომხმარებელზე მიწოდებას. დაგვიანებული რეაქცია, უკვე მომხდარი სადაზღვევო შემთხვევების გამო, აუარესებს ცალკეული ადამიანის ცხოვრების დონეს, რაც, თავის მხრივ, სახელმწიფოს მხრიდან მეტ ხარჯებთანაა დაკავშირებული.

სოციალური დაზღვევა არის ფინანსების სისტემის მნიშვნელოვანი ელემენტი, მოსახლეობის სოციალური დაცვის ინსტიტუტი და დაზღვევის დარგი, რომელიც ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქეთა ინტერესებს აერთიანებს. მისი ხარისხობრივი და რაოდენობრივი მახასიათებლები ქმნის წარმოდგენას საზოგადოების სოციალურ, ეკონომიკურ, სამართლებრივ და კულტურულ დონეზე. თანამედროვე პერიოდში სოციალური დაზღვევის სისტემის ფუნქციონირება სახელმწიფოს ძირითად ამოცანათა რიგში პირველია. შრომისუნარიანი მოსახლეობა დარწმუნებული უნდა იყოს, რომ თუ მის ცხოვრებაში სოციალური რისკების რეალიზაცია მოხდება, იგი უზრუნველყოფილი იქნება ისეთი სოციალური გადახდებით, რითაც შეუნარჩუნდება ის მატერიალური მდგომარეობა, რომელიც მას რისკის რეალიზაციამდე ჰქონდა. სოციალური დაზღვევის

სისტემა წარმოადგენს ეროვნულ ეკონომიკაში ჩაშენებულ მექანიზმს, რაც იწვევს ერთი სისტემის ცვლილებების გავლენას მეორეზე და, პირიქით.

სოციალური დაზღვევის სისტემა გარდამავალი ეკონომიკის საქართველოში მწელად ყალიბდება. ჯერ ერთი, საბჭოთა პერიოდში იგი სახელმწიფოს მიერ მონოპოლიზირებული იყო და ამავე დროს, მოსახლეობის სოციალური დაცვა არსებული სისტემის ფარგლებში უზრუნველყოფილი იყო მაღალ დონეზე. გარდამავალ პერიოდში ცხოვრების დაბალი დონის გამო სახელმწიფოს უწევდა გაზრდილი ხარჯების გაწევა, თუმცა მინიმალურადაც ვერ ახერხებდა ამ ამოცანის შესრულებას, ვინაიდან, სოციალური დაცვის სისტემა მოიცავს საბჭოთა პერიოდიდან დარჩენილ მემკვიდრეობას და სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილების ნაზავს, რაც მრავალი ხარვეზით ხასიათდება. წლების განმავლობაში სოციალური დაზღვევა ტრანსფორმირდებოდა დამოუკიდებელ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემაში, რომელიც განსხვავდება როგორც წმინდა სოციალური, ასევე სადაზღვევო სისტემებისაგან. ბიუჯეტის დაუბალანსებლობა, დაზღვევის პრინციპების სუსტად გამოყენება, ნებაყოფლობითი სოციალური დაზღვევის ფორმის განვითარებისათვის ფინანსური სტიმულების არ არსებობა მოითხოვს ახალი ინოვაციური მიდგომების შემუშავებას ამ სისტემის დაფინანსებისა და ფინანსური რესურსების მართვისათვის. სოციალური და ეკონომიკური სისტემის პროცესების ურთიერთქმედების მრავალრიცხოვნება და სირთულე ბევრი მეცნიერის კვლევის ინტერესს წარმოადგენს, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული ადეკვატური მეცნიერული შეფასება და თვით კატეგორია „სოციალური დაზღვევა“ განიხილება ფართო დიაპაზონით სახელმწიფო სოციალური უზრუნველყოფიდან სოციალური რისკების სხვადასხვა ფორმის დაზღვევამდე. საქართველოში ორი ათეული წელია მოსახლეობის სოციალური დაცვა ძირითადად სახელმწიფო სოციალური დახმარების სახით ხორციელდებოდა. პარალელურად ვითარდებოდა დაზღვევის ინსტიტუტი, მაგრამ სოციალური რისკების დიდი ნაწილი სადაზღვევო კომპანიებისათვის არ იყო მიმზიდველი. თავდაპირველად საფუძველი ჩაეყარა სამედიცინო დაზღვევას, თუმცა იგი მისაწვდომი მხოლოდ მოსახლეობის მაღალანაზღაურებად ხელფასზე დასაქმების შემთხვევაში იყო შესაძლებელი.

გარდამავალი პერიოდი ყველაზე მტკივნეული საპენსიო უზრუნველყოფის კუთხით აღმოჩნდა. საპენსიო უზრუნველყოფის რეფორმირების აუცილებლობის თვისებრივად ახალ დისკუსიას საფუძველი 90-იანი წლების შუა პერიოდი მსოფლიო ბანკმა ჩაუყარა პუბლიკაციით - Averting the Old Age Crisis, რომელიც 1994 გამოქვეყნდა და მოახდინა საპენსიო სისტემების არსებული მოდელის გარდაქმნის ძირითადი მიზეზების გაანალიზება: ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდა, დემოგრაფიული პრობლემების (შრომითი რესურსების დაბერება) მატების ტენდენცია, სოლიდარული საპენსიო სისტემების (Pay-As-You-Go) დეფიციტის ზრდის საფრთხე და ა.შ.

ეროვნული საპენსიო სისტემების რეფორმირების პროცესში მსოფლიო ბანკის მიერ შემოთავაზებული იქნა აუცილებელი დაგროვებითი ელემენტის – დაგროვებითი პენსიის შემოტანა. მსოფლიო ბანკის (World Bank), შრომის მსოფლიო ორგანიზაციის (ILO) და სოციალური უსაფრთხოების საერთაშორისო ასოციაციის (International Social Security Association) წლობით მიმდინარე დავა დაგროვებითი და გადანაწილებითი ელემენტების მიმართების შესახებ ერთიან საპენსიო უზრუნველყოფაში იმ კონსენსუსის მიღწევით დასრულდა, რომლის მიხედვითაც “უნივერსალური რეცეპტი არ არსებობს, ყველა ქვეყანამ უნდა აარჩიოს ეროვნულ სპეციფიკასა და ეკონომიკის განვითარების დონეზე დამყარებული საკუთარი მოდელი”. (www.issa.int)

საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობა პრაქტიკულად, უცვლელად იმეორებს იმ ტენდენციებს, რაც მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში იკვეთება: მოსახლეობის დაბერება შეუქცევად ხასიათს ატარებს (საპენსიო ასაკის მოსახლეობა საერთო მოსახლეობის 16.6% შეადგენს, რაც საშუალო ევროპულ მაჩვენებელს 2-ჯერ აღემატება); ბავშვთა რიცხოვნობა მცირდება (0-15 წლის ბავშვების ოდენობა 10 წელიწადში 20%-ით შემცირდა); როგორც ფორმალურ სექტორში დასაქმებულთა, ასევე საერთოდ დასაქმებულთა რიცხვი განუხრელად მცირდება (10 წელიწადში საშუალოდ 13%-ით); უმუშევრობა იზრდება (5 წელიწადში 4.3%-ით); საპენსიო უზრუნველყოფის საბიუჯეტო წნეხი მატულობს (2010 წელს – ბიუჯეტის 12.6%, 2001 წელს–13,11; 2012 წელს–13,5). (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: <http://geostat.ge>)

ასეთ ვითარებაში ქვეყნის საპენსიო უზრუნველყოფის სისტემის რეფორმირების აუცილებლობა ეჭვს არ იწვევს. კვლევას საჭიროებს იმგვარი მოდელის შერჩევა და დანერგვა, რომელიც ქვეყნის საპენსიო უზრუნველყოფის სისტემის ეფექტიანობას გაზრდის და ხელს შეუწყობს ხანდაზმულ ასაკში მყოფი მოსახლეობის სიბერის დაძლევას და ღირსეული სიბერის უფრო მაღალი ხარისხით უზრუნველყოფას.

საერთაშორისო ექსპერტები საპენსიო სისტემის მდგრადობის ამალგებისათვის გვთავაზობენ, რომ ქალებისა და მამაკაცების საპენსიო ასაკი გათანაბრდეს და ფაქტიურად მთელ მსოფლიოში იყოს 65 წელი. აღნიშნული ემსახურება საპენსიო ფონდების ფორმირებისათვის დროსთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრას და პენსიონერთა რაოდენობის შემცირების ხარჯზე ამ ფონდების დროებით განტვირთვას. ეს რა თქმა უნდა ერთის მხრივ მოაგვარებს საპენსიო სისტემის შენარჩუნების პრობლემას, მაგრამ მეორე მხრივ, გაამწვავებს უმუშევრობის პრობლემას, რაც, თავისთავად, გაზრდის სოციალურად არაუზრუნველყოფილი მოსახლეობის რაოდენობას. ამიტომ გადაწყვეტილების მიღებისას სიღრმისეულად უნდა გაანალიზდეს არსებული მდგომარეობა ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობის გათვალისწინებით, რაოდენობრივად და ხარისხობრივად შეფასდეს მისაღები შედეგები და მხოლოდ ამის შემდეგ შემუშავდეს კანონმდებლობა საპენსიო ასაკთან მიმართებაში. დღეს არსებული მიდგომებით, საქართველოში დასაქმების პრობლემა მწვავედ განიხილება 45 წელს ზევით მოსახლეობისათვის, ამიტომ 65 წლამდე დაახლოებით 20 წლიანი ინტერვალი, უკეთეს შემთხვევაში, გაზრდის სახელმწიფო ხარჯებს სოციალური დაცვის მიმართულებით, ხოლო უარეს შემთხვევაში გამოიწვევს სოციალურ აფეთქებებს, რაც პოლიტიკურადაც დააზარალებს სახელმწიფოს. სოციალური დაზღვევის როლზე სოციალური დაცვის სისტემაში მიძღვნილია დასავლეთის მნიშვნელოვანი სამეცნიერო გამოკვლევები. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის და ევროპის თანამეგობრობის დოკუმენტები. ამავე საკითხს ეძღვნება ცნობილი ქართველი მკვლევრების (ნ.კაკაშვილი, დ. ვეკუა, თ. ვერულავა, ა. ბურკაძე, ჯ. შათირიშვილი, ს. ბუკია.) ასევე, უცხოელი მეცნიერ-ეკონომისტების (ტ. კატლერი, კ. ე. კლარკი, ტ. გ.

მარშალი, ტ. რ. მამორი, ა. მ. ბაბიჩი, ე. ნ. ეგოროვი, ა. პ. კოლესკინი, ა. კ. ფედოროვი, ე. გიდენსი, უ. ბეკი) შრომები.

გამომდინარე იქედან, რომ სოციალური სფერო მგრძნობიარეა, ქვეყანაში მომხდარი მცირე ცვლილებების მიმართ, ერთი ფაქტორის გავლენითაც კი შემუშავებული მექანიზმი შეიძლება უსარგებლო გახდეს. მუდმივად არის იმის საჭიროება, რომ კვლევა სოციალური დაცვის საკითხებზე და კონკრეტულად საბაზრო პირობების შესაბამისი მექანიზმების - სოციალური დაზღვევის განვითარების პრობლემებზე მიმდინარეობდეს.

საქართველოში დღეს არსებულ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და მისი გაუმჯობესება ბევრად არის დამოკიდებული სადაზღვევო ინტიტუტების განვითარებაზე, რადგან დაზღვევა, მიუხედავად კომერციული პრინციპებისა, სოციალური დაცვის მთავარი მექანიზმია, ამიტომ სადისერტაციო თემა აქტუალურია როგორც მეცნიერული, ასევე პრაქტიკული მნიშვნელობით.

კვლევის მიზანი - სადისერტაციო ნაშრომის მიზანია მოსახლეობის სოციალური დაცვის სისტემის სრულყოფის, სოციალური დაზღვევის როლის განსაზღვრა, სოციალური დაზღვევის ფონდის ფორმირების ფინანსური მექანიზმების ჩამოყალიბება. სოციალური დაზღვევის ეფექტიანობის განსაზღვრა.

მიზნის რეალიზაციისათვის დასახული იქნა შემდეგი ამოცანები:

- გაანალიზდეს სოციალური რისკების თეორიული ასპექტები, როგორც სოციალური დაზღვევის მექანიზმის ძირითადი საფეხური;
- შესწავლილ იქნეს სოციალური ტრანსფერების როლი მოსახლეობის სოციალურ დაცვაში;
- შესწავლილ იქნეს სოციალური დაზღვევის ეტაპები და თავისებურებები საზღვარგარეთის ქვეყნებში;
- სოციალური ფონდის ფინანსური მექანიზმების ფორმირებისთვის ახალი მოდელის ჩამოყალიბება;
- სოციალური დაზღვევის ეფექტიანობის განსაზღვრის მეთოდის შემუშავება;
- მოსახლეობის სოციალური დაცვაში ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის გაანალიზება და მისი სოციალურ დაზღვევასთან კავშირის დასაბუთება;

•სოციალური დაზღვევის განვითარების პრობლემების აღმოფხვრისა და განვითარებისათვის რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის საგანი - სოციალური დაცვის სისტემაში სოციალური დაზღვევის როლის გაზრდის კანონზომიერებები და თავისებურებები, რომლებიც განსაზღვრავენ სოციალურ დაზღვევას, როგორც სისტემის, ფუნქციონირების ფორმებს.

კვლევის ობიექტი - სოციალური დაცვის და სოციალური დაზღვევის სისტემები საზღვარგარეთ და საქართველოში.

კვლევის პროცესში გამოვიყენეთ მარკეტინგული, ფაქტორული და შედარებითი ანალიზის მეთოდი, რაოდენობრივი მეთოდები, საკვლევი პროცესების გრაფიკული ინტერპრეტაციები.

კვლევის თეორიულ ბაზად გამოყენებულ იქნა ქართველი და უცხოელი მეცნიერების ფუნდამენტური ნაშრომები, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ საქართველოში ჩატარებული კვლევების მასალები, კვლევა ჩატარებულია მოსახლეობის სოციალური დაცვის უცხოური სისტემების შესწავლის საფუძველზე და საქართველოს სოციალური დაცვის სისტემასთან შედარებით გამოტანილია დასკვნები.

საინფორმაციო ბაზად გამოყენებულ იქნა საქართველოს კანონები: დაზღვევის შესახებ, შრომის კოდექსი, საგადასახადო კოდექსი, საქართველოს კანონი სავალდებულო სოციალური დაზღვევის შესახებ, არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ, ეროვნული ბანკის სადაზღვევო ზედამხედველობის სამსახურის სტატისტიკური მასალები, საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის წელიწადეული, ეროვნული ბანკის წლიური ანგარიშები, დედუქციის მეთოდი, ანკეტური და პირდაპირი გამოკითხვის შედეგები.

კვლევის მეცნიერული სიახლე არის ის, რომ საზღვარგარეთის და საქართველოს სოციალური დაცვის სისტემების კომპლექსური ანალიზის საფუძველზე შემუშავებულია სოციალური დაზღვევის განვითარების რეკომენდაციები, რომლებიც მორგებული იქნება სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკაზე:

✓ დაზუსტებულია „სოციალური რისკის“ ცნება, გაანალიზებულია მისი სხვადასხვა სახით წარმოქმნის შესაბამისი თეორიული ასპექტები;

- ✓ შემუშავებულია სოციალური ფონდის ფორმირების ფინანსური მექანიზმი, რომელიც გაჯერებულია სოციალური დაზღვევის ელემენტებით; დაზუსტებულია სოციალური დაზღვევის ეკონომიკური შინაარსი, განსაზღვრულია სოციალური დაზღვევის მექანიზმში დასაქმებულისა და დამსაქმებელის მონაწილეობის განაკვეთები;
- ✓ შედარებულია ცხოვრების „ხარისხი“ და „ღირსეული ცხოვრების პირობების ცნებები, დასაბუთებულია მათი ურთიერთკავშირი; შემოტანილია სოციალური დაზღვევის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის ცნება, შეფასებულია ეროვნული სოციალური დაზღვევის ეფექტიანობა;
- ✓ შესწავლილია ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის მდგომარეობა და ჩამოყალიბებულია კონკრეტული მიმართულებები, რომლებიც ბიზნესის მხრიდან არის გასათვალისწინებელი;
- ✓ შესწავლილია მოსახლეობის დამოკიდებულება ნებაყოფლობით სოციალური დაზღვევისადმი, გამოვლენილია პრობლემები და შემუშავებულია წინადადებები მათ აღმოსაფხვრელად.
- ✓ საქართველოს არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებლების გათვალისწინების საფუძველზე გაანგარიშებულია კერძო საპენსიო დაზღვევაში ჩართვის მიზანშეწონილი ასაკი ამჟამინდელი პენსიის სიდიდის სამმაგი ოდენობით უზრუნველყოფისათვის.

სადისერტაციო ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ კვლევის შედეგების გათვალისწინება პრაქტიკაში ხელს შეუწყობს ნებაყოფლობითი სოციალური დაზღვევის სტიმულირებას, რაც განტვირთავს სახელმწიფო ბიუჯეტს, სოციალური რისკებისადმი სერიოზული დამოკიდებულება აამაღლებს ცალკეული დასაქმებული ადამიანის და მეწარმის პასუხისმგებლობას მათგან დაცვის თვალსაზრისით.

კვლევის შედეგები განიხილებოდა ბიზნესის მართვისა და ეკონომიური პოლიტიკის დეპარტამენტში სემინარული მუშაობაზე, ადგილობრივი და

საერთაშორისო კონფერენციებზე, სამეცნიერო სტატიები გამოქვეყნებულია ადგილობრივ და უცხოურ რეფერირებად ჟურნალებში.

1. საერთაშორისო - სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია „ინოვაციები ბიზნესში“ 2010 წლის 16-17 აპრილი. სტატიის დასახელება: „ბიზნესის როლი მოსახლეობის სოციალურ დაცვაში“, გვ. 218.
2. საერთაშორისო - სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია „ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარების ტენდენციები თანამედროვე ეტაპზე“ 2011 წლის 24-25 სექტემბერი. სტატიის დასახელება: „მოსახლეობის სოციალური დაცვის მოდელი საქართველოში“ გვ. 57.
3. IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ახალგაზრდა მეცნიერებისთვის “Economic and social development of Ukraine in the XXI century: national identity and globalization trends” 2012 წლის 23-24 თებერვალი. სტატიის დასახელება: „Model of Social Protection of Population in Georgia“ გვ. 187.
4. „ბიზნესი, როგორც მოსახლეობის სოციალური დაცვის მექანიზმის შემადგენელი ნაწილი“ ჟ. ბიზნესი და კანონმდებლობა, 2011 წ. ოქტომბერი-ნოემბერი, გვ. 70.
5. „სოციალური რისკები და მისგან დაცვის მექანიზმები“ ჟ. ეკონომიკა 1-2.20.12, გვ. 105.
6. „Model of Social Protection of Population in Georgia“ ჟ. სომხეთი: ფინანსები და ეკონომიკა #4(142) 2012წ. აპრილი, გვ. 55.
7. „სოციალური დაზღვევის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასება“ ჟურნ. ბიზნესი და კანონმდებლობა, 2012 წ. ივლისი, გვ. 60.
8. „სოციალური დაზღვევის ფონდის ფინანსური მექანიზმი“ ჟურნ. ეკონომიკა 7-8.2012, გვ. 70.

სადისერტაციო ნაშრომის მიზანმა, დასახულმა ამოცანებმა და კვლევის მეთოდებმა განსაზღვრა დისერტაციის სტრუქტურა, რომელიც შედგება შესავლის, სამი თავის, 9 ქვეთავის, დასკვნის, გამოყენებული ლიტერატურის სიისა და დანართებისაგან.

თავი 1. მოსახლეობის სოციალური დაცვის როლი სოციალური რისკების მართვაში.

1.1 სოციალური რისკების თეორიული ასპექტები

სოციალური რისკი კაცობრიობის განვითარების ყველა ეტაპზე არსებობდა და შესაბამისად მისი რაოდენობა და საფრთხის მოცულობა ეტაპობრივად იზრდებოდა. განვითარებულ ქვეყნებში სოციალური რისკებს აქვს, როგორც დადებითი ასევე უარყოფითი შედეგი. ქვეყნების უმრავლესობაში სოციალური რისკები ცხოვრების ყველა დონეზე ინდივიდუალურია. გლობალიზაციის განვითარებასთან ერთად ის ტრანსნაციონალური და სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის ნაწილი გახდა.

გასული საუკუნის ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ნ. ლუმანმა, ე. გიდენსმა და უ. ბეკმა შექმნეს სოციალური კონცეფციები, რომელთა მიხედვით სოციოლოგიამ პასუხი გასცა კითხვას, თუ „საზოგადოება როგორ ხსნის და ასწორებს ნორმისგან გადახრას, არახელსაყრელ ან გაუთვალისწინებელ შემთხვევითობებს, მიუხედავად იმისა რომ ეს არის ცხოვრების ბნელი მხარე“. უ. ბეკი სოციალური რისკების გააქტიურებას ხსნის ახალი ტექნოლოგიების დანერგვით და მას უკავშირებს საზოგადოების ყოფა-ცხოვრებაში გარემოს დაბინძურებითა და სამრეწველო ავარიებით გამოწვეულ შემთხვევებს, რომელიც საბოლოო ჯამში მძიმე სოციალურ მდგომარეობაში აყენებს მოსახლეობას. უ. ბეკი აღნიშნავს, რომ სოციალური რისკი სხვა სახის რისკებისაგან განსხვავდება თავისებურებებით – პირველი, ის ყველთვის ჩნდება სოციალურ სისტემაში; მეორე, რისკის მოცულობა არის სოციალური ურთიერთობებისა და პროცესების ხარისხის ფუნქცია, და მესამე, რისკის ხარისხის შეფასება დამოკიდებულია ექსპერტების ცოდნაზე. (Бек 2000: 16-49) ჩვენ ვეთანხმებით ავტორს იმაში, რომ რისკი ჩნდება სოციალურ სისტემაში, ის მოსაზრება, რომ სოციალური ურთიერთობები განსაზღვრავს რისკის ხარისხს ნაწილობრივ მისაღებია, თუმცა აღვნიშნავთ, რომ სოციალური პროცესების დამაკმაყოფილებლად წარმართვა სრულიადაც არ ამცირებს სოციალურ რისკებს, პირიქით ახალი სოციალური ურთიერთობები აჩენს ახალ რისკებს და ფაქტიურად ხდება რისკების კუმულაცია, რომელიც განუსაზღვრელ დროსა და სივრცეში რეალიზდება. ამიტომ რისკების მართვა მის საბოლოო შთანთქმაზე კი არ

უნდა იყოს მიმართული, ვინაიდან ეს იქნება ფუჭად დროისა და სხვა ფაქტორების ხარჯვა, არამედ მართვაში იგულისხმება შესაძლებლობის ფარგლებში გამოვლინდეს ის დაფარული გვერდითი მოვლენები, რომლებიც ხელს უწყობენ რისკის რეალიზაციას. (Гидденс 1994: 110)

მიუხედავად სოციოლოგიური კვლევების სიმრავლისა სოციალური რისკის ბუნება ჯერ კიდევ არ არის ახსნილი სათანადო დონეზე, ისე, რომ ერთმანეთისაგან განცალკევებულად განიხილებოდეს სოციალური რისკები წარმოშობის მიზეზებისა და მოსალოდნელი შედეგების მიხედვით. ნ. ლუმანმა რისკის ბუნების ასახსნელად გამოიყენა რისკოგენური შემთხვევითობების განლაგება შკალაზე „ახლანდელი–მომავალი“, რომლის მიხედვით ახლანდელი სიტუაციის მიხედვით მომავალი განუსაზღვრელია, ამავე შკალის მიხედვით იგი ამტკიცებს, რომ მომავალი პროცესები დამოკიდებულია ახლანდელ დროში მიღებულ გადაწყვეტილებებზე. (Luhmann 1993:7) ამგვარი მიდგომა რისკის ბუნების ასახსნელად გამართლებული შეიძლება იყოს როგორც სოციალური, ასევე სხვა სახის რისკების შესწავლისათვის, მაგრამ სოციალური რისკი, რომელიც უშუალოდ ეხება მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ხარისხის შემცირებას თავისთავში მოიცავს იმ რისკების ნაკრებს, რომლებიც საბოლოო ჯამში ვლინდება სოციალური რისკის სახით. აქედან გამომდინარე, მისი ძირითადი ნაწილი მართვას ნაკლებად ექვემდებარება და მუდმივად არის იმის საჭიროება, რომ ქვეყანაში არსებობდეს მექანიზმი, რომელიც მოახდენს სოციალური რისკებისაგან მიყენებული ზარალის კომპენსაციას. თუმცა ჩვენი აზრით, ყველა სახის სოციალური რისკი არ შეიძლება ჩაითვალოს ცხოვრების ბნელ მხარედ. არსებობს რისკების ჩამონათვალი, რომელიც მის საპირისპირო მხარეს წარმოადგენს, ეს არის მოხუცებულობა, ორსულობა - მშობიარობის შედეგად დროებით ან მუდმივი უმუშევრობის გამო შემოსავლების შემცირება. სხვა საკითხია, როდესაც ცხოვრების ნათელი მხარის – მოხუცებულობის უზრუნველყოფა, შრომისუნარიან პერიოდში სხვადასხვა რისკების (უმუშევრობა, ავადმყოფობა, ინვალიდობა) ზემოქმედების გამო ცხოვრების ბნელ მხარედ იქცევა.

უ. ბეკისაგან განსხვავებით, ნ. ლუმანის აზრით, რისკის სოციოლოგიური კონცეფციის ძირითადი კატეგორიებია: კომუნიკაცია, გადაწყვეტილება, ტექნოლოგია.

კომუნიკაცია სხვა არაფერია თუ არა ინსტრუმენტი, რომლის საშუალებით საზოგადოება საკუთარ თავს აწარმოებს. "აზრი არ აქვს ვამტკიცოთ, რომ თანამედროვე ტექნოლოგია სარისკოა, რისკს შესაძლოა შეიცავდეს: მხოლოდ კომუნიკაცია, გადაწვეტილების მიღებისას ამა თუ იმ ტექნოლოგიების გამოყენება და არა გამოყენების შესაძლებლობა. მისი აზრით, რისკის აღქმა ნაკლებადაა დაკავშირებული სტანდარტულ სოციალურ-დემოგრაფიულ მახასიათებლებთან, ის საზოგადოების გარეშე, ცნობიერებისა და კულტურისაგან დამოუკიდებლად არ არსებობს, პირიქით, საზოგადოებამ შეიმუშავა რისკის კონცეფცია, რათა ყოველდღიურ ცხოვრებაში რიგ საფრთხესა და გაურკვევლობებში მაქსიმალურად უზრუნველყოს სოციალური უსაფრთხოება, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად რეალურია ესა თუ ის რისკი. (Luhmann 1993:18-28)

აქ დავეთანხმებით ავტორს, იმაში რომ რისკი საზოგადოების გარეშე არ არსებობს, ან უფრო სწორად არ აღიქმება არავის მიერ, მას არ ჰყავს შემფასებელი და თავისთავად აზრს კარგავს მისი არსებობა, მაგრამ ვერ დავეთანხმებით იმაში, რომ ცნობიერებისა და კულტურისაგან დამოუკიდებლად არ არსებობს და განვმარტავთ, რომ ბუნებრივ-კლიმატური რისკები არ ექვემდებარება არც საზოგადოების ცნობიერებას და არც კულტურას და მისი განვითარების დონისაგან დამოუკიდებლად ჩნდება და ქრება ისინი. ნაშრომის კვლევის საგანს მართალია არ წარმოადგენს ბუნებრივ-კლიმატური რისკების კვლევა, მაგრამ სოციალური მდგომარეობის გაუარესება ხშირ შემთხვევაში პირდაპირ კავშირშია ამ რისკების ამოქმედებისაგან მიღებულ შედეგზე.

რისკის ანალიზის მიმართ სოციოლოგიური მიდგომა პირდაპირ არის დაკავშირებული არასტაბილურობის ფილოსოფიურ კონცეფციასთან, რომელიც საშუალებას აძლევს მას განიხილოს ბუნებისა და საზოგადოების კანონზომიერების ერთიანობა და ურთიერთდამოკიდებულება. ცნობილი თეორეტიკოსის, ი. პრიგოჟინის მიხედვით, რისკი დამოუკიდებლად არ არსებობს, ის არის მხოლოდ იქ, სადაც სამყაროა, სადაც ადამიანის ყოფა მრავალფეროვანია. სამყაროში, ბუნება ადამიანის სრული კონტროლის ქვეშ ექცევა, ის ადამიანის ინერტული სურვილის ობიექტს წარმოადგენს. თუ ბუნებას თანდაყოლილი არასტაბილურობა ახასიათებს მაშინ ფრთხილად და სათუთად უნდა მოვეკიდოთ მას. მხოლოდ იმიტომ რომ მომავლის წინასწარ

პროგნოზირება თითქმის შეუძლებელია. (Пригожин 2000:120) პრიგოჟინის განმარტების მიხედვით ადამიანს სრულად შეუძლია მართოს ბუნებრივ-კლიმატური რისკები, რაშიც კიდევ ერთხელ წინააღმდეგობრივ აზრს გამოვხატავთ: ბუნება ადამიანის სრული კონტროლის ქვეშ ვერასოდეს ვერ მოიქცევა, ვეთანხმებით ავტორს მხოლოდ იმ ნაწილში, რომ ბუნებრივი რესურსების არასწორად მოპოვება ზრდის ბუნების თანდაყოლილ არასტაბილურობას, მაგრამ მისი სრული კონტროლი შეუძლებელია. გარდა ბუნებრივ-კლიმატურ რისკებისა ნებისმიერი საქმიანობა, ადამიანის გამოცდილებიდან გამომდინარე, პოტენციურად სახიფათოა და მას როგორც აქსიომას არ სჭირდება მტკიცება.

არსებითია, რომ თითოეული ჩვენგანი (მუშა, ფერმერი, ბიზნესმენი, სტუდენტი) ყოველდღიურად გარკვეული რისკის ქვეშ ექცევა. თითქმის ყოველთვის უწევს მას საფრთხეების გადალახვა ტრანსპორტში, პირად ცხოვრებაში და ა.შ. ამდენად მნიშვნელოვანია განვმარტოთ: რა სახის რისკებთან არის დაკავშირებული ადამიანის ყოველდღიური ცხოვრება და როგორ შეუძლია მას თავიდან აიცილოს ან შეამციროს მისგან მიყენებული ზარალი, რათა შეძლოს არსებული სოციალური მდგომარეობის შენარჩუნება. რისკი არის მოსალოდნელი საფრთხის შესაძლო გარემოებები, რომელსაც მოჰყვება სოციალური ან მატერიალური დანაკარგები, შესაძლო ზარალი, წარუმატებლობა რაიმე საქმეში. (Лапин,...1995:22) რისკისთვის დამახასიათებელია მოულოდნელობა და სახიფათო სიტუაციის უცაბედობა. რისკის კონცეფცია მრავალი სოციალური და ტექნიკური დარგის მკვლევართა შესწავლის ობიექტია, რამეთუ თავისთავში ის აერთიანებს რისკის ისეთ კატეგორიებს, როგორებიცაა სოციალური, პროფესიონალური, ეკოლოგიური, ტექნოგენური, ბიოლოგიური და სხვა ასპექტებს.

სოციოლოგია აღიარებს ფაქტს, რომლის მიხედვით კატასტროფები ზოგადად სოციალური სისტემების ფუნქციონირების პროდუქტია. უბედური შემთხვევა სოციოლოგიურ პარადიგმაში განეკუთვნება სოციალურ პრობლემას, სადაც აქცენტი კეთდება კატასტროფების სოციალურ კონტექსტზე, სოციალურ პროცესებსა და სტრუქტურებზე, რომლის ფარგლებში კატასტროფები მოხდა, ხდება და მუდმივად მიმდინარეობს რეკონსტრუქცია.

სარისკო სიტუაციების წარმოქმნა უმეტეს შემთხვევაში დამოკიდებულია სოციალური სუბიექტის საქმიანობასთან, მის აქტიურობასთან, ქცევასთან. სოციალური სუბიექტის დამოკიდებულება საკუთარი პიროვნებისადმი, სოციალური ჯგუფებისადმი და მთლიანად გარემოსთან ქმნის სოციალური საქმიანობის დინამიურ სისტემას, რომელშიც ეს ურთიერთქმედებები განუსაზღვრელი ხასიათის მატარებელია და შესაბამისად რთულია შეფასდეს წინასწარ მათგან მიღებული შედეგი. აქედან შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ სოციალურ რისკს აქვს დეტერმინირებული ხასიათი, რაც იმაში ვლინდება, რომ რისკი, როგორც არასასურველი შემთხვევა, შეიძლება გამოვლინდეს როგორც ერთ ინდივიდთან მიმართებაში, ისე მთელ საზოგადოებაში და მისი სიდიდე და მიღებული ზარალის მოცულობა მუდმივად იცვლებოდა.

სოციალური რისკების სრულად ახსნისათვის, ჩვენი აზრით, რისკები უნდა დაჯგუფდეს ორი მიმართულებით: ტექნოგენური და სოციოგენური. უნდა განისაზღვროს თითოეული რისკის წარმოქმნის ფაქტორი. ასევე უნდა დაჯგუფდეს სოციალური რისკები, რომელთა წარმოქმნას აქვს ტექნოგენური ხასიათი და სოციალური რისკი, რომელიც უშუალოდ სოციალური სუბიექტის თავისებურებებსა და შესაძლებლობებზე არის დაფუძნებული.

ტექნოგენური რისკები თავისი ბუნებით დაკავშირებულია ადამიანების მიერ შექმნილი ტექნიკური ობიექტების საქმიანობასთან, რომელთა მუშაობის პროცესში შეიძლება წარმოიქმნას სარისკო სიტუაცია (ავარიები, კატასტროფები), რაც გამოიწვევს ისეთი ზარალის მიღებას, რომელიც გააუარესებს სოციალური სისტემის მდგომარეობას. ამიტომ მნიშვნელოვანია ასეთი რისკების ინდიკატორად აღებულ იქნას სოციალური სუბიექტის შესაძლო შედეგი და არა ობიექტის მდგომარეობა, რომელზეც ეს რისკები ზემოქმედებენ. აქედან გამომდინარე, სოციალური რისკი უნდა განისაზღვროს, როგორც სუბიექტის მდგომარეობა, რომელშიც ის აღმოჩნდება გაუთვალისწინებელი და არაკონტროლირებადი მოვლენების ზემოქმედების შედეგად. ბევრი მკვლევარი აღნიშნავს, რომ რისკი ჩნდება იქ, სადაც ადგილი აქვს განუსაზღვრელობას, როდესაც ხდება საჭირო ალტერნატიული გადაწყვეტილების არჩევა. თანამედროვე მსოფლიოსათვის განუსაზღვრელობა ნებისმიერი საქმიანობის შედეგის ძირითადი

მახასიათებელი გახდა, რადგან ადამიანები გლობალიზაციის პირობებში, სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, საქმიანობენ ერთდროულად რამდენიმე სფეროში, რომელთაგან რომელიმე სფეროს მაღალმა რისკმა შეიძლება საპირისპირო სოციალურ მდგომარეობაში აღმოაჩინოს სოციალური სუბიექტი. ამ რეალობიდან გამომდინარე უნდა ჩაითვალოს, რომ განსაკუთრებით სოციალური რისკების უმეტეს ნაწილის წარმოქმნას და განაწილებას ხელს უწყობს თვით სოციალური სუბიექტი, რომელიც ხასიათდება რამდენიმე თავისებურებით: პირველი, სარისკო სიტუაციების წარმოქმნა პირდაპირ შეიძლება იყოს დაკავშირებული პიროვნების ხასიათთან და მისი საქმიანობის მიმართულებასთან; მეორე, არახელსაყრელი შედეგები შეიძლება არ იყოს დაკავშირებული სუბიექტთან. უნდა აღინიშნოს, რომ ორივე შემთხვევაში ამოსავალი წერტილია სუბიექტის საქმიანობასთან, მის პიროვნებასთან დაკავშირებული რისკების გათვითცნობიერების ხარისხი და შესაბამისად მისი წარმოქმნის მიზეზების შესახებ ინფორმირებულობა. რისკის წარმოქმნა შეიძლება იყოს მიზანმიმართული ან გამოწვეული გაუფრთხილებლობით, ასევე მისი შედეგი გაუაზრებელია ან გააზრებული. ჩვენ აქცენტს ვაკეთებთ რისკებზე, რომლის ზემოქმედების ქვეშ სოციალური სუბიექტი აღმოჩნდება არა საკუთარი ქმედების ან უმოქმედობის შედეგად, არამედ გარემო პირობების ზემოქმედების გამო. ამის მაგალითია ქვეყანაში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა: უმუშევრობა, პოლიტიკური დაძაბულობა, ეკოლოგიური საფრთხე და ა.შ. სოციალური რისკის წარმოქმნა და მისი შედეგების გავლენა, როგორც ინდივიდზე, ასევე სოციალურ ჯგუფებზე შეიძლება განპირობებული იყოს თვით იმ ინდივიდის მიერ, რომელმაც თვითონ მიიღო არახელსაყრელი შედეგი თავისი საქმიანობიდან და ამავე დროს ზიანი მიაყენა ცალკეულ სოციალურ ჯგუფებსაც. აქ, როგორც ვხედავთ, იკვეთება რისკის სუბიექტი, რომელიც ითვლება სარისკო მოქმედების შემსრულებლად და სუბიექტი, რომელზეც ზემოქმედებს ეს რისკი. მაგრამ, როგორც პრაქტიკა აჩვენებს ხშირ შემთხვევაში, რისკის განუსაზღვრელობის თვისებიდან გამომდინარე ზარალდება თვით რისკის „შემოქმედი“ სუბიექტი და სოციალური ქვეჯგუფებიც. ე.ი. რისკის სუბიექტი და ობიექტი ხშირ შემთხვევაში ერთი და იგივე ინდივიდი ან სოციალური სუბიექტი, შეიძლება თვითონ გახდეს არაპროგნოზირებადი

მოვლენის მსხვერპლი. გაანალიზებული ფაქტორები საშუალებას იძლევა რისკები დაჯგუფდეს შემდეგი სახეების მიხედვით:

- ზოგადი რისკები (ამ რისკის ქვეშ ექცევა ყველა ადამიანი, მისი მწვავე მაგალითია გარდაცვალება);
- ჯგუფური/კლასიკური რისკები (გარკვეული კლასის ადამიანები, რომელთაც აქვთ იდენტური მახასიათებლები და თავისებურებები);
- ცხოვრების გარკვეული ეტაპების რისკები;
- თაობათა შორის რისკები (რისკები, რომლებიც მშობლებიდან ბავშვებზე გადადის: მიღებული განათლების ნაკლებობა და საჭირო სოციალური უნარების არ არსებობა).

არსებობს ალტერნატიული კლასიფიკაცია, შესაბამისად, მასშიც გამოყოფენ ახალი სოციალური რისკების ოთხ ნაწილს:

- საერთო არსებითი რისკები (ამ რისკის ქვეშ ექცევიან ის ადამიანები, ვინც შრომის უუნაროები არიან ავადმყოფობის ან სიბერის გამო);
- სპეციფიკური–ჯგუფური რისკები I (ადამიანები, რომლებსაც აქვთ დაბალი დონის კვალიფიკაცია, სტრუქტურული ცვლილებების გამო);
- სპეციფიკური–ჯგუფური რისკები II (ადამიანები, რომლებსაც აქვთ არასრული უკუგება უმაღლესი განათლებისაგან);
- სპეციფიკური–ჯგუფური რისკები III (ამ რისკის ქვეშ ექცევიან ადამიანები, რომლებმაც შესაძლოა დროებით დაკარგონ შემოსავალი ბავშვის დაბადების შედეგად).

თანამედროვე პერიოდში ჩამოთვლილი რისკების ჯგუფებს მიეკუთვნებიან ის სოციალური ჯგუფები, რომლებიც განიცდიან დემოგრაფიული და საწარმოო რისკების გავლენას და ექცევიან ცხოვრების დაბალი დონის მქონე სოციალურ ქვეჯგუფებში. ამ კლასიფიკაციის არსი იმაში მდგომარეობს, რომ შესაძლებელია გამოიყოს ის რისკები და ჩატარდეს ანალიზი, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება სოციალური ჯგუფების საქმიანობას და აქტუალურია სოციალური სისტემის მდგრადობისათვის.

სოციალური რისკების ანალიზის მეთოდოლოგიების შესაბამისად რისკის ჯგუფის განსაზღვრის კრიტერიუმად მიღებულია სოციალურ-დემოგრაფიული ნიშნები: სქესი, ასაკი, განათლება, ოჯახური მდგომარეობა, პროფესია და ა.შ. ამ კრიტერიუმების გამოყენებით შესაძლებელია შესწავლილ იქნას ცალკეული სუბიექტები და სოციალური ჯგუფები, რომლებიც შეძლებენ გაუმკლავდნენ ამა თუ იმ რისკს და შეძლონ ადაპტირება რისკთან და ასევე გამოიკვეთოს ჯგუფები, რომლებიც ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმების მიხედვით ვერ ეწინააღმდეგებიან რისკს და ყველაზე მეტად განიცდიან მის ზემოქმედებას. ამის მაგალითია თანამედროვე პერიოდი, დავუშვათ ასაკი – ერთის მხრივ ახალგაზრდა ასაკი ექვემდებარება ისეთ რისკ-ჯგუფს, რომელიც განიცდის ნარკოტიკის მოხმარების რისკის გაზრდას, რაც უარყოფითად მოქმედებს სოციუმის განვითარების ხარისხზე, და ასევე ასაკი, რომელიც წარმოქმნის ისეთ რისკ-ჯგუფს, რომლებიც განიცდიან ისეთ სოციალური რისკების ზემოქმედებას, როგორცაა მუდმივი უმუშევრობა, ჯანმრთელობის დაქვეითება და სხვა. სოციალური რისკების კვლევისთვის როგორც ზემოთ აღინიშნა, მნიშვნელოვანია იმ ფაქტორების გამოვლენა, რომელთა არსებობა აჩენს არახელსაყრელი შემთხვევების დადგომის შესაძლებლობას. ადამიანის საქმიანობაში არის შემთხვევები, რომელთა გადალახვა არ შეუძლია ცალკეულ ინდივიდს, ამაზე დაყრდნობით შესაძლებელია განისაზღვროს ინდივიდის სოციალური დაუცველობა, მისი რისკისადმი მიდრეკილება.

ცალკეული სუბიექტის აქტიურობა მიმართულია საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილებისკენ, ამიტომ იგი სხვადასხვა ქმედებით ცდილობს შეცვალოს სოციალური მდგომარეობა უკეთესობისკენ, ამავე დროს გარემო სხვადასხვა ნორმებისა და შეზღუდვების მიხედვით გავლენას ახდენს ინდივიდის საქმიანობაზე, ქცევაზე. თავის მხრივ იგი განიცდის რა სოციალური სისტემის გავლენას, მოქმედებს მოთხოვნების შესაბამისად, იმის გაუთვალისწინებლად, შეუძლია მას ეს თუ არა. სწორედ ასეთი ქცევა აჩენს რისკს, რასაც მოჰყვება სხვადასხვა შედეგი. ვინაიდან ადამიანები განსხვავდებიან რისკისადმი დამოკიდებულების ხარისხით, შესაბამისად ისინი სარისკო სიტუაციაში მოქმედებენ სხვადასხვაგვარად და რთულია შეფასდეს რისკის ის სოციალური შედეგი, რაც მიიღება სხვადასხვა არჩევანის და ქცევის სტრატეგიის შედეგად. რისკების კვლევის

მეთოდოლოგიაში გათვალისწინებული უნდა იქნას არა მხოლოდ ცალკეული სუბიექტების ქცევისა და არჩევანის ფაქტორები, არამედ ფაქტორებიც, რომლებიც ინდივიდის ქცევისა და არჩევანისაგან დამოუკიდებლად წარმოქმნიან სარისკო სიტუაციებს და გავლენას ახდენენ სოციალურ სისტემაზე. გარე ფაქტორებს უნდა მივაკუთვნოთ ტექნოგენური რისკების წარმომქმნელი მიზეზები, ხოლო შიდა ფაქტორი არის სოციალური სუბიექტის ჩამოთვლილი სოციალურ-დემოგრაფიული ნიშნების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლები. სუბიექტური ფაქტორის მიხედვით ცალკეული სუბიექტი ახდენს სარისკო სიტუაციის რაოდენობრივ და ხარისხობრივ შეფასებას და აკეთებს არჩევანს გააგრძელოს მოქმედება ამა თუ იმ სფეროში, ხოლო სხვა სუბიექტი უარს ამბობს ამგვარ სიტუაციაში მოქმედების გაგრძელებაზე. აქედან გამომდინარე, უნდა აღვნიშნოთ, რომ მიუხედავად სოციალური რისკების გამომწვევი ფაქტორების დადგენისა, ვერ მიიღწევა აბსოლუტური უსაფრთხოება. თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში ნებისმიერ სფეროში არის არახელსაყრელი სიტუაციის წარმოქმნის რისკი, რომლის ამოქმედება იწვევს სოციალური რისკების დესტაბილიზაციას. საზოგადოების დაცვა სხვადასხვა სახის რისკების ზემოქმედებისაგან ცალკეული შემთხვევაში შესწავლით შედეგს ვერ მოიტანს. საჭიროა კომპლექსური მიდგომა იმ ფაქტორების გამოვლენა-შესწავლისათვის, რომელთა გავლენა პირდაპირ თუ ირიბად ახდენს სოციალური ჯგუფების დაზარალებას. თანამედროვე პერიოდში რისკების კვლევის წინა პლანზე წამოწევამ გაზარდა დაზღვევის როლი. თუმცა ცალკეული ახალი რისკის შესწავლა იმდენად დიდ დროსა და სამუშაოსთან არის დაკავშირებული, რომ დაზღვევის მექანიზმის გამოყენებას წინ უსწრებს ამ რისკებისაგან ზარალის მიღება. ახალი სოციალური რისკების უმრავლესობა უნიკალური და არასტაბილურია. ამიტომ ტრადიციული მეთოდების ამ სახის რისკების პრევენცია რთულია.

სპეციალურ ლიტერატურაში ტერმინი "სოციალური რისკი" განსაზღვრული იყო, როგორც "სიღარიბე, პენსიაში გასვლის ან სამუშაოს დაკარგვის და დაავადების შედეგად". (Armingeon 2004:56) დღეს ამ სახის რისკები, ნაკლები სიმწვავისაა, რადგან დაიფარება დაზღვევის სხვადასხვა სისტემით. სოციალურ რისკებთან ბრძოლის მეთოდების

შემუშავებისას მნიშვნელოვან ფაქტორს სოციალური კაპიტალის არსის ახსნა და მისი ფორმირება წარმოადგენდა. პორტესის განმარტებით, "სოციალური კაპიტალი" (Portes 1998:1-24). არის როგორც "ფაქტობრივი ან პოტენციური რესურსების ერთობლიობა და იგი მეტნაკლებად ასოცირდება ინსტიტუციონალურ ურთიერთობებთან, სადაც ძალიან მნიშვნელოვანია ცნობადობა ან აღიარება." ი. ბეიქერი „სოციალურ კაპიტალს“ გარკვეული სოციალური სტრუქტურების ხარჯზე აიგივებს მიღებულ რესურსებთან, რომლებსაც ეს სტრუქტურები თავიანთი ინტერესების წინსვლისთვის იყენებენ. ხოლო რესურსი იქმნება ურთიერთობაში მონაწილეების ცვლილებების შედეგად (Baker 1990: 589-625) მ. შიფმა მოგვცა სოციალური კაპიტალის სხვა განმარტება, კერძოდ "სოციალური კაპიტალი არის სოციალური სტრუქტურის ელემენტების ერთობლიობა, რომელიც მოიცავს ადამიანთა შორის ურთიერთობებს და ის განისაზღვრება ან მასში შეტანილი წვლილის ოდენობით ან წარმოების სასარგებლო ფუნქციით". (Schiff 1992:157-175) რ. ბურტი კი სოციალურ კაპიტალს შემდეგნაირად განსაზღვრავს: ეს არის მეგობრების, კოლეგების და ზოგადად კონტაქტების ერთობლიობა, რომლის დახმარებითაც ადამიანს შეუძლია საკუთარი ფინანსური და ადამიანური კაპიტალის რეალიზება". (Burt 1992:79) სოციალური კაპიტალის მოყვანილ განმარტებებში ბევრი რამ შეიძლება იყოს გაურკვეველი ან აბსტრაქტული, მაგრამ ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ მას ადამიანის სოციალურ უზრუნველყოფაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება. ჩვენ ვიზიარებთ ჩამოყალიბებულ განმარტებებს, მაგრამ კონკრეტულად შიფის განმარტების საწინააღმდეგოდ ვთვლით, რომ სოციალური კაპიტალი არ არის სოციალური სტრუქტურებიდან მიღებული რესურსი, ჩვენი აზრით, "სოციალური კაპიტალი" უნდა ეწოდოს ქვეყანაში სოციალური სტატუსის დიფერენცირების შედეგად ისეთი სტატუსის მატარებელი მოსახლეობის ფენას, რომელსაც ეძლევა საშუალება იცხოვროს ცხოვრების ღირსეული პირობებით და ამავე დროს, ეს არის კატეგორია, რომლის მიხედვით შეიძლება შეფასდეს ქვეყნის სოციალური პოლიტიკა და ზოგადად, სოციალური-ეკონომიკური მდგომარეობა.

რაც შეეხება უშუალოდ "კაპიტალს", იგი არ მოიცავს სოციალური სტრუქტურებიდან მიღებულ რესურსს, მისი ფორმირება სოციალური ფონდის სახით ყველა დონის

სტრუქტურის, ცალკეული ადამიანის ვალდებულებად უნდა იქცეს, რასაც რეალური სახე უნდა მისცეს დაზღვევის გამოყენებამ სოციალური რისკების დაცვაში, მაგრამ ამ პრობლემის გადაჭრას ართულებს სოციალური რისკების განმარტებაში ისეთი ნიშნის, არ არსებობა, რომლითაც იგი მისაღები იქნება მზღვეველებისათვის.

სოციალური რისკების არსის, პრინციპების, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებთან დაკავშირებით გაურკვეველობა და აზრთა სხვადასხვაობა, მნიშვნელოვნად აფერხებს არა მხოლოდ თეორიის განვითარების, არამედ სოციალური დაზღვევის პრაქტიკაში სოციალური რისკების დაზღვევადობის გაუმჯობესებას.

მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა, პირველ ყოვლისა, ხასიათდება, მის ერთ გარკვეულ, ან ერთდროულად რამდენიმე კატეგორიაზე (სოციალურ ჯგუფები) მიკუთვნებით, რომელთა ჩაშლა შესაძლებელია შემდეგი კრიტერიუმებით: მუშა, მოსამსახურე (საჯარო მოხელე), უმუშევარი, სტუდენტი, პენსიონერი, ინვალიდი; მეორე, სოციალური მდგომარეობა ხასიათდება: პროფესიული კვალიფიკაციის დონით, ქონებრივი სტატუსით (უძრავი და მოძრავი ქონების, ფასიანი ქაღალდების, საბანკო დეპოზიტების, აქციების ფლობა) და შემოსავლით; მესამე, განისაზღვრება მოქალაქეების უფლებებით, მოვალეობებით და პასუხისმგებლობით. სოციალური რისკების და სოციალური დაზღვევის საკითხების შესასწავლად მნიშვნელოვანია გავერკვეთ იმაში, თუ რა უნდა ვიგულისხმოთ მოქალაქეების სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებებში, რაც ახასიათებს მოქალაქის სიცოცხლის მატერიალურ დონესა და ხარისხს. ეს უკანასკნელი პირდაპირაა დამოკიდებული მოქალაქის სოციალურ მდგომარეობაზე. სოციალური მოთხოვნილებების შემადგენლობა საკმაოდ ვრცლადაა წარმოდგენილი გაეროს ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის 25-ე მუხლში. სადაც ვკითხულობთ: "ყველა ადამიანს აქვს უფლება ისეთი დონის ცხოვრებისა, (მათ შორის საკვები, ტანსაცმელი, თავშესაფარი, სამედიცინო და საჭიროების შემთხვევაში სოციალური მომსახურების,) რომელიც აუცილებელია თვით ადამიანისა და მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისათვის, ასევე უმუშევრობის, ავადმყოფობის, ინვალიდობის, ქვრივობის ან სხვა მიზეზით, მატერიალური რესურსების ზარალის

შემთხვევაში უზრუნველყოფის უფლება." (ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია - გაეროს ადამიანის უფლებათა ქარტია 1948 წ.: მუხლი 25)

სახელმწიფო სოციალური დაცვის სისტემების განვითარებამ, მოქალაქეების ურთიერთდამოკიდებულების პოზიტიურმა ცვლილებამ, ურთიერთდახმარების გაწევის მიზნით, მათმა მაღალმა მოტივაციამ – მოითხოვონ სოციალური დაცვის სტანდარტებით დაკმაყოფილება, გაზარდა სახელმწიფოს როლი სოციალური რისკებისაგან დაცვაში.

ვ. დ. როიკი წიგნში – „პროფესიული რისკები“, სოციალურ რისკებს განსაზღვრავს, როგორც „ტიპიურ მასობრივი სახის საშიშროებებს, როგორცაა მოსახლეობის დიდი ჯგუფების სოციალური მდგომარეობის ფაქტორების გაუარესება, რაშიც იგულისხმება საზოგადოების მხრიდან მათი მნიშვნელობის შეფასება და შესაბამისობა ცხოვრების პირობებთან“. (РоиК 2004: 42) ეს ნიშნავს, რომ „სოციალურ საშიშროებად აღიარებულია ის რისკები, რომლებიც საზოგადოებრივი ხასიათის მიხედვით წარმოიქმნება და ხშირ შემთხვევაში მათგან ინდივიდუალურად მაღალი ხარისხით დაცვა შეუძლებელია“. ამ კონცეფციის უფრო დეტალური განმარტება დაახლოებით ამგვარად შეიძლება ჩამოყალიბდეს: „სოციალური რისკს ქმნის ადამიანის ნორმალური სოციალური მდგომარეობის ჩაშლის ფაქტორები. კერძოდ: ჯანმრთელობის დაზიანება, შრომისუნარიანობის დაკარგვა, ან შრომის მოთხოვნილების არარსებობა (უმუშევრობა), რასაც თან ახლავს დასაქმებული მოსახლეობის მიერ მატერიალური უზრუნველყოფის გაუარესება, მკურნალობასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯების გაჩენა, ხოლო ოჯახებისათვის - მარჩენალის დაკარგვის შემთხვევაში შემოსავლის წყაროს შეწყვეტა“.

„სოციალური რისკის“ ცნების მოცემულ განმარტებას არსებული მოვლენების ასახვაში თავისი მომცველობისა და მიმზიდველობის ქვეშ სოციალურ რისკებთან მიმართებაში გააჩნია აშკარა შეზღუდულობა. აუცილებელი სამედიცინო და საპენსიო დაზღვევები ვრცელდება მოსახლეობის უმუშევარ ფენაზე (მათ შორის ბავშვებზე, პენსიონრებსა და ინვალიდებზე). მეორე მხრივ, ვ. დ. როიკი სოციალური რისკების ბუნებას აკავშირებს მოქალაქეთა შრომითი მოღვაწეობის სახეობებთან, პირობებსა და თავისებურებებთან, ანუ შრომის ბაზრის განვითარებასთან. თუმცა, სოციალური მდგომარეობის გაუარესების არანაკლებ ფაქტორებს წარმოადგენენ ისეთი სოციალური

რისკები, როგორცაა: სხვადასხვა დაავადებები, საყოფაცხოვრებო ხასიათის მოვლენები, მასშტაბური ტექნოგენური და ეკოლოგიური კატასტროფები, რომლებიც მოიცავენ სიცოცხლისათვის საშიშ ტრავმებსა და სხვა სახის დაზიანებებს, რამაც შეიძლება ადამიანების დაღუპვა გამოიწვიოს;

მართალია სხვადასხვა ფაქტორების ზემოქმედებით კონკრეტული ინდივიდის სოციალური მდგომარეობის გაუარესება სოციალური რისკის არსებობაზე მიუთითებს, მაგრამ აქ მთავარია ერთმანეთისაგან გავაცალკევოთ სოციალური რისკები, რომელიც დაკავშირებულია უშუალოდ ადამიანის საქმიანობასთან, და სოციალური რისკები, რომლებიც მიუხედავად იმისა, რომ ადამიანები არ ეწვიან საქმიანობას მაინც ექცევიან სოციალური რისკების ზემოქმედების ქვეშ. სოციალური რისკების დაზღვევადობის პრინციპების მიხედვით, ზემოთ აღნიშნული ორივე კატეგორია საჭიროებს სადაზღვევო დაცვას.

ამგვარად, სოციალური დაცვის მოდელის შექმნა უნდა დაეფუძნოს სოციალური რისკის სწორ განსაზღვრებას, მისი შეფასების შემდეგ უნდა მოხდეს მიკუთვნება სოციალური დაცვის მექანიზმის ერთ–ერთ ფორმაზე, კერძოდ, უნდა განისაზღვროს, რომ რისკი, რომელიც ინდივიდს ან ინდივიდთა ჯგუფს ემუქრება ექვემდებარება სოციალურ დახმარებას თუ სოციალურ დაზღვევას. ჩვენ მიერ განმარტებული სოციალური რისკის დადებითი მომენტები უნდა დაექვემდებაროს, როგორც სოციალურ დაცვას, ასევე სოციალურ დაზღვევას ინდივიდთა გადაწყვეტილების მიხედვით, ხოლო სოციალური რისკი, რომელიც საზოგადოებისაგან დამოუკიდებლად ზემოქმედებს მოსახლეობაზე მიეკუთვნება სოციალური დახმარების მიმღებ კატეგორიას. სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი მიმართულება არის სოციალური დაზღვევის გამოყენება სოციალური რისკებისაგან დაცვაში, ამიტომ ნაშრომში ძირითადი ნაწილი სოციალურ დაზღვევის განვითარების პრობლემებია, თუმცა მისი არსებობა სოციალური დაცვის სხვა ინსტიტუტების გარეშე წარმატებას მოკლებული იქნება.

1.2 მოსახლეობის სოციალური დაცვა, როგორც ეკონომიკის მთავარი ამოცანა

მოსახლეობის სოციალური დაცვა სახელმწიფოს სოციალურ-შრომითი ურთიერთობებისა და სოციალური პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. მისი მიზანია ადამიანთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის საბაზისო პირობების, კერძოდ მოსახლეობის მატერიალური უზრუნველყოფისა და საზოგადოების შრომისუნარო წევრების სოციალური და სამედიცინო დახმარების ორგანიზება.

ფართო გაგებით, სოციალურ დაცვაში მოიაზრებენ სახელმწიფოსა და სოციალური ინსტიტუტების საქმიანობას, რომელიც მიმართულია მოსახლეობის ნორმალური ცხოვრებისა და მოღვაწეობისაკენ. ვიწრო გაგებით, “სოციალური დაცვა” - ეს არის სახელმწიფო სოციალური გარანტიების, სოციალური დაზღვევის და სოციალური დახმარების სისტემა.

კატეგორია “სოციალური დაცვა” - მთელი რიგი საზოგადოებრივი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კვლევის ძირითადი ატრიბუტია. მაგალითად, შრომის ეკონომიკა “სოციალური დაცვის კატეგორიას განიხილავს მუშაკისა და მისი ოჯახის წევრების საარსებოდ აუცილებელი მატერიალური სახსრებით უზრუნველყოფის პოზიციიდან. აგრეთვე, სიღატაკის, გაჭირვების, სამუშაო ძალის ნაადრევად დაკარგვის თავიდან აცილების საშუალებას.

სოციალური დაცვის უფლება - აღნიშნულ კატეგორიას შეისწავლის საკანონმდებლო პოზიციიდან, რომელიც არეგულირებს დაქირავებული მუშა-მოსამსახურის უფლებებს შრომითი საქმიანობის პროცესში და მოქალაქის არსებობისათვის ღირსეული პირობებით სოციალურ უზრუნველყოფას.

საბიუჯეტო უფლება - სოციალური ნორმატივების პოზიციიდან აანალიზებს სოციალური დაცვის საკითხებს, სახელმწიფოს ფინანსურ ვალდებულებებს, მოსახლეობის სახელმწიფო სოციალური უზრუნველყოფისა და სოციალური დახმარების სფეროში.

სოციალური დაცვა, ეკონომიკურ-სამართლებრივი კუთხით, განპირობებულია საკუთრებისა და უფლების ურთიერთობების სისტემით. საბაზრო ეკონომიკაში ასეთი ურთიერთობები, რომელთაც ადგილი აქვს წარმოების საშუალებების მესაკუთრებსა და დაქირავებულ მუშაკებს შორის, (რომელთაც მხოლოდ შრომის უნარი გააჩნიათ,) მოსახლეობის ცხოვრებისა და მოღვაწეობის განმსაზღვრელია. დაავადების, უბედური შემთხვევის ან სიბერის გამო მუშაკთა შრომისუნარიანობის დაკარგვა (დროებითი ან მუდმივი) და შრომაზე მოთხოვნილების დაკარგვა წარმოშობს მატერიალურ სიდუხჭირეს. ასეთ შემთხვევებში ადამიანებს მხოლოდ ერთი ბუნებრივი უფლება - სიცოცხლის უფლება რჩებად. (Поик 2000:42) ამასთან დაკავშირებით სოციალურ დაცვას პრაქტიკული კუთხით განიხილავენ, როგორც ადამიანის უმნიშვნელოვანესი - ღირსეული ცხოვრების უფლების უზრუნველყოფი მექანიზმებისა და გარანტიების სისტემას.

სოციალური პოზიციიდან კატეგორია “სოციალური დაცვა” - ეს არის საზოგადოებაში ურთიერთობების ერთობლიობა, რომელიც განპირობებულია მისი მოქალაქეების სოციალური მდგომარეობის დაცვის აუცილებლობით – სოციალური რისკების არახელსაყრელი გავლენისაგან, რასაც სამუშაოს და შრომისუნარიანობის დაკარგვის, ან ავადმყოფობის და სოციალური დეზინტეგრაციის საფრთხე მოსდევს. მის ქვაკუთხედს წარმოადგენს მოქალაქეთა უფლებებითა და კანონმდებლობით განმტკიცებული სოციალური გარანტიების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომლებიც მიმართულია სოციალური რისკების შედეგების კომპენსირებაზე და ადამიანთა ნორმალური სასიცოცხლო პირობების უზრუნველყოფაზე. ამიტომ საბაზრო ეკონომიკაში სოციალური დაცვა გვევლინება როგორც საზოგადოებრივი სოციალური და სამეურნეო ცხოვრების ორგანიზების უმთავრესი კომპონენტი. ხოლო მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები უზრუნველყოფენ სამუშაო პროცესის უწყვეტ ხასიათს და სამუშაო ძალის კვლავწარმოებას.

კატეგორია “სოციალური დაცვა” მჭიდროდაა დაკავშირებული კატეგორიასთან “ცხოვრების დონე”, რომელიც გაეროს რეკომენდაციებით რამდენიმე ელემენტს მოიცავს: ჯანმრთელობას, დემოგრაფიულ პირობებს, საკვებს, ტანსაცმელს, მოხმარების და

დაგროვების ფონდებს, შრომის პირობებს, დასაქმებულებს, შრომის ორგანიზებას, განათლებას, მათ შორის წერა-კითხვის ცოდნას, საცხოვრებელს და მის კეთილმოწყობას, ადამიანურ თავისუფლებას.

მშრომელთა სოციალურ დაცვაში ობიექტური აუცილებლობა განპირობებულია როგორც ადამიანის ბუნებით (როგორც ბიოლოგიური არსებისა, მისი ცხოვრებისეული ციკლებით, ბიორიტმების, შრომისა და შრომის შემდგომი მოსამზადებელი პერიოდების ჩათვლით), ასევე ადამიანების ურთიერთ დამოკიდებულებითი ფაქტორების ფართო სპექტრზე, რომლებიც განსაზღვრავენ შრომის პროცესში მის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. ესენია: საწარმოო გარემო (ზეგავლენის მომხდენი ადამიანის შრომისუნარიანობაზე და ჯანმრთელობაზე), შრომის პირობები (გავლენას ახდენს შრომის არსზე, შემოსავლების დონეზე, შრომის რეჟიმზე, დასვენებაზე და ა.შ.), და შრომითი ურთიერთობები (პირდაპირ კავშირშია თანამშრომლობის ატმოსფეროზე, სოციალურ პარტნიორობაზე, ან კონფლიქტურ სიტუაციებზე და კოლექტივის წევრების დისკრიმინაციაზე). ამასთან, სოციალურ-შრომითი ურთიერთობები ვრცელდება ორგანიზაცია-საწარმოების ტექნოგენური და ბუნებრივი ფაქტორების რთული კომპლექსისაგან პერსონალის დაცვაზე (საწარმოო და ბუნებრივი გარემო პირობები), ეკონომიკური (პერსონალის დაქირავების და შრომის ბირჟის საკითხები), ბიოლოგიური (ასაკი, ჯანმრთელობა, შრომისუნარიანობა); ეს ყველაფერი თავს იჩენს დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის, დასაქმებულსა და სახელმწიფოს შორის, დამსაქმებელსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობაში. (Меликьяна 1996:331)

ამგვარად ცნება “სოციალური დაცვა” ჯდება “ცხოვრების დონის” კატეგორიაშიც, რომელიც მოსახლეობის სოციალურად სუსტი ფენების ცხოვრებისა და მოღვაწეობის მინიმალური სოციალური სტანდარტების უზრუნველყოფას მოიცავს. სოციალური დაცვის სისტემების წყობაზე დაკვირვებისას, ირკვევა, რომ მის საგნობრივ არსს საკითხების ფართო წრე ეხება. კერძოდ: სუბიექტური შემადგენლობა, ფორმები, მექანიზმები და ინსტიტუტები, ფუნქციონირების ეკონომიკურ-სამართლებრივი საფუძვლები, აღმასრულებელი ორგანოების სტრუქტურა. ასე მაგალითად, სოციალური დაცვის ინსტიტუტების (იქნებიან ისინი სახელმწიფო თუ არასახელმწიფო) ორგანიზება,

მართვა და დაფინანსება სახელმწიფოს მონაწილეობაზეა დამოკიდებული. თავის მხრივ, სახელმწიფოს მონაწილეობამ შეიძლება მოიცვას, სისტემის საერთო დონე, ან შემოიფარგლოს მუნიციპალურ-რეგიონულ დონეზე. მუშაკთა სოციალური დაცვის საკითხებში სოციალურ-შრომითი ურთიერთობები გამოიყოფა საწარმოს (ორგანიზაცია და კორპორაცია), რეგიონის და დარგის დონეზე. თითოეული დონისთვის სპეციფიურია ურთიერთობის საგნები და მათ შორის კავშირები, რომლებიც ერთობლიობაში განსაზღვრავენ მუშა-მოსამსახურის სოციალურ მდგომარეობასა და შრომითი ცხოვრების ხარისხის დონის პარამეტრებს. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, ადამიანთა, საზოგადოებებისა და სოციალური ჯგუფების ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი მახასიათებელია და გააჩნია არსებობის ორი ფორმა:

პირველი - კონკრეტული ადამიანების, ოჯახების, სოციალური ჯგუფების ფაქტობრივი სოციალური მდგომარეობა (ობიექტურ-სუბიექტური დონეები);

მეორე - ფაქტობრივი სოციალურ-შრომითი ურთიერთობების ნორმატიულ-საკანონმდებლო და ინსტიტუციურ დონეზე პროექციის (რეფლექსიის) ამსახველი სოციალური მდგომარეობა სოციალურ გარანტიების სახით. იმის მიხედვით თუ ვისკენ არის მიმართული სოციალური დაცვის მექანიზმების და ვის მიერ არის მართული სოციალური დაცვის სისტემაში გამოიყოფა შემდეგი სტრუქტურული შემადგენლები:

- სოციალური დაცვის სუბიექტები: დაქირავებული მუშა და მისი ოჯახის წევრები, დამქირავებელი, სახელმწიფო და მოქალაქე, აგრეთვე სოციალური დაცვის და სოციალურ უზრუნველყოფის სფეროს ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანოები, საჯარო-სამართლებრივი სტატუსის მქონე სადაზღვევო ორგანიზაციები;
- სოციალური დაცვის დონეები: ინდივიდუალური (მუშა-მოსამსახურე, დამქირავებელი, მოქალაქე, სახელმწიფო) და ჯგუფური (დაქირავებულ მშრომელთა პროფესიული კავშირები და დამსაქმებელთა გაერთიანებები);
- სოციალური დაცვის საგანი და მისი სტრუქტურა: სუბიექტების (მოქალაქე და სახელმწიფო, დაქირავებული და დამქირავებელი) საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომლებსაც შეიძლება დაემუქროს ნორმალური ცხოვრებისა და

მოდგაწეობასთან დაკავშირებული რისკები (ავადმყოფობა, შრომის უნარის დაკარგვა), რომელთა დაცვის სისტემა მოიცავს ხელფასის და შრომის უნარის დაკარგვის კომპენსაციის მექანიზმების შემუშავება-ფუნქციონირებას, სამედიცინო და სოციალურ-სარეაბილიტაციო დახმარების ორგანიზებას;

- სოციალური დაცვის ტიპები და პრინციპები, რომლებიც სოციალური სამართლიანობისა და სოლიდარული ურთიერთდახმარების რეალიზების ხარისხს ახასიათებს. სოციალური პარტნიორობა (დამსაქმებელთა და დაქირავებულთა ურთიერთ თანამშრომლობის საშუალებების ფართო სპექტრი) და ამის საფუძველზე სავალდებულო და ნებაყოფლობითი სპეციალიზირებული ინსტიტუტების ფორმირება.

- სოციალური დაცვის შეფასების კრიტერიუმებია - შრომითი ცხოვრების ხარისხის სოციალური გარანტიები და აღიარებული ეროვნული მახასიათებლები (ნორმები): საწარმოო სფეროს მდგომარეობა, შრომის დაცვა და უსაფრთხოება; შრომითი დატვირთვის ფსიქოფიზიოლოგიური ნორმატივები; შრომის პირობები (შრომის და დასვენების რეჟიმები, მატერიალური ანაზღაურება); მშრომელთა ჯანმრთელობის და შრომისუნარიანობის მდგომარეობა; პროფესიული მომზადების კვალიფიკაციური მაჩვენებლები; კვების პროდუქტების მოხმარების ნორმები და ა.შ.

ტერმინი “სოციალური დაცვა” პირველად 1935წ. აშშ-ში სოციალური დაცვის კანონში იყო გამოყენებული, რომელმაც კანონმდებლობით განსაზღვრა ამ ქვეყნისათვის ახალი სავალდებულო დაზღვევის ინსტიტუტი ხანდაზმულობის, სიკვდილის, ინვალიდობის და უმუშევრობის შემთხვევებზე. სულ მალე ამ ტერმინის ფართოდ გამოყენება დაიწყო მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციაში (შსო), რამეთუ იგი მარტივად და გასაგებად გამოხატავდა შრომისუნარო, მოხუცთა დახმარების სისტემების და ეროვნული პროგრამების ორგანიზების პრობლემის არსს. შემდგომში ამ დეფინიციის ფარგლები მნიშვნელოვნად გაფართოვდა, სოციალური დაზღვევისა და სოციალური დაცვის, მშრომელთათვის სოციალური რისკების დროს გარანტირებული მინიმალური შემოსავლების, შრომის დაცვის პირობების და ანაზღაურების მექანიზმების ფორმირების საკითხებზე,

ფორმირების საკითხებზე, მსჯელობა XX საუკუნის 30-50-იანი წლების პერიოდში მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სოციალურ პოლიტიკაში კარდინალური ცვლილებები მოხდა, რომლებმაც მრავალფეროვანი სეგმენტების და სოციალური სფეროს ინსტიტუტების სისტემატიზების და კოორდინირების აუცილებლობა წარმოშვეს. ამასთან სოციალური დაცვის კატეგორიის განსაზღვრაში რამდენიმე მეთოდოლოგიური მიდგომა გამოკვეთა: პოლიტ-ეკონომიკური, მეთოდოლოგიურ-ინსტრუმენტული. ასე მაგალითად, ბ. ვ. რაკიტსკი მიიჩნევს, რომ დაქირავებული შრომისთვის სოციალური დაცვა რეალიზდება სოციალური დაცულობის ფორმით და მას განსაზღვრავს საზოგადოებრივი წყობის და “მართვის რეჟიმების” ფორმები: ტოტალიტარული რეჟიმი, სახალხო-დემოკრატიული და ბურჟუაზიულ-დემოკრატიული წყობა, აგრეთვე ბურჟუაზიულ-დიქტატორული ფორმით მართვა და ა.შ. (Ракитский 1992:4-17) მისი აზრით სოციალური დაცვა ყოველთვის აღნიშნავს რომ:

- *დაცულია საზოგადოების ამა თუ იმ წევრის ან ყველა სუბიექტის საზოგადოებრივი მდგომარეობა;*
- *არსებობენ საკუთარი საზოგადოებრივი მდგომარეობის დამცველი სუბიექტები;*
- *არსებობს რისკის ფაქტორები (რომლებიც არღვევს ნორმალურ საზოგადოებრივ მდგომარეობას). სწორედ ამ ფაქტორების ზეგავლენისგან არის საჭირო დაცვა;*
- *შეიძლება განსაზღვრულ იქნას დაცულობის ხარისხები (დონეები);*

“სოციალური დაცვის” კატეგორიის მნიშვნელოვან მახასიათებლებს ლ. პ. იაკუშევი მიაკუთვნებს სოციალური დაცვის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებს და სახეობებს, მოქალაქეთა კატეგორიას, რომელსაც უწევს სოციალურ დახმარებას ან რომელიც ჩართულია სოციალურ დაზღვევაში. (Якушев 1998:10-22) მოცემული მეთოდური მიდგომა ეყრდნობა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (შსო) პოზიციას, რომლის საფუძველს წარმოადგენს სოციალური დაცვის ეროვნული სისტემების ინსტიტუციური აგება, როგორც სოციალური დაზღვევის და სოციალური დახმარების განსხვავებული ინსტიტუტების კომბინაცია. (ILO 1989:1-14)

სოციალური დაცვის ფორმებისა და მექანიზმების მეთოდური საკითხები საკმაოდ დეტალურად აქვთ დამუშავებული დასავლელ მკვლევრებს. მაგალითად, გერმანელი მეცნიერი ხ. ლამპერტი სოციალური დაცვის ფორმებს მიაკუთვნებს:

ა) სოციალური დაზღვევის სხვადასხვა სახეობას (საპენსიო, სამედიცინო უბედური შემთხვევებისგან საწარმოში, უმუშევრობისგან);

ბ) სოციალურ დაცვას შემწეობის სხვადასხვა სახეობებით;

გ) შრომის დაცვის ეროვნულ სისტემებს;

გ) სახელმწიფოს დახმარებას განათლების მიღებაზე;

დ) საწარმოების დონეზე სოციალური დაცვის სისტემებს. (Ламперт 1993:150-152; 182-200)

როგორც რუსი მეცნიერი ვ. ვ. ანტროპოვი აღნიშნავს, ევროკავშირის მოქალაქეებს სოციალური დაცვის ფარგლებში აქვთ უფლება მიიღონ შემდეგი სახის შემწეობები: (Антропов 2009:101-102)

- შემწეობა უმუშევრობაზე;
- შემწეობა სიბერეზე;
- შემწეობა საწარმოში უბედურ შემთხვევაზე და პროფესიულ დაავადებებზე;
- შემწეობა ავადმყოფობაზე;
- ოჯახური შემწეობა;
- გადასახადები დედობაზე.

“სოციალური დაცვის” კატეგორიის აღწერაში ინსტრუმენტულ მიდგომას იყენებენ ტ. ს. პანტელეევა და გ. პ. ჩერვიაკოვა. ირკვევა, რომ აღნიშნული მეთოდები საკმაოდ ნაყოფიერია სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის გამოყენებითი ამოცანების გადაწყვეტაში. ასევე, რესურსების მოთხოვნების შეფასებაში, მათი გადანაწილების მეთოდებში სახელმწიფო გარანტიებისა და მინიმალური სოციალური სტანდარტების მეშვეობით. ამასთან კატეგორია “სოციალური დაცვა” ფართო გაგებით მთელ მოსახლეობას მოიცავს, უფრო ვიწრო ასპექტში კი - ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის სოციალურ დაცვას მოიაზრებს. (Пантелеева.....1999:39-51)

აგრეთვე მნიშვნელოვანია შრომის საერთაშორისო ბიუროს (შსბ) სპეციალისტთა პოზიციის გათვალისწინება “შრომელთა სოციალური დაცვს” არსის და საგნობრივ

განსაზღვრაში. თავიანთ მოღვაწეობაში ისინი ორ მიდგომას იყენებენ - ფართოს, რომელიც შრომის პროცესში ფაქტობრივად ადამიანის მთელ ცხოვრებასა და მოღვაწეობას მოიცავს, და ვიწროს, რომელიც სოციალური დაზღვევას და სოციალურ დაცვას გულისხმობს ე.ი. შრომითი ცხოვრების ხარისხის და პირობების გაუმჯობესების პროგრამის დოქტრინაში გამოიყენება სოციალური დაცვის ფართო გაგება, როდესაც მის შემადგენლობაში ჩართულია:

- სამუშაო დრო;
- შრომის არსი და ორგანიზება;
- შრომის და გარემოს უსაფრთხო პირობები;
- შრომის პირობები და ტექნოლოგიების არჩევანი;
- ხელფასი;
- საწარმოო გარემო და ცხოვრების პირობები. (ILO 1984:8)

მოცემულ მიდგომას მნიშვნელოვანწილად იყენებენ ევროპის კავშირის (ეკ) ქვეყნები, რომლებიც დიდ ყურადღებას უთმობენ სოციალური პოლიტიკის საკითხებს. სოციალური დაცვის სფეროში ადგილობრივი და საზღვარგარეთელი მეცნიერების პოზიციების გათვალისწინებით, შეიძლება ამ კატეგორიის საგნის და ობიექტის განსაზღვრა.

“სოციალური დაცვის” კატეგორიის საგანია სოციალური სუბიექტების (დამქირავებელთა და დაქირავებულთა) არსებითი კავშირებისა და ინტერესების სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობები. აგრეთვე, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და სახელმწიფოს კავშირები, მშრომელთა და მათი ოჯახის წევრების ცხოვრების დონის დამაქვეითებელი და ამამაღლებელ ფაქტორებთან დაკავშირებით, როდესაც სოციალური სუბიექტები ან სახელმწიფო ორგანოების დამოკიდებულება იცვლება. ცხოვრების დონის დამაქვეითებელი ფაქტორების გავლენით, წარმოიქმნება სოციალური რისკი და სოციალური დაცვის საგანი გვევლინება უკვე სოციალური დაცვის „ობიექტად“ რომლისკენ უნდა იყოს მიმართული სოციალური დაცვის ყველა მექანიზმი. ამ განსაზღვრების თანახმად ობიექტად გამოდის შრომის პირობები, უმუშევრობა, ავადმყოფობა, შვილის შეძენა, პროფესიული დაავადება, სიბერე, მარჩენალის დაკარგვა.

სოციალური ინსტიტუტები წარმოადგენენ სოციალური დაცვის სუბიექტებს, რომელთა საქმიანობა მიმართულია მოსახლეობისთვის სოციალური რისკების შედეგების მაკომპენსირებელი მატერიალური მხარდაჭერის აღმოჩენაზე.

სოციალური დაცვის დოქტრინის თეორიულ-მეთოდოლოგიური დასაბუთება და მისი საკანონმდებლო გამოხატვა ყოველ კონკრეტულ საზოგადოებაში დამოკიდებულია ერთმანეთს შორის ფაქტორთა სამი ჯგუფის თანაფარდობასა და განვითარებაზე: პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური, რომლებიც ადამიანთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის ერთიან სივრცეს აყალიბებენ. პოლიტიკური ფაქტორები მოიცავენ იდეოლოგიას, კანონმდებლობას, სახელმწიფოსა და საზოგადოების ინსტიტუციურ სტრუქტურებს. ისინი (ინსტიტუციური ბაზა) გამოხატავენ მიღწეული საზოგადოებრივი წყობის დონეს და განსაზღვრავენ მისი განვითარების ვექტორს (იდეოლოგიის და კანონმდებლობის არსებული ფარგლები).

ეკონომიკური (მატერიალურ-ქონებრივი) ფაქტორები ქვეყნის და მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის ბაზაა, რომელზეც მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული სამეურნეო განვითარების დინამიკა.

სოციალური ფაქტორები (სოციალურ-ფსიქოლოგიური, მორალურ-ეთიკური და რელიგიური კომპონენტები) ძალზე მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ნებისმიერი საზოგადოების ცხოვრებაში. იმიტომ, რომ ზუსტად ამ სიბრტყეშია ინდივიდის და საზოგადოების სიმეტრიული განვითარების ამოხსნის გასაღები, რომელთაც შესწევთ უნარი დაიმორჩილონ ეკონომიკური პირობები, ჰუმანურად გამოიყენონ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგები და მოახდინონ საკანონმდებლო-ინსტიტუციური საფუძვლების ოპტიმალური მოდერნიზება.

აღსანიშნავია, რომ ზემოთხსენებულ ფაქტორთა სამივე ჯგუფი თავიანთი კანონზომიერებებით ვითარდება. ამიტომაც მოითხოვენ მათ შორის წარმოშობილი წინააღმდეგობების მოსახსნელად კომპრომისების მუდმივ ძიებას. მაგალითად, ცნობილია, რომ შრომითი ურთიერთობების სუბიექტების ეკონომიკურ და სოციალურ ქცევებს საფუძვლად სხვადასხვა ინტერესები უდევს. თუ ეკონომიკურ ქცევებს საფუძვლად პირადი გამოყენების პრინციპი აქვს, ხოლო წარმატების კრიტერიუმებად

მოგება და ქონება გვევლინება, მის საფუძველს სოციალურ-ეთიკური და მორალური ნორმები წარმოადგენს. სოციალურ კრიტერიუმებზე ორიენტირება ნიშნავს, რომ საზოგადოებრივი განვითარების კოორდინატთა სისტემაში პირადი მიზნების მისაღწევად მიმართული ნებისმიერი ეკონომიკური საქმიანობა უნდა ჯდებოდეს მორალის და ბუნებრივი უფლებების ფარგლებში. პრაქტიკულ ცხოვრებაში ეს ნორმები ძალზე იშვიათად ხორციელდება. ბუნებრივი უფლება თავისი პრინციპების რეალიზებას მხოლოდ იმ შემთხვევებში ახდენს, როდესაც იგი გარდაისახება პოზიტიურ სამართალში - ანუ კანონში. სწორედ ამაშია სახელმწიფოს პოლიტიკური ფუნქცია – იპოვოს ინტერესთა ბალანსი საზოგადოების სხვადასხვა კლასსა და ფენებს შორის, სოციალური დაცვის ჩამოყალიბებულ აუცილებელ ნორმებთან დაკავშირებით, მათი კანონიერ ფორმად გარდაქმნასა და კანონის შესრულების კონტროლში.

ამასთან კანონები გვევლინება როგორც რეგულატორები და შემზღუდავები, რომლებშიც დაშვებულია სხვადასხვა სუბიექტის ინტერესთა რეალიზება. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ მათ გამომხატველ სუბიექტებს არ სჩვევიათ შინაგანი შეზღუდვები. ამას ხსნიან პოზიტიური ეკონომიკური თეორიიდან გამომდინარე, რომელიც გულისხმობს ცხოვრებაში ადამიანთა რაციონალურობას იმ გაგებით, რომ მიზანს ისახავენ და საკმაოდ თანმიმდევრულად და გონივრულად ცდილობენ მიზნის განხორციელებას. რეაგირებენ რა წახალისებაზე - დადებითად, ხოლო დანახარჯებზე და ნაკლოვანებებზე - უარყოფითად. არჩევანის გაკეთებისას, მუშა-მოსამსახურეები და მეწარმეები ხელმძღვანელობენ სარგებლიანობის და მოგების მაქსიმალიზაციისკენ სურვილებით. ამასთან, სარგებელი და მოგება არჩეული უპირატესობების მახასიათებლებად და პირადი ინტერესების სტიმულად გვევლინება. ხოლო მოგების მაქსიმალიზაციისკენ სარგებლის კერძო ხასიათი აქვს, როდესაც აქცენტი ფულად მოგებაზეა დასმული, ხოლო არაფულადი ფაქტორები საერთოდ იგნორირებულია.

ამგვარად, ინტერესთა მამოძრავებელ ძალად ხშირად ადამიანთა პირადი და ეგოისტური მისწრაფებებიც კი გვევლინება. მაგალითად, საბაზრო ეკონომიკის პირობებში მეწარმეთა პირადი ინტერესები, მაქსიმალურად მიიღონ შესაძლო მოგებები, განსაზღვრავენ არსებით ტენდენციებს, ჰქონდეთ ხარჯების მინიმალიზაციისა

გარკვეული ტიპის პროდუქციაზე, მათ შორის ხელფასებზე და სოციალურ ანაზღაურებებზე. მოცემული ტენდენცია გარე შემზღუდავების და რეგულატორების ფარგლებს გარეთ იწვევს დაქირავებული პერსონალის მატერიალური მდგომარეობის გაუარესებას, ხოლო მისი უკიდურესი ფორმებია მშრომელთა და მათი ოჯახების ცხოვრებისა და მოღვაწეობის დეგრადაცია. (Эренберг 1996:4-8)

სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი პოლიტიკური ფუნქცია მეწარმეთა ეგოისტურ ინტერესებზე წინააღმდეგობის გაწევანა, დაქირავებულ შრომაზე დამოკიდებული მოქალაქეების და ფენების (მათ შორის ყველაზე შეჭირვებულების) მისაღებ დონეზე სოციალური მდგომარეობის შენარჩუნება, მათი მატერიალურ-სოციალური მდგომარეობის დაცვა დამქირავებლის მხრიდან ხელყოფისაგან. ამ ფუნქციის მიზანდასახული აზრია საზოგადოების მდგრადი და დინამიური განვითარების უზრუნველყოფა, რაც გულისხმობს საზოგადოების, როგორც ერთიანი სოციალური წარმონაქმნის, ყველა ფენისა და კლასის დაბალანსებულ აღწერას. ამ მიმართებით, მოსახლეობის ნაკლებ დაცული ფენების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მშპ-ს (მთლიანი შიდა პროდუქტის) გადანაწილება, არის ერთ-ერთი აუცილებელი და მნიშვნელოვანი საშუალება, რაც უზრუნველყოფილია კანონებით მინიმალურ ხელფასზე და პენსიაზე სოციალური დახმარებისა და მხარდაჭერის სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამით. სახელმწიფოს პოლიტიკური ფუნქციის ერთგვარ დამატებას და გაგრძელებას წარმოადგენს ორგანიზაციულ-განმკარგავ (ადმინისტრირების) ფუნქციები. ძირითად, სოციალურ სუბიექტებს შორის (დამქირავებელი–დაქირავებული) პასუხისმგებლობისა და უფლებამოსილების გადანაწილება (დელეგირება), აგრეთვე სამოქალაქო საზოგადოების სოციალური დაცვის სტრუქტურების საქმიანობაში ჩაბმა და კოორდინაცია. სახელმწიფოს პოლიტიკური და ორგანიზაციულ-განმკარგავ (ადმინისტრირების) ფუნქციების გამოყენების ეფექტურობის კრიტერიუმებია მოსახლეობის ძირითადი ფენების მატერიალური მდგომარეობის, მათი სიცოცხლის ხანგრძლივობის, მასობრივი სოციალური კონფლიქტების მაჩვენებლები.

განსხვავებულ ინტერესთა ჰარმონიზების აუცილებლობა თვალნათლივ ჩანს შრომითი ურთიერთობების ანალიზის დროს. კერძოდ:

- დამქირავებელი, პირველ რიგში, დაინტერესებულია მოხმარების ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილებაში, მატერიალური და შრომითი რესურსების დაზოგვაში, რომელთა დახმარებითაც მიიღწევა მისი საქმიანობის მიზანი – მოგების ზრდა;
- დაქირავებული მუშა-მოსამსახურე ინტერესი გამოხატულია შრომის უსაფრთხო პირობებში, მისი და მისი ოჯახისათვის საკმარის ანაზღაურებაში, მისაღებ შრომით დატვირთვაში, აგრეთვე, შრომითი საქმიანობის სხვა კომპონენტების შესაბამის მაღალ დონეზე შენარჩუნებაში, რაც ერთობლიობაში მისთვის დამაკმაყოფილებელ შრომის და ცხოვრების პირობებს ქმნის;

ამგვარად, დამქირავებლის ინტერესები კონცენტრირებულია ეკონომიკურ და წარმოებით სფეროებზე, რომლებსაც იგი განიხილავს როგორც კაპიტალის გაფართოებულ მოცულობებში კვლავწარმოების უზრუნველყოფის წყაროს. ხოლო დაქირავებულის ინტერესები დაჯგუფებული და ფოკუსირებულია სოციალურ-ეკონომიკურ სფეროებზე, რომლებიც მისთვის მნიშვნელოვანია, როგორც შრომის დანართი და შედეგი, რომელიც მუშა-მოსამსახურისათვის მისი შემოქმედებით-შრომითი შესაძლებლობების რეალიზების სფეროა და პირადი და ოჯახისთვის საკმარისი მატერიალური კეთილდღეობის უზრუნველყოფელი შემოსავლის წყარო - ხელფასის სახით.

“სოციალური დაცვის” კატეგორიის ზემოხსენებული არსობრივი მახასიათებლები იძლევა საშუალებას მის განსაზღვრებას შემდეგნაირი ფორმულირება მიეცეს:

სოციალური დაცვა - ეს არის მოქალაქეთა ცხოვრების დონის გაუარესების, სოციალური რისკებისგან დამცავი ეკონომიკური, სოციალური, სამართლებრივი, ორგანიზაციული, სამედიცინო და ტექნიკური ღონისძიებების სისტემა; საწარმოებში, რეგიონებსა და სახელმწიფოში სოციალური მექანიზმების, ფონდების (მათ შორის სადაზღვევო) და სოციალური დაცვის ინსტიტუტების შექმნით.

მოცემულ დეფინიციას საფუძველს შემდეგი მდგრადი ნიშანთვისებები უქმნის:

- შემოსავლების მხარდაჭერაზე და გარკვეულად ცხოვრებისა და მოღვაწეობის გარანტირებული დონის უზრუნველყოფაზე მიმართული ობიექტური საფუძვლები,

რომლებიც სოციალური დაცვის განსაკუთრებული მექანიზმების და ინსტიტუტების არსებობის მოთხოვნას წარმოშობს;

- სპეციალიზებული საფინანსო წყაროების (ფონდები, სადაზღვევო შენატანები) და მატერიალური საშუალებების შეთავაზების განსაკუთრებული საშუალებები შრომისუნარიანობის ან სამუშაო ადგილის დაკარგვის შემთხვევაში;
- შრომითი ხელშეკრულებების დახმარებით სოციალური დაცვის და წესების საკანონმდებლო ფორმით დამკვიდრება.

სოციალური დაცვის არსებული ეროვნული პრაქტიკები ერთმანეთისგან განსხვავდება სტრუქტურით და სოციალური დაცვის (სავალდებულო დაზღვევის, სახელმწიფო სოციალური დახმარების და სოციალური უზრუნველყოფის) მნიშვნელოვანი ინსტიტუტების კონფიგურაციით (შეფარდებით).

სოციალური დაცვის ეროვნული სისტემების აგების მნიშვნელოვანი მრავალფეროვნება აიხსნება მიზეზთა კომპლექსით: ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი განვითარების დონით, მათი გეოგრაფიული მდებარეობის თავისებურებით, სახელმწიფო მოწყობით, კულტურულ-ისტორიული ტრადიციებით, განვითარებული სამოქალაქო საზოგადოების არსებობით და ა.შ. ამასთან, სოციალური დაცვის ეროვნული სისტემების ევოლუციის განმავლობაში მათი სხვადასხვა ფორმები თითქოს ერთმანეთს ავსებდნენ, და იქმნებოდა სახელმწიფო, კერძო და კოლექტიურ-ჯგუფური სოციალური დაცვის ფორმების კომბინაცია, რომლებმაც ჩამოაყალიბა სოციალური დაცვის საბოლოო მოდელი.

შვედმა მეცნიერმა ესპინგ-ანდერსენმა 2000 წ. შემოგვთავაზა სახელმწიფო მოწყობის დეოლოგიის ტიპის მიხედვით სოციალური დაცვის სისტემების დაჯგუფება: (Esping-Andersen 2000:156)

1. **ლიბერალური ტიპი.** სოციალური დახმარების გაწევის კრიტერიუმები - შეჭირვებულების შემწეობა, ხასიათდება სახელმწიფოს მისწრაფებით გამიჯნოს სოციალური მხარდაჭერა თავისუფალი ბაზრისაგან და მოახდინოს გამიჯნული დახმარება. მისი უმთავრესი მიზანია სიღატაკის აღმოფხვრა. აღნიშნული მოდელი გამოიყენება ყველა ინგლისურენოვანი სახელმწიფოსა დიდი ბრიტანეთში.

2. **კონსერვატიული ტიპი.** სოციალური დახმარების გაწევის კრიტერიუმები - ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შემოწმება. ახასიათებს სოციალური დაზღვევის კლასიკური ბისმარკისეული სისტემების გამოყენება, წარსულის დამსახურებებისთვის კომპენსაციური ხასიათის დახმარებისკენ მისწრაფება. უმთავრესი მიზანია: შრომისუნარიან პერიოდში მიღწეული ცხოვრების დონის შენარჩუნება. გამოცდილია დასავლეთ ევროპის ქვეყნების დიდ ნაწილში, უმეტესწილად გერმანულსკენ ორიენტირებული.

3. **სოციალ-დემოკრატიული ტიპი.** სოციალური დახმარების გაწევის კრიტერიუმები - მოსახლეობის გარკვეულ კატეგორიაზე ან ჯგუფზე მიკუთვნების დადგენილი ფაქტი. ხასიათდება სტანდარტული ფულადი ან ნატურალური შემწეობების (სურსათი) და მომსახურებების გარკვეული კრებულის შეთავაზებით, რომელსაც დახმარების გაუთანაბრებელი ხასიათი აქვს. უმთავრესი მიზანია - შემოსავლის გადანაწილება. გამოყენება სკანდინავიური სახელმწიფოებში.

სოციალური დაცვის და საპენსიო უზრუნველყოფისთვის კლასიფიკაციის ანალოგიურ მიდგომას (სოციალური დაცვის პროგრამების განვითარების ტენდენციის თვალსაზრისით) გვთავაზობს ე.ვ. ტიშინი. ამასთან ის გამოყოფს შემდეგი ტიპის სოციალური დაცვის მოდელებს:

1. ნეოკონსერვატიულები – აშშ, ინგლისი, კანადა.
2. სოციალურ-დემოკრატიული – შვედეთი, დანია, შვეიცარია, ლუქსემბურგი.
3. სოციალურ თეორიაზე დაფუძნებული სახელმწიფოები - გერმანია, ავსტრია.

საყოველთაო კეთილდღეობის თეორიაზე დაფუძნებული სახელმწიფოები – საფრანგეთი, ბელგია, იაპონია. (Тишин 1994:7)

როგორც ჩანს ყველა უცხოელი მეცნიერი, სოციალური დაცვის სისტემის განხილვისას აღნიშნავენ მის დამოკიდებულებას კონსტიტუციით გამყარებულ სახელმწიფო წყობაზე (სამართლებრივი, სოციალური სახელმწიფო ან სოციალური კეთილდღეობის სახელმწიფო), ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაზე, ან მოცემულ საგნის შესახებ იდეოლოგიურ განწყობაზე. სოციალური დაცვის არსებული მოდელების განხილვა, საშუალებას გვაძლევს დეტალურად გავაანალიზოთ ცალკეული

მოდელის გამოყენების ობიექტური საფუძვლები. ეკონომიკის ზრდის შეჩერების პრობლემები, მოსახლეობის დაბერება და გლობალიზაცია წარმოადგენს XXI საუკუნის გამოწვევებს, რომლებიც არ შეიძლება შესაბამისი პასუხის გარეშე დარჩნენ. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, კანადასა და ამერიკაში, ამ და სხვა რიგი საკითხების აქტიური განხილვა მიმდინარეობს, ამ მიზნით შემოღებულია სხვადასხვა სახის სამოქმედო პროგრამები, რომლებიც ეროვნული სოციალური პოლიტიკის კორექტირებას ითვალისწინებენ.

ბარსელონაში, ევროსაბჭოს 2002 წლის მარტის სხდომაზე მიღებულ რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ ევროპული სოციალური მოდელი დაფუძნებულია ეფექტურ ეკონომიკაზე, სოციალურ დაცვაზე, განათლებასა და სოციალურ დიალოგზე. ამ მოდელში მნიშვნელოვანი ადგილი ს ადაზღვევო კომპონენტს უჭირავს, რასაც საფუძვლად უდევს პრინციპი: „ეკონომიკური შედეგების მისაღწევად თანამშრომლის კარგი ჯანმრთელობისა და კონსტრუქციული შრომითი კანონმდებლობის ფარგლებში. „

ევროკავშირის სოციალური მოდელი სამ კომპრომისს ეფუძნება: კომპრომისი სახელმწიფოსა და ბაზარს შორის, შრომასა და კაპიტალს შორის (ეროვნული შეთანხმების როლი), და „სახელმწიფოს კეთილდღეობისა და ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას შორის“.

აღნიშნულ კომპრომისები ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

1. საზოგადოებისა და სახელმწიფოს სოციალური პასუხისმგებლობა პიროვნების მიმართ მზრუნველი დამოკიდებულებისადმი, ადამიანის ღირსების, თავისუფალი შრომის უფლების, პროფესიის, სამუშაო ადგილის და სწავლების არჩევის თავისუფლებისადმი, შრომის მისაღები პირობების უზრუნველყოფის, შრომის, ჯანმრთელობის, სიცოცხლის დაცვისადმი. საზოგადოება და სახელმწიფო აგრეთვე პასუხისმგებელია უზრუნველყოს, შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევაში კომპენსაცია, ეს ყველაფერი შეესაბამება ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციას, სოციალურ პაქტებსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვა დოკუმენტებს, შრომის სართაშორისო ორგანიზაციის დებულებებსა და საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო ნორმებს.

2. შრომით ურთიერთობებში სოციალური სამართლიანობა: თანაბარი უფლებები თანაბარი შრომის საფასურად, შრომის უსაფრთხოებისა და ჰიგიენის უფლება, ჯანმრთელობის, შრომის უნარის შენარჩუნება, ავადმყოფობის შემთხვევაში სოციალური დახმარების მიღება, ხოლო შრომის უნარის მუდმივი დაკარგვისას კომპენსაციის მაღალი დონე, საწარმოში დაზარალებულისათვის სამედიცინო, სოციალური და პროფესიული რეაბილიტაციის უზრუნველყოფა.

3. სოციალური და პროფესიული რისკებისაგან საყოველთაო და სავალდებულო დაცვა. სოციალური დაცვის, როგორც საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მთავარი ორიენტირის უფლების უზრუნველყოფა, რაც დაფიქსირებულია საერთაშორისო ნორმებში. მათ შორის, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციებში № 67, 118, 158.

4. სოციალური და პროფესიული რისკების შესაძლო მინიმალური დონე: შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და გამჭვირვალობა, უსაფრთხოების უპირატესობა და საზოგადოებაში სოციალური თანხმობის მიღწევა სოციალური, პროფესიული რისკების მისაღები დონეების, აგრეთვე სოციალური გარანტიების მინიმუმამდე დაყვანის და კომპენსაციის საფუძველზე.

5. სახელმწიფო გარანტიები დაკავშირებული სოციალურ დაცვასთან: არასახელმწიფო სისტემებისა და დაცვის პროგრამების დამოუკიდებლობისა და თვითმმართველობის პირობებში.

6. დაცვის ყველა ძირითადი სუბიექტების დაინტერესება (სახელმწიფო, მეწარმე, სოციალური დაზღვევის ამხანაგობა და მომუშავეთა პროფესიული ორგანიზაციების ფართო წრე) დაცვის ამა თუ იმ სისტემისა და ფორმის ჩამოყალიბება-სრულყოფაში.

7. სოციალური დაცვის ყველა სუბიექტის სოლიდარობა, საფრთხისა და რისკის მიმართ, ერთობლივი პასუხისმგებლობის საფუძველზე. აგრეთვე რისკის ფაქტორების გამოვლენისა და შეფასების საქმეში, საკუთარი ინტერესების ერთობლივი დაცვისა და კომპენსაციისთვის საჭირო ფინანსების შეთანხმებულად განაწილებაში.

8. შრომითი სფეროს მუშაკების ეკონომიკური და სოციალური თავისუფლება: პროფესიის არჩევა, პროფესიული და სოციალური რისკების მისაღები დონის

საფუძველზე, პროფესიონალური განათლების, სამუშაო ადგილის მიღების, პროფესიულ კავშირებში, ამხანაგობებში (საკუთარი უფლებების დასაცავად) თავისუფლად გაერთიანების საშუალება.

9. საკუთარი ჯანმრთელობის, შრომის უნარის, პროფესიული და სოციალური რისკების განსაზღვრული დონეების მქონე სამუშაო ადგილის, პროფესიის სწორად არჩევის საქმეში თანამშრომლების პირადი პასუხისმგებლობა.

10. სოციალური დაცვის მეთოდების მრავალსაფეხურობრიობა – დაწყებული სახელმწიფო გარანტიებიდან ყველა მშრომელისათვის, დამთავრებული მათი ცალკეული კატეგორიისა და პროფესიული ჯგუფებისადმი მიმართული ზომებით. ეს ყველაფერი კი საშუალებას გვაძლევს დაცულთა სხვადასხვა კატეგორიების მიმართ დიფერენცირებული მიდგომა განვახორციელოთ.

11. სოციალური დაცვის მრავალსუბიექტურობა: სოციალური დაცვის სუბიექტებს უნდა წარმოადგენდნენ სახელმწიფო (უწყებებისა და სამინისტროების სახით), დამსაქმებლები, პროფესიული ასოციაციები და გაერთიანებები (სადაზღვევო ამხანაგობები), მართვის რეგიონული ორგანოები

12. სოციალური დაცვის ღონისძიებების მრავალსპექტურობა და განსხვავებული მიმართულებები: სოციალური დაცვის ობიექტები უნდა გახდნენ ინდივიდუალური მუშაკები, აგრეთვე მათი შრომის პირობები და ანაზღაურება, პროფესიული მომზადება, სამედიცინო მომსახურება, შრომის უნარის დაკარგვის გამო გაცემული კომპენსაციები და სარეაბილიტაციო მომსახურებები.

აღნიშნული პრინციპების გამოყენებას საკითხების მოგვარებას საბოლოოდ, მივყავართ სოციალური რისკების კონკრეტული ტიპებისაგან დაცვის ცალკეული სახეობის არჩევანამდე, სოციალური დაცვის ეროვნული მოდელის ფორმირებამდე.

სამართლებრივი სტატუსისა და ორგანიზაციის პოზიციიდან გამომდინარე, სოციალური დაცვის მექანიზმები და ინსტიტუტები შეიძლება იყოს სავალდებულო (კანონით), ნებაყოფლობითი და სავალდებულო არჩევითი, სახელმწიფო, საზოგადო და კერძო, საყოველთაო, კოლექტიური (კორპორატიული), პროფესიული და ინდივიდუალური.

მსოფლიო გამოცდილების ანალიზი საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ, სოციალური

დაცვის ხუთი ინსტიტუტი:

1. სახელმწიფო სოციალური დახმარება, იმ პირებს, რომლებსაც საჭირო შრომის უნარის, სამუშაო ადგილის, შემოსავლის წყაროს არარსებობის გამო, არ შეუძლიათ უზრუნველყონ საკუთარი მატერიალური არსებობა. გაწეული დახმარების მოცულობა არ არის დაკავშირებული ადრინდელი შემოსავლის ოდენობასა და მოსახლეობის ცხოვრების დონის არსებულ მაჩვენებელთან. სოციალურ დახმარებას მნიშვნელოვანწილად საქველმოქმედო ხასიათი აქვს. მის ფარგლებში, პენსიებსა და საშეღავათო სარგებელს გასცემენ კანონით დადგენილ მოქალაქეთა კატეგორიებზე. მოცემული ინსტიტუტის განმსაზღვრელი მახასიათებელი – სახელმწიფოს სოციალურ-ალიმენტული, არა სახელშეკრულებო ურთიერთობაა, რაც გულისხმობს მოსახლეობის დაუცველი ნაწილისათვის (ბავშვობიდან ინვალიდი, ინვალიდები სხვა ადრეული ასაკიდან, მოქალაქეები, რომლებსაც არ გააჩნიათ პენსიის მისაღებად საჭირო სადაზღვევო სტაჟი) დახმარების გაწევას. ფიზიკური პირის მიერ სოციალური დაზღვევის მიღება ხდება საზოგადო სასარგებლო შრომით საქმიანობაში, მისი მონაწილეობისგან დამოუკიდებლად (გაჭირვებულთა სასარგებლოდ სახელმწიფოში არსებული რესურსების გადანაწილების ხარჯზე). სოციალური დაზღვევის სისტემაში, პენსიის, დახმარების ოდენობის დადგენა ხდება ოჯახის წევრების შემოსავლების გათვალისწინებით. ამ დროს საჭიროა, რომ მათი ერთობლივი მოცულობა აღწევდეს დადგენილი საარსებო მინიმუმის ოდენობას. სოციალური დაცვის ინსტიტუტის სამართლებრივი საფუძველი გამომდინარეობს სოციალური უზრუნველყოფის სფეროში ადამიანის უფლებების გადასახადის ხარჯზე. სახელმწიფო სოციალური დახმარება იმ მოქალაქეებს ეკუთვნით, რომელთა საარსებო პირობები და დონე არ შესაბამეა სახელმწიფო სოციალურ გარანტიებს. სოციალური დახმარების ტიპური მიმღებები არიან:

- ოჯახები, მათ შორის ბავშვებიანი ოჯახები, რომელთა საშუალო შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე, სახელმწიფოს მიერ დადგენილ საარსებო მინიმუმზე დაბალია. მაგალითად საცხოვრებლისა და საყოფაცხოვრებო კომუნალური მომსახურების, საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის გადასახადზე არსებული შეღავათების სახით, წამლების შეღავათიანი ფასები, “საბავშვო” დახმარებები.

- შრომის უნარის, შრომითი შემოსავლისა და სავალდებულო სოციალური დაზღვევის საფუძველზე შექმნილი უფლებების არ მქონე მოქალაქეები, რომლებისთვისაც განკუთვნილია სოციალური დახმარება შემდეგი ფორმით: სოციალური პენსიები, ინტერნატში, მოხუცებულთა თავშესაფარში ცხოვრების უზრუნველყოფა, უფასო სამედიცინო მომსახურება.

2.სამხედრო მოსამსახურეების, შინაგან საქმეთა ორგანოების და საგადასახადო პოლიციის თანამშრომლების, სახელმწიფო მოხელეების და აგრეთვე, ქვეყნის მნიშვნელოვანი ფუნქციის შესრულებაში, მათი შრომითი საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით მოქალაქეთა სხვადასხვა კატეგორიების სახელმწიფო სოციალური უზრუნველყოფა. სახელმწიფო სოციალური დაზღვევის უზრუნველყოფა, არ არის განპირობებული რაიმე შესატანების წინასწარი გადახდით ან იმ პირების არსებობით, რომელთა უზრუნველყოფაც არის საჭირო არსებული ფორმით. სოციალური დაცვის აღნიშნული ინსტიტუტის ფინანსურ წყაროს სახელმწიფო ბიუჯეტებიდან გამოყოფილი პირდაპირი ასიგნაციები, რომლებიც ფორმირდება საერთო, და ზოგ შემთხვევაში სპეციალური გადასახადების ხარჯზე. (იხ. დანართი 1)

3.სავალდებულო (კანონით) სოციალური დაზღვევა წარმოადგენს ეკონომიურად აქტიური მოსახლეობის სოციალური დაცვის ინსტიტუტს, შემოსავლების (ხელფასი) დაკარგვის რისკებისგან, შრომის უნარის შეზღუდვის (ავადმყოფობა, უბედური შემთხვევა, სიბერე) დროს. ფინანსური წყარო დამსაქმებლების, დასაქმებულების (ზოგჯერ სახელმწიფოს) სადაზღვევო შენატანებია, რომლებსაც განაპირობებს სოლიდარული ურთიერთდახმარების პრინციპი.

გამონაკლისს წარმოადგენს საწარმოში, უბედურ შემთხვევასთან დაკავშირებული სადაზღვევო სისტემები, რომლებიც ფინანსდებიან მხოლოდ დამსაქმებლების შენატანების ხარჯზე.

სოციალური დაზღვევის არსი მდგომარეობს, შრომითი საქმიანობის ყველა მონაწილეს შორის ეკონომიკური შედეგების სოციალური რისკების გადანაწილებაში, ფინანსური საშუალებების რეზერვირების ხარჯზე, რომლებიც წარმოადგენენ მშრომელებზე დახარჯული თანხების ნაწილს, ანუ როგორც უწოდებენ დროში

რეზერვირებული და გადატანილი” ხელფასის ნაწილი, რომლის გადახდა ხორციელდება დაზღვევით გათვალისწინებული სიტუაციის დადგომის დროს (სამუშაო ადგილის ან შრომის უნარის დაკარგვის პერიოდები), დახმარების, პენსიის, სამედიცინო და სარეაბილიტაციო მომსახურების ფორმით.

4. ეკონომიკის ცალკეული დარგისა და ცალკეულ კომპანიაში დაქირავებული მოქალაქეების, ნებაყოფლობითი, დამატებითი სოციალური დაზღვევა. სოციალური დაზღვევის დამატებითი ნებაყოფლობითი სისტემა, როგორც წესი, კერძო ხასიათს ატარებს, მაგრამ მათი საქმიანობა რეგულირდება სპეციალური კანონმდებლობით, რომელიც ითვალისწინებს დაზღვეულთათვის სოციალური გარანტიების სისტემას – სამუშაო ადგილის შეცვლის შემთხვევაში, დაზღვეულისათვის შეძენილი უფლებების შენახვა, სადაზღვევო ორგანიზაციის აქტუალური ბალანსის კონტროლის სახით. აღნიშნული ინსტიტუტის სამართლებრივ-საორგანიზაციო ფორმებს წარმოადგენენ იმ ცალკეული საწარმოების საპენსიო სისტემები, რომელთა საპენსიო აქტივები არ არის გამოყოფილი საწარმოების საკუთარი სახსრებისგან, ასევე ფორმები, რომელთა დროს საპენსიო აქტივები გამოყოფილია საწარმოების კუთვნილი სახსრებისაგან და იმართება დამოუკიდებელი საპენსიო სქემების, ფონდებისა და სადაზღვევო კომპანიების მხარდამჭერი სალაროების მიერ. სადაზღვევო შენატანების ოდენობა და თანმიმდევრობა განისაზღვრება მხარეების – მზღვეველის და დაზღვეულის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. ისინი შეიძლება დაკავშირებული იყოს დაზღვეულის ხელფასთან ან ფიქსირებულ სიდიდეს წარმოადგენდნენ. დახმარებებისა და პენსიების გადახდა ხორციელდება მხარეების დადგენილი შეთანხმების საფუძველზე, მაგალითად, რეგულარული (წილობრივი) გადახდის სახით, ხოლო მათი ოდენობა დამოკიდებულია დაგროვილ სადაზღვევო უფლებებზე (იხ. დანართი 1)

5. მოქალაქეების პირადი, ნებაყოფლობითი დაზღვევა ორგანიზებულია შეთანხმების საფუძველზე, რაც იწვევს მისი ჩარჩოებისა და დროის ფიქსირებულ პერიოდებში ფუნქციონირების შეზღუდვას; რაც განსაზღვრულია ცალკეული ფიზიკური პირის შესაძლებლობებით. ის ეფუძნება პრინციპებს და პირადი დაზღვევის მექანიზმებს (სადაზღვევო შესატანებისა და გადახდების ექვივალენტურობა, სადაზღვევო პრემიის

დაკავშირება რისკის აღმოცენების ალბათობასთან დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში კონკრეტული მოქალაქისათვის), განმსაზღვრელი მახასიათებლებია – სადაზღვევო ხელშეკრულება და მოქალაქეების პასუხისმგებლობა, ამიტომ ის დამოკიდებულია ინდივიდუალურ შესაძლებლობებსა და სოციალური დაზღვევის გაცნობიერებულ მოთხოვნილებაზე.

ძირითად საორგანიზაციო-სამართლებრივი ფორმებს წარმოადგენენ კერძო სადაზღვევო კომპანიები, ბანკები, ორმხრივი საინვესტიციო ფონდები. ამრიგად, სოციალური დაცვის ხუთი, ზემოთჩამოთვლილი ინსტიტუტიდან თითოეულს გააჩნია თავისი განმასხვავებელი ნიშანი, ფუნქცია და მოხმარების სფერო. (იხ. დანართი 2)

საკვანძო ასპექტი, რომელიც ასხვავებს დაზღვევას (როგორც პიროვნულს, ასევე სავალდებულო სოციალურ დაზღვევას) სოციალური დაცვის სხვა ინსტიტუტებისაგან იმაში მდგომარეობს, რომ დაზღვეულ პირს უფლება აქვს სადაზღვევო ანაზღაურებაზე იმ პირობით, რომ ის იყო დაზღვეული (თავად დამოუკიდებლად, ან მის ნაცვლად სხვა პირის მიერ შეიტანებოდა საწევრო) და დადასტურებულია სადაზღვევო შემთხვევის დადგომის ფაქტი. ეს ითვალისწინებს პრინციპულ მომენტს. სავალდებულო არ არის სიღუბნის ფაქტორის შემოწმება (ანუ აღნიშნული პიროვნების მატერიალური მდგომარეობის შემოწმება).

ამასთანავე, გარდა საკომპენსაციო ფუნქციებისა, სოციალური დაზღვევა ასრულებს მთელ რიგ სხვა ფუნქციებსაც: სოციალური რისკის შეფასება - იმ შემთხვევებში, როცა ეს შესაძლებელია და მისი შედეგების შესახებ გაფრთხილება – რისკის პროფილაქტიკა.

სოციალური დაზღვევის სისტემა იმით განსხვავდება სოციალური დაცვის სხვა ინსტიტუტებისაგან (სოციალური დახმარება, სოციალური უზრუნველყოფა), რომ მას საფუძვლად უდევს იმ მოთხოვნილებების სახეობები და ჯგუფები, რომლებიც დიდი ალბათობით შეიძლება წარმოიშვას მომავალში (ანაზღაურების ჩანაცვლება ავადმყოფობასთან, უბედურ შემთხვევასთან, სიბერესთან დაკავშირებით), მის მჭიდრო კავშირთან შრომით ურთიერთობებთან, (დასაქმებული მოსახლეობის დაზღვევის სავალდებულო ხასიათი), დაზღვეულთათვის სოციალური გარანტიების უფლებების რეალიზების ფართო სპექტრი (კანონით დადგენილი გარანტიების დონის, შესაბამისი

ანაზღაურებისა და მომსახურების განხორციელების სუბიექტებისა და წესის განსაზღვრა).

მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილი ინსტიტუტების ფუნქციონირების მექანიზმების განსხვავებულობისა. მოსახლეობის სოციალური დაცვის სისტემა არის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზების ერთ-ერთი ინსტიტუტი, რომლის მიზანი საზოგადოების სოციალური სტაბილურობისა და მდგრადი ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფაა. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია ყველა ინსტიტუტებმა გარანტია უნდა მისცეს ზემოთაღნიშნული ინსტიტუტების ფუნქციონირების მექანიზმების განსხვავებულობისა.

1. ადამიანის ღირსეული სოციალური არსებობის, მისი ღირსების პატივისცემას.
2. სოციალური სივრცის მაქსიმალურად სრულ მოცვას, რადგან შეუძლებელია დაიცვა ის, ვინც არ არის ჩართული სისტემაში.
3. მომსახურების, ანაზღაურებისა და შეღავათების თანაბარი და გაწონასწორებული გადანაწილებას მთელი სოციალური სისტემის ფარგლებში.
4. სოციალური დაცვის დაწესებულებების ფუნქციონირების ეფექტურობას.

მსოფლიო პრაქტიკაში მოსახლეობის სოციალური დაცვის ორ ტიპს გამოყოფენ – აქტიურ და პასიურ სოციალურ დაცვას. აქტიური სოციალური დაცვა ორიენტირებულია საზოგადოების შრომისუნარიან წევრებზე და ითვალისწინებს პირობების შექმნას ადამიანის თვითდაცვისათვის, პირველ რიგში, შრომის ბაზარზე აქტიური ქმედებების მეშვეობით და მათი მონაწილეობით სოციალურ დაზღვევაში.

პასიური სოციალური დაზღვევა მიმართულია შრომისუნარო და მოსახლეობის დაუცველ ფენებზე და უპირველეს ყოვლისა, პირდაპირ მატერიალურ მხარდაჭერაში მდგომარეობს. ამასთან დაკავშირებით სოციალური დაცვის არსის გაგების ორი ძირითადი მიდგომა არსებობს:

1. სოციალური დაცვა – ეს არის მოქალაქეთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფა, რომელიც ტრანსფორმირებულია ახალ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებთან.

2. მოსახლეობის სოციალური დაცვა – ეს არის სოციალური დახმარება, რომელიც გაეწევა ადამიანთა ცალკეულ კატეგორიას სოციალური ანაზღაურების, ნატურალური დახმარებისა და სოციალური მომსახურების გაწევის სახით.

დღეისათვის წამყვანი როლი სოციალურ დაზღვევას და სოციალურ დახმარებას მიეკუთვნება, რომლებიც თავისთავად სხვადასხვა ანაზღაურებებს და მომსახურებას ითვალისწინებს. სხვადასხვა ქვეყანაში ეს აღნიშნული ფორმები ისტორიული პირობებიდან გამომდინარე ყალიბდებოდა და ამიტომ, ამოცანის ტიპიურობის მიუხედავად, მათ განსხვავებული მიდგომები და მეთოდები გააჩნიათ.

მოსახლეობას სოციალური დაცვის სისტემა საქართველოში ფორმირების სტადიაშია, ის მუდმივად გარდაქმნის პროცესშია, თუმცა ეკონომიკური პრობლემების გაღრმავებამ მისი მხოლოდ სოციალური დახმარების კუთხით გაფართოება გამოიწვია, ხოლო ის მნიშვნელოვანი მექანიზმი, როგორცაა „სოციალური დაზღვევა“ ჯერ მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილის მოიცავს. საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბებას თან ახლავს წინააღმდეგობა: მოსახლეობის სოციალურ დაცვაში მოთხოვნის გადიდება და მისი დაკმაყოფილების შესაძლებლობის შემცირება.

სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა - საერთო პოლიტიკის ნაწილია, რომლის პრინციპები, გადაწყვეტილებები და მოქმედებები მიმართული უნდა იყოს საბაზრო მექანიზმების ისეთ ფუნქციონირებაზე, რომელიც გაზრდის მის ეკონომიკური ეფექტიანობას. სოციალური პოლიტიკა უმტკივნეულოდ ტარდება, როდესაც მისი ბაზისი „ეკონომიკური ეფექტიანობა“ მაქსიმალურია, ეს კი მიღწევა ისეთი ეკონომიკური პოლიტიკით, რომელიც შეამცირებს მოსახლეობის სოციალური დამაბულობას და შეიქმნება შესაძლებლობა უზრუნველყოფილი მოსახლეობის შემოსავლები გადანაწილდეს ნაკლებად უზრუნველყოფილი მოსახლეობის სასარგებლოდ, შეიქმნას სახელმწიფო და რეგიონულ დონეზე სხვადასხვა ფულადი ფონდები, რომლითაც გაეწევა სოციალური დახმარება მოსახლეობას და მიეწოდება სოციალური გარანტიები.

1.3 სოციალური ტრანსფერების როლი მოსახლეობის სოციალურ დაცვაში

საბაზრო ეკონომიკის პირობებში სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკის ძირითად ამოცანას საზოგადოების ყველა ფენის სოციალური დაცვისკენ მიმართული საქმიანობა და ეფექტური სოციალური პოლიტიკის შემუშავების სტრატეგია წარმოადგენს.

სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკა შემუშავდება და რეალიზდება სოციალური პარტნიორობის საფუძველზე. მასში გათვალისწინებული უნდა იყოს სახელმწიფოს, დამსაქმებელთა შესაძლებლობები, მოქალაქეების, მათი საზოგადოებრივი ფორმირებების ინტერესები. სოციალურ პარტნიორობაში მონაწილე თითოეული მხარე მონაწილეობას უნდა ღებულობდეს სოციალურ პოლიტიკაში, უნდა იყოს პასუხისმგებელი მის რეალიზებაზე. ამ შემთხვევაში კონსენსუსის პრინციპი მიუღებელია, თუმცა თითოეული მხარის მოსაზრება და შესაძლებლობები მაქსიმალურად უნდა ითვალისწინებდეს.

სახელმწიფოს სოციალურ პოლიტიკას აქვს მიზნები, პრინციპები, მეთოდები, საშუალებები, შინაარსი, ფორმა, მიმართულება, პრიორიტეტები, მისი რეალიზების ობიექტები. სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის პრინციპების ქვეშ მოიაზრება სოციალური პოლიტიკის ძირითადი იდეები, ქცევის წესები. სოციალური პოლიტიკის განხორციელების კანონები, პრეზიდენტის ბრძანებულებები, სამართლებრივი ნორმები, სოციალური ნორმატივები, სოციალური გადასახადები (პენსია, დახმარებები, სტიპენდია), აგრეთვე, ის ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომლებიც უშუალოდ ახორციელებენ სახელმწიფოს სოციალურ პოლიტიკას.

სოციალური პოლიტიკის სფეროში, ცენტრალურ დონეზე, შემუშავდება მეთოდოლოგია, მიიღება ზოგადი კანონები, დებულებები, ნორმატივები, პროგრამები. შრომის ანაზღაურების, საპენსიო უზრუნველყოფის, სტიპენდიის, დახმარებების, სამედიცინო მომსახურების, განათლების, კულტურის სფეროებში დგინდება სავალდებულო, გარანტირებული მინიმალური ნორმატივები, გადაწყდება აღნიშნული სამუშაოების მეთოდოლოგიისა და მეთოდის საკითხები. რეგიონების დონეზე გადაწყდება, როგორც ზოგად მეთოდოლოგიური საკითხები, რომლებიც განსაკუთრებით

ითვალისწინებენ ტერიტორიების სპეციფიკასა და მოსახლეობის ცხოვრების დონეს, ასევე, პირველ რიგში, სოციალური პოლიტიკის რეალიზების პრაქტიკულ ამოცანებს. ხელისუფლების ცენტრალური და რეგიონალური ორგანოები ურთიერთქმედებაში გადაწყვეტენ შრომის ერთიანი ბაზრის ფორმირების საკითხებს. დასაქმების უზრუნველყოფას, შიდა და რეგიონთაშორისი მიგრაციის რეგულირების მექანიზმების შემუშავებას, ქვეყანაში დემოგრაფიული სიტუაციის ნორმალიზაციას, მმართველობის საორგანიზაციო სტრუქტურების რეფორმირებას და სოციალური სფეროს დარგების დაფინანსების წყაროებს.

თანამედროვე ადამიანის ცხოვრება მრავალი სახის მრავალი სახის საქმიანობას მოიცავს, ამ საქმიანობის პროცესში ისინი სხვადასხვა ურთიერთობის აყალიბებენ. ამ ურთიერთობების ხასიათიდან გამომდინარე საზოგადოებრივი ცხოვრების ხუთ სფეროს გამოყოფენ: ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, სულიერი და ეკოლოგიური. სოციალური სფერო დამოკიდებულია ეკონომიკის მდგომარეობაზე, ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ და სულიერ სიტუაციაზე. მაგრამ, თავის მხრივ, ის მნიშვნელოვანწილად მოქმედებს ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ პროცესებზე. სოციალური სფეროს საკითხების გადაუჭრელობის შემთხვევაში რთულდება ეკონომიკური ცხოვრება, არაპროგნოზირებულად შეიძლება განვითარდეს პოლიტიკური და სოციალური პროცესები. ეკონომიკა თავისი არსით წარმოადგენს, როგორც მთლიანად საზოგადოების, ასევე ცალკეული ადამიანების ცხოვრების ყველა სფეროს. ამიტომ აშკარაა, რომ ყველა ეკონომიკური პროცესი არის სოციალური, რომელშიც დიდია არა მარტო სახელმწიფოს პასუხისმგებლობა, არამედ საწარმოო სტრუქტურებისაც, ვინაიდან კონკრეტული საწარმოს მიერ უარის თქმა, როგორც საწარმოს შიგნით, ასევე სახელმწიფოში გასატარებელი სოციალური პოლიტიკის მექანიზმებზე ზიანს აყენებს როგორც ეკონომიკურ, ასევე სოციალური სფეროს. სოციალური დაცვის სისტემის ჩამოყალიბება რამდენიმე ტიპს მოიცავს:

1. მოსახლეობისგან გამოიყოფა სოციალური დახმარების საჭიროების მქონე ჯგუფები, ამ პროცესში გამოყენებული იქნება ოჯახებს შემოსავლების განსაზღვრის კრიტერიუმები და კონტროლის მექანიზმები;

2. შეირჩევა მიზანმიმართული სოციალური დახმარების უზრუნველყოფის მეთოდები;
3. შეფასდება ცხოვრების დონე, რაც სოციალური დახმარების მოსურნე მიზნობრივი ჯგუფების სწორად შერჩევისათვის აუცილებელ კრიტერიუმს წარმოადგენს. სოციალური ჯგუფების შერჩევის შემდეგ, კრიტერიუმი, რომელმაც უნდა განსაზღვრის სოციალური დახმარების მოცულობა არის საარსებო მინიმუმი.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ერთის მხრივ, სოციალური ტიპის ღონისძიებების გატარებამ სამართლიანობის დარღვევით შეიძლება მიიყვანოს პოლიტიკა ჩიხში და გაწეული რესურსი არ მოემსახუროს მიზნობრიობას, ამიტომ ვთვლით, რომ სოციალური პოლიტიკის გატარებისას მაქსიმალური ყურადღება სოციალურ სამართლიანობას უნდა მიექცეს, ვინაიდან ეს არის მაქსიმალურად შესაძლო ხარისხი იმის გამოსახატავად, რომ ადამიანებს გააჩნიათ სოციალური თანასწორობა, ერთნაირი პოლიტიკური უფლებები და პიროვნული დამოუკიდებლობა. სოციალური სამართალი გულისხმობს სოციალურ გარანტიებს, ანუ საზოგადოების გარანტირებულ უფლებას მუშაობაზე, შრომის ანაზღაურებაზე, გაწეული შრომის რაოდენობისა და ხარისხის შესაბამისად. სამედიცინო მომსახურებაში, განათლებაში მოთხოვნების გარანტირებულ დაკმაყოფილებას, ხანდაზმულობისას და შრომისუნარიანობის დაკარგვის შემთხვევაში მატერიალურ უზრუნველყოფას. დახმარების გაწევას ბავშვებიანი ოჯახებისათვის, განსაკუთრებით, მრავალშვილიანი ოჯახებისათვის. ცალკეული მოქალაქეებისა და ზოგადად საზოგადოების ინტერესების ჰარმონიულ შერწყმას.

გარდამავალ პერიოდში მოსახლეობის სოციალური დაცვის არსებული სისტემა არ აღმოჩნდა საკმარისად ადაპტირებული მსგავს პირობებში მუშაობისათვის. მას ჰქონდა შეზღუდული შესაძლებლობა იმისა, რათა მომხდარ იყო რესურსების გადანაწილება იმათ სასარგებლოდ, ვისაც ყველაზე მეტად უჭირდა და ეფუძნებოდა საყოველთაო სოციალური ტრანსფერების სისტემას, სუბსიდიებს საქონელსა და მომსახურებაზე.

სოციალური დაცვის ზოგიერთი მიმართულების ეფექტურობამ, როგორცაა ბავშვებისათვის დახმარების გაწევა და დასაქმების პროგრამების დაფინანსება, კრიტიკულ ზღვარს მიაღწია. ისინი უკვე ვეღარ ახდენდნენ მნიშვნელოვან გავლენას მოსახლეობის ყველაზე დაუცველ ფენაზე. სახელმწიფო დაფინანსების ის მოცულობა,

რომელსაც მხარდაჭერა ჰქონდა კრიზისის შემდგომ პერიოდში და სოციალური მხარდაჭერის შექმნილი სისტემა უძლური აღმოჩნდა მასზე დაკისრებული უმეტესი ფუნქციების შესასრულებლად. დაგროვილი სოციალური პრობლემების გადასაჭრელად, სოციალური უზრუნველყოფა, როგორც სოციალური პოლიტიკის ნაწილი კვლავ დიდ ადგილს იჭერდა, მინიმალური იყო სოციალური დაზღვევის სისტემა, რომელიც შრომის უნარიანი მოსახლეობის დასაქმების შემთხვევაში ეფუძნებოდა ცენტრალური ობიექტის სოციალური ხარჯებისაგან.

ისტორია იცნობს სოციალური პოლიტიკის ორ მოდელს: ცენტრალიზებული და დასავლეთის. ცენტრალიზირებული მოდელის ფუნქციონირებისას სოციალური პოლიტიკის სიმძიმე სოციალური უზრუნველყოფისა და საყოველთაო სოციალური დაზღვევის მექანიზმებზე იყო გადატანილი, ამან მართალია ხელი შეუწყო მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, შეამცირა ღარიბი მოსახლეობის რიცხვი, თუმცა დიდი სახელმწიფო ხარჯების საფასურად. მაგრამ უნდა აღნიშნოს, რომ მონოპოლიზირებულმა სოციალურმა დაზღვევამ ვერ შეიქმნა მოსახლეობაში იმის განცდა, რომ საკუთარი ქონების თუ პიროვნების უკეთესი სოციალური დაცვისათვის შემოსავლებიდან მიემართა ნაწილი სადაზღვევო დაცვის მისაღებად. ფაქტიურად არსებულმა სისტემამ დღევანდელი კომერციული დაზღვევის არათუ საფუძველი შეუქმნა, არამედ აამალა მოსახლეობის უნდობლობის მაღალი ხარისხის და საბოლოოდ მივიღეთ ისეთი ნეგატიური სოციალური ყოფა, როგორიცაა მოსახლეობის ქრონიკული დამოკიდებულება სოციალურ დახმარებაზე.

70 – 80 წლებში სოციალური პოლიტიკის ორივე მოდელმა კრიზისი განიცადა, რაც გამოჩნდა იმაში, რომ სოციალური უზრუნველყოფა გახდა დომინანტი, სოციალური დაზღვევასთან შედარებით, სოციალური ხარჯების დიდი ნაწილი საწარმოებზე გადატანამ და მათი დამოკიდებულებამ ცენტრალურ ობიექტზე გაზარდა ცენტრალური დაფინანსების ტვირთი. მოსახლეობის დახმარებაზე სოციალურად დამოკიდებულების ხარისხი თანდათან იზრდებოდა, რაც სისტემას თანდათანობით არღვევდა. საბოლოოდ მიღებული იქნა შედეგი, რომ ცენტრალური ხელისუფლების აღარ შეეძლო დაფინანსების სოციალური ხარჯები რეგიონალური ხელისუფლებას არ გააჩნია საკუთარი ფინანსური

ბაზა პრობლემების რეგიონულ დონეზე მოგვარებისათვის, რადგან ფინანსური დეცენტრალიზაციის პრობლემა არა თუ გადაჭრილი, არამედ არც კი იდგა დღის წესრიგში. 1995 წელს კოპენჰაგენში მსოფლიო შეხვედრაზე სოციალური ინტერესების განვითარების დეკლარაციის თანახმად XXI საუკუნეში ყველა ქვეყნის ეკონომიკური ორიენტაცია მიმართული უნდა იქნას ადამიანების ინტერესებზე, რათა უფრო ეფექტურად დაკმაყოფილდეს მათი მოთხოვნები, აღდგეს და შენარჩუნდეს სოციალური სამართლიანობა და თანასწორობა. კონცეპციის თანახმად ადამიანი უნდა განიხილებოდეს არა როგორც საშუალება, არამედ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზანი.

მიუხედავად იმისა რომ დამოუკიდებლობის 20 წლიანი ისტორია განვლო საქართველოს სოციალური სფეროს, როგორც ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება დღემდე ვერ მოხერხდა. ისევე, როგორც ცენტრალიზებული მოდელის შემთხვევაში, ამ სისტემის პირობებიც მოსახლეობის ხოლო უფრო მეტი ნაწილი ხდება სოციალური დახმარების მოსურნე ობიექტი, მიუხედავად იმისა, რომ საბაზრო ურთიერთობებს ჩამოაყალიბა ინტენსიურად მიმდინარეობს, ამ ურთიერთობებმა ფეხი სოციალურ სფეროში ვერ მოკიდა, ამის მიზეზად ვთვლით, რომ ჯერ კიდევ არის იმის ილუზია, რომ როგორც ეკონომიკური, ასევე სოციალური პრობლემები პარალელურ რეჟიმში შეიძლება გადაწყდეს. თუ ჩვენ უარი ვთქვით ცენტრალიზებულ მოდელზე, მაშინ სოციალური დაცვის სისტემაში დიდი წილი კომერციული სოციალური დაზღვევას უნდა დაეთმოს. ამის მიზნის რეალიზებას კი პირველ რიგში ეკონომიკის ზრდა, უშუალოდ წარმოების ზრდის უზრუნველყოფა სჭირდება, რათა შესაძლებელი გახდეს, რომ სახელმწიფომ, მეწარმემ და კონკრეტულმა ადამიანმა სოლიდარობის პრინციპის რეალიზაციით მონაწილეობა მიიღონ იმ ადამიანთა სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად, რომლებიც ამათუიშ სოციალური რისკების მსხვერპლნი აღმოჩნდნენ დროებით ან მუდმივად. სოციალურ სფეროს გამართული ფუნქციონირება მრავალმხრივი ამოცანების გადაჭრას მოითხოვს: პირველ რიგში აუცილებელია ამ სფეროს სოციალური სამართლიანობის შესაბამისი აქტების სრულყოფა; მეორე, სისტემის განტვირთვისა და ეფექტიანი შედეგის მიღებისათვის სოციალური ტიპის ამოცანების გადაცემა რეგიონული

ორგანოებზე, მათი ფინანსური დეცენტრალიზაციის ამალგების პირობებში, მესამე, რეგიონული სამომხმარებლო ბაზრების ფასწარმოქმნის მექანიზმის გათვალისწინებით საარსებო მინიმუმის დიფერენცირება და შესაბამის მინიმალური ხელფასის, პენსიის, სტიპენდიის და სოციალური დახმარების დადგენა. სოციალური პოლიტიკის გატარების მექანიზმები ორ ძირითად მიმართულებად უნდა დაიყოს: სოციალური პროცესის გადაწყვეტა მოსახლეობის შრომისუნარიანი ნაწილის მიერ საკუთარი ოჯახების შენახვით და სოციალური დაცვის მიწოდებით იმ ნაწილზე, რომელიც არის შრომისუნარო.

აქტიური პოლიტიკა სწორედ პირველი მიმართულებით უნდა გატარდეს, რადგან დასაქმება არის საფუძველი იმისა, რომ საგადასახადო ვალდებულებების ოპტიმიზაციით მიიღწევა როგორც სახელმწიფოს ფინანსური უზრუნველყოფა, ასევე სოციალური დაზღვევის სისტემის ოპტიმიზაცია. უკანასკნელ წლებში შრომის ფასი, სამუშაო ძალის არასაკმარისი მობილობა, უმუშევრობის ზრდა როგორც შრომის ბაზრის მონაცემებით, ასევე რეალური (დაფარული) შედეგებით მთელ რიგი წინააღმდეგობებს ქმნის შრომის ბაზარზე თავისუფალი კონკურენციის პირობების შესაქმნელად. ამიტომ, ვთვლით, რომ მოსახლეობის დასაქმების სფეროში რეფორმების პრიორიტეტულ მიმართულებას შრომითი ბაზრის მოქნილობის ამალგა წარმოადგენს. საჭიროა შრომითი ურთიერთობების სახელშეკრულებო რეგულირების როლის ამალგა, დამსაქმებლის ინიციატივით (რა თქმა უნდა დასაქმებულის უფლებებისა და ინტერესების დაცვის აუცილებელი დონის შენარჩუნებით) ხელშეკრულებების გაუქმების ზოგიერთი პროცედურის გამარტივება, სასწრაფო ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებების ამოქმედების სფეროს გაფართოება, იმ საკითხთა ჩამონათვალის გაფართოება, რომლებიც უშუალოდ ხელშეკრულებებით რეგულირდება. მოსახლეობის დასაქმების პოლიტიკის სფეროში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ეკონომიკის ფორმალურ სექტორში დასაქმების ამალგას, ხანგრძლივი უმუშევრობის შემცირებას, უმუშევართა სტიმულირებას, რათა მათ გააქტიურონ საქმიანობა სამუშაოს ძიებისათვის. ამის წინაპირობა შეიძლება გახდეს მკაცრი მიდგომა უმუშევრის სტატუსის მინიჭებისათვის აუცილებელი მონაწილეობა საზოგადოებრივ საქმიანობაში არანაკლებ დადგენილი მოცულობისა, უმუშევრის ოჯახის მატერიალური მდგომარეობის შემოწმება, არსებული

ქონების შემოწმების ჩათვლით, რომელთაც შეუძლიათ უზრუნველყონ შემოსავლების საკმარისი დონე (მაგალითად: ქონების იჯარით გაცემა, ან საკუთარ სათადარიგო მეურნეობაში პროდუქციის გამოყვანა) და ხოლო ამის შემდეგ გასცეს უმუშევრობის დაზღვევა.

სოციალური პოლიტიკის მნიშვნელოვან მიმართულებას მოსახლეობის დატაკი ფენების მხარდაჭერა წარმოადგენს. მოსახლეობის ამ ფენების სოციალური დაცვის საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა ფულადი და ნატურალური დახმარების გაწევის კარგად განვითარებულ სისტემას ენიჭება. სოციალური ამორტიზატორი მნიშვნელოვანია, რომელიც მისი განვითარების ბევრ ნეგატიურ შედეგს ანეიტრალებს. ჩვენ მართალია აქცენტს ვაკეთებთ მოსახლეობის იმ ნაწილზე, ვისაც სხვადასხვა მიზეზების გამო არ შეუძლია უზრუნველყოს ცხოვრების ნორმალური პირობები, მაგრამ ამავე დროს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკა – მისი საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულებაა, რომელიც საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური პირობების რეგულირებისკენაა მიმართული და ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების თვალსაზრისით ორმაგ როლს ასრულებს. პირველი, ეკონომიკურ ზრდასთან, ეროვნული სიმდიდრის დაგროვებასთან ერთად, მოქალაქეებისათვის ხელსაყრელი სოციალური პირობების შექმნა ეკონომიკური საქმიანობის მთავარი მიზანი ხდება და ამ კონტექსტში ეკონომიკური განვითარების ყველა სხვა ასპექტი სოციალური პოლიტიკის რეალიზების ქრილში განიხილება. მეორე, სოციალური პოლიტიკა არის ეკონომიკური ზრდის ფაქტორი. თუ ეკონომიკურ ზრდას არ ახლავს კეთილდღეობის ზრდა, ადამიანებს ეკარგებათ ეფექტური ეკონომიკური საქმიანობის სტიმული.

უნდა აღინიშნოს, რომ სოციალური პოლიტიკის ამა თუ იმ ამოცანების გადაწყვეტა განისაზღვრება რესურსებით, რომლებსაც სახელმწიფო მიმართავს მათ გადასაწყვეტად. თავის მხრივ, რესურსების ბაზა დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საერთო დონეზე. ამიტომ სოციალური პოლიტიკის კონკრეტული ამოცანები მჭიდრო კავშირშია ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასთან.

საზოგადოების წევრთა შემოსავლები ხელფასის სახით არის მათი კეთილდღეობის მნიშვნელოვანი მაჩვენებელი, ანუ განსაზღვრავს ინდივიდის მატერიალური და სულიერი

ცხოვრების შესაძლებლობებს: დასვენებას, განათლების მიღებას, ჯანმრთელობის შენარჩუნებას, ყოველდღიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

მაგრამ, გარდა ხელფასის ოდენობისა, მოსახლეობის შემოსავლების რაოდენობაზე უშუალო ზემოქმედების მქონე ფაქტორებად ითვლება საცალო ფასების დინამიკა, სამომხმარებლო ბაზრის შევსება საქონლით და სხვა. შეიძლება გამოვყოთ ფულადი შემოსავლის სამი მთავარი წყარო: ხელფასი, საკუთრებისგან მიღებული შემოსავლები (დივიდენდები, პროცენტები, ქირა), სოციალური თანხა (პენსია, დახმარება უმუშევრობის გამო და ა.შ.).

დასაქმებულთა სოციალური დახმარება, როგორც სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის ძირითადი მიმართულება, ძალიან მნიშვნელოვანია. რადგან, ყველა ქვეყანაში მოსახლეობის უმეტესობას დასაქმებულები წარმოადგენენ, რომელთა ერთადერთ (ან ძირითად) შემოსავალს ხელფასი წარმოადგენს. დასაქმებულთა სოციალური დაცვის სფეროში სახელმწიფოს პოლიტიკა ეფუძნება შრომის ბაზარზე მხარეთა არათანაბარ პირობებს. დაქირავებული მუშახელი დამსაქმებელთან შედარებით სუსტი რგოლია, რამეთუ მას საწარმოს ხარჯზე მიღებული საკუთრება არ გააჩნია და იძულებულია, გაყიდოს საკუთარი სამუშაო ძალა. ამ სფეროში სახელმწიფოს ქმედებები უნდა იყოს მიმართული დასაქმებულთა ფინანსური მხარდაჭერისკენ იმ შემთხვევაში, თუ მათ ჯანმრთელობას ზიანი მიადგება ან სხვა შემთხვევაში.

საერთაშორისო პრაქტიკა და ადგილობრივი გამოცდილება ადასტურებს, რომ დასაქმებულთა სოციალური დაცვის მნიშვნელოვან პრინციპებს უნდა მივაკუთვნოთ:

- სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის პროგრამები. დაიცვან პიროვნების ღირსება, მისი უფლებები თავისუფალ შრომაზე, პროფესიის, სამუშაოსა და სწავლის არჩევის თავისუფლებაზე, ქმედითუნარიანობის დაკარგვისას კომპენსაციის მიღებაზე, რაც შეესაბამება ადამიანთა უფლებების საყოველთაო დეკლარაციის დებულებებს, სოციალურ აქტს და გაეროს, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციას (შსო) და სხვა აღიარებულ საერთაშორისო ნორმებს.
- სოციალური სამართალი შრომითი ურთიერთობების სფეროში – ერთნაირი უფლებები შრომის დაცვასა და პირობებზე, ჯანმრთელობის დაცვაზე, მოქალაქეთა

ქმედითუნარიანობასა და შრომისუნარიანობაზე. სამედიცინო, სოციალური და პროფესიული რეაბილიტაციის უზრუნველყოფა. დასაქმებულთა საყოველთაო და სავალდებულო დაცვა სოციალური და პროფესიული რისკებისაგან, შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და საჯაროობა.

- სახელმწიფო გარანტიები, რომლებიც დაკავშირებულია სოციალურ დაცვასთან არასახელმწიფოებრივი სისტემების ერთდროული დამოუკიდებლობისა და თვითმმართველობის დროს.
- დაცვის ყველა ძირითადი სუბიექტების (სახელმწიფო, მეწარმეები, სოციალური დაზღვევის ამხანაგობები და მშრომელთა პროფესიული ორგანიზაციების ფართო წრე) დაინტერესება დაცვის ამა თუ იმ სისტემებისა და ფორმების ჩამოყალიბებასა და დახვეწის საკითხში.
- დასაქმებულთა ეკონომიკური და სოციალური თავისუფლება შრომის სფეროში- პროფესიების არჩევა სოციალური და პროფესიული რისკების მისაღები დონით. პროფესიული განათლების, სამუშაო ადგილის მიღების შესაძლებლობა.
- დასაქმებულთა პირადი პასუხისმგებლობა საკუთარი ჯანმრთელობის, ქმედითუნარიანობისა და შრომისუნარიანობის შესანარჩუნებლად, პროფესიისა და სამუშაო ადგილის სწორი შერჩევა.
- სოციალური დაცვის ხერხების მრავალსაფეხურიანობა – ყველა დასაქმებულთა მიმართებაში სახელმწიფო გარანტიებით დაწყებული ვიწროდ მიმართული ზომებით დამთავრებული.
- სოციალური დაცვის მრავალსუბიექტურობა – სოციალური დაცვის სუბიექტებს უნდა წარმოადგენდნენ: სახელმწიფო (უწყებებისა და სამინისტროების სახით), დამსაქმებლები, სადაზღვევო კომპანიები, მმართველობის რეგიონალური ორგანოები.
- სოციალური დაცვის ზომების მრავალსპექტიანობა და მრავალმხრივობა.

ყურადღების საგანს უნდა წარმოადგენდეს დასაქმებულთა პირობები და შრომის ანაზღაურება, პროფესიული მომზადება, სამედიცინო მომსახურეობა,

შრომისუნარიანობის დაკარგვის გამო კომპენსაციის გაცემა, სარეაბილიტაციო მომსახურება.

ბაზრის პირობებთან მოსახლეობის შეგუების დროს უარყოფითი გარე ფაქტორები იწვევს – სილატაკისა და სიღარიბის ზრდას, უმუშევრობა და სხვა. აქ უკვე აუცილებელი ხდება სისტემის ნაწილი გახდეს სოციალური ტრანსფერტი, რომელიც შესაძლოა განხორციელდეს სოციალური დახმარებების ფორმით, სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილი სოციალური გარანტიების ერთობლიობის გზით, მათ შორის მოსახლეობის ცალკეული კატეგორიებისათვის სოციალური შეღავათების გაწევით (ცალკეულ ჯგუფებზე გამიზნული სოციალური მომსახურებები), სოციალური დაზღვევით ფარგლებში (ნებაყოფლობითი, კორპორატიული, სავალდებულო და სახელმწიფო). გადასახადების სახით მიღებული შემოსავლები სოციალური ტრანსფერების მეშვეობით მოსახლეობის გარკვეულ ფენებზე გადანაწილდება და ამით საზოგადოებაში უთანასწორობის დონე მცირდება.

სოციალური დაზღვევის სახით განხორციელებული ტრანსფერები მოწოდებულია მოსახლეობის ისეთი სახის რისკებისაგან დასაცავად, რომელიც მათი შემოსავლებისა და შრომისუნარიანობის დაკარგვას იწვევს. როგორცა სხვადასხვა სახის ავადმყოფობები, საწარმოო ტრავმები, პროფესიული დაავადებები, უბედური შემთხვევები, ბავშვების დაბადება და აღზრდა, უმუშევრობა, სიბერე და მარჩენალის დაკარგვა. ზემოთ ჩამოთვლილთაგან განსხვავებით, ამ კატეგორიის ტრანსფერებისათვის დამახასიათებელია არა მხოლოდ გადანაწილება, არამედ სახსრების წინასწარი დაგროვების თავისებურება, მათ შორის ზოგჯერ პირადისაც, რომლებიც სადაზღვევო ფონდს ქმნიან, რათა სადაზღვევო შემთხვევების დროს გარკვეული აუცილებელი ხარჯები დაიფაროს, რაც საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი მექანიზმია.

სოციალური ტრანსფერების დიდ ნაწილს – პენსიები, შემწეობები, სტიპენდიები კანონმდებლობით გათვალისწინებული რეგულარული ფულადი ანაზღაურებები წარმოადგენენ.

გარდა მოსახლეობის პირდაპირი ფულადი ანაზღაურებისა, ფინანსურ ტრანსფერებს შეგვიძლია მივაკუთვნოთ ჯანდაცვის, განათლების, კულტურის სფეროების მიმდინარე

ხარჯებიც. გარდა ამისა, ისეთი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სუბსიდირება, რომლებიც მოსახლეობის დაუცველ ფენას უწევს მომსახურებას. მაგალითად, საცხოვრებელი კომუნალური მეურნეობა და საზოგადოებრივი ტრანსპორტი.

განსაკუთრებული აღრიცხვისა და კონტროლის ობიექტის სოციალური ტრანსფერტების მიმართვაში ჩვენი აზრით საჭიროებს ის ნაწილი, რომელიც არა პირდაპირი ფულადი ანაზღაურებით, არამედ სხვადასხვა სახის პროგრამების განხორციელებით რეალიზდება. აქ ადგილი აქვს სოციალური ტრანსფერტების გამოყენების არაეფექტიანობას. ეს განსაკუთრებით ეხება მოხმარებაზე მიბმულ ტრანსფერს, რომელიც თავისი არსით ნატურალური ტრანსფერია. ამ თვისებით ის მნიშვნელოვნად ჩამორჩება იმავე მოცულობის ფულად ტრანსფერს, რომელიც მიმღების მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვისაა გამოყოფილი, რადგანაც ზღუდავს არჩევანის თავისუფლებას.

ხშირად პირდაპირი ნატურალური ტრანსფერებიც არ წარმოადგენს მომხმარებლის არჩევანის ოპტიმალურ სტრუქტურას. თუმცა, არც თუ იშვიათად ამართლებენ იმით, რომ ფულადი ტრანსფერის არადანიშნულებისამებრ გამოყენება უფრო ადვილია. იმავე დროს, ნატურალური ტრანსფერები არაკეთილი განზრახვის უამრავ საშუალებას იძლევა (ფასების მანიპულაცია, შეთავაზებული კეთილდღეობის ხარისხი), რითაც სოციალური დაცვის სისტემა კორუფციული გარიგების ორგანოდ იქცევა. თუკი ამოვალთ იქედან, რომ სოციალური დაცვის ეფექტურობა განისაზღვრება იმით, თუ რა ფორმისა და სახეობის სოციალური ტრანსფერი აღწევს უშუალოდ დახმარების მიღების მქონე პიროვნებამდე, ცხადი ხდება, რომ სოციალური დახმარების თანამედროვე ორგანიზაცია მიგვიყვანს მის დაბალ შედეგებამდე. სოციალური ტრანსფერები არ არის დაკავშირებული ეკონომიკური ეფექტურობის ამაღლებასთან. მას საფუძვლად უშუალოდ ეთიკისა და მორალის იდეები უდევს. ბევრ ქვეყანაში მიღებულია მოქალაქეების დაყოფა კატეგორიებად სოციალური ტრანსფერების სისტემაში. მაგრამ ის არის მხოლოდ დამხმარე ინსტრუმენტი დახმარების გაწევის მიზანშეწონილობის საკითხის გადაწყვეტისას. ძირითად ინსტრუმენტს ყოველთვის წარმოადგენს პოტენციური რეციპიენტის რეალური სიდუხჭირის შემოწმება. (Стиглиц 2000:210)

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში მკაცრად იცავენ პრინციპს, შემოწმდეს შემოსავლების დონე, ვიდრე მოქალაქეებს საზოგადოებრივ დახმარებას გაუწევინ. გერმანიაში დომინირებს სოციალური დახმარების პროგრამის განხორციელებისას ინდივიდუალური მიდგომის პრინციპი თითოეული პოტენციური რეციპიენტის მიმართ. აშშ-ში დომინირებს ნატურალური ტრანსფერები, ხოლო დახმარების გაწევის წესები უფრო დეტალურად არის დამუშავებული და მკაცრად ფორმალიზირებულ კრიტერიუმებს ეფუძნება.

საზოგადოებრივი დახმარების პროგრამების დაფინანსების წყაროების შესწავლისას ყურადღების მიღმა არ უნდა დაგვრჩეს საბიუჯეტო ფედერალიზმის საკითხი. შემოსავლების გადანაწილების ხარისხი გარკვეულწილად უნდა იყოს რეგიონულ ან ეროვნულ დონეზე გადაწყვეტილი. საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკური თეორია იმაზე მიუთითებს, რომ საზოგადოებრივი დახმარების პროგრამები საერთო ეროვნული პრობლემა უფროა, ვიდრე რეგიონული. ქვეყნის შიგნით შედარებით თავისუფალი მიგრაციის პირობებში საზოგადოებრივი დახმარების რეგიონულ პროგრამებს ნეგატიური შედეგებიც შეიძლება მოჰყვეს. ნებისმიერი რეგიონი, რომელიც ცდილობს სიღარიბესთან ბრძოლას და ცხოვრების შედარებით მაღალი დონის შენარჩუნებას, რისკავს წააწყდეს სხვა რეგიონებიდან ღარიბთა ნაკადის შემოდინებას. ამის გამო, ყოველ რეგიონს სტიმული უჩნდება ნაკლებმიმზიდველი დარჩეს ღარიბთათვის, რათა ისინი სხვა რეგიონებში გადანაწილდნენ. (Львов.....2002:115) აღნიშნული პრობლემა მიგრაციასთან დაკავშირებით საქართველოში ძალზე დაბალია, თუმცა ეს არ გულისხმობს, რომ რეგიონებს „თავიდან მოშორების“ მიზნით გადაეცეთ სოციალური პრობლემების მოგვარების უფლებამოსილება, იგი კვლავაც უნდა იყოს სახელმწიფო ორგანოების კონტროლქვეშ.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში სოციალური ტრანსფერების ორგანიზებას შემდეგი წინაპირობები აქვს: სახელმწიფო რეგულირებისა და საბაზრო თვითრეგულირების შეთავსება; სოციალური სამართლიანობისა და ეკონომიკური ეფექტურობის შესაბამისობა; სახელმწიფოს, დამსაქმებელთა და დაქირავებულ მუშაკთა სოციალური ურთიერთქმედება; სოციალური ტრანსფერების შერეული (მონაცვლეობითი)

დაფინანსება, რომელიც მოიცავს სახელმწიფო, საზოგადოებრივ-ნებაყოფლობით (კოლექტიურ) და კერძო ინსტიტუტებს, კომერციულ და არაკომერციულ ორგანიზაციებს, საწარმოების საქველმოქმედო მოღვაწეობას, უწყებრივ - მოქალაქეობრივ აქტიურობას.

მიზნობრივმა საწყისმა და მასთან უწყვეტად დაკავშირებულმა რაციონალობის და ეფექტურობის იდეებმა სოციალური ტრანსფერების მიმართულებები, ფორმა, სტრუქტურა და მასშტაბები უნდა განსაზღვროს. სოციალური ტრანსფერების სტრუქტურა და მოცულობა განისაზღვრება როგორც ქვეყნის ეკონომიკური განვითარებით, ისე დამკვიდრებული პოლიტიკური კონცეფციებით, პატერნალიზმის ან ლიბერალიზმის მოდელებით.

სოციალური ტრანსფერების ლიბერალური მოდელი ორიენტირებულია სოციალური გარანტიების დონის მკვეთრ შემცირებაზე, ნაკლებ შემოსავლიანი მოსახლეობის სოციალური კეთილდღეობის მასშტაბების შეზღუდვაზე. ძირითადი აქცენტი საზოგადოებრივ-ნებაყოფლობით ქველმოქმედებაზე და მუშაკთა თვით დახმარებაზე კეთდება.

შეუძლებელია არ ვაღიაროთ, რომ ასეთი მოდელი ეწინააღმდეგება სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ძირითად ეკონომიურ მიზნებს.

სოციალური ტრანსფერების სისტემის რეფორმირებისას აუცილებლად გასათვალისწინებელია, თითქმის ნახევარსაუკუნოვანი განვითარების მქონე, სოციალური მომსახურების სფეროს წინამორბედი ტრადიციები: ბინით, განათლებით, სამედიცინო მომსახურებით, კულტურული ღონისძიებებით, სპორტით და ფიზიკულტურით მოსახლეობის ძირითადი მასის უფასო უზრუნველყოფა. ამ პერიოდის განმავლობაში მშრომელთა მასას სოციალური ტრანსფერების გარკვეული მოლოდინი ჩამოუყალიბდა.

არსებული მდგომარეობის თავისებურება მხოლოდ სოციალურ ტრანსფერებზე გამოყოფილი სახსრების უკმარისობაში არ მდგომარეობს. საქმე ისაა, რომ დაფინანსების ადრინდელი წყაროები ამოწურულია, ახლები კი - არასაკმარისად განვითარდა. სახელმწიფოს აღარ შეუძლია, სრულად შეასრულოს თავისი ვალდებულებები სოციალური სფეროსა და სოციალური დაცვის დაფინანსებასთან დაკავშირებით. ეს კი შეუძლებელს ხდის კანონმდებლობით გათვალისწინებული მოსახლეობის შეღავათებისა

და სოციალური გარანტიების სრულად ანაზღაურებას. რაც აქტუალურს ხდის სოციალური დაცვის სისტემის რეფორმირების გზების ძებნას. ასევე, მაკროეკონომიკურ დონეზე ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული მკაფიო პრიორიტეტები. არასაკმარისად არის გათვალისწინებული ორმაგი ამოცანის სირთულე: სოციალური სფეროს დაფინანსების სტაბილურობის და მის მომსახურებაზე შემოსავლების ზრდა, ნაკლებშემოსავლიანთა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან სოციალურ სიკეთეებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. სოციალური ტრანსფერების მოქმედი სისტემის დაბალი ეფექტურობა უკავშირდება პენსიებისა და შემწეობების უკიდურესად დაბალ ოდენობას. მათი სიდიდე მინიმალურ სახელფასო ანაზღაურებას უკავშირდება, რომელიც, თავის მხრივ, საანგარიშსწორებო ერთეულია და არანაირად არ ასახავს სასიცოცხლო მინიმუმის ოდენობას. ამიტომ სოციალური შემწეობების უმეტესობა ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობისთვის გათვალისწინებულ სახელმწიფო მინიმალურ გარანტიებს და ერთგვარი დამატებითი ანაზღაურება ხდება. ამკარაა, რომ გარდამავალი ეკონომიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა სასიცოცხლო მინიმუმის უზრუნველყოფი სოციალური ტრანსფერების რეგულირების ახალი მექანიზმების ფორმირებაა.

სოციალური ტრანსფერების სისტემის რეფორმა გულისხმობს მოსახლეობის შრომის მინიმალური ანაზღაურებისგან დამოუკიდებლობას და მათ ინდექსაციას სასიცოცხლო მინიმუმის გათვალისწინებით - ყოველი ანაზღაურების მნიშვნელობის მიხედვით.

საჭიროებითობის დიფერენცირებულ აღრიცხვიანობაზე და მოსახლეობის ყველაზე სუსტი ფენების მიზნობრივ სოციალურ მხარდაჭერაზე დამყარებული სოციალური ტრანსფერების ეფექტური სისტემის ჩამოყალიბება მნიშვნელოვან ხარჯებს (ტრანზაქციურ და ტრანსფორმაციულ დანახარჯებს) მოითხოვს. იგი მოიცავს, როგორც მოქალაქეების მხრიდან წარმოდგენილი საშემოსავლო დეკლარაციების ზუსტ აღრიცხვიანობას, ასევე სახელმწიფო კონტროლს ფაქტობრივ შემოსავლებზე და მოსახლეობის საშუალო, მაღალი თუ დაბალი შემოსავლიანობის, სიღატაკის ზღვარის ნორმატიული კრიტერიუმების დადგენას.

არსებული სოციალური ტრანსფერების სისტემის განხილვის საფუძველზე მისი რეფორმირება შემდეგი სახით მიგვაჩნია გამართლებულად:

პირებმა, რომლებსაც არ შეუძლიათ სადაზღვევო ფონდების ჩამოყალიბებაში წვლილის შეტანა, სოციალური დახმარება დადგენილი გარანტიების მიხედვით, ზღვრულ ფარგლებში უნდა მიიღონ. საზოგადოების დანარჩენი წევრები აუცილებელმა დაზღვევამ უნდა მოიცვას მკაფიოდ გამოკვეთილი გარანტიების ფარგლებში, რომლებიც არ სცდება სოციალური სამართლიანობის და ეფექტურობის მოთხოვნათა შესაბამის საზღვრებს. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს აუცილებელი საზოგადოებრივი დაზღვევის დამატებით შევსებას კერძო და ნებაყოფლობითი დაზღვევით, მათ შორის ისეთ სფეროებში, სადაც საზოგადოებრივი (საყოველთაო) დაზღვევა არ ვრცელდება.

რთული საკითხია სოციალური ტრანსფერების ახალ სისტემებზე ისეთი გადასვლა, რომ გატარებულმა ღონისძიებებმა "სიღატაკის მახეში" გაბმა არ გამოიწვიოს, რათა არ ჩამოიშალოს მუშაობის სტიმული (წახალისება) საზოგადოების შრომისუნარიან ნაწილში. რომ არ მოხდეს მოსახლეობის ეკონომიურად აქტიურ ნაწილში სხვის კმაყოფაზე მყოფი განწყობების გაღვივება. აუცილებელია უმუშევრობაზე გასაცემი შემწეობის საფუძვლის შესწავლა, რადგან არცთუ იშვიათად იქმნება პირობები, როდესაც შემწეობის მიმღები პიროვნებები კარგავენ სამსახურის ძებნის ან პროფესიული გადამზადების სურვილს, ან ეკონომიკის ისეთ სექტორებში ნახულობენ სამსახურს, სადაც გავრცელებულია გადასახადებისგან თავის არიდება.

სოციალური ტრანსფერების მოქმედი სისტემის ეფექტურობის დამაქვეითებელ ფაქტორს განეკუთვნება რეგიონული სპეციფიკის გაუთვალისწინებლობა, რომლის განმსაზღვრელი მოსახლეობის დამკვიდრებული ისტორიულ-ტრადიციული მისწრაფებები ხდება. სხვადასხვა რეგიონებში და მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებში არსებობს სოციალური სტანდარტების განსხვავებული აღქმა, რაც ცხოვრების დონით არის ნაკარნახევი. ამიტომ სოციალური ტრანსფერების სისტემა ისე უნდა შეიქმნას, რომ არ დაირღვეს შესაბამისობა სოციალურ სამართლიანობასა და სოციალური დახმარების ეფექტიანობას შორის. იგი გადასახადების გადახდის მკაცრი დისციპლინით, სოციალური დაცვის სახელმწიფო და კერძო სექტორის პარტნიორობით იქმნება, რომელიც სოციალური პოლიტიკის ამოცანების ჩართულობას და მაკროეკონომიკურ სტრატეგიას მოიცავს.

ამგვარად, სანამ სოციალური ტრანსფერების ინსტიტუციური განხორციელება განვითარებული ქვეყნების დონეზე მოხდება, მრავალი საკითხია გადასაწყვეტი. ასეთ ქვეყნებში უკვე დიდი ხანია, რაც შემუშავებულია სოციალური ტრანსფერების სისტემის ეფექტური მოქმედების პრინციპები: დაზღვეული მოქალაქის დახმარების გარანტირებულობა და პირობების და ნორმების აუცილებელი ხასიათი - ფასიანი მომსახურება (ხარჯებში მონაწილეობის უფლება შემოსავლებში მონაწილეობის მიხედვით წარმოიშობა); სოლიდარობა (ფინანსების სხვადასხვა მონაწილეებს შორის გადანაწილება). საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისას სოციალური ტრანსფერების სისტემა არაქმდითუნარიან და ნაკლებშემოსავლიან მოქალაქეთა სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერის პრინციპების საფუძველზე უნდა იქმნებოდეს. მსგავსი მოდელი სახელმწიფოს უფრო იაფი დაუჯდება, თუ მოსახლეობის ძირითადი მასა თავის სოციალურ მოთხოვნილებებს პირადი შემოსავლებით ან დამსაქმებელთა სახსრებით დაიკმაყოფილებს. თუმცა არსებობს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ფენები, რომელთა მოთხოვნილებები დაუკმაყოფილებელი რჩება.

საქართველოს ეკონომიკის საბაზრო ტრანსფორმაცია გულისხმობს, სოციალური ტრანსფერების ძველი სისტემის გარდაქმნა დაიწყოს შემდეგი პრინციპების საფუძველზე: სახელმწიფო რეგულირებისა და საბაზრო თვითრეგულირების შეთავსება; ეკონომიკური ეფექტურობის და სოციალური სამართლიანობის ბალანსირება; სახელმწიფოს, დამსაქმებელთა და დაქირავებული მუშაკთა სოციალური ურთიერთქმედება; სოციალური ტრანსფერების შერეული (მონაცვლეობითი) დაფინანსება, რომელიც მოიცავს სახელმწიფო, საზოგადოებრივ-ნებაყოფლობით (კოლექტიურ) და კერძო ინსტიტუტებს, კომერციულ და არაკომერციულ ორგანიზაციებს, საწარმოების საქველმოქმედო მოღვაწეობას, უწყებრივ - მოქალაქეობრივ აქტიურობას. სოციალური ტრანსფერების ახალი მოდელის ჩამოყალიბებამ უნდა უზრუნველყოს თანმიმდევრული მემკვიდრეულობა სოციალურ პოლიტიკაში და დაიცვას საზოგადოებრივი სამართლიანობის, თანასწორობისა და სოლიდარობის პრინციპები.

მოსახლეობის კეთილდღეობის 2009 წლის კვლევის თანახმად, 838 493 ადამიანი იღებდა რაღაც სახის სოციალურ ტრანსფერს მაინც. (geostat.ge) ამჟამად ცენტრალური

ხელისუფლების მიერ ადმინისტრირებული ყველა სოციალური ტრანსფერტი საბანკო სისტემის მეშვეობით გაიცემა. საქართველოში შინამეურნეობების 59% იღებს რაღაც სახის სოციალურ ტრანსფერტს, ხოლო 12% - ერთ სახეობაზე მეტ სოციალურ ტრანსფერტს. ყველაზე ფართოდ გავრცელებული სოციალური სარგებელი პენსიაა, რომელმაც შინამეურნეობათა 54% მოიცვა, მიზნობრივმა სოციალურმა დახმარებამ - 11,5%, ხოლო კატეგორიებზე დაფუძნებულმა შეღავათებმა კი - შინამეურნეობათა 7%. (გაეროს ბავშვთა ფონდი 2010წ.: 39-40)

მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევამ აჩვენა, რომ სიღარიბის ოფიციალურ ზღვარს მიღმა მყოფი შინამეურნეობების ერთ მესამედზე მეტი საერთოდ არანაირ სოციალურ ტრანსფერტს არ იღებდა. განსახვავებულია საჭიროებების შეფასებაზე დაფუძნებული ზღვრული სარეიტინგო ქულა, რომელიც იზომება მედიანური მოხმარების 60 პროცენტის მიხედვით. (გაეროს ბავშვთა ფონდი 2010წ.:35) ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ უკიდურესად ღარიბი შინამეურნეობები (მოხმარება ერთ ეკვივალენტურ მოზრდილზე დღეში ერთ აშშ დოლარზე ცოტა) ნაკლები ალბათობით მიიღებენ რაიმე სახის სოციალურ ტრანსფერტს, ვიდრე შედარებით უფრო შეძლებული შინამეურნეობები. (გაეროს ბავშვთა ფონდი 2010წ.:62)

თანამედროვე პერიოდში სოციალური დაცვის სისტემის სრულყოფა უნდა განიხილებოდეს ორ ასპექტში: დასაქმების პოლიტიკის და ოპტიმალურ საგადასახადო პოლიტიკის გატარებით მიღწეული უნდა იქნას დასაქმებული ადამიანების და მისი ოჯახების ცხოვრების დონე ამაღლება და ამავე დროს დაზღვევის მექანიზმის პოპულარიზაციის მიზნით მოხდეს მათი წახალისება სოციალური რისკების რეალიზაციის პირობებში ფინანსური მდგომარეობის შენარჩუნებით ან საპენსიო დანაზოგების შექმნით. ასევე დამსაქმებელი გონივრული ხარჯით უნდა ახდენდეს დასაქმებულთა ღირსეული ხელფასის გადახდას და სოციალურ დაზღვევას. თითოეული მხარის მიერ საკუთარი შესაძლებლობების და ინტერესების გათვალისწინებით მოხდება ყველა სუბიექტის ინტერესთა ურთიერთქმედება და მიიღწევა ყველა სახის პასუხისმგებლობის ჰარმონიზაცია, ინტერესთა დაკმაყოფილება. ამის მიღწევა სოციალური დაზღვევის მექანიზმის გამოყენებით არის შესაძლებელი.

თავი 2. სოციალური დაზღვევის, როგორც სოციალური დაცვის განვითარების ეტაპები.

2.1 სოციალური დაზღვევის თავისებურებები საზღვარგარეთის ქვეყნებში

XX საუკუნის დასასრულს მოსახლეობის სოციალური დაცვა ნებისმიერი ცივილიზებული სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის მთავარ ატრიბუტად იქცა. სოციალური დაცვის ამოცანა მოსახლეობის შემოსავლების სტაბილურობის მხარდაჭერაში, სამედიცინო დახმარების მიღების ერთნაირ ხელმისაწვდომობაში და აუცილებელი სოციალური მომსახურების გაწევაში მდგომარეობს. მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში ჩამოყალიბებულია სოციალური დაცვის ორგანიზებული სისტემა. განვითარებულ სახელმწიფოებში სოციალური დაცვაზე გაწეული დანახარჯები მთლიანი შიდა პროდუქტის მეოთხედზე მეტს შეადგენს. სოციალური დაცვის ყველაზე მეტად განვითარებული სისტემა ევროკავშირის ქვეყნებს აქვთ. პირველი სოციალური პროგრამები სწორედ იქ გაჩნდა და შემდგომ განვითარდა, რის შედეგაც თანამედროვე ევროპული ქვეყნების ეკონომიკა სოციალურად ორიენტირებულად ითვლება. დასავლეთ-ევროპულ სახელმწიფოებში ყველა მოქალაქეზე გათვლილი სოციალური დაცვის გააზრებული სისტემის არსებობა არა მარტო ხელს უწყობს მათ კეთილდღეობას, აფართოებს და ამყარებს ქვეყნის შრომით რესურსებს, არამედ ქმნის იმის წინაპირობას, რომ ქვეყანაში ადგილი ჰქონდეს ეკონომიკის ზრდას, პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაციის სტაბილიზაციას.

ევროკავშირის ქვეყნებში სოციალური დაცვის სისტემაზე გადამწყვეტ გავლენას დემოგრაფიული ტენდენციები (შობადობის შემცირება და სიბერე), ეკონომიკური ინტეგრაციისა და ეკონომიკური გლობალიზაციის გამლიერება ახდენს. ეს დღის წესრიგში სვამს ახალი გზების ძიების აუცილებლობას. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ევროკავშირის ქვეყნებში არსებული სოციალური დაცვის სისტემების მოდერნიზების ყველაზე ეფექტური ვარიანტების შეფასება მათი ცალკეული პროგრამების მაგალითზე (საპენსიო უზრუნველყოფა, სამედიცინო დაზღვევა და მომსახურება, სოციალური დახმარება).

სოციალური დაცვის თანამედროვე სისტემების ჩამოყალიბება დაკავშირებულია ინდუსტრიალიზაციის პროცესთან, სოციალურ პროცესებში სახელმწიფოებრივი რეგულირების გაძლიერებასთან, საზოგადოების სოციალურ-დემოგრაფიული სტრუქტურის გართულებასთან. თავდაპირველად სოციალურ რისკებს ნებაყოფლობითი წესით, ხელოსნებსა და ვაჭრებს შორის შექმნილი ურთიერთდახმარების ფონდების ხარჯზე ფარავდნენ (საამქრო სალაროები), შემდეგ - დაქირავებული მუშების ხარჯზე (მუშათა ურთიერთდაზღვევის სალაროები). ინდუსტრიალიზაციამ და ამით გამოწვეულმა მოსახლეობის მასობრივმა პროლეტარიზაციამ, მშრომელთა ცხოვრების დაბალმა დონემ XIX საუკუნის მიწურულს წარმოშვა სავალდებულო სოციალური დაზღვევა - დამსაქმებელთა და სახელმწიფოს მონაწილეობით.

ევროპულ ქვეყნებში სავალდებულო სოციალური დაზღვევის ცალკეული სისტემების დანერგვის მონაცვლეობა იმაში მდგომარეობს, რომ, როგორც წესი, დაზღვევა უპირველესად უბედურ შემთხვევებზე ხდებოდა. შემდეგ - სამედიცინო, საპენსიო დაზღვევა და გაცილებით მოგვიანებით, უმუშევრობაზე. სოციალური დაზღვევის დანერგვის მოცემული თანმიმდევრობის ახსნა ორი ფაქტორის მეშვეობით შეიძლება. პირველი- სადაზღვევო სისტემების ორგანიზების სირთულის სხვადასხვა დონე. მეორე- ამ სისტემების ლიბერალურ პრინციპებზე და საბაზრო ეკონომიკაზე სრული შესაბამისობა. ლიბერალური საბაზრო ეკონომიკის ტრადიციები შეცვალა როგორც სავალდებულო სოციალური დაზღვევის წარმოშობამ, ისე სახელმწიფოს მხრიდან პასუხისმგებლობის აღებამ სოციალური პროგრამების მართვა-დაფინანსებაზე, რომელიც მანამდე მხოლოდ ეკლესიის და ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციების კმაყოფაზე იმყოფებოდა. სოციალური დაზღვევის სხვა სფეროებისგან განსხვავებით, საწარმოებში უბედური შემთხვევებისგან დაზღვევის დანერგვა შეიძლება განვიხილოთ როგორც მოვლენა, რომელმაც ყველაზე ნაკლებად შეარყია ლიბერალური ეკონომიკის მანამდე დამკვიდრებული პრინციპები. ხოლო ავადმყოფობის და სიბერის უზრუნველყოფა, პირიქით, ლიბერალური საბაზრო ეკონომიკის პრინციპების უფრო მნიშვნელოვან ტრანსფორმირებას ნიშნავდა, რამეთუ უკავშირდებოდა ამ პროგრამების მომცველი რისკების (როგორც გაჭირვების ინდივიდუალურიდან კოლექტიურ

პასუხისმგებლობის სფეროში) გადმოტანას. ამავდროულად ასაკობრივი და ავადმყოფობის სოციალური დაზღვევის სისტემები მოითხოვდა გაცილებით მაღალი დონის ადმინისტრაციულ ინოვაციებს, ვიდრე ეს იყო უბედური შემთხვევებისგან დაზღვევა, რომლის განხორციელება თავად დამსაქმებლებზე იყო მინდობილი. და ბოლოს, საპენსიო და სამედიცინო დაზღვევის დაფინანსება გაცილებით მეტ სახსრებს მოითხოვდა, ხოლო შემოწირულობებსა და სოციალურ მომსახურება-ანაზღაურებებს შორის თანაფარდობით გაანგარიშება დაზღვევების წინაშე უფრო რთულ ადმინისტრაციულ-ფინანსურ ამოცანებს აყენებდა. უმუშევრობასთან დაკავშირებული დაზღვევის რეალიზება ყველაზე დიდ სიძნელეებს აწყდებოდა. პირველ რიგში, ეს დაკავშირებული იყო საზოგადოებრივ-ეკონომიკური მიზეზებით გამოწვეული უმუშევრობის, როგორც სოციალური რისკის ინტერპრეტაციასთან. გარდა ამისა, ეკონომიკის ციკლურ რყევებზე დამოკიდებულება უმუშევრობას დაზღვევად რისკად აქცევდა. უმუშევრობასთან დაკავშირებული დაზღვევის გაჩენის პერიოდის განმასხვავებელი ნიშანი იყო ეკონომიკური პოლიტიკისადმი ნეოკლასიკური მიდგომების მოჭარბება, რომელიც უარყოფდა ეკონომიკურ პროცესებში სახელმწიფოს მხრიდან არსებითი ჩარევების აუცილებლობას. ასეთი მიდგომების მიხედვით, უმუშევრობა აღიქმებოდა როგორც ინდივიდის ნებაყოფლობითი არჩევანი, ხოლო ამ ტენდენციის ზრდა - არაკეთილხელსაყრელი ეკონომიკური კონიუნქტურის პერიოდებში, როგორც დროებითი მოვლენა, რომლის დაძლევა შესაძლებელია თვითრეგულირებადი საბაზრო მექანიზმების წყალობით. ამასთან დაკავშირებით, გატარებული ზომები, პირველ რიგში, უკავშირდებოდა ეკონომიკური კრიზისების დროს უმუშევრობის შედეგების შერბილებას.

ადრეულ პერიოდებში არსებული ურთიერთდახმარების კოლექტიური ფორმებისგან განსხვავებით, XIX საუკუნის დასასრულსა და XX-ს დასაწყისში წარმოქმნილ სავალდებულო სოციალური დაზღვევის სისტემებს გააჩნიათ თვისობრივ-ხარისხობრივი თავისებურებები. პირველ რიგში, ისინი ემყარება სახელმწიფოს მიერ საკანონმდებლო რეგულირებას. მეორე – ისინი სოციალური ანაზღაურებით და მომსახურებით უზრუნველყოფენ მოსახლეობის დაცვას სოციალური რისკების

ამოქმედებისას. როგორცაა საწარმოო უბედური შემთხვევა, ავადმყოფობა, ინვალიდობა, სიბერე, მარჩენალის გარდაცვალება და უმუშევრობა. სოციალური დახმარებების ადრეული ფორმებისგან განსხვავებით, დაზღვევის ახალი სისტემები მშრომელთა უფრო მეტ რაოდენობას მოიცავდა, და ამ სისტემებს სავალდებულო ხასიათი აქვს, ერთის მხრივ, მშრომელთა სოციალური დაზღვევაში აუცილებლობას, მეორეს მხრივ, სახელმწიფოს გარკვეულ (საკანონმდებლო-ადმინისტრაციულ) ვალდებულებებს აკისრებს სოციალურ დაზღვევასთან მიმართებით, იმ კატეგორიებისთვის, ვინც სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ ერთვება ნებაყოფლობით დაზღვევაში. სოციალური დაზღვევის სისტემების მნიშვნელოვანი თავისებურება ისიც არის, რომ სოციალური უზრუნველყოფა ამჟამად განიხილება როგორც მოქალაქის უფლება სოციალური მომსახურებების და შემწეობის მიღებაზე, და არ უკავშირდება (როგორც ეს ადრე იყო სოციალური ქველმოქმედების შემთხვევებში) მის სოციალურ-პოლიტიკურ დისკრიმინაციას. შესაბამისად, სოციალური დაზღვევის სისტემის ფორმირება ნიშნავდა სოციალური მხარდაჭერის პრინციპებისკენ სრულ შემობრუნებას. თუ ადრე სოციალური ქველმოქმედება (მზრუნველობა) განიხილებოდა როგორც საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნების საშუალება, დღესდღეობით სოციალური დაზღვევა დაუკავშირდა შემოსავლების დაკარგვის კომპენსირების აუცილებლობის შეგნებას, რაც, როგორც ინდივიდუალური, ისე საზოგადოებრივი კეთილდღეობის წინაპირობაა.

მაშასადამე, სავალდებულო სოციალური დაზღვევის ქვაკუთხედი მდგომარეობდა სოციალური რისკების დაზღვევაში: პასუხისმგებლობის გადანაწილება დამქირავებელს, დაქირავებულ მშრომელსა და სახელმწიფოს შორის. გარდა ამისა, დაქირავებულ მუშათა სავალდებულო სოციალური დაზღვევა ხაზს უსვამდა საკუთარ კეთილდღეობაზე ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას. თუმცა ნებაყოფლობითი პირადი დაზღვევისგან განსხვავებით, უზრუნველყოფდა სოციუმის სოლიდარულ გათანასწორებას. ყველაფერთან ერთად, დამქირავებლის და სახელმწიფოს მონაწილეობა გამოკვეთდა საზოგადოებრივ სოლიდარობას.

ევროკავშირის (ეკ) ქვეყნების სოციალური დაცვის ეკონომიკური მოდელების არსებული ტიპოლოგიის საფუძველზე, რომლებსაც ამყარებს ევროკომისიის

დოკუმენტები (კონტინენტური, ანგლო საქსონური, სკანდინავიური და სამხრეთ ევროპული), შევეცადეთ გაგვეანალიზებინა ევროკავშირის ოთხი ქვეყნის (გერმანიის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, შვედეთის) და აშშ-ს სოციალური დაცვის სისტემების თავისებურებები.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის (გფრ) სოციალურ დაცვაში ცენტრალურ ადგილს იკავებს სოციალური დაზღვევა. სოციალური დაცვის ორგანიზება თვითმმართველობის პრინციპით იქმნება, რომლის თანახმად, სოციალური დაცვის დაწესებულებებს სახელმწიფო მართვის ინსტიტუტებისგან სამართლებრივი, ფინანსური და საორგანიზაციო დამოუკიდებლობა აქვთ მოპოვებული. მიუხედავად ამისა, სახელმწიფო სამართლებრივ საფუძველს ქმნის, რომელზეც აგებულია დამზღვევს და დაზღვეულს შორის დამოკიდებულება; იგი სამართლებრივ ზედამხედველობას ახორციელებს სოციალური დაცვის ორგანოებზე. უფლებამოსილია შეისწავლოს და გადაამოწმოს სადაზღვევო ორგანიზაციების ფინანსურ-კომერციული საქმიანობა. გფრ-ს სოციალური დაცვის სისტემისთვის, ორგანიზაციული კუთხით დამახასიათებელია სოციალური დაზღვევის განმხორციელებელი დაწესებულებების ავტონომიურობა: სოციალური დაზღვევის და სოციალური დაცვის სისტემასთან ერთად გათვალისწინებულია სოციალური დახმარების მექანიზმები, რომლებიც იმ შემთხვევაში იწყებს მოქმედებას, როდესაც სადაზღვევო და სოციალური დახმარების ყველა სახეობა ამოწურულია. სოციალური დახმარების სისტემის დაფინანსება ხდება დაზღვეულ დამქირავებელთა და დაქირავებულ მშრომელთა საწევრო შენატანებისგან, სახელმწიფო ბიუჯეტიდან და დაფინანსების ორივე ნაირსახეობის კომბინაციის ხარჯზე. სოციალური ვალდებულებების შესრულების გარანტი სახელმწიფოა, ახდენს რა ხარჯების დასაფარად თანხების გადანაწილებას სახელმწიფო ბიუჯეტის სახით. ამის მიზეზია, სახელმწიფოს მიერ სოციალური საბაზრო ეკონომიკის პირობებში, სოციალური დაცვის ორგანოების განსაკუთრებული როლის აღიარება. გერმანიაში სოციალური დაზღვევა ხორციელდება 1883 წლიდან. სავალდებულო სოციალურ დაზღვევას ექვემდებარება ყველა დაქირავებული მშრომელი, რომლებიც შემოსავალს იღებენ გარკვეულ თანხაზე ნაკლებს (ქვეყანაში 2 საშუალო ხელფასს). დაზღვევა ხორციელდება საწარმოო ან მიზნობრივი

ჯანმრთელობის დამზღვევი სალაროებიდან. დაზღვეულებს უფლება აქვთ აირჩიონ დამზღვევ სალაროებთან ხელშეკრულებით მომუშავე ექიმებიდან რომელიმე. სადაზღვევო შენატანი დამსაქმებლებისთვის და მშრომელებისთვის 6,95%-ს შეადგენს. (Бурлачков 2001:180)

დაზღვეულთა ერთ-ერთ ყველაზე მაღალ წილობრივ მონაწილეობას მსოფლიოში სოციალური დაზღვევის ფორმირებაში შეადგენს მშრომელთა შენატანები - 30%. შრომისუნარიანობის დროებითი დაკარგვისას შემწეობები გაიცემა ხელფასის 80%-ით. გარდა ამისა, ანაზღაურდება დახმარებები ორსულობაზე, მშობიარობაზე, ბავშვის მოვლაზე და 8 წლამდე ასაკის ბავშვზე. შრომისუნარიანობის დაკარგვისას სრული პენსია შეადგენს შემოსავლების 2/3-ს. აგრეთვე ხორციელდება ანაზღაურებები სტომატოლოგიური დაავადებების პროფილაქტიკაზე, დისპანსერიზაციაზე და სტაციონარულ მკურნალობაზე. (Бурлачков 2001:108)

გერმანიის სამედიცინო დაზღვევის სისტემას ავტონომიური ხასიათი აქვს და არ არის დამოკიდებული სახელმწიფო ბიუჯეტზე. სავალდებულო დაზღვევის სისტემა მოიცავს დაავადების პროფილაქტიკას და დიაგნოსტიკას, ამბულატორულ-სტაციონარულ პირობებში მკურნალობას, მედიკამენტებით და დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფას, შემწეობის გადახდას შრომისუნარიანობის დროებითი დაკარგვისას (6 კვირამდე დამსაქმებლები ანაზღაურებენ), ფულად დახმარებას ორსულობის შეწყვეტისას, დედობაზე, გარდაცვალებისას. ნებაყოფლობითი სამედიცინო დაზღვევა გავრცელებულია მაღალშემოსავლიან მოქალაქეებში და მათში, რომლებიც პროფესიული საქმიანობის გამო არ ექვემდებარებიან სავალდებულო დაზღვევას. (Бурлачков 2001:200)

სოციალური დაზღვევის მართვას პარიტეტულ საფუძველებზე ახორციელებენ სახელმწიფოს, დამსაქმებელთა და მშრომელთა პროფკავშირების წარმომადგენლები. ზოგიერთ სადაზღვევო ორგანიზაციაში ხელმძღვანელობა მხოლოდ მშრომელთა და დამსაქმებელთა წარმომადგენლებისგან შედგება.

საფრანგეთში სავალდებულო სოციალური დაზღვევა 1946 წლიდან არის შემოღებული და დღევანდელი დღისთვის მოსახლეობის მშრომელი ნაწილის 81%-ს მოიცავს. ესენი არიან დაქირავებული მუშები, ვაჭრობაში დაკავებულები, სახელმწიფო

მოხელეები, სტუდენტები, ინვალიდი და ვეტერანი მეომრები, ობლები, სოფლის მეურნეობის მშრომელები. დაზღვევის განსაკუთრებული სისტემებია შემოღებული მეზღვაურებისთვის, რკინიგზელებისთვის, სამხედროებისთვის. მკურნალობის 20%-ს თავად ავადმყოფი იხდის. საფრანგეთში სახელმწიფოს ერთ-ერთი ყველაზე დაბალი წილია სოცდაზღვევის ბიუჯეტში - 20,5% და ერთ-ერთი ყველაზე მაღალი - დამსაქმებელთა მონაწილეობისა - 52,8%. (Бурлачков 2001:108)

1970 წ.დან 2010 წლამდე საფრანგეთში სოციალურ დაცვაზე გამოყოფილი ხარჯები გაიზარდა 17.5%-იდან 30.9%-მდე ევროკავშირის სტატისტიკური ბიუროს მონაცემებით, სოციალური დანახარჯების ასეთი წილი საფრანგეთს შვედეთ-დანის შემდეგ მეოთხე ადგილზე აყენებს. (Lechevalier 2006:103); (Экономическая и 1992:71) ამ ქვეყნებისათვის დამახასიათებელია შემდეგი ნიშნები: პირველი - სოციალური დაზღვევის პროფესიულ-დარგობრივი სქემის განშტოებითი სისტემის არსებობა. მეორე - საოჯახო შემწეობების განვითარებული სისტემა, რომელიც ხანგრძლივი ევოლუციის შედეგია და რომლის განმავლობაშიც შემოღებული და სრულყოფილ იქნა სახელმწიფო საოჯახო პოლიტიკისა და შემწეობების ფორმის სხვადასხვა ინსტრუმენტი. მესამე - სოციალური დაცვის დამატებითი სისტემების დიდი როლი, განსაკუთრებით საპენსიო და სამედიცინო დაზღვევაში. სოციალური დაცვის ფრანგული სისტემის კიდევ ერთი დამახასიათებელი ისაა, რომ მის ფუნქციონირებას საფუძვლად უდევს არამხოლოდ სოციალური დაზღვევის სახელმწიფო სქემები, ან დამატებითი პროფესიული სავალდებულო დაზღვევის მექანიზმები, არამედ დაფინანსების გადანაწილებითი პრინციპიც.

საფრანგეთში სოციალური დაცვის მართვა იერარქიულად არის მოწყობილი და ეროვნულ-რეგიონულ დონეზე მოქმედებს სადაზღვევო სალაროების სახით, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან სოციალური დაცვის ამა თუ იმ სახეობაზე. სოციალური დაცვის რეგიონულ-ადგილობრივი სალაროები თვითმმართველობით ორგანიზაციებია, რომელთა შორის ყოველ მათგანს საკუთარი, დაზღვეულთა და დამქირავებელთაგან შემდგარი გამგეობა ჰყავს. გამონაკლისია უმუშევრობისგან დაზღვევა და საოჯახო შემწეობები, რომლებშიც სახელმწიფო დოტაციების წილი არსებითად უფრო მაღალია,

ვიდრე სოციალური უზრუნველყოფის სხვა სფეროებში. აგრეთვე უბედური შემთხვევებისგან დაზღვევა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ დამსაქმებლის შენატანებით ფინანსდება.

მოსახლეობის სოციალური დაცვის ბრიტანული სისტემისათვის დამახასიათებელია ორი სპეციფიური თავისებურება. პირველი, ამ სისტემის ფარგლებში არ არსებობს სპეციალური, საორგანიზაციო ფორმირებული ინსტიტუტები, რომლებიც დაკავებული იქნებოდნენ სოციალური რისკების კონკრეტული სახეობებით.

- დაზღვევა სიბერეზე, ავადმყოფობაზე, უმუშევრობაზე, საწარმოო უბედურ შემთხვევაზე და ა. შ.
- სოციალური დაცვის ყველა პროგრამა სოციალური დაცვის ერთიან სისტემაშია გაერთიანებული.

დიდი ბრიტანეთის სოციალური დაცვის სისტემის დაფინანსების სტრუქტურა ორად იყოფა - ეროვნული ჯანდაცვა და ეროვნული სოციალური დაზღვევა. აქედან პირველი ფინანსდება უპირატესად სახელმწიფო ბიუჯეტიდან, მეორე კი - მეწარმეთა და დაქირავებულ მუშათა საწევრო შენატანების ხარჯზე. თითქმის 90%-ით ბიუჯეტიდან დაფინანსებული ჯანდაცვის გარდა, საგადასახადო დაფინანსება დამახასიათებელია საწარმოო უბედური შემთხვევებისთვის და საოჯახო დახმარებისთვის. ამგვარად, დიდი ბრიტანეთის სოციალური დაცვის სახელმწიფო სისტემის თავისებური დამახასიათებელი ისაა, რომ იგი არ ითვალისწინებს მიზნობრივ სადაზღვევო შემოწირულობებს, რომლებიც კონკრეტული სადაზღვევო პროგრამებისთვის (საპენსიო, სამედიცინო, ინვალიდობის პენსიებისთვის) იქნება გათვლილი.

დიდი ბრიტანეთის სოციალური დაცვის სისტემა 1944-1948 წლებში ჩამოყალიბდა. თავდაპირველად უ. ბევერიჯის მოდელის თანახმად, სადაზღვევო შენატანები და შემწეობები ყველასთვის თანაბარი გახლდათ. (Бурлачков 2001:220) მაგრამ სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდასთან, აგრეთვე ერის დაბერებასთან და ამასთან დაკავშირებულ შემწეობის მიმღებთა რაოდენობრივ მატებასთან დაკავშირებით, დამზღვევთა საწევრო შენატანები სულ უფრო იზრდებოდა. 1975 წელს მიღებულ იქნა კანონი სოციალურ დაზღვევაზე, რომლის მიხედვით სადაზღვევო შენატანები და შემწეობები

დიფერენცირებული გახდა. მატერიალური დახმარების გაწევა ყველაზე უფრო გაჭირვებულებზე დაიწყო. 1988 წელს ახალი კანონის მიღების შემდეგ, სახელმწიფო თანდათან გაერიდა სოციალური გარანტიების გაცემას. (Бурлачков 2001:220) მიღებულ იქნა ზომები კერძო სადაზღვევო კომპანიებში და სოციალურ-სადაზღვევო ფონდებში სოციალურ რისკებზე დაზღვევისადმი დაინტერესების გაზრდაზე (მაგალითად, შეთავაზებული იყო საგადასახადო შეღავათები ფონდებში სახსრების და ინვესტიციების გადაგზავნაზე). ამავდროულად გაუქმდა სამთავრობო დოტაციები სოციალური დაზღვევის სახელმწიფო ფონდისადმი.

აშკარაა, რომ დიდ ბრიტანეთში სოციალური დაზღვევის თანამედროვე სისტემა შედგა შემდეგი პირობების დაცვის გამო: ფონდის აქტივების მაღალი კაპიტალიზაციით, მდგრადი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფით, ეფექტური მმართველობით, წარმატებული ფულად-საკრედიტო სისტემით, ქმედითი სამართლებრივი კონტროლით კერძო ბიზნესზე. ქვეყნის ჯანდაცვის ბიუჯეტი ფორმირდება საერთო საგადასახადო შემოსავლებით და ფარავს მოსახლეობის ყველა დანახარჯის 87%-ს სამედიცინო დახმარებაზე. ნებაყოფლობითი სამედიცინო დაზღვევით სადაზღვევო კომპანიები, ანაზღაურებენ რა სახელმწიფო საავადმყოფოებში საწოლების 3-4%-ს. 65 წელზე უფროსი პირები დაზღვევას არ ექვემდებარებიან. მაგრამ თუ სადაზღვევო შეთანხმება ამ ასაკამდე შედგა, იგი სიცოცხლის შემდეგ წლებშიც შენარჩუნებულია. (www.dh.gov.uk) დიდი ბრიტანეთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურში სამი მიმართულება გამოიკვეთება: საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, ზოგადი პრაქტიკის, ჰოსპიტალური პრაქტიკის.

შვედეთის სოციალური დაცვის ძირითადი პრინციპი მისი უნივერსალურობაა, ანუ მოსახლეობის ყველა ფენის მომცველობა. ევროპის მრავალი "სოციალური ეკონომიკისთვის" დამახასიათებელი მეორე მნიშვნელოვანი პრინციპი (რომელიც ყველაზე კარგად შვედეთში განხორციელდა), გახლავთ სოციალური სოლიდარობა. იგი სოციალური სტატუსის მიუხედავად, თანაბარ მნიშვნელოვნად ყველა მოქალაქის მონაწილეობას გულისხმობს სოციალური დაცვის სისტემის დაფინანსებაში. თავიანთი შემოსავლების თანაზომიერი წილის შეტანის ფონდში. ასეთ სისტემაში

უმნიშვნელოვანესი ელემენტია სახელმწიფო, კისრულობს რა სოციალური კეთილდღეობის გადანაწილების ფუნქციას მოსახლეობის შეძლებული ფენიდან შედარებით ნაკლებად უზრუნველყოფილი ფენის სარგებლად. თუ ვიანგარიშებთ შემოსავალს მხოლოდ ხელფასის ფორმით (საშუალოდ თვეში 2,5 ათას დოლარამდე), მაშინ ქვეყნის მოსახლეობის 36% ღარიბად შეიძლება ჩაითვალოს (რაც მსოფლიოს ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებს შორის უმაღლესი მაჩვენებელია). მაგრამ საერთო საზოგადოებრივი შემოსავლების საგადასახადო და სოციალური დახმარებების სისტემების მეშვეობით გადანაწილების შემდეგ (სახელმწიფო ბიუჯეტის 1/3 სოციალურ მოთხოვნებზე იხარჯება), ამას დამატებული მუნიციპალური ბიუჯეტების სოციალური ვალდებულებები (საპენსიო და სადაზღვევო ფონდებიდან ანაზღაურებები), ღარიბთა კატეგორიაში საბოლოოდ მოსახლეობის მხოლოდ 5,6% ექცევა. (www.statistics.gov.uk)

შედარებისთვის, აშშ-ს ანალოგიური მაჩვენებლები შეადგენს 27 და 17,8%-ს. (www.usa.gov) ამგვარი სისტემის სიძვირეს (შვედეთში დაბეგვრის საგადასახადო სისტემა ერთ-ერთი ყველაზე მაღალია მსოფლიოში) სრულად აკომპენსირებს მოსახლეობის ყველაზე მაღალი დონის სოციალური დაცულობა. არ შეინიშნება შოკისმომგვრელი კონტრასტები სიღარიბესა და სიმდიდრეს შორის, შესაბამისად სოციალურ-პოლიტიკური სტაბილურობაც მდგრადია.

აშშ-ს სოციალური დაცვის სისტემა მე-20 საუკუნის 30-იან წლებში ჩამოყალიბდა. შედგება ფედერალური კანონმდებლობით და ცალკეული შტატების კანონმდებლობით მიღებული სოციალური პროგრამებისგან. (Бурлачков 2001:158)

სოციალური გადასახადი დამსაქმებლებისგან და მუშა-მოსამსახურეებისგან 7,15%-ია, ხოლო სხვა თავისუფალი პროფესიის მქონე პირებისგან - 14%. (www.usa.gov) საწარმოო ტრავმატიზმის შემთხვევებში დაზღვევა ცალკეული შტატის დონეზე ანაზღაურდება, შეადგენს შემოსავლების 2/3-ს. აგრეთვე სადაზღვევო გადახდები წარმოებს ინვალიდობაზე, მარჩენალის დაკარგვაზე, თუ პიროვნებას გარდაცვალებამდე სიბერეზე პენსიის უფლება ჰქონდა. ფართო გავრცელება ჰპოვა ნებაყოფლობითმა სოციალურმა დაზღვევამ, ვინაიდან სადაზღვევო შენატანების სახით გადახდილი თანხები დაბეგვრისგან თავისუფლდება. კერძო სადაზღვევო ფონდებზე კონტროლს ახორციელებს

სპეციალიზებული ფედერალური სააგენტო. სიბერეზე პენსიებს იხდის როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სადაზღვევო ფონდები. 1997 წელს ხანდაზმული მოსახლეობის 36%-მა პენსიები სავალდებულო დაზღვევის ფონდიდან მიიღო, 24%-მა კი ნებაყოფლობითი დაზღვევიდან, დანარჩენი მოსახლეობა თავს საკუთარი დანაზოგებით და სხვა წყაროებიდან ირჩენდა. (www.usa.gov) აშშ-ს კონსტიტუცია არ ითვალისწინებს სამედიცინო დახმარებით ყველა მოქალაქის უზრუნველყოფას. გამონაკლისი მხოლოდ მოქალაქეთა ცალკეული ჯგუფებია: ხანდაზმულები, ინვალიდები და სილატაკეში მყოფი ზოგიერთი ჯგუფები. სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევა მოსახლეობის 27%-ს გააჩნია. დომინირებულ როლს თამაშობს ნებაყოფლობითი დაზღვევა. (www.usa.gov) მშრომელი მოსახლეობის 75%-ს დამსაქმებელი აზღვევს. ასევე მოსახლეობის 73%-ს კერძო დაზღვევა აქვს. 1929-1933 წლების ეკონომიკური კრიზისის შემდეგ აშშ-ს მთავრობამ სოციალურ სფეროში საერთო სახელმწიფო ზომების გატარებას მიმართა. ქვეყანაში სოციალური დაზღვევის ერთიანი, საერთო-ეროვნული სისტემა არ არსებობს. იგი წარმოიქმნება სხვადასხვა სახის სოციალური პროგრამებისგან, რომელთა რეგლამენტირებას ფედერალური ან შტატის კანონმდებლობა, ან ორივე ერთობლივად ახდენს. დაზღვევის გარკვეულ სახეობებს (მაგალითად სამედიცინო დაზღვევას) შეზღუდული ხასიათი აქვს. სოციალური უსაფრთხოების სახელმწიფო სისტემა მოიცავს ორ ძირითად ფორმას: სოციალური დაზღვევის და სახელმწიფო შემწეობის, რომლებიც ერთმანეთისგან დაფინანსების წყაროებით განსხვავებული. (Дмитриева 1998:96)

სოციალური დაზღვევის მოქმედი სისტემა არ არის ყოვლისმომცველი. არ არსებობს საყოველთაო სახელმწიფო დაზღვევა ავადმყოფობაზე, ორსულობაზე, მშობიარობაზე. ეს ყველაფერი სამედიცინო მომსახურების მაღალ ფასებთან ერთად აძვირებს მოსახლეობის ცხოვრების ღირებულებას. დაზღვევის კერძო სისტემა სამჯერ უფრო ნაკლებ მოქალაქეებს იცავს სოციალური რისკებისგან (გამონაკლისია სამედიცინო მომსახურება), ვიდრე სახელმწიფო სისტემა.

მარჩენალის დაკარგვის შემთხვევაში შემწეობას ოჯახის წევრები იმ შემთხვევაში იღებენ, თუ გარდაცვალებულს სიბერის პენსიის მიღების უფლება ჰქონდა, ხოლო ოჯახის წევრები (დაქვრივებული მეუღლე, შვილები, მშობლები) მის კმაყოფაზე იმყოფებოდნენ.

შემწეობის მიღების უფლება გააჩნიათ მშრომელებს, რომლებსაც სადაზღვევო შენატანების გარკვეული ოდენობა გადახდილი აქვთ და საერთო ფედერალური პროგრამით დაზღვევის სფეროსთან დაკავშირებულ საწარმოში არანაკლებ 5 წელი აქვთ ნამუშევარი. არა შრომისუნარიანობაზე შემწეობის დარიცხვის ოდენობა და პირობები დაახლოებით ემთხვევა ასაკობრივი პენსიისას. საპენსიო ასაკის მიღწევისთანავე ინვალიდობის პენსია იცვლება ასაკობრივით. (Корнюшина 2004: 36-41)

საერთო ფედერალური პროგრამის ფარგლებში ყველა შემწეობა ფინანსდება სოციალური დაზღვევის გადასახადის ხარჯზე, რომლებიც თანაბარწილად ექვითებათ დაქირავებულ მშრომელებს, სახელმწიფო მოხელეებს, მოსამსახურეებს, მეწარმეებს. საგადასახადო ნიშნული, რომლის მიხედვითაც ექვითება მოსახლეობას სოცდაზღვევისთვის, დგინდება მშრომელებისთვის ხელფასიდან პროცენტული გამოანგარიშებით, მეწარმეებისთვის - ფონდისთვის გადახდილი თანხების პროცენტული მაჩვენებლით. სახელმწიფო სოციალური დაზღვევის სისტემის დამახასიათებელი ნიშანია მუდმივი ტენდენცია გადასახადის მატებაზე, რასაც განაპირობებს როგორც ეკონომიკური, ისე დემოგრაფიული მიზეზები. სოცდაზღვევის სისტემის გრძელვადიანმა კრიზისმა კონგრესი უკვე ორჯერ (1977-1983 წ.წ.) აიძულა სერიოზულად გაეზარდა გადასახადი სოციალურ დაზღვევაზე. ამ გადასახადის ზრდის შემდგომი პერსპექტივები უფრო პრობლემატურად გამოიყურება, კერძოდ, დემოგრაფიული გადახრების გამო მოსახლეობის დაბერებისკენ (1993 წელს ერთ პენსიონერზე - 3,2 გადასახადების გადამხდელი მოდიოდა, 2030 წ - 2:1-ზეა მოსალოდნელი, 2060 წ - 1.8:1-ზე). მაგრამ გადასახადების ზრდასაც კი არ შეუძლია საერთო ფედერალური პროგრამის გადამხდელუნარიანების უზრუნველყოფა. 1935 წლიდან შემოღებულ უმუშევრობისგან დაზღვევა ხორციელდება ფედერალურ-შტატების საფუძველზე. (Дмитриева 1998:96) ფედერალური კანონით განსაზღვრულია უმუშევრობისგან დაზღვევის საერთო პრინციპები, რომლებიც შემდგომ ყოველი შტატის კანონმდებლობით არის დეტალიზებული. უმუშევრობაზე დახმარების მიღების უფლებას მინიმალური სადაზღვევო სტაჟი (წინა წლის ორი კვარტალი) განაპირობებს. აგრეთვე, ახალი სამუშაო ადგილის ძიება და შესაფერისის მოძიების თანხმობის მიცემა. უმუშევრობის დაზღვევის

ფონდები ძირითადად მეწარმეთა გადასახადებისგან მიღებული ფონდებით წარმოიქმნება. მათი ოდენობაც დგინდება გადახდილი ხელფასის პროცენტული თანაფარდობით (6,4%). შემწეობას იხდიან 26 კვირამდე ვადით, რომელიც გახანგრძლივდება უმუშევრობის მაღალი დონის მაჩვენებლის შტატებში კიდევ 19 კვირით. სადაზღვევო შემწეობები ჩვეულებრივ შეადგენს მშრომელის ხელფასის 50%-ს. (www.usa.gov). საწარმოო ტრავმატიზმის და პროფესიული დაავადებების მაღალი დონის გამო აშშ-ში, ძირითადად შტატების დონეზე, არსებობს დაზღვევის პროგრამები. ამ სფეროში არსებული ერთადერთი ფედერალური პროგრამა ახორციელებს პროფესიული დაავადებებით ("შავი ფილტვები") დაზარალებული მეშახტეებისთვის და მათი ოჯახის წევრებისთვის ანაზღაურებებს. პროგრამა უსაფრთხო შრომის ფედერალური კანონით შახტებზე 1969 წლიდან შემოიღეს და 1970 - წლიდან ამოქმედდა. დაფინანსება ფედერალური ბიუჯეტის ხარჯზე ხდება. (Дмитриева 1998:96)

შტატების უმეტესობაში კანონმდებლობა მეწარმეებს პასუხისმგებლობას აკისრებს:

საწარმოო პირობებში მშრომელთა დასახიჩრება, განსაზღვრავს რა ანაზღაურების ოდენობას (მოცულობას) და დროებითი შრომისუუნარობის გამო ანაზღაურების ხანგრძლივობას, ან კომპენსაციის ოდენობას დაღუპულის ოჯახისთვის, თუკი უბედურმა შემთხვევამ მშრომელი საწარმოში (ან იქ მიღებული ტრავმის შედეგად მოგვიანებით) იმსხვერპლა. ანაზღაურების დონე განისაზღვრება ხელფასის ოდენობის პროცენტული თანაფარდობით და 2/3-ზე მეტს არ შეადგენს. ფულადი კომპენსაციის ძირითად ნაწილს იხდიან არა მეწარმეები, არამედ კერძო სადაზღვევო კომპანიები, რადგან მეწარმეები წინასწარ იზღვევენ თავს მსგავსი შემთხვევებისგან. ზოგიერთ შტატში მეწარმეთა გადასახადების ხარჯზე იქმნება სპეციალური ფონდები, საიდანაც შტატის ხელისუფლება დაზარალებულებს და მათ ოჯახებს დაზღვევას უხდის. უკანასკნელ წლებში გაიზარდა საშიშ საწარმოებში დაკავებულ მუშათა რაოდენობა, რომლებიც უბედური შემთხვევისგან თვითდაზღვევას კერძო სადაზღვევო ფირმებში ანიჭებენ უპირატესობას. შტატების უმრავლესობაში ან საერთოდ არ არსებობს პროფესიულ დაავადებებზე მეწარმეთა პასუხისმგებლობაზე კანონი, ან დაავადებების ძალზე ვიწრო წრეს მოიცავს.

მოსახლეობის მხოლოდ ნაკლებშემოსავლიან ფენებზე და პენსიონერებზე ორიენტირებულ სოციალურ-სადაზღვევო ჯანდაცვას შეზღუდული ხასიათი აქვს. ამჟამად, აშშ-ში 60-იანი წლების მიწურულიდან არსებობს ჯანდაცვის სფეროს ორი სახელმწიფო სოციალური პროგრამა: „მედიქერი“ - სახელმწიფო სამედიცინო სადაზღვევო პროგრამა ინვალიდებისა და პენსიონერების დახმარებისთვის; „მედიკეიდი“ - სახელმწიფო სოციალური პროგრამა მოსახლეობის ნაკლებუზრუნველყოფილი ფენების მხარდაჭერისთვის.

უმსხვილესი პროგრამაა "მედიქერი" რომელიც მოიცავს 65 წელს გადაცილებული და არა შრომისუნარიანი მოქალაქეებისთვის სამედიცინო დახმარების გაწევას. ხსენებული პროგრამა ორი ნაწილისგან შედგება: საავადმყოფო დაზღვევა და დამატებითი ამბულატორული დაზღვევა, რომელიც ანაზღაურებს კერძო პრაქტიკის მქონე ექიმთა მომსახურებას. შეღავათების მიმღებმა მოქალაქეებმა გარკვეული შენატანები უნდა გააკეთონ დამატებითი დაზღვევისას, მაგრამ ეს თანხა ძალზე მცირეა, იმ ხარჯებთან შედარებით, რაც სამედიცინო დახმარებისას სჭირდება პაციენტს. სახსრების ძირითადი თანხა შემოდის მშრომელთა და დამსაქმებელთა სოცდაზღვევის გადასახადიდან 2,9%-ის სახით. (www.usa.gov) ამჟამად "მედიქერი" აშშ-ს ჯანმრთელობის დაზღვევის ყველაზე მსხვილი პროგრამაა. ამერიკაში წამყვანი პოზიცია კოლექტიურ დაზღვევას უკავია.

სოციალური დაზღვევის ერთერთი მნიშვნელოვანი სახეა საპენსიო დაზღვევა, რომელმაც ჯერ კიდევ ვერ მოიკიდა ფეხი ჩვენს ქვეყანაში. საქართველოში საპენსიო უზრუნველყოფის სისტემის რეფორმირების მნიშვნელოვან წინაპირობად შეიძლება იქცეს საპენსიო უზრუნველყოფის სისტემის ორგანიზების საზღვარგარეთული გამოცდილება. ვინაიდან საპენსიო დაზღვევა ფინანსური სისტემის სრულყოფის, მისი მდგრადობის და საერთოდ ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი მძლავრი მექანიზმია. ზემოთ განხილულ ევროკავშირის ქვეყნებში ძირითადად მოქმედებს პროფესიული საპენსიო სისტემები, რომლებიც როგორც წესი, ფორმირდება ან კოლექტიური შეთანხმებით და მოქმედებს საწარმოს ან დარგის ფარგლებში (საფრანგეთი, იტალია), ან მოქმედებს საპენსიო უზრუნველყოფის ეროვნული სისტემების ფარგლებში (შვედეთი, დანია, დიდი ბრიტანეთი).

ამ ქვეყნების ჯგუფიდან დიდი ბრიტანეთი გამოიყოფა იმით, რომ აძლევს რა მშრომელებს საშუალებას გავიდნენ სახელმწიფო დამატებითი საპენსიო დაზღვევის პროგრამიდან იმ პირობით, თუკი ისინი საპენსიო დაზღვევის პროფესიულ პროგრამაში გაერთიანდებიან. დანიაში საპენსიო დაზღვევის დამატებითი პროფესიული სისტემები არაა სავალდებულო. თუმცადა პრაქტიკულად იგივე სტატუსი აქვს, რადგან სამსახურში მიღებისთანავე ფორმდება კოლექტიური ხელშეკრულების ფარგლებში (1A). სადაზღვევო საპენსიო სისტემების მქონე ქვეყნებში პროფესიული საპენსიო სქემები უფრო ხშირად ფორმდება კოლექტიური შეთანხმებების საფუძველზე (საფრანგეთი, იტალია) (2B). (იხ. დანართი 3)

პროფესიული საპენსიო დაზღვევა ევროკავშირის ქვეყნებში ორგანიზაციულად შემდეგი სახით არსებობს:

- ა) შიდასაწარმოებრივი სადაზღვევო საპენსიო ფონდი, რომელიც მუშაკთა დანაზოგების აკუმულირებას ახდენს. მოცემული სქემა ტიპურია გერმანიისთვის და ლუქსემბურგისთვის.
- ბ) არასახელმწიფოებრივი საპენსიო ფონდები. ეს პროფესიული საპენსიო დაზღვევის "კლასიკური" ორგანიზების სქემა დამახასიათებელია დიდი ბრიტანეთისთვის და ირლანდიისთვის. ბოლო ხანს კი გავრცელება ჰპოვა ესპანეთსა და იტალიაშიც. არსებობს საპენსიო უზრუნველყოფის პროფესიული პროგრამების არასაწარმო ორგანიზების სხვადასხვა სქემები. საპენსიო ფონდები შეიძლება შეიქმნას როგორც ერთი კომპანიისთვის, ისე მრეწველობაში ჩართული რამდენიმე ფირმისთვის ერთდროულად (საპენსიო ფონდებმა ასეთი პრაქტიკა ჰპოვა ნიდერლანდებში).
- გ) მეწარმის მიერ დაქირავებული მუშის ან მუშათა ჯგუფის პირდაპირი დაზღვევა. ბოლო ორ შემთხვევაში სადაზღვევო სახსრების განთავსება საწარმოს გარეთ სასესხო კაპიტალის ბაზარზე ხდება. საპენსიო დაზღვევის ეს ფორმა პირველ რიგში ანგლო-საქსონური ქვეყნებისთვის არის დამახასიათებელი.

პროგნოზების მიხედვით, 2050 წლისათვის დემოგრაფიული დატვირთვა (განსაზღვრულია როგორც მოსახლეობის რაოდენობრივი თანაფარდობა საპენსიო ასაკში და უფროსებზე შრომისუნარიან მოსახლეობასთან მიმართებით) უნდა გაორმაგდეს.

აშკარაა, რომ დღესდღეობით მრავალი ქვეყნის საპენსიო სისტემისთვის დამახასიათებელი ფინანსური პრობლემები მომავალშიც მოიმატებს და უფრო გამძაფრდება. რაც დაკავშირებულია იმასთან, რომ ევროპული სოციალური სისტემების უმრავლესობა ეფუძნება მშრომელთა ხელფასებიდან განხორციელებულ შენატანებს. ამდენად სისტემა ძალზე მგრძობიარეა ნებისმიერი რყევების მიმართ, განსაკუთრებით შესატანების გადამხდელი ეკონომიურად აქტიურ მოსახლეობასა და საპენსიო შემწეობების მიმღებთა რაოდენობრივი თანაფარდობების ცვლისას.

ევროკავშირის ქვეყნებში საპენსიო სისტემების რეფორმირების მიმდინარე პროცესები უფრო მეტად უკვე არსებულის ნეგატიური ტენდენციების კორექციაა, ვიდრე ძირფესვიანი შეცვლა. მისაღები ზომების სიფრთხილე, მოქნილობა და პირველ რიგში იმას უკავშირდება, რომ ამ სფეროში დანერგილმა ნებისმიერმა მკვეთრმა ცვლილებებმა, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს თაობებს შორის უკვე დამყარებული სოციალური ბალანსის რღვევა, მოსახლეობაში მხარდაჭერას არ პოულობს. აშკარაა, რომ საპენსიო სისტემების შემდგომი რეფორმირებისას მთავარი აქცენტი უნივერსალური ხასიათის მქონე საბაზისო პენსიებზე უნდა გაკეთდეს, რომლებიც მათ მიმღებთა პროფესიულ თავისებურებებს არ უკავშირდება. საპენსიო უზრუნველყოფისათვის სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა, აგრეთვე ინდივიდუალური საპენსიო სქემების და საწარმოო საპენსიო დაზღვევის პროგრამების იმავდროული განვითარება, ნეგატიური ტენდენციების თავიდან აცილების საშუალებას მოგვცემს. ყოველივე ამას განაპირობებს თანამედროვე პოსტინდუსტრიული საზოგადოების სოციალ-ეკონომიკური რეალები.

სოციალური დაზღვევის შემდეგი ობიექტია სამედიცინო დაზღვევა ეკ-ს ქვეყნებში არსებული სამედიცინო დაზღვევის სისტემების ორგანიზების მრავალფეროვნება, მათი მსგავსებები და განსხვავებები გასავრცობად მოითხოვს არამარტო თეორიული, არამედ პრაქტიკული ნიუანსების გამოკვლევას ეროვნული სამედიცინო დაზღვევის სისტემის ფორმირებისათვის. ევროკავშირის ქვეყნებში ჯანდაცვის სისტემების ფინანსირება-ორგანიზების მრავალფეროვნებაში შეიძლება გამოვყოთ ორი ძირითადი მოდელი: სოციალურ დაზღვევაზე დაფუძნებული და ეროვნული ჯანდაცვის (საბიუჯეტო) მოდელი. მაგრამ იმასთან დაკავშირებით, რომ დროთა განმავლობაში ყოველი

სახელმწიფო იძულებული გახდა სრულყოფილ განვითარებამდე დაეყვანა მოქმედი სისტემა, საწყისი სახით იგი არც ერთ ევროპულ ქვეყანაში არ შემორჩა.

ეროვნული ჯანდაცვის სისტემამ განვითარება ჰპოვა დიდ ბრიტანეთში, შვედეთში, დანიაში, ირლანდიაში, იტალიაში. ამ მოდელის ძირითადი ნიშანთვისებაა: მოსახლეობის საყოველთაო ჩართულობა ჯანდაცვის სისტემაში, საგადასახადო შემოსავლებიდან დაფინანსება, პარლამენტის მხრიდან კონტროლი და სამთავრობო ორგანოებიდან მართვა. როგორც წესი, ასეთ სისტემებში ერთადერთი "დამზღვევის" როლში სახელმწიფო გვევლინება. ამ მოდელის ფარგლებში შესაძლებელია ჯანდაცვის დაფინანსების ორი ვარიანტი: ან სახელმწიფო ფონდების შექმნის გზით, რომლის რესურსები შემდგომში სამედიცინო დაწესებულებების დაფინანსებაში გამოიყენება, ან სამედიცინო დაწესებულებების პირდაპირი დაფინანსება, სახელმწიფო ფონდების გვერდის ავლით.

სადაზღვევო სისტემებისგან განსხვავებით, ეროვნული ჯანდაცვის მოდელი საკმაოდ მაღალი ეკონომიურობითაც გამოირჩევა, რაც პირველ რიგში ნაკლები ადმინისტრაციული დანახარჯებით გამოიხატება. გარდა ამისა, სახელმწიფოს მაკროეკონომიკური მეთოდების გამოყენებით მეტი შესაძლებლობა აქვს სამედიცინო მომსახურებაზე დანახარჯები შეამციროს. ამავე მიზეზით საზოგადოებასაც უფრო იაფი უჯდება ჯანდაცვის საბიუჯეტო სისტემა, დაზღვევასთან შედარებით. ნაწილობრივ ეს იმით არის გამოწვეული, რომ როდესაც საქმე ხარჯების კონტროლზე მიდის, საბიუჯეტო ჯანდაცვა უფრო მოქნილად რეაგირებს და ხარჯების რაციონალურად გამოყენების მექანიზმები ერთ სტრუქტურაშია თავმოყრილი. თუმცა ასეთი კონტროლის მედლის მეორე მხარეა საზოგადოებრივი უკმაყოფილება, სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფი პერსონალისგან კრიტიკა და ა.შ.

აღსანიშნავია მოცემული მოდელის სხვა ნაკლოვანებებიც: პირველი - საბიუჯეტო სისტემების მნიშვნელოვანი სისუსტეა მონოპოლიზმისკენ მიდრეკილება, რის შედეგაც შეიძლება იყოს:

1. სამედიცინო მომსახურების მიმღებთა მხრიდან სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებაში მუშაობის გაკონტროლების შეუძლებლობის გამო სამედიცინო მომსახურების ხარისხის მკვეთრი დაცემა;

2. მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესების გარეშე საშუალებების გახარჯვის გამო მუდმივი ხარჯვით მექანიზმის წარმოქმნა;

3. სამედიცინო მომსახურებაზე დეფიციტის გამლიერება, რასაც მოსდევს ხანგრძლივი ლოდინი სამედიცინო მომსახურებაზე.

უკანასკნელი გარემოება ინდიკატორია, რომელიც ჯანდაცვის სისტემის არასაკმარის დაფინანსებაზე მიუთითებს. ჯანდაცვის სფეროში სახელმწიფო საკუთრების მოჭარბება იწვევს სამედიცინო მომსახურებაში თავისუფალი ბაზრის შეზღუდვას და ინვესტიციების კონტროლს. მისთვის დამახასიათებელია სხვადასხვა ადმინისტრაციულ ტერიტორიებს შორის უთანასწორობა სამედიცინო დახმარების გადანაწილებისას, რაც ვლინდება დედაქალაქებში და დიდ ქალაქებში ჯანდაცვის რესურსების კონცენტრირებით. ხოლო რეგიონები მივიწყებულია ან მეორეხარისხოვანია. ყველა საბიუჯეტო სისტემაში არსებობს მუდმივი ზეწოლა (განსაკუთრებით სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფთა მხრიდან) კერძო დაფინანსების სასარგებლოდ და მომხმარებლებისგან გადასახადების წილის ზრდა კერძო დაზღვევის მიუხედავად. სახელმწიფო და კერძო სექტორებში დასაქმებულ ექიმებს შეუძლიათ ლოდინის ვადებით მანიპულირება, რათა ავადმყოფებს პირადი გადახდისკენ უბიძგონ. ამ მოდელის დიდი ნაკლია ცვალებად პოლიტიკურ პრიორიტეტებზე დიდი ფინანსური დამოკიდებულება. ევროკავშირში ჯანდაცვის სადაზღვევო სისტემა წარმოდგენილია გერმანიაში, ავსტრიაში, ბელგიაში, ნიდერლანდებში და საფრანგეთში. ამ მოდელს საფუძვლად უდევს პროფესიული სოლიდარობის პრინციპი, სადაზღვევო ფონდების არსებობა, რომლებსაც პარიტეტულ საწყისებზე მართავენ დამსაქმებლები და დაქირავებული მშრომელები.

ევროკავშირის მთელ რიგ ქვეყნებში სადაზღვევო ფონდები სხვადასხვა პროფესიული, ტერიტორიული, რელიგიური და პოლიტიკური საფუძველითაც კი იქმნება. ქვეყნების უმრავლესობაში ამ ორგანიზაციების მართვა ერთნაირად - დაზღვეულთა და დამზღვევთა წარმომადგენლების მხრიდან ხდება. ასე, რომ ეროვნული ჯანდაცვის სისტემებისგან განსხვავებით, ამ მოდელისთვის დამახასიათებელია დეცენტრალიზებული დაფინანსება. სამედიცინო დახმარების ანაზღაურების სადაზღვევო სისტემას საბიუჯეტოსთან შედარებით შემდეგი უპირატესობები აქვს:

1. ვინაიდან სადაზღვევო მოდელში სადაზღვევო ფონდები მიზნობრივი საფუძვლით იქმნება და პიროვნებათა გარკვეულ წრეზეა გათვლილი, სადაზღვევო მედიცინაც მიზნობრივი და მიმართულებრივი ხდება. ეს ვლინდება მის საბიუჯეტოსთან შედარებით პაციენტზე ორიენტირებით: ექიმი ჯანდაცვის სისტემაში პირველად ინსტანციად გვევლინება, იღებს რა საკუთარ თავზე პასუხისმგებლობას უზრუნველყოს პაციენტი ყველა აუცილებელი სამედიცინო მომსახურებით. საკუთარი შენატანებიდან მკურნალობის ხელმისაწვდომობაზე დამოკიდებულების ფაქტით ავადმყოფს ანიჭებენ მყიდველის სტატუსს. შესაბამისად – დაზღვეულს, დამზღვევს და ექიმს (ან სამკურნალო დაწესებულებას) შორის კავშირი მოლაპარაკებით ხასიათს იძენს;

2. პოლიტიკურ კონიუნქტურაზე ნაკლები დამოკიდებულება;

3. როგორც წესი, სადაზღვევო შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი ადგილზე რჩება (განსხვავებით საბიუჯეტო სისტემისა, სადაც გადანაწილების პრინციპით ტერიტორიული გათანაბრების მიხედვით იგზავნება და ეს სახსრები დაფინანსებისთვის ემსახურება სხვადასხვა ადგილობრივ სამედიცინო პროგრამას);

4. დამზღვევთა და დაზღვეულთა შესაძლებლობა გააკონტროლონ ეს სახსრები, მათი მიზნობრივი ხარჯვა, მიღებული სამედიცინო მომსახურების შესაბამისობით. აგრეთვე, ექიმის თუ სამედიცინო დაწესებულების ფართო არჩევანი. ასევე სადაზღვევო ფონდების და სამეწარმეო დაზღვევის ფართო არჩევანი, რაც ხელს უწყობს სადაზღვევო სფეროში კონკურენციას და მაღალი დონის სერვისის შეთავაზებას;

5. ხარისხიანი სამედიცინო დახმარებით დაინტერესებულ საწარმოთა და მუშაკთა სახსრების გაცილებით მეტი შემოდინების უზრუნველყოფის შესაძლებლობა. ამ გარემოებას ხელს უწყობს სადაზღვევო მედიცინის დაფინანსების გამჭვირვალობა. აგრეთვე, ფონდების პირდაპირი და არა ირიბი (როგორც საბიუჯეტო მედიცინის შემთხვევაში) ჩამოყალიბება. თუმცა იგივე უპირატესობა მკურნალობის გამძირების შემთხვევებში პრობლემებსაც ქმნის. რადგან არ არის დადგენილი მკაცრი საბიუჯეტო შეზღუდვები, სადაზღვევო სისტემები აძლიერებენ ხარჯვითი მექანიზმის მოქმედებას, რაც იწვევს სადაზღვევო ფონდების სახსრების დეფიციტს და მეწარმეთა ან მშრომელთა რეგულარული შენატანების თანხობრივ ზრდას. ამიტომ სადაზღვევო მოდელის

პროცენტებში გამოსახული ღირებულება მთლიან შიდა პროდუქტთან (მშპ) მიმართებით, როგორც წესი, უფრო მაღალია, ვიდრე ეროვნული ჯანდაცვის მოდელში.

სოციალური დაზღვევის რეალური მოდელის ფორმირება მოითხოვს განხილულ იქნას ყველა სოციალური რისკის საწინააღმდეგოდ მიმართული მექანიზმი, რომლებიც აპრობირებულია ამ ქვეყნებში და მის საფუძველზე შედგეს პრინციპები, რაზე დაყრდნობითაც ჩამოყალიბდება სოციალური რისკების დაზღვევადობის სტატუსი და ადრესატი, რომელიც ზემოქმედებას მოახდენს რისკის შედეგზე. აქედან გამომდინარე ვთვლით, რომ ერთ-ერთი ყველაზე მგრძობიარე რისკი, რომელიც სოციალური დონის განსაზღვრის ეპიცენტრს წარმოადგენს არის უმუშევრობა, რომლისგანაც დაზღვევა სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვაგვარად მიმდინარეობს. თეორიული თვალსაზრისით, ეკ-ს ქვეყნებში უმუშევრობის მხარდასაჭერად შექმნილ ყველა სისტემას საფუძვლად სოციალური დაცვის ორი პრინციპი უდევს: სოციალური დაზღვევის და დახმარების პრინციპი. პირველ შემთხვევაში უმუშევრობაზე შემწეობები დამოკიდებულია ადრინდელ სადაზღვევო შენატანებზე და შემოსავლებზე.

შემწეობის გადახდის პერიოდიც შეზღუდულია და დამოკიდებულია ადრინდელი დასაქმების ხანგრძლივობაზე. მეორე შემთხვევაში საუბარია უმუშევრებისთვის გარანტირებული მინიმალური შემოსავლის (უმუშევრობის შემწეობის) გადახდაზე, რომელიც გადაანგარიშებულია ბენეფიციარის ინდივიდუალური მოთხოვნილებების მიხედვით, ხოლო მისი ოდენობა, ჩვეულებრივ სადაზღვევო დახმარებაზე ნაკლებია.

ევროკავშირის ქვეყნების უმეტესობაში უმუშევრობაზე ანაზღაურება ბაზირებულია: პირველი - დაზღვევის და დახმარებისა უმუშევრობის საწყის პერიოდში, და მეორე - შემწეობა, რომელიც უმუშევრობის ხანგრძლივი პერიოდზე გაიცემა. მაგრამ ამ ორ დახმარებას შორის ხშირად არ გადის მკაფიო ზღვარი. ზოგიერთ ქვეყანაში (დიდი ბრიტანეთი) დახმარების პირველი (სადაზღვევო) ნაწილი უკვე შეიცავს შემწეობის ელემენტებს. მაშინ როცა სხვა ქვეყანაში (გერმანიაში) დახმარების მეორე - (შემწეობის) ნაწილი ინარჩუნებს დაზღვევის პრინციპებს. უმუშევრობაზე დაზღვევის სისტემების შედარება გვიჩვენებს, რომ ევროკავშირის ქვეყნებში ამ ორ პრინციპზე თანაფარდობა და მიდგომა განსხვავებულია.

საკითხის ღრმად შესწავლამ დაადასტურა, რომ შემწეობა უფრო დაბალია ისეთ ქვეყნებში, სადაც ის მკაცრად მიზნულია ადრინდელ შემოსავლებზე (გერმანია, საფრანგეთი), ვიდრე ისეთ ქვეყნებში (დანია, ბელგია), სადაც ასეთი დაკავშირება ნაკლებად არის გამოხატული ან საერთოდ არ არსებობს. ეს განპირობებულია იმით, რომ პირველ შემთხვევებში, დახმარების მიმღებები ხდებიან ან ახალგაზრდები, რომელთა წინა პერიოდის დასაქმება ან შემოსავლები შედარებით დაბალი დონის დაცვას უზრუნველყოფს, ან ხანგრძლივი დროით უმუშევრები, რომლებიც შემწეობას იღებენ. უმუშევრობის უზრუნველყოფი სისტემები, რომლებიც დაზღვევის პრინციპებზეა შექმნილი, თანდათან დაკარგავენ თავიანთი დამცავი ფუნქციის არსებით ნაწილს თანამედროვე შრომის ბაზრის ობიექტური თავისებურებების გამო. ეს კი ხელს შეუწყობს იმ ადამიანთა რაოდენობრივ ზრდას, რომლებსაც უფლება აღარ ექნებათ, უმუშევრობის შემწეობა სრულად მიიღონ.

მნიშვნელოვან მომენტად უნდა ჩაითვალოს ასევე სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობის დამოკიდებულება დასაქმების ფორმასთან მიმართებაში. იმდენად, რამდენადაც სადაზღვევო სისტემაში ეს სიდიდე პირდაპირ კავშირშია სადაზღვევო სტაჟის უწყვეტობასთან და წინა შემოსავლებთან, სრული დასაქმებიდან ნაწილობრივ დასაქმებაზე გადასვლის შემთხვევაში მატერიალური დახმარების ოდენობა მცირდება და, პირიქით, იმ სისტემებში, სადაც ამგვარი კავშირი არ არსებობს, ნაწილობრივი დასაქმება არ იწვევს ანაზღაურების ოდენობის შემცირებას უმუშევრობის შემთხვევაში. ამის მაგალითად შეიძლება წარმოვიდგინოთ ქალთა უმუშევრობა, რაც შეიძლება, განვიხილოთ, როგორც ქალთა დიდი კონცენტრაციის ფუნქცია კერძო დასაქმების სექტორში.

ევროკავშირის ქვეყნებს შორის განსხვავება მდგომარეობს ასევე შემდეგში: არის თუ არა დახმარება უმუშევრობის ხაზით ცალკე გამოყოფილი დახმარება, თუ ის ინტეგრირებულია სოციალური დახმარების სისტემაში. ამის საფუძველზე, ევროკავშირში უმუშევრობის კუთხით დახმარების ეროვნული სისტემის სამი ტიპი შეიძლება გამოვყოთ:

- მხოლოდ დაზღვევა უმუშევრობის გამო (საბერძნეთი და პორტუგალია), რომლის დროსაც მეორე ნაწილი, რომელიც გაეწევა ხანგრძლივი უმუშევრობის შემთხვევაში, გათვალისწინებული არ არის.
- დაზღვევა უმუშევრობისა და დახმარება უმუშევრობის გამო (გერმანია, საფრანგეთი, ირლანდია, ავსტრია, ჰოლანდია, ესპანეთი, შვედეთი).
- დაზღვევა უმუშევრობის გამო და სოციალური დახმარება, რომელიც გაიცემა სადაზღვევო დახმარების გაწევის პერიოდის დასრულების შემდეგ (იტალია, ბელგია, ლუქსემბურგი, დიდი ბრიტანეთი, დანია და ფინეთი).

სამი სკანდინავიური ქვეყნისაგან განსხვავებით, (დანია, შვედეთი, ფინეთი), რომელთათვისაც დამახასიათებელია უმუშევრობის ხაზით ნებაყოფლობითი მონაწილეობა დაზღვევაში, რის ორგანიზებასაც ახდენენ პროფკავშირები. ევროპის უმეტესი ქვეყნებისათვის ის არის სავალდებულო (გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, იტალია და სხვ.)

ევროკავშირის ქვეყნების საწარმოო დაწესებულებებში, სოციალური დაცვის სხვა სახეობებისაგან განსხვავებით, უბედური შემთხვევისაგან დაზღვევის სისტემაში დიდი სხვაობა არ არის. ეს დაკავშირებულია ევროპული ქვეყნებისათვის დამახასიათებელი ამ სადაზღვევო რისკების სახეობების ორგანიზების საერთო პრინციპებთან. გარდა ამისა, ეს განპირობებულია ზოგადად მიღებულ სადაზღვევო პრაქტიკასთან, როდესაც პროფესიული რისკები, როგორც წესი, იფარება მხოლოდ დამსაქმებლის ხარჯზე, რომელსაც, ამ შემთხვევაში, მათ წარმოქმნაზე ეკისრება უფრო დიდი პასუხისმგებლობა, ვიდრე თავად დასაქმებულს. ამგვარად, ევროკავშირის ქვეყნების საწარმოებში, უბედური შემთხვევისაგან დაზღვევის სისტემები, მხოლოდ ცალკეულ დეტალებში განსხვავდება. მათ განეკუთვნება დაფინანსებისა და ორგანიზების თავისებურებები. მაგალითად, თუ გერმანიაში სოციალური დაზღვევის ამ დარგით მხოლოდ პროფკავშირები არის დაკავებული, დიდ ბრიტანეთში ის არის სოციალური დაცვის საერთო სისტემის შემადგენელი ნაწილი და იმართება სახელმწიფო დონეზე. გამონაკლისს საერთო პრაქტიკიდან მხოლოდ ჰოლანდია წარმოადგენს, სადაც დაზღვევა უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებებისაგან, როგორც ასეთი არ არსებობს, და

საწარმოო რისკების დაზღვევა სამედიცინო დაზღვევისა და ინვალიდობით დაზღვევის სისტემის ფარგლებში ხორციელდება.

მსოფლიო პრაქტიკაში დამკვიდრდა და უკვე გამართლებულად ითვლება მოსახლეობის სოციალური დაცვის შემდეგი ძირითადი ფორმები (ინსტიტუტები):

- სოციალური დაზღვევა (საჯარო-სამართლებრივი სტატუსით);
- სახელმწიფოს და მუნიციპალიტეტების მიერ გაწეული სოციალური დახმარება;
- კერძო სადაზღვევო ინიციატივა;
- საწარმოების მიერ გაწეული სოციალური მომსახურება.

განვითარებული და სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში სოციალური დაცვის ამ ოთხი ფორმიდან თითოეულს აქვს სავსებით განსაზღვრული როლი. განსხვავებულია მათი ხვედრითი წონა, შემწეობის მიმღებთა წრე, დაფინანსების წყაროები, საორგანიზაციო და მმართველობითი ორგანოების სამართლებრივი სტატუსი. სოციალური დაზღვევა არის მშრომელი მოსახლეობის სოციალური დაცვის ძირითადი, საბაზისო ინსტიტუტები საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში. მისი დანიშნულება საზოგადოებრივი წარმოების ერთ-ერთი ცენტრალური ფუნქციის შესრულებაში - შრომითი ურთიერთობების სფეროში მდგომარეობს. მისი შესრულების რეალიზება კი მდგომარეობს მშრომელთა დაცვაში შრომისუნარიანობის დაკარგვის სოციალური რისკების მასობრივი სახეობებისაგან (ავადმყოფობა, ინვალიდობა, სიბერე), ან სამუშაო ადგილის დაკარგვა (უმუშევრობა), სადაზღვევო რესურსების ფორმირებისა და განაწილების მეშვეობით. სოციალური დაზღვევის მაღალი ეფექტურობა აიხსნება მისი უნარიანობით გადაწყვიტოს ეროვნული მასშტაბის მსხვილი სოციალურ-ეკონომიკური ამოცანები: უზრუნველყონ მუშაკები, რომლებიც აღმოჩნდნენ რთულ ცხოვრებისეულ სიტუაციებში, კომპენსაციებით – შემწეობებისა და პენსიების სახით, რომელთა ოდენობა, როგორც წესი, დაკავშირებულია ხელფასის ოდენობასთან.

სოციალური დაზღვევის ინსტიტუციონალურ მახასიათებლებს წარმოადგენს:

- სოციალური დაზღვევის რესურსები წარმოადგენენ რეზერვირებული ხელფასის ნაწილს, რომელიც უნდა იყოს საკმაოდ მაღალი – მუშაკის ხელფასის 30-50%-ის ოდენობით.

- დამსაქმებელთა და დასაქმებულთა შორის სადაზღვევო დატვირთვის გადანაწილების ტიპურ პროპორციას შემდეგი შეფარდება წარმოადგენს: მისი ოდენობის 2/3 მოდის დამსაქმებელზე და 1/3 – დასაქმებულზე. ცალკეულ ქვეყნებში სახელმწიფო ახდენს სოციალური დაზღვევის ზოგიერთი სახეობის დოტაციას.

- სოციალური დაზღვევის ეფექტური ფუნქციონირების იმპერატიული მოთხოვნა სოციალური დაზღვევის ფონდების ყველა დონის სახელმწიფო ბიუჯეტებისაგან გამოყოფაში (ავტონომიურობაში) მდგომარეობს.

- სადაზღვევო ანაზღაურებების (პენსიები, შემწეობები) ოდენობის მჭიდრო კავშირი ხელფასის ზომასთან და სადაზღვევო ტარიფებთან, აგრეთვე, სადაზღვევო პერიოდთან (სადაზღვევო უფლებების დაგროვების პერიოდი).

უნდა აღინიშნოს სოციალური დაზღვევის ინსტიტუტის სხვა ძლიერი მხარეები, რომლებიც საკმაოდ გამოირჩევა სადაზღვევო დაცვის სხვა ინსტიტუტებისაგან:

- სოციალური დაზღვევა უფრო საიმედოდ და სტაბილურად ფუნქციონირებს სადაზღვევო ველის მასშტაბურობისა და სახელმწიფოს მხრიდან ყოველმხრივი მხარდაჭერის მიზეზით.

- საერთო ფინანსური დატვირთვა არ არის ძალიან საგრძნობი, რადგანაც კანონით დადგენილი ვალდებულება უზრუნველყოფს სადაზღვევო შენატანების რეგულარულ და მასობრივ მოცულობას.

- სადაზღვევო დაცვის ნორმები უზრუნველყოფენ პროფილაქტიკური და სარეაბილიტაციო მომსახურების ფართო წრეს.

სოციალური დაზღვევის, როგორც შემოსავლების სტაბილიზატორისა და მოსახლეობისა და სამუშაო რესურსების აღდგენის მექანიზმის ეფექტურობის შეფასებისას, შეგვიძლია ვაღიაროთ, რომ სოციალური დაცვის მიზნით ეროვნული შემოსავლების დონე არასაკმარისია. ეს, პირველ რიგში, აიხსნება უმუშევრობის მაღალი დონით და დასაქმებულთა ხელფასების საარსებო მინიმუმზე ნაკლები თანხით.

ვთვლით, რომ სახელმწიფომ უნდა ისწავლოს, სილატაკესთან ბრძოლის ამოცანების გადაჭრა საგადასახადო (არა სადაზღვევო) მექანიზმების ჩამოყალიბებით, რაც უზრუნველყოფს სოციალური დაცვის საბაზისო მოდელს (სოციალური პენსიები,

შემწეობები, სამედიცინო დახმარება) და დაიცვას მოსახლეობა უკიდურესი სიღატაკისგან (სიდუხჭირისგან), აგრეთვე შრომის ბირჟაზე გაატაროს დასაქმების ზრდისკენ მიმართული სახელმწიფო პოლიტიკა.

ამგვარად, ათწლეულების განმავლობაში დამყარებული სოციალური დაცვის სოციალისტური მოდელი ჯერ-ჯერობით არსებითი ცვლილებების გარეშე რჩება, ცვლილება მხოლოდ სოციალური დაცვის მექანიზმების შეთანხმებითაა განხორციელებული და სახელმწიფოს როლი დომინირებს. ასეთი პოლიტიკა კი საბაზრო ეკონომიკის პირობებში აფერხებს მუშაკთა და დამქირავებელთა თვით პასუხისმგებლობას დაფინანსების მექანიზმების ჩამოყალიბებაში, აგრეთვე სოციალური რისკების თავიდან აცილებაში და კომპენსირებაში. მაგრამ დღესდღეობით უკვე აშკარაა, რომ სოციალური დაზღვევის პრობლემის გადაჭრის გარეშე, მისთვის ჭეშმარიტად დამახასიათებელი პრინციპების გარეშე, ეფექტური სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის ორგანიზება შეუძლებელია.

ამგვარად, სოციალური დაზღვევის ეროვნული სისტემის ფორმირების კონცეპტუალური წინადადების შემუშავებისას მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ მოცემული სისტემა ძლიერ არის დამოკიდებული ისეთ "გარე" ფაქტორებზე, როგორცაა ხელფასი და გადასახადები, შრომის ბირჟის და დემოგრაფიული მდგომარეობა, აგრეთვე სტრუქტურის ინსტიტუციურ საფუძვლებზე ("შიდა" ფაქტორებზე): მიზნების განსაზღვრაზე, ადამიანის უფლებების და ჰუმანისტურ იდეალებთან შესაბამისობაში მყოფ სოციალურ დაზღვევაზე.

აღსანიშნავია, რომ მოცემული პრინციპების მეთოდური მართებულობის მიუხედავად, მათი მრავალფეროვნება ჩრდილავს მოცემული ინსტიტუტის სხვა სოციალური დაცვის ინსტიტუტებთან არსებულ აზრობრივ სხვაობებს. ამიტომ ზემოხსენებული პრინციპების გარდა უნდა განისაზღვროს მათი სისტემა წარმომქმნელი ბირთვი, რომელსაც ჩვენი აზრით, განეკუთვნება შემდეგი ოთხი პრინციპი.

- პირადი პასუხისმგებლობა;
- სოლიდარული ურთიერთდახმარება;
- ოპტიმალური მხარდაჭერა (სუბსიდირება);

•ნორმატიული ვალდებულებების შესრულებისთვის ურთიერთპასუხისმგებლობა.

პირადი პასუხისმგებლობის პრინციპი. მოცემული პრინციპი მომდინარეობს ბუნებრივი და პოზიტიური უფლების საბაზისო ფასეულობიდან: პიროვნების პირადი განვითარება გულისხმობს ადამიანის საკუთარ თავთან, ოჯახისა და საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობას. მიჩნეულია, რომ ადამიანის თავისუფლება მჭიდროდ არის გადაჯაჭვული პასუხისმგებლობასთან. დამოუკიდებელი ჩამოყალიბება და პირადი ცხოვრების მოწყობა პირად წინდახედულებას და პასუხისმგებლობასაც უკავშირდება. სწორი ქცევები და სწორი გადაწყვეტილებები დიდ როლს თამაშობს, სოციალური რისკების მართვაში.

დასავლეთგერმანული მეცნიერების აზრით, საბაზრო ეკონომიკისთვის პირადი პასუხისმგებლობა ძირითადი პრინციპია ეროვნული სოციალური სადაზღვევო სისტემების შენება-განვითარებისთვის, რომელიც განხორციელებულია თავად მშრომელთა სოციალური რისკების შედეგების კომპენსირების ფინანსურ მექანიზმებში. (Элементы 1992:85) ამისათვის თავად მშრომელებმა ფულადი შენატანები უნდა განახორციელონ, იყენენ რა ერთდროულად დამზღვევები და დაზღვეულები. რაც იმით არგუმენტირდება, რომ მათთვის გადახდილი თანხები უნდა იყოს უფლება, და არა - დახმარება. ხოლო დაზღვეულთა შენატანები-დახმარების მიმღებთა ღირსების შენარჩუნების საშუალებაა. (Элементы 1992:14-17)

მშრომელთა მონაწილეობას სადაზღვევო შენატანებში განსაკუთრებული ფსიქოლოგიური ზეგავლენა აქვს მათი მოტივირებული აზრის ჩამოყალიბებაში. რეგულარული სადაზღვევო შენატანებით მშრომელებს უვითარდებათ თანამონაწილეობის და პასუხისმგებლობის შეგრძნება პირადი თუ კოლექტიური სოციალური დაცვის სისტემის ჩამოყალიბებაში. ეს მათი სოციალური დაზღვევაა, სადაზღვევო შენატანები კი - გამომუშავებული შემოსავლების კანონით მკაცრად განსაზღვრული სადაზღვევო გადასახადების რეზერვირების ფორმა. დამსაქმებელთა და მშრომელთა სოლიდარული ურთიერთდახმარების პრინციპი.

სოციალურ რისკებზე ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას ყოველთვის არ შეუძლია სადაზღვევო დაცვის გარანტირება. ცხოვრებაში არის სიტუაციები, რომლებიც ცალკეულ

ადამიანზე არ არის დამოკიდებული. მაგალითად, ტექნოგენური კატასტროფების საშიშროება ან პროფესიული რისკები. ამ რისკების წარმომავლობა რთული ტექნიკური, ეკონომიკური ან სოციალური მიზეზების კომპლექსით არის განპირობებული.

გარდა ამისა, სადაზღვევო მოვლენა დაზღვეულის შრომითი საქმიანობის ადრეულ სტადიებშივე შეიძლება მოხდეს, როდესაც მას არ აქვს საკმარისი ფინანსები დაგროვილი. ხოლო შრომისუნარიანობის მნიშვნელოვნად დაკარგვის გამო, შემდგომ ხანგრძლივ პერიოდში შენატანების გადახდამ დაზღვეულის სავალალო მდგომარეობაში ჩაგდება შეიძლება გამოიწვიოს. ასეთ შემთხვევებში შეიძლება გამოყენებულ იქნას სოლიდარული ურთიერთდახმარების პრინციპი. მისი დედააზრი სოციალურ ურთიერთდახმარებაშია: "დღეს მე მატერიალურად ვეხმარები სხვებს, მაგრამ თუ მე გამიჭირდა (დადგა სადაზღვევო შემთხვევა), მეც დამეხმარებიან სხვები". სუბსიდირების პრინციპი, მისი არსი შემდეგშია: ინდივიდი და საზოგადოებრივი სტრუქტურები გამონაკლისს (ფორს-მაჟორულ) შემთხვევებში ზემდგომ სტრუქტურებს ან სახელმწიფოს თავის ფუნქციებს გადასცემენ. იქ სადაც ინდივიდს, ოჯახს, შრომით კოლექტივს და ა.შ. არ შეუძლია სათანადოდ შეასრულოს თავისი ვალდებულებები, დაზღვეულის სასარგებლოდ უნდა იმოქმედოს ზემდგომმა საზოგადოებრივმა ან სახელმწიფო სტრუქტურებმა. სუბსიდირი ურთიერთობების შექმნის ორგანიზაციულ-სამართლებრივი და ეკონომიკური მექანიზმები დაფუძნებულია სახელისუფლებლო უფლებამოსილების დეცენტრალიზებაზე და კომპეტენციების, ფინანსების, ფუნქციების და სუბიექტებს შორის პასუხისმგებლობის გადანაწილებაზე. სახელმწიფოს ჩარევა დასაშვებია მხოლოდ იმ დონემდე და ისეთ სფეროებში, რომლებშიც საზოგადოებრივ ან პროფესიულ ჯგუფებს არ ძალუძთ სრულფასოვნად შეასრულონ თავიანთი მოვალეობანი.

სოციალური დაცვის საკითხების ცნობილმა მკვლევარმა ნ. ა. ვიგდორჩიკმა სოციალური დაცვა განსაზღვრა როგორც “ორგანიზებული ურთიერთდახმარების განსაკუთრებული ფორმა, რომლის დროსაც ცნობილი უბედურების რისკი წინასწარ არის გათვალისწინებული და წინასწარვე გადანაწილდება ამ ორგანიზაციის ყველა წევრს შორის რისკთან დაკავშირებული მატერიალური სიმძიმეც”. (Вигдорчик 1925:14)

ეს თვალსაზრისი წინა საუკუნის პირველი ნახევრის სადაზღვევო სფეროს სხვა მეცნიერებისთვისაც დამახასიათებელია, ხაზს უსვამს რა ეკონომიკური ან კომერციული დაზღვევების ურთიერთკავშირს სოციალურ დაზღვევასთან: “ორგანიზებული ურთიერთდახმარების განსაკუთრებული ფორმა”, “ცნობილი უბედურების (სტატისტიკურად გამოთვლილი - ავტ.) რისკი”. მატერიალური დანაკარგების ალბათობა გადანაწილებულია - ორგანიზაციის სოლიდარობის და ანაზღაურებადების პრინციპებზე გაერთიანებულ სხვა წევრებს შორის. სხვა სიტყვებით, სოციალური დაზღვევა გულისხმობს პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის ანაზღაურებად მონაწილეობას.

მოცემული შეფასება აგებულია სოციალური დაზღვევისა და სახელმწიფო სოციალური შემწეობის ურთიერთგადაჯაჭვულობაზე. ამასთან, სხვა კვლევებში სოციალური დაზღვევის ამდაგვარი ახსნა თავის განვითარებას შემდეგნაირად ჰპოვებს, მაგალითად, ს.მ. ბერეზინის მონოგრაფიაში –“სოციალური დაზღვევა უკიდურეს ჩრდილოეთში”, ხაზგასმულია, რომ “სოციალური დაზღვევის ეკონომიკის საგანი - ეკონომიკური ურთიერთობებია, რომლებიც მყარდება საბაზრო ეკონომიკის პროცესში სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინსტიტუტებიდან მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური რისკებისგან დაზღვევის პროცესში” და შემდგომ: “კანონის ძალით სოციალური დაზღვევა სავალდებულოა და არაკომერციული, რადგან არ ისახავს მიზნად მოგების მიღებას. სოციალური დაზღვევის ეკონომიკურ საფუძველს შეადგენს სადაზღვევო ურთიერთობები, რომელთა პირობები საყოველთაოა და ადგენს სახელმწიფო”. (Березин 2005:27)

შესწავლილი მასალიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ სოციალური დაზღვევა საზღვარგარეთული გამოცდილების მიხედვით ორ მოდელად იყოფა: აუცილებელი სოციალური დაზღვევა - დამსაქმებელთა და დასაქმებულთა საწევრო შენატანების ფინანსური საფუძვლით და სახელმწიფო სოციალური დაზღვევა დამატებით - სოციალური დაზღვევით დამსახურების მიხედვით. ბოლო შემთხვევაში ფინანსური საფუძველია სახელმწიფო სახსრები და მხოლოდ შემდეგ დამსაქმებელთა და დასაქმებულთა შენატანები.

პირველი მოდელით (*ო. ბისმარკის მოდელი*) სოციალური დაზღვევა ხორციელდება გერმანიაში, იტალიაში, საფრანგეთში, ფინეთში. მეორე მოდელით (*უ. ბევერიჯის მოდელი*) სადაზღვევო სისტემები მოქმედებს ავსტრალიაში, აშშ-ში, კანადაში, დანიაში. თანამედროვე სოციალური დაზღვევის განმასხვავებელი ნიშანია ორი მოდელის ურთიერთ შეღწევადობა (სუფთა სახით არც ერთი მოდელი არსად არ გვხვდება), აგრეთვე მშრომელთა და დამსაქმებელთა დიფერენცირებული სადაზღვევო შენატანები.

სოციალური დაცვის სისტემის მოდელის შერჩევა საქართველოში ბევრ სირთულესთან არის დაკავშირებული, კერძოდ: მკვეთრად დიფერენცირებული სახელფასო შემოსავალი, მაღალი უმუშევრობა, უმუშევრობის დამახინჯებული განსაზღვრებების ფონზე, არასაკმარისი სადაზღვევო, არასრულყოფილი და ხშირ შემთხვევაში სოციალური დამაბულობის ხელშემწყობი კანონმდებლობა, მოქმედი სოციალური პროგრამების არაინფორმირებულობა და მისი გამოყენების არასრულფასოვნება - ყოველივე ეს ართულებს ჩამოყალიბდეს ისეთი სოციალური დაცვის სისტემა, სადაც მკვეთრად იქნება გამოკვეთილი დაცვის ობიექტი და დაცვის სუბიექტი, რომლის როლში დიდი ხვედრითი წილი პირველ ეტაპზე სახელმწიფოს ეკუთვნის, ხოლო თანდათანობით უნდა გაფართოვდეს სოციალური დაზღვევის ინსტიტუტები და სახელმწიფო განიტვირთოს სოციალური ხარჯების ნაწილისგან. დღეისათვის სოციალური დაზღვევის მექანიზმები საქართველოში, ინდივიდუალური დაზღვევის მექანიზმით, თითქმის ვერ ფუნქციონირებენ. მათი ძირითადი საქმიანობა გარდაქმნილია სახელმწიფო სოციალური დახმარების სისტემაში. ამიტომ სოციალური დაზღვევის მომხმარებელს სჭირდება რეფორმები იმ მიმართულებით, რომ დაეფუძნოს „დაზღვევის“ პრინციპებზე და მომხმარებელს მიაწოდოს დაზღვევის ისეთი პროდუქტი, რომელიც მხოლოდ ალბათობის კანონზომიერებას ეფუძნება და არა განსაზღვრულ რისკებს, რომლისგან დაცვის პასუხისმგებლობა სახელმწიფომ უნდა აიღოს თავის თავზე.

2.2 მოსახლეობის სოციალური დაცვის მდგომარეობა საქართველოში

მოსახლეობის სოციალური დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა სახელმწიფოს საქმიანობის ძირითადი ნაწილია, რომელიც ემსახურება მოსახლეობის ცხოვრების მნიშვნელოვან ინტერესებს. სოციალური დაცვის მაღალი ხარისხი ვლინდება ადამიანთა თანასწორობაში, სოციალურ სამართლიანობაში, საზოგადოების მორალურ მხარდაჭერაში. საკითხი იმის შესახებ, თუ როგორი ხერხებითა და მეთოდებით, და რა დოზით უნდა მიეწოდოს სოციალური კეთილდღეობა მოსახლეობას, ბევრად არის დამოკიდებული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მდგომარეობაზე, ტრადიციებზე, ისტორიაზე, წარსულში თუ დღეს მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნებზე. სოციალური დაცვის პრობლემაზე მუშაობა უნდა დაიწყოს პრობლემის გამომწვევი მიზეზების გაანალიზებით, მასზე მოქმედი ფაქტორების შესწავლითა და შედეგების სიმძიმით. საქართველოში 20 წელზე მეტია, ვსაუბრობთ გარდამავალ ეკონომიკაზე და ეს ერთგვარ გამართლებად მიგვაჩნია, თუ რაიმე სოციალური ან ეკონომიკური პრობლემა სათანადოდ ვერ იქნა მოგვარებული. ნებისმიერი სახვა სფეროს პრობლემის აღმოფხვრა შეიძლება გაიწელოს დიდი ხნის განმავლობაში, მაგრამ სოციალური დაცვის პრობლემა უშუალოდ ადამიანის არსებობას, მისი ცხოვრების ღირსეული პირობების შექმნას უკავშირდება. საქართველო, როგორც ყოფილ სსრკ-ში შემავალი ქვეყანა, სოციალური პრობლემებით გამოირჩეოდა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საწყის ეტაპზე. სოციალური პოლიტიკის არარსებობა, ამ სფეროს მართვის გამოცდილების უქონლობა, ეკონომიკური კავშირების მოშლა, დასაქმების მაღალი დონის შეცვლა უმუშევრობის მაღალი დონით, სახელმწიფოს მხრიდან სოციალურ მხარდაჭერაზე უარის თქმა, ადგილობრივი ორგანოების განკარგვაში ფინანსური ბაზის არ არსებობა, სოციალური ინსტიტუტების ჩამოუყალიბებლობა, მიზეზთა ჩამონათვალი, რომლის შედეგი ლოგიკურია, იყო სიღარიბის დონის გაზრდა, მოსახლეობის უმეტესი ნაწილის საარსებო მინიმუმის გარეშე დარჩენა, რამაც თანამედროვე პერიოდამდე მოაღწია და ზოგიერთ შემთხვევაში გამწვავდა კიდევ.

ჩვენ ზემოთ განვიხილეთ (თავი 1, 1.1 ქვეთავი) სოციალური რისკების თეორიული ასპექტები, სადაც ჩამოყალიბებულია სოციალური რისკების კლასიფიკაცია: უმუშევრობა, ინვალიდობა, მოხუცებულობა. სოციალური დაცვის მდგომარეობის განხილვა და დასკვნების გაკეთება რისკების სწორ გააზრებას მოითხოვს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ დადგინდეს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი უარყოფითი შედეგების მიღების ფაქტორებს შორის. სიღარიბე, რომელიც ზოგიერთ მეცნიერს მიჩნეული აქვს სოციალურ რისკად, ჩვენი აზრით რისკი კი არ არის, არამედ სოციალური რისკების რეალიზაციის შედეგი, რომელიც იწვევს მოსახლეობის სოციალურ დეზინტეგრაციას. ბრძოლა სიღარიბის წინააღმდეგ უნდა წარიმართოს არა მინიმალური ცხოვრების პირობებისათვის გადახდილი დახმარებებით, არამედ გამომწვევ მიზეზებთან ბრძოლის საშუალებით. სიღარიბის გამომწვევ მიზეზებს მიეკუთვნება: უმუშევრობა, ავადმყოფობა, ინვალიდობა. რაც შეეხება მოხუცებულობას, არ არის სიღარიბის მიზეზი, ამ შემთხვევაში თვით სიღარიბე უმზადებს ადამიანებს მოხუცებულობაში სოციალური დაუცველობის რისკს. სიღარიბის გამომწვევ რისკებს შორის უმუშევრობა მრავალფაქტორიანი რისკია. ამიტომ საქართველოში სოციალური მდგომარეობის გაანალიზება ამ პრობლემის შესწავლით უნდა დავიწყოთ. სადისერტაციო ნაშრომი უშუალოდ სოციალური დაზღვევის სფეროს კვლევას ითვალისწინებს, თუმცა ამ თავში სოციალური მდგომარეობის ანალიზი მთავრობის მიერ განხორციელებულ თუ დაგეგმილ პროგრამებზე დაყრდნობით უნდა მოვახდინოთ, რამდენადაც ჯერ-ჯერობით დომინირებული როლი სოციალური დაცვის სისტემაში სახელმწიფოს უჭირავს.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროგრამული დოკუმენტი, რომელმაც მთავრობის ზოგადი სტრატეგია და მათ შორის, სოციალური დაცვის სისტემასთან დაკავშირებული საკითხები განსაზღვრა, იყო 2010 წელს მიღებული დოკუმენტი “ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2011-2014 წლებისათვის”. ეს იყო საქართველოში პირველი სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც 2010 წლის აპრილში „ქვეყანაში სიღატაკის დონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“ დადგენილებით უშუალოდ სოციალური რეფორმების პროცესს შეეხებოდა.

საქართველოში მოსახლეობის სოციალური დაცვის პროგრამების საკანონმდებლო ბაზა, სოციალურად ორიენტირებულ ეკონომიკაზე გადასვლისას 2005 წელს ჩაიდო “დასაქმების შესახებ კანონში”, რომლითაც განისაზღვრა დასაქმების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ეკონომიკური, სოციალური, ორგანიზაციული და სამართლებრივი საფუძვლები. აღნიშნული კანონის მიზანი გახლდათ (თავი 1, მუხლი 11): დასაქმების სფეროში სახელმწიფოს კომპეტენციის დადგენა, სამუშაოს მაძიებელსა და დამსაქმებლებს შორის ურთიერთობათა სამართლებრივი საფუძვლების განსაზღვრა, საქართველოს მოქალაქეებისათვის სახელმწიფო გარანტიების ჩამოყალიბება, სოციალური პარტნიორების ფუნქციებისა და მათი სახელმწიფოსთან ურთიერთქმედების მექანიზმების განსაზღვრა, ასევე უმუშევართა სოციალური დაცვის ეკონომიკური, სოციალური და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ბაზის შექმნა.

საქართველოს “დასაქმების კანონით” გათვალისწინებული იყო ღონისძიებათა მთელი კომპლექსი, რომელიც მიმართული უნდა ყოფილიყო დასაქმების მაღალი დონის მიღწევისა და შენარჩუნებისაკენ, დასაქმების სტრუქტურის სრულყოფისა და შრომის ბაზრის მხარდაჭერისკენ, დასაქმების სფეროში პირის სოციალური დაცვის უზრუნველყოფისაკენ და ა.შ. კანონში ასევე ჩადებული იყო პუნქტები (თავი 1, მუხლი 10) დაბალ კონკურენტუნარიანი შრომითი რესურსებისა და საზღვრისპირა და მაღალმთიან რეგიონებში მოსახლეობის დასაქმების მიზნით სპეციალური ღონისძიებების შესახებ, დისკრიმინაციის გამორიცხვისა და ბავშვთა შრომის აკრძალვის შესახებ; წარმოჩენილი იყო ასევე სახელმწიფოს როლი დასაქმების პოლიტიკისა და დასაქმების პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების პროცესში, პროფესიული კავშირების და მეწარმეთა გაერთიანებების აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფისა და მათთან თანამშრომლობის საკითხებში.

ჩვენი აზრით, დასაქმების სფეროს რეგულირების პროცესში სახელმწიფო სწორედ ამ პრინციპებს უნდა დაფუძნებოდა. პირველი მცდელობა დასაქმების რეგულარული წესების ფორმულირებისა, მრავალი ხარვეზის მიუხედავად, წარმატებული ჩანდა. მაგრამ რეალური წარმატება რეალიზებული კანონის შედეგებში ვლინდება, რაც საქართველოში ვერ განხორციელდა. “დასაქმების კანონმა” 2006 წელს, ახალი

“საქართველოს შრომის კოდექსის” ძალაში შესვლისთანავე, მოქმედება შეწყვიტა. ასევე ძალადაკარგულად ჩაითვალა მანამდე არსებული სოციალური სფეროს რეგულირებასთან დაკავშირებული სხვა საკანონმდებლო აქტები, როგორც იყო: “საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი” (1973 წლის 28 ივნისი), “საქართველოს კანონი კოლექტიური ხელშეკრულებისა და შეთანხმების შესახებ” (1997 წლის 10 დეკემბერი) და “საქართველოს კანონი კოლექტიური შრომითი დავის მოწესრიგების წესის შესახებ” (1998 წლის 30 ოქტომბერი).

ამიტომაც დასაქმების პრობლემა ერთ–ერთი უმწვავესია საქართველოში და სხვადასხვა სტატისტიკური თუ სოციალური გამოკითხვების მონაცემებით ხშირად იკავებს პირველ ადგილს ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე მდგარი უმნიშვნელოვანესი სოციალურ–ეკონომიკური და პოლიტიკური საკითხების ნუსხაში.

2010 წლისთვის უმუშევართა საერთო რაოდენობამ ქვეყანაში 320 ათას კაცს გადააჭარბა და ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 16.3% შეადგინა. რეალურად, უმუშევართა აბსოლუტური რაოდენობა 2003 წლიდან გაიზარდა 42%–ით, მაშინ როდესაც დასაქმებულთა საერთო რიცხვი იმავე პერიოდში შემცირდა 12.5%–ით, მათ შორის დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა – 2.5%–ით. აღსანიშნავია, რომ უმუშევრობის აღნიშნული დონე ეფუძნება ორ სტატისტიკურ–მეთოდოლოგიურ დაშვებას, რომლებიც „ამცირებენ“ აღნიშნული პრობლემის სიმწვავეს:

1. უმუშევრებს არ მიეკუთვნებიან ე.წ. თვითდასაქმებულები.
2. უმუშევრობის დონე გაანგარიშებულია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის „მკაცრი“ კრიტერიუმით. დასაქმებულთაგან (ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 83.7%) მხოლოდ 621 ათასი ადამიანი ეწევა დაქირავებულ შრომას (აქედან სახელმწიფო სექტორში დაახლოებით 300 ათასი), ხოლო მილიონზე მეტი განეკუთვნება ე.წ. **თვითდასაქმებულ მოსახლეობას**. მეორე ჯგუფში გაერთიანებულია ყველა, ვინც სტატისტიკური სამსახურის ყოველკვარტალური კვლევის მონაცემებით, შერჩეული ერთი საკვლევი კვირის განმავლობაში ერთი საათი მაინც იმუშავა – ანაზღაურებით თუ უსასყიდლოდ. აღნიშნული კატეგორიის დასაქმებულთა 4/5–ზე მეტი დასაქმებულია ეკონომიკის აგრარულ სექტორში, სადაც ერთ სულზე წარმოებული დამატებული

ღირებულება ქვეყანაში დადგენილ საარსებო მინიმუმზე ნაკლებია (შესაბამისად, წლიური 80\$ და 84\$, 2010 წლის მდგომარეობით). აღნიშნული მიდგომა საგრძნობლად ამცირებს უმუშევრობის დონეს, თუმცა რეალურად მოსახლეობის დიდი ნაწილის ცხოვრების პირობები არ გაუმჯობესებულა. თუ მხედველობაში მიიღება ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ის ნაწილიც, რომელსაც სურს მუშაობა, მზადაა ამისათვის, მაგრამ აქტიურად აღარ ეძებს სამუშაოს უმუშევრობის დონე 19.1 პროცენტს მიაღწევს. (იხ. დანართი 4)

დღეისათვის, საშუალო ხელფასი 600 ლარს აღემატება (2003 წ. – 128 ლარი), რაც შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმის მაჩვენებელზე ოთხჯერ მაღალია, თუმცა აქაც პრობლემა უნდა დავინახოთ იმ კუთხით, რომ საშუალო ხელფასი მიიღება ძალიან დაბალი ხელფასისა და ძალიან მაღალი ხელფასების საშუალოთი, და მით უმეტეს მაშინ, როდესაც საარსებო მინიმუმის ტოლი ხელფასიც კი დიდ ფუფუნებას წარმოადგენს ხშირ შემთხვევაში, დამშვიდების საბაზი არ გვაქვს. დასაქმების პრობლემის „შერბილება „ საქართველოდან საზღვარგარეთ წასული მოქალაქეების დიდმა რაოდენობამ გამოწვია. დაახლოებით 1,5 მილიონი ადამიანი გასულია საქართველოდან და, ამავე დროს მათ მიერ ნაწილობრივ სოციალური პრობლემაც კი არის მოგვარებული, აქ დარჩენილ მოქალაქეებზე ფინანსური დახმარების აღმოჩენით. ამ მოქალაქეების და თვითდასაქმებული მოქალაქეების უმუშევართა კატეგორიაში ჩართვა უმუშევრობის დონეს 65 %-მდე ასწევს და ეს იქნება რეალური სურათი დასაქმების მდგომარეობის შესახებ. ჩვენი აზრით, პრობლემის მოგვარების წარმატება მის დანახვასა და სწორად გაანალიზებაშია. მაშინ, როდესაც არარეალურია სტატისტიკური ინფორმაცია, ყველა გატარებული ღონისძიება უშედეგოა და პრობლემა უფრო მწვავედება. უმუშევრობა, ისევე როგორც განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში, საქართველოშიც მნიშვნელოვნად განსხვავდება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით.

როგორც წესი, მისი დონე ახალგაზრდებში მნიშვნელოვნად აღემატება უმუშევრობის საერთო დონეს. ახალგაზრდების უდიდესი ნაწილი არ მიეკუთვნება ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობას. 25 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში ეკონომიკურად

აქტიურია მხოლოდ 202 ათასი ახალგაზრდა - ამ ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობის მხოლოდ 37 პროცენტი. (საშუალოდ, 15 და მეტი წლის ასაკს მოსახლეობის საერთო რაოდენობაში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რაოდენობა 63 პროცენტია, მათ შორის 25 წელზე უფროს მოსახლეობის – 69პროცენტი) გამოდის, რომ დასაქმების საერთო მაჩვენებელი 25 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში დაახლოებით 2.5-ჯერ ჩამორჩება უფროსი ასაკობრივი ჯგუფის ანალოგიურ მაჩვენებელს. ამასთან, საქართველოში მნიშვნელოვნად განსხვავდება დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლები ცალკეული ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. (საქსტატი: geostat.ge)

25 წლამდე ასაკიანებზე მოდის: 15 და უფროსი ასაკის მოსახლეობის 17.5 პროცენტი. ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 10.2 პროცენტი და დასაქმებულთა მხოლოდ 7.5 პროცენტი; „სამაგიეროდ“, ამავე ასაკობრივ ჯგუფზე მოდის უმუშევართა 23.4 პროცენტი, ანუ დასაქმებაში შესაბამის ასაკობრივ წილზე 3-ჯერ უფრო მაღალი მაჩვენებელი. (საქსტატი: geostat.ge) (იხ. დანართი 5)

25 წლამდე ახალგაზრდებზე მოდის ქვეყნის არააქტიური მოსახლეობის 30 პროცენტზე მეტი (30.2%), რაც განსაკუთრებით ზრდის ამ ასაკობრივი ჯგუფის სოციალური აქტივობის პოტენციალს. მეტ-ნაკლებად ანალოგიური სურათია სხვა ქვეყნებშიც, სადაც უმუშევრობის დონეები ახალგაზრდებში აღემატება საშუალო ქვეყნის მიერ მაჩვენებლებს 1.9-3.4-ჯერ. 2004 წლის შემდეგ, უმუშევრობის დონე საქართველოში გაიზარდა - 12.6%-დან 16.3% -მდე 2010 წლის მდგომარეობით.

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, 16,161 გამოკითხულიდან 67% რესპონდენტი თავს უმუშევრად თვლის (www.ndi.org). რასაკვირველია, ეს ციფრი არააქტიურ მუშახელსაც მოიცავს და ისეთ ადამიანებსაც, რომლებიც სამუშაოს არ ეძებენ. ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ ჩატარებულმა კვლევამ კიდევ ერთხელ ცხადყო დასაქმების მნიშვნელობა ქართული საზოგადოებისათვის. 2011 წლის სექტემბერში გამოვლენილი შედეგების მიხედვით, მოსახლეობის 62%-ს „სამუშაო“ ქვეყნის ნომერ პირველ პრობლემად მიაჩნია, ხოლო 72%-ს – ნომერ პირველ ადგილობრივ პრობლემად. გარდა ამისა, კითხვაზე, შეიცვალა თუ არა ამ მიმართულებით მდგომარეობა საქართველოში, 33%-მა უპასუხა,

რომ მდგომარეობა გაუარესდა, ხოლო 40%-ს მიაჩნია, რომ ამ კუთხით მდგომარეობა საერთოდ არ შეცვლილა. ეს მონაცემები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ უმუშევრობა საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვანი პრობლემაა. უნდა აღინიშნოს, ასევე, რომ გამოკითხულთა 50%-ს მიაჩნია, რომ მდგომარეობა გაუარესდა საზოგადოებაში სიღარიბის დონის თვალსაზრისითაც. ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის კვლევაზე დაყრდნობით, ზოგადად, მიჩნეულია, რომ ქვეყნის ეკონომიკური სტრუქტურის ცვლილებები იწვევს უმუშევრობის მაღალ დონეს. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების უმეტესობა ეგრეთ წოდებულ „სტრუქტურულ უმუშევრობას“ განიცდის. ამ ტიპის უმუშევრობა გრძელვადიანი უმუშევრობაა, რაც ძირითადად გამოწვეულია მუშახელის უნარ-ჩვევების შეუსაბამობით ბაზარზე არსებულ სამუშაოსთან. როგორც პოპულარული გამოცემა „ეკონომისტი“ აღნიშნავს, არსებობს დიდი „შეუსაბამობა“ დამსაქმებლების საჭიროებებსა და იმ უნარ-ჩვევებს შორის, რომლებსაც პოტენციური მუშახელი სთავაზობს (www.economist.com). ეს განსაკუთრებით ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს ეხება, სადაც ფასეულობების გადასინჯვა მოხდა და საბჭოთა განათლების მქონე სამუშაო ძალის უნარ-ჩვევები „არასათანადო“ აღმოჩნდა. არასათანადოდ განათლებული სამუშაო ძალა მხოლოდ უფროს თაობებს არ მოიცავს. მიუხედავად იმისა, რომ განათლების რეფორმები ხორციელდება, განათლების სისტემა კვლავ არაეფექტურია ისეთი მომავალი ლიდერების აღზრდაში, რომლებსაც თანამედროვე საბაზრო მოთხოვნების შესაბამისი უნარ-ჩვევები ექნებათ.

გარდა ამისა, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის კვლევის შედეგები ახალგაზრდებს შორის უმუშევრობის ტენდენციის არსებობაზე მიუთითებს, ანუ იმ რესპონდენტთა 40%, რომლებიც უმუშევრად თვლიან თავს, 18-35 წლის ადამიანები არიან. უმუშევართა მეორე ჯგუფის ასაკი 36-დან 55 წლამდე მერყეობს. კიდევ ერთი უმუშევრობის ტიპი, რომელიც საინტერესოდ მიგვაჩნია საქართველოს რეალობაში, ციკლური უმუშევრობაა. ამ ტიპის უმუშევრობა მოკლევადიანია და ეკონომიკური რეცესიის დროს ჩნდება, როდესაც ეკონომიკური პროდუქცია მცირდება და წარმოების ციკლზე ბაზარზე მოთხოვნის კლება მოქმედებს. როგორც ანალიზიდან ჩანს

უმუშევრობის პრობლემა მწვავეა, რომლის შემცირებისათვის სახელმწიფოს დასაქმების პოლიტიკის გააქტიურებაა საჭირო, რომელიც ეკონომიკის გაჯანსაღებაზე იქნება მიმართული. ხელისუფლების მიერ ინიცირებული იქნა დასაქმების სხვადასხვა პროგრამები, მაგრამ მან შედეგი ვერ გამოიღო, ვინაიდან ყოველი მათგანი მოკლევადიანია და ფაქტიურად ჰგავს სოციალური დახმარების გადახდას განსხვავებული ე. წ. „შეფუთული“ ფორმით. ამიტომ დასაქმების მიმართულებით უნდა გატარდეს კომპლექსური, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი და გრძელვადიანი დასაქმების პოლიტიკა. ამერიკაში უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკა ეფექტურია, ვინაიდან უმუშევრობის წინააღმდეგ საბრძოლველად ძირითადად იყენებენ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, კრიზისების პერიოდში ამცირებენ საგადასახადო ტვირთს მცირე ბიზნესის მხარდასაჭერად; ცალკეულ უმუშევრებთან იყენებენ ინდივიდუალურ მიდგომებს, რაც იმაში გამოიხატება, რომ მათ კი არ სთავაზობენ ნებისმიერი სახის სამუშაოს, არამედ უქმნიან პირობებს, მოახდინონ საკუთარი პოტენციალის რეალიზება და მიიღონ ღირსეული ხელფასი; უმუშევრობის დახმარებას გასცემენ დიფერენცირებულად, კერძოდ: ოჯახში მათ კმაყოფაზე მყოფთა მიხედვით; საქართველოში ამ მიდგომების ერთდროულად განხორციელება რთულია, მაგრამ მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ადამიანებზე ისეთი სამუშაოს შეთავაზება, რომელიც მათ მისცემს საკუთარი პოტენციალის რეალიზების საშუალებას და გათვლილი იქნება გრძელვადიან პერიოდზე. მოკლევადიანი დასაქმების პროექტები გამოყენებული იქნას სტუდენტებისათვის. სოციალური დაცვის სისტემის ჩამოყალიბებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია საკანონმდებლო ბაზის დახვეწა ჯანმრთელობის დაცვისა და დაზღვევის სფეროებშიც.

საქართველო დაბალი საშუალო შემოსავლების ქვეყანაა, სადაც ჯანმრთელობის დაცვაზე მთლიანი ეროვნული დანახარჯი მშპ-ის მხოლოდ 8,7%-ია. ერთ სულ მოსახლეზე წლიური დანახარჯი კი 378 ლარს არ აღემატება. აქედან 80% ადამიანების მიერ ჯიბიდან უშუალოდ სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლისათვის გადახდილი ფულია. ოჯახის თუნდაც ერთი წევრის ავადმყოფობის მკურნალობა ეკონომიკური მდგომარეობის საგრძნობი, ზოგჯერ შეუქცევადი გაუარესების მიზეზია. მოსახლეობის

უმრავლესობისათვის საკმაოდ დიდია გაუთვალისწინებელი ხარჯების გაწევის ალბათობა. ამგვარი რისკები დროულ, ეფექტურ და ,რაც მთავარია, გონივრულ მართვას საჭიროებენ. რისკების მართვის საუკეთესო მექანიზმი კი ჯანმრთელობის დაზღვევაა. ამ კუთხით მნიშვნელოვანი ცვლილებების პერიოდი დაიწყო 2010 წელს. ჯანდაცვის სამინისტროში შეიქმნა ჯანდაცვისა და სოციალური რეფორმების სამთავრობო კომისია. პრემიერ მინისტრის ხელმძღვანელობით. რეფორმის კონცეპტუალური მოდელი ითვალისწინებდა 4 სტრატეგიულ მიმართულებას:

I. აუცილებელ სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და მოსახლეობის დაცვა სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებული ფინანსური რისკებისაგან;

1. სამედიცინო მომსახურების ორგანიზება სამ დონედ;

I. პირველადი ჯანდაცვა;

II. სტანდარტულ სტაციონარულ მომსახურება;

III. მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალური მომსახურება.

2. ჯანდაცვის დაფინანსება

• დაავადების ეპიზოდის დადგომისას უშუალოდ ჯიბიდან ან სხვა წყაროდან გადახდის ჩანაცვლება რისკის განაწილების, სოლიდარობისა და წინასწარ გადახდის ეფექტური სისტემებით.

II. სამედიცინო მომსახურების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა – შესაფერისი მარეგულირებელი გარემოს შექმნა და ამოქმედება.

1. პერსონალის ლიცენზირების სისტემის ამოქმედება;

2. მინიმალურ მოთხოვნებზე დამყარებული ნებართვების სისტემის შემუშავება და დანერგვა სამედიცინო დაწესებულებებისათვის საქმიანობის უფლების მისანიჭებლად.

3. წამლის ხარისხის უზრუნველყოფის, უსაფრთხოებისა და ეფექტიანობის რეგულირების მექანიზმების შემუშავება/დანერგვა.

4. ჯანდაცვის სისტემების ფუნქციონირების ხარისხის შეფასება სისტემური კვლევებისა და მომსახურების ხარისხის შესწავლის გზით.

III. მოსახლეობისათვის ხარისხიან სამედიცინო მომსახურებაზე ფიზიკური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა – სამედიცინო ინფრასტრუქტურის განვითარება და კომპეტენტური კადრების მომზადება .

1. ჰოსპიტალური სიმძლავრის განვითარება .
2. პირველადი ჯანდაცვის სისტემის (პჯდ) შექმნა .
3. კადრების მომზადების ხელშეწყობა

IV. ჯანდაცვის სისტემის ეფექტურობის ამაღლება – სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში მყოფი ორგანიზაციების შესაძლებლობათა განვითარება და კარგი მმართველობის პრინციპების დანერგვა

1. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემის და მისი სტრუქტურული ერთეულების როლისა და ფუნქციების განსაზღვრა პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესაბამისად ;
2. სამინისტროს სისტემაში ადეკვატური ანგარიშგების სისტემისა და სააღსრულებო მექანიზმები შექმნა ;
3. ჯანდაცვის სისტემის სხვადასხვა დონეზე მართვის შესაძლებლობების გაძლიერება;
4. ჯანდაცვის მართვის საინფორმაციო სისტემებისა და რეგიონული დონის სტრუქტურების განვითარება.

ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკაში ცვლილებების შესაძლებლობების განხილვისას, მრავალი დისკუსიის შედეგად მთავრობაში მომწიფდა ორი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება:

- ჯანდაცვის პროგრამების მიზნობრიობის ზრდა სოციალური დახმარების პროგრამების მიზნობრიობის ზრდის პარალელურად ;
- არსებული უნივერსალური პროგრამების ეტაპობრივი ჩანაცვლება მიზნობრივ ჯგუფებზე ორიენტირებული პროგრამებით.

სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევით უზრუნველყოფის პირველი სახელმწიფო პილოტური პროგრამა 2007 წელს შემუშავდა და სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყო აღრიცხული სიღარიბის ზღვარს ქვემოთ

მყოფი მოქალაქეები. დაზღვევის პროგრამის ამოქმედებიდან 1 წლის შემდეგ მისი ბიუჯეტის პარამეტრების განსაზღვრის, სატარიფო ბადის შემუშავებისა და ადეკვატური პრემიის კორექციის მიზნით გაკეთდა პროგრამის რისკ-ფაქტორების, კერძოდ, ზარალიანობის ანალიზი. ანალიზისათვის გამოყენებული იყო პროგრამის სტაციონარული მომსახურების კომპონენტის ანგარიშების სტატისტიკური მონაცემები. ზარალიანობის შეფასებისას ბენეფიციარები დაიყო ჯგუფებად სქესის, საცხოვრებელი ადგილისა და ასაკის (0–64 და >65) ნიშნით. 2008 წლის საქართველოს მთავრობის №92 დადგენილების „სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობისათვის ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით გადასაცემი სადაზღვევო ვაუჩერის პირობების განსაზღვრის შესახებ“ საფუძველზე მთელი საქართველოს მასშტაბით დაიწყო მოსახლეობის ეტაპობრივად დაზღვევა რეგიონების მიხედვით.

საქართველოში ლიცენზირებულ ყველა სადაზღვევო კომპანიას ჰქონდა თანაბარი უფლება გამხდარიყო პროგრამის მონაწილე და სადაზღვევო მომსახურების მიმწოდებელი. მთავრობამ დაადგინა სადაზღვევო ორგანიზაციების მიმართ მოთხოვნები და უზრუნველყო სადაზღვევო კომპანიებს შორის ჯანსაღი კონკურენციის პირობების დაცვა. სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფის სტატუსი მოქალაქეს ეძლეოდა, თუ მისი ოჯახისათვის ”სოციალური მომსახურების სააგენტოს” შეფასების სისტემის მიხედვით ჩატარებული გამოკვლევების საფუძველზე მიკუთვნებული ქულათა ჯამი არ აღემატებოდა 70 000–ს. სამედიცინო მომსახურების დაფინანსების პროცესში ამოქმედდა მიმოქცევადი ფინანსური ინსტრუმენტი - სადაზღვევო ვაუჩერი. სოციალური მომსახურების სააგენტო მოქალაქეს გადასცემდა ვაუჩერს სამედიცინო დაზღვევის დასაფინანსებლად. ვაუჩერის მფლობელ მოქალაქეს ან ბენეფიციარ ოჯახს ჰქონდა სადაზღვევო კომპანიის თავისუფალი არჩევანის უფლება. მოქალაქე თავად აფორმებდა ხელშეკრულებას არჩეულ სადაზღვევო კომპანიასთან, ვაუჩერით ღებულობდა სადაზღვევო პოლისს, რომლის საფუძველზეც უზრუნველყოფილი იყო პროგრამით განსაზღვრული და დაფინანსებული სამედიცინო მომსახურებით. ამ პროგრამის განხეციელებით მიღებული შედეგები შემდეგნაირად გამოიყურება: 2010 წლის აპრილის მონაცემებით სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფის სახელმწიფო

პროგრამებით დაზღვეული იქნა დაახლოებით 1 104 785 ადამიანი. აქედან სრულად დაფინანსდა:

- სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობა – 954 966;
- კომპაქტურ დასახლებებში მყოფი იძულებით გადაადგილებულ პირები – 12 083;
- მზრუნველობამოკლებული ბავშვები – 3 053;
- სახალხო არტისტები, სახალხო მხატვრები და რუსთაველის პრემიის ლაურეატები – 189;
- პედაგოგები – 79 494;
- თბილისის მერიის ბიუჯეტებით დაზღვეული (70 000–100 000 ქულის მქონე) მოსახლეობა – 55 000.

ნაწილობრივ დაფინანსდა ზოგიერთი სახელმწიფო დაწესებულება - მთავრობამ ხელი შეუწყო სადაზღვევო პროგრამების განხორციელებას ჯარისკაცების, პოლიციელებისა და საჯარო მოხელეებისათვის. სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის (MAP) გამოკითხვების მიხედვით: ოჯახების 53 % აცხადებს, რომ მათ აქვთ ჯანმრთელობის დაზღვევა. დაზღვეული ოჯახების დიდი უმრავლესობა დაზღვეულია სოციალურად დაუცველი ოჯახების სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის, ან სხვა ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, რომელიც სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის მსგავსად, ოჯახების ჯანმრთელობის დაზღვევას უზრუნველყოფს. ამგვარი დაზღვევით სულ 48,8% სარგებლობს. დაზღვევის არქონის ძირითადი მიზეზებია: „არ ეკუთვნის ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობა“ და „არ გააჩნია სახსრები კერძო სადაზღვევო პოლისის შესაძენად“. ინფორმაციის ნაკლებობა იმის შესახებ, თუ სად ან ვის უნდა მიმართონ სახელმწიფო/მუნიციპალურ სადაზღვევო პროგრამაში ჩასართავად, ქმნის გარკვეულ პრობლემებს. სახელმწიფო დაზღვევის პროგრამაში (ასევე - ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამაში) ჩართული ოჯახების ძირითადი საინფორმაციო წყაროებია: „სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური აგენტი“ (41%), „ექიმი“ (22%) და „ნათესავები“ (12%). ბენეფიციარები უფლებამოსილები არიან ისარგებლონ ფართო პაკეტით -

ჯანდაცვის პირველადი და მეორადი მომსახურებით. სახელმწიფო უზრუნველყოფს ყოველთვიური პრემიის გადახდას თითოეული დაზღვეულისათვის 11 ლარის ოდენობით (გარდა დედაქალაქში მცხოვრები პირებისა, სადაც ყოველთვიური პრემია 9,7 ლარს შეადგენს). სოციალური მომსახურების სააგენტოს ინფორმაციით, ამჟამად ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამა წარმოადგენს ჯანდაცვის სფეროს ყველაზე დიდ პროგრამას და ჯანდაცვის ბიუჯეტის 45% უჭირავს. 2009 წელს მან 297 700 ოჯახი (904 900 პირს) მოიცვა, რაც მთელი ქვეყანის მასშტაბით ყველა ოჯახის 29,5%-ს შეადგენს (მთელი მოსახლეობის 20,6%). კვლევამ აჩვენა, რომ იმ მოსახლეობის დიდი ნაწილი, რომელიც უნდა ყოფილიყო ამ პროგრამის ბენეფიციარი, ვერ ხვდებოდა პროგრამაში, ან არ იცოდა მისი არსებობის შესახებ. ამ პრობლემის არსებობა ჩვენი აზრით მიზანმიმართულია, რადგან მისი მოგვარების გზა არა მხოლოდ სოციალური დაზღვევის პროგრამის ამოქმედებაში უნდა იყოს, არამედ მთავარი მიზანი მისი ადრესატამდე მიღწევას. პრობლემის გაჩენის მიზეზი სისტემის გაუმართაობაა, რაც გულისხმობს, რომ ადგილობრივ დონეებზე არ ხდება მოსახლეობის უპირატესობა მინიჭებული მოთხოვნებს გამოვლენა და მათი ზუსტი აღრიცხვა. უდაოა, რომ ადგილობრივ თვითმმართველობებში ხალხის მიერ არჩეული დეპუტატების საარჩევნო პროგრამები პირველ რიგში სოციალური პრობლემების მოგვარებაზეა ორიენტირებული, მაგრამ როგორც რეალობა აჩვენებს, ეს მხოლოდ ფურცელზე რჩება.

საქართველოში შინამეურნეობების უმრავლესობა ცხოვრობს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ. მიუხედავად სხვადასხვა მიზნობრივი სოციალური დახმარებებისა (პენსია, სახელმწიფო სოციალური დახმარების პროგრამის ტრანსფერტები) მოწყვლადი ოჯახების ძირითად პრობლემად სურსათით და მედიკამენტებით დაკმაყოფილება რჩება. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად საქართველოში მოსახლეობის სურსათზე ხარჯების წილი მთლიან სამომხმარებლო ხარჯების 55%-ია. საქართველოს მოსახლეობისთვის სურსათზე ხელმისაწვდომობა სულ უფრო მეტად რთული ხდება, რაც ასევე აისახება მიღებული საკვების რაციონზე და ხარისხზე.

მომატებული ფასები განსაკუთრებით მძიმედ მოქმედებს სოციალურად მოწყვლად ოჯახებზე, რომელთა ყოველდღიურ საზრუნავს წარმოადგენს საკვებით

უზრუნველყოფა და მათი სოციალური დახმარება მხოლოდ 12 ლარით გაიზარდა ერთ სულზე (20 იანვარი, 2009). თუმცა მთავრობამ განახორციელა დამატებითი პროგრამები მათ დასახმარებლად. მაგალითად, ფასების ზრდის ეფექტის შესამსუბუქებლად მთავრობამ 2011 წლის მარტში განახორციელა სურსათის ვაუჩერის პროგრამა (31.4 მლნ.), ყველა შინამეურნეობას გადაეცა 30 ლარის ღირებულების ვაუჩერი. ასევე მოსახლეობას გადაეცა ელექტროენერჯის 20 ლარიანი ვაუჩერი. მიუხედავად ამ პროგრამების ერთჯერადი დადებითი ეფექტისა, მოსახლეობისთვის კვლავ აქტუალურ პრობლემად რჩება სურსათზე ხელმისაწვდომობა.

საქართველოში სოციალურ მდგომარეობის კიდევ უფრო მძიმე გამოვლინებაა ის , რომ ყოველწლიურად ილუპებიან ქალები და ახალშობილი ბავშვები მშობიარობით გამოწვეული გართულებებისაგან. ამ ფატალურ შემთხვევებს ხელს უწყობს, როგორც მომსახურების ხელმისაწვდომობის ნაკლებობა, ასევე ჯანდაცვის პროვაიდერთა არასაკმარისი უნარი, აღმოაჩინონ და მართონ გართულებები და სათანადო მომსახურება გაუწიონ ქალებსა და მათ ახალშობილ შვილებს. ფეხმძიმობით და მშობიარობით გამოწვეული ავადობისა და სიკვდილიანობის შესამცირებლად გადამწყვეტია, რომ ხარისხიანი მომსახურება ეფექტიანად იქნეს გაწეული შინა მეურნეობიდან რეფერალურ ცენტრამდე და მოიცავდეს დედათა და ახალშობილთა ყველა სახის მომსახურებას, მათ შორის, ფეხმძიმობასთან დაკავშირებული გართულებების დროულ აღმოჩენას და სათანადო მართვას. ამგვარი მომსახურება ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა ქალისა და მისი ახალშობილი ბავშვისათვის მიუხედავად მათი საცხოვრებელი ადგილის, ფეხმძიმობისა და მშობიარობის გარემოებებისა და მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა.

როგორც ვხედავთ, სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება სოციალურ სფეროში რეფორმების განხორციელებისა და დაწყებული რეფორმების წარმატებით გაგრძელების აუცილებლობის საკითხი. ამგვარი აუცილებლობა, ცხადია, მხოლოდ იმით არ აიხსნება, რომ საქართველოში ტრანსფორმაციის პროცესი გაჭიანურდა და სოციალური სისტემა, სხვა სისტემების კვალდაკვალ, ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია. სოციალური სფერო მუდმივ განახლებასა და რეფორმირებას საჭიროებს, განსაკუთრებით

თანამედროვე პირობებში, როდესაც სოციალურ-ეკონომიკურ ასპარეზზე ცვლილებები უსწრაფესი ტემპებით ხდება.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ 2004 წელს მოხდა სიღარიბის დონის გაანგარიშების მეთოდის შეცვლა, რამაც გამოიწვია არა რეალური სიღარიბის, არამედ მხოლოდ მისი პრეზენტაციული ნაწილის შემცირება, თუ ადრე სიღარიბის ინდიკატორების გამოთვლისას დაკვირვების ერთეულს შინამეურნეობა წარმოადგენდა, ახალი მიდგომისას დაკვირვების ერთეული ინდივიდია. სიღარიბის დონის შემთხვევაში ეს ნიშნავს შემდეგს: თუ ადრე სიღარიბის დონედ ითვლებოდა ღარიბ შინამეურნეობათა ხვედრითი წილი ყველა შინამეურნეობაში, ახალი მიდგომით იგი განისაზღვრება, როგორც ღარიბი მოსახლეობის ხვედრითი წილი მთელს მოსახლეობაში, რაც იმის მაუწყებელია, რომ რეალურად სიღარიბის შემცირება 30 პროცენტული პუნქტით კი არ მომხდარა, როგორც ამას სტატისტიკა გვიჩვენებს, არამედ – გაცილებით ნაკლებით. გარდა ამისა, მოხდა საარსებო მინიმუმისა და სიღარიბის ზღვარის უბრალოდ მექანიკურად გადაანგარიშება, შემცირების მიმართულებით, რამაც ღარიბთა რიცხვი შეამცირა. (იხ. დანართი 6)

ის ფაქტი, რომ სიღარიბის მაჩვენებლებმა, 2010 წლიდან 2011 წლამდე, მართალია, ძალიან ნელი ტემპებით, მაგრამ კლება განაგრძეს, პირველ რიგში, როგორც აღვნიშნეთ, სტატისტიკური მეთოდის შეცვლით უნდა აიხსნას. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ 2006 წლის სექტემბერში, პირველად საქართველოს ეკონომიკაში, ამოქმედდა დასაქმების სახელმწიფო პროგრამა, რომელმაც, ცხადია, ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური ფონი ვერ შეარბილა. უფრო კონკრეტული მონაცემებით თუ ვიხელმძღვანელებთ, საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმი 2009 წლის მაისისთვის უკვე 211.5 ლარს, ხოლო 2010 წელს - 250.9 ლარს; 2011 წელს - 263,3-ს გაუტოლდა; ეს მაშინ, როცა 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებიდან სოციალურ სფეროსთვის განაწილებულმა თანხამ შეადგინა 1 319.8 მლნ ლარი. ამავე წელს განხორციელდა პენსიებისა და სოციალური დახმარებების მატება, კერძოდ, საპენსიო ასაკით დანიშნული სახელმწიფო პენსია (652.8 ათასი ბენეფიციარი) 2009 წლის 1 იანვრიდან 70 ლარიდან გაიზარდა 75 ლარამდე, ხოლო 1 ნოემბრიდან 80 ლარამდე.

2010 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით სოციალურ სფეროზე გამოყოფილი ასიგნება შემცირდა და შეადგინა 1 278.2 მლნ ლარი, აქედან, ამავე წელს სახელმწიფო პენსიების და კომპენსაციების დასაფარად მიმართული იქნა 883.8 მლნ ლარი; სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის დაზღვევაზე მიმართული იქნა 139.4 მლნ ლარი. 2011 წელს ფინანსთა სამინისტროს ინიციატივით, სოციალური დაცვის ხარჯი ისევ – 201.7 მილიონი ლარით – გაიზარდა და 1.5 მილიარდი ლარი დაიხარჯება. აქედან ყველაზე ნაკლები – მთლიანი სოციალური დაცვის 0.7% – შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებს მოხმარდებათ, მთლიანი სოციალური დაცვის 16% – სოციალურად დაუცველ ოჯახებსა და ბავშვებს, ყველაზე მეტი – მთლიანი სოციალური დაცვის 66.4%, ხანდაზმულთა სოციალურ დაცვას. 2011 წელს, არაკვალიფიცირებული საქმიანობა სოციალურ სფეროში 251 მილიონ ლარს შეადგენს. (www.mof.ge)

უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ზრდა მოხდა (დაგეგმილი 20%-ის ნაცვლად, 2007 წლისთვის მან უკვე მშპ-ს 34,5% შეადგინა და როგორც 2008 წლის I სამი კვარტლის მონაცემები ცხადყოფს, ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო გაიზარდა), რამაც, ქვეყნის სოციალური პრიორიტეტებიდან გამომდინარე, ასახვა ჰპოვა სოციალური ხარჯების ზრდაშიც. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მან 2007 წლიდან, სრულიად საპირისპიროდ, მშპ-თან მიმართებაში, შემცირება დაიწყო და ეს ტენდენცია დღემდე გრძელდება. კერძოდ, სოციალურ სფეროზე (განათლებაზე, ჯანდაცვასა და სოციალურ დაცვაზე) გაწეული ხარჯები 2007 წლის I კვარტალში შეადგენდა 8%-ს, II კვარტალში - 7,2%-მდე შემცირდა, ხოლო III და IV კვარტლებში კვლავ გაიზარდა და 7,4%-სა და 8,6%-ს გაუტოლდა. მაგრამ 2008 წლის I კვარტლიდან ისევ კლება დაფიქსირდა. ჯერ 7,5%-მდე შემცირდა სოციალური ხარჯები, შემდეგ კი, II კვარტალში, - 5,4%-მდე. (geostat.ge)

უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე დიდი ფინანსური დახმარება სიღარიბის დაძლევისა და სოციალური რეფორმის მხარდაჭერის მიმართულებით 38,4 მლნ. ევრო(ბიუჯეტის 32%), რომელიც 2010 წლამდე ეტაპობრივად მიიღო საქართველომ, მნიშვნელოვანი ცვლილება დასაქმების პრობლემასთან მიმართებით არ მომხდარა.

“ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამის განხორციელების ამსახველი ანგარიშიდან” ჩანს, რომ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პასუხისმგებლობის სფეროში შემავალი სექტორის მიმდინარე პრიორიტეტები უნდა არეგულირებდეს სამ ყველაზე მნიშვნელოვან სოციალურ რისკს: სიღარიბეს, ჯანმრთელობასა და ხანდაზმულობას. ჩვენი მოსაზრებით, სიღარიბის რეგულირება არასწორი გაგებაა, სიღარიბე უნდა აღმოიფხვრას, უმუშევრობის დონის რეგულირებით. ასევე არასწორი განმარტებაა სიღარიბის დაყოფა სიმწვავის მაჩვენებლების მიხედვით, ვინაიდან 22 ლარიც და 50 ლარიც ერთნაირად ღარიბად ტოვებს ადამიანს. ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს რისკების რეგულირების ინსტრუმენტებისა და მექანიზმების შესაქმნელად. აღნიშნულ სფეროში 2005 წელს დაიგეგმა მომდევნო წლებისათვის სამი უმნიშვნელოვანესი რეფორმა, კერძოდ: სოციალური დახმარების სისტემის ადმინისტრირების რეფორმა; ჯანმრთელობის დაცვის სისტემის რეფორმა; „პრივილეგიების“ ალოგიკური ზრდის შეზღუდვა.

2005 წელს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ ასევე შეიმუშავა სოციალური დაცვის კონცეფცია, რომლის არსიც შემდეგში მდგომარეობს: კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში (საპენსიო ასაკის მიღწევის, მარჩენალის დაკარგვის, შესაძლებლობის შეზღუდვის და სხვა) მოქალაქე უფლებამოსილია მიიღოს სახელმწიფოსაგან ადეკვატური (გარდამავალ პერიოდში, ეკონომიკური განვითარების შესაბამისად ეტაპობრივად ადეკვატურებამდე მზარდი) ცხოვრებისათვის საჭირო უზრუნველყოფა; მოსახლეობა, რომელიც უკიდურესი სიღატაკის ზღვარს ქვემოთ იმყოფება და ეკონომიკური აქტივობით არ შესწევს უნარი ცხოვრების დონე გაიუმჯობესოს, სახელმწიფოსაგან მიიღებს ადეკვატურ, მართებულ სოციალურ დახმარებას; სიღარიბეში მცხოვრები მოსახლეობისათვის, რომელსაც არ შესწევს უნარი, მიიღოს ქმედითი, პრევენციული ზომები სოციალური რისკებისაგან დასაცავად და უმნიშვნელო რისკიც უკიდურეს სიღატაკეში მოხვედრის საშიშროებით ემუქრება, სახელმწიფო ქმნის ეფექტურ უსაფრთხოების ბადეს სხვადასხვა სოციალური სერვისების განვითარების ხელშეწყობით.

2011 წელს, სოციალური შეჭირვება უმნიშვნელოდ შემცირდა. ბიუჯეტში თუ 2009 წელს სოციალურ უზრუნველყოფაზე გაწეული ხარჯები შეადგენდა 1,4 მილიარდი ლარს, 2010 წლისთვის 1,5 მილიარდი ლარი შეადგინა. (geostat.ge)

ეროვნული შემოსავლის განაწილება ნებისმიერი ქვეყნის სოციალური დაცვის მოდელის კონსტრუქციისთვის ცენტრალურ რგოლს წარმოადგენს. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ გამანაწილებელი მექანიზმები რეალური შინაარსით ავსებს სოციალურ ურთიერთდამოკიდებულებებს საზოგადოებაში, კონკრეტულ დატვირთვას აძლევს „სოციალური სამართლიანობის“ ცნებას. საქართველოსთან მიმართებით, შემოსავლების განაწილების მოდელის ტრანსფორმაციის აუცილებლობა აშკარაა, რადგან გარდამავალ პერიოდში ფაქტობრივად მდიდრებად და ღარიბებად დაიყო საზოგადოება, საშუალო ფენა კი სადღაც გაქრა. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ სკანდინავიური მოდელის ფარგლებში ყველაზე უკეთ ხერხდება შემოსავლების განაწილება, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ აღნიშნული მოდელის მოქმედების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს მაღალორგანიზებული საზოგადოება, რომელიც მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებაზე ზრუნავს. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ლიბერალური მოდელის მქონე სახელმწიფოებს (აშშ-სა და დიდ ბრიტანეთს) სოციალურ-ეკონომიკური პროცესების მართვის ბერკეტები ხელთ არ უპყრიათ. უბრალოდ, მათი სახელმწიფოებრივი მიდგომიდან გამომდინარე, ისინი ამჯობინებენ, ნაკლები დოზით ჩაერიონ საბაზრო პროცესებში და, სამაგიეროდ, ამით საზოგადოების როლი გაზარდონ, რაც არასახელმწიფოებრივ სექტორში ძლიერი ინსტიტუტების არსებობას გულისხმობს. ამისათვის კი წინაპირობები თავად სახელმწიფომ უნდა შექმნას: მწყობრი კანონებისა და ხელშემწყობი გარემოებების ჩამოყალიბებით. სოციალურ-დემოკრატიული მოდელის მქონე ქვეყნებისგან განსხვავებით, ლიბერალურ სახელმწიფოებს არა აქვთ ძლიერი სოციალური კანონმდებლობა და პროფკავშირების როლიც შედარებით სუსტია ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. მაგრამ სოციალური პოლიტიკის განხორციელებისას, სახელმწიფო საკმაოდ ქმედით ღონისძიებებს ატარებს.

ლიბერალური, ანუ ანგლოსაქსური მოდელის საფუძველი განაწილებით სამართლიანობის პრინციპია, ვინაიდან ის გულისხმობს არა პროფესიულ (როგორც

ბისმარკის მოდელში), არამედ ეროვნულ სოლიდარობას. სოციალური დაცვის ამგვარი სისტემების დაფინანსება ხორციელდება როგორც სადაზღვევო შენატანების, ისე საერთო საგადასახადო მოსაკრებლების ხარჯზე. ოჯახებისთვის განკუთვნილი შემწეობები და ჯანმრთელობის დაცვა ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ხოლო სხვა სოციალური შემწეობები - ქირით მომუშავეთა და დამქირავებელთა სადაზღვევო შენატანების ხარჯზე. ბისმარკის მოდელისაგან განსხვავებით, ეს მოდელი ითვალისწინებს საკმაოდ დაბალ სადაზღვევო გასაცემელებს და სოციალურ დახმარებას, რომელიც დომინანტურ როლს თამაშობს. აღნიშნული მოდელისთვის ასევე დამახასიათებელია შემწეობის მისაღებად საჭირო შემოსავლების შემოწმების პრაქტიკის ფართოდ გამოყენება. საყურადღებოა, რომ კონსერვატიული მოდელისგან განსხვავებით, ანგლოსაქსური, ანუ ლიბერალური სოციალური დაცვის მოდელის მქონე სახელმწიფოებში, არ არსებობს ორგანიზაციულად გაფორმებული ინსტიტუტები, რომლებიც კონკრეტული სახის სოციალური რისკების - სიბერის, ავადმყოფობის, უმუშევრობის, საწარმოში უბედური შემთხვევისა და ა.შ. დაზღვევას განახორციელებდნენ. აქ ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინდივიდუალიზმის პრინციპს და მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების ინტერესებს. ლიბერალურ მოდელში სოციალური დაცვის სისტემის ძირითადი თავისებურება ისაა, რომ ის არ ითვალისწინებს გარკვეულ პროგრამებზე (საპენსიო, სამედიცინო დაზღვევის, ინვალიდობის პენსიის და ა.შ.) მიმართულ ცალკეული სადაზღვევო შენატანების არსებობას. ამ პროგრამების დაფინანსების ყველა ხარჯი იფარება ერთიანი სოციალური გადასახადიდან, რომელიც შემდგომ მიემართება სოციალური დაცვის განსაზღვრული სფეროს საჭიროებაზე. უკანასკნელ წლებში სახელმწიფოს როლი აქ შედარებით შესუსტდა და კერძო შენატანების სისტემა სულ უფრო მეტად იმკვიდრებს ადგილს. (იხ. დანართი 7)

საქართველოს სოციალური პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია პენსია. დღეს საქართველოში მოქმედი საპენსიო სისტემა ორი ერთმანეთისაგან შინაარსითა და მოცულობით განსხვავებული ნაწილისაგან შედგება, სადაც დომინირებულ ნაწილს ჯერ-ჯერობით ისევ სახელმწიფო საპენსიო სისტემა იკავებს. ეს უკანასკნელი ეფუძნება თაობათა შორის სოლიდარობის სქემას, ანუ გადანაწილებით პრინციპს, რაც

გულისხმობს მომუშავეთა მიერ გადახდილი გადასახადების ხარჯზე არსებული პენსიონერებისათვის პენსიების გაცემას. ხოლო შედარებით მოკრძალებული ნაწილი კი არასახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფის სისტემას უკავია, რომელიც, სამწუხაროდ, კვლავაც განვითარების ჩანასახოვან სტადიაზე რჩება. სახსრები, რომელიც დღეს პენსიონერთათვის გაიცემა, საკმაოდ მწირია და ის საარსებო მინიმუმს მნიშვნელოვნად ჩამორჩება. დღევანდელი პენსია თავისი ფინანსური მოცულობით, უფრო მეტად სოციალური დახმარების მსგავსია. გარდა ამისა, ის არანაირად არ ითვალისწინებს დღევანდელი პენსიონერის მიერ მუშაობის პერიოდში გაღებულ საპენსიო შენატანებს და მისი საქმიანობის ხანგრძლივობას, ტიპს და ხარისხს. ამდენად, არსებული საპენსიო სისტემა ბევრ პრობლემას უქმნის საქართველოს ფინანსურ მდგრადობას და განვითარების პერსპექტივებს. ამასთან, ის არა მხოლოდ სადღეისო, არამედ გრძელვადიანი აქტუალობის მქონე პრობლემაა, ვინაიდან დროთა განმავლობაში სულ უფრო და უფრო მეტად მძიმდება და, შედეგად, მნიშვნელოვნად შეაფერხებს ეკონომიკის განვითარებას და წარმოშობს ახალ სოციალურ პრობლემებს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, დღის წესრიგში დგას საქართველოს რეალობისთვის ამ ეტაპზე უცხო, თუმცა ბევრ ქვეყანაში წარმატებით აპრობირებული საპენსიო სისტემის ჩამოყალიბების აუცილებლობა, რომელიც უნდა დაეყრდნოს დაგროვებით სქემას.

ქვეყნის სტრატეგიულ დოკუმენტში “ერთიანი საქართველო სიღარიბის გარეშე“, ვაწყდებით ძალიან ხმაურიან განცხადებას: „სოციალური დახმარების პაკეტი მიმართული იქნება ყველაზე გაჭირვებული მოქალაქეებისათვის ღირსეული საარსებო გარემოს შესაქმნელად. ეტაპობრივად გაიზრდება სოციალური საპენსიო პაკეტის მოცულობა და ის 100 დოლარს მიაღწევს. რაც თავის დროზეც უსაფუძვლო იყო, თუმცა პოლიტიკოსები დანაპირების შეუსრულებლობას ხსნიან ისევ გლობალური ეკონომიკური კრიზისითა და 2008 წლის რუსეთის აგრესიით. თუმცა, 2010 წლიდან დედაქალაქში მოხდა პენსიების 10 ლარით გაზრდა, რაც სხვა ტერიტორიული ერთეულების პენსიონრებთან შედარებით დედაქალაქელ პენსიონრებს უკეთეს მდგომარეობაში აყენებს და აშკარა დისკრიმინაციაა.

საქართველოში განხორციელებული რეფორმების ერთ-ერთ მთავარ გაცხადებულ მიზანს ლიბერალური ეკონომიკური გარემოს ჩამოყალიბება წარმოადგენს, რომელიც იქნება მიმზიდველი და კონკურენტუნარიანი მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში. როგორც მსოფლიო გამოცდილება ცხადყოფს, საპენსიო სისტემის რეფორმა ამ მიზნის მისაღწევი აქტივობების განუყოფელი ნაწილია, ვინაიდან პირდაპირ უკავშირდება იმ მნიშვნელოვან ადგილსა და ფუნქციას, რასაც საპენსიო სისტემა ქვეყნის ფინანსურ და სოციალურ პოლიტიკაში ასრულებს.

საქართველო, ისე როგორც ევროკავშირის ქვეყნები, ღრმა დემოგრაფიულ ცვლილებებს განიცდის. როგორც საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ეროვნულ მოხსენებაშია ნათქვამი თანამედროვე დემოგრაფიულ სიტუაციას საქართველოში სისტემური კრიზისის ხასიათი აქვს. ამ სისტემის შემადგენელი ნაწილებია: შობადობის შემცირება, გარკვეულწილად, მოკვდაობის ზრდა, მოსახლეობის პროგრესირებადი შეკვეცილი კვლავწარმოება ზოგიერთ რაიონში, დეფორმირებული სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, ჯანმრთელობის გაუარესება, გარე და შიდა მიგრაციის ფართო მასშტაბები, დიდი რაოდენობით განდევნილი მოსახლეობა და დემოგრაფიული პროცესების მართვის დაბალი დონე.“ შობადობის მიხედვით, საქართველო მსოფლიოს 196 ქვეყანას შორის 164-ე ადგილზეა. როგორც ცნობილია, 1970-დან 2005 წლამდე ევროპის მოსახლეობა 70 მილიონით გაიზარდა (656 მილიონიდან 726 მილიონამდე). საერთო რიცხვის ზრდის მიუხედავად, მოსახლეობის უმეტესი ნაწილი უფროს ასაკობრივ ჯგუფს მიეკუთვნება. შეიძლება ითქვას, რომ ევროპა საკმაოდ დაბერდა: ბოლო 35 წლის მანძილზე საშუალო ასაკმა 32 წლიდან 39 წლამდე აიწია. რამდენიმე ათეული წლის წინ 20 წლამდე ასაკის მოქალაქეთა რაოდენობა ევროპის მთლიანი მოსახლეობის მესამედ ნაწილს შეადგენდა, ახლა მხოლოდ მეოთხედს შეადგენს; 59 წელზე ზევით ასაკის მქონეთა წილი კი ერთი მეექვსედიდან ერთ მეხუთედამდე გაიზარდა. დაბერების მიზეზად ექსპერტები ორი ტენდენციის ერთობლივ მოქმედებას ასახელებენ. ესენია: შობადობის შემცირება და სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდა.

აშკარაა, რომ დემოგრაფიული სიტუაციის შეცვლას თან ახლავს საპენსიო სისტემის კრიზისი. ცნობილია, რომ ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების საპენსიო სისტემა მაშინ ჩამოყალიბდა, როცა საპენსიო ასაკის მოქალაქეები დასაქმებულთა უმნიშვნელო ნაწილს შეადგენდნენ. ასეთ სიტუაციაში რიცხოვნობად ნაკლები უფროსი ასაკობრივი ჯგუფის ადამიანთა პენსიით უზრუნველყოფის გარკვეულ დონეზე შენარჩუნება დიდ პრობლემას არ წარმოადგენდა. მაგრამ გარდამავალი დემოგრაფიული პროცესის დასრულების შემდეგ, რომელიც სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდით მიმდინარეობდა, სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. ამდენად, მცირე შენატანებზე დაფუძნებული საპენსიო სისტემების არსებობა უკვე შეუძლებელი გახდა, შედეგად იმატა შენატანების მოცულობის გაზრდის აუცილებლობამ. საქართველოში, ბოლო წლების განმავლობაში პენსიონერთა და საოჯახო დახმარების მიმღებთა რიცხოვნობაზე საინტერესო მონაცემები მოცემულია ცხრილში. (იხ. დანართი 8)

ზოგადად, დემოგრაფიულ ჭრილში პენსიონერების ოდენობა მუდმივად მზარდია. ასაკით პენსიონერების რაოდენობამ ბოლო 10 წლის განმავლობაში 71 ათასით იმატა (2000 წელს – 550 ათასი, 2010 წელს – 621 ათასი). გაიზარდა პენსიონერების პროცენტული მაჩვენებელიც მთელ მოსახლეობასთან მიმართებაში - 12,5%-დან 14%-მდე. ამავდროულად, 2000-დან 2010 წლამდე პერიოდში დაქირავებული დასაქმებულების რაოდენობამ, ვისი გადახდილი გადასახადებითაც ფორმირდება საპენსიო გასაცემელები, 684 ათასიდან 596 ათასამდე იკლო. (geostst.ge)

აღსანიშნავია, რომ ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში შემუშავებული პირველი დოკუმენტი, რომელიც რადიკალურად ცვლიდა არსებულ საპენსიო სისტემას, იყო 2003 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ახალი საპენსიო კანონების პაკეტი, რომელშიც შედიოდა “სავალდებულო სოციალური დაზღვევის შესახებ”, “სავალდებულო სადაზღვევო პენსიების შესახებ” და “სავალდებულო სოციალური დაზღვევის სისტემაში ინდივიდუალური (პერსონიფიცირებული) აღრიცხვისა და ინდივიდუალური ანგარიშების შემოღების შესახებ” კანონები. კანონპროექტის თანახმად ყველა სახის სადაზღვევო პენსია შეიცავდა ორ კომპონენტს: მინიმალურ საბაზისო ნაწილს, რომელიც გარანტირებული და ერთნაირი იქნებოდა ყველასათვის,

ვინც აკმაყოფილებდა პენსიაზე გასვლის მოთხოვნებს (ასაკს, სამუშაო სტაჟს, შესაძლებლობის შეზღუდვის ხარისხს, გარდაცვლილი ოჯახის წევრის კმაყოფაზე ყოფნის ფაქტს) და სადაზღვევო ნაწილს, რომლის სიდიდე დიფერენცირებული და დამოკიდებული იქნებოდა სადაზღვევო სტაჟის ხანგრძლივობაზე და სადაზღვევო შენატანების სიდიდეზე. აღსანიშნავია, რომ შემოთავაზებული მოდელის დაფინანსება უნდა განხორციელებულიყო იმ დროისათვის შრომის 33% სოციალური დაზღვევის შენატანით დაბეგვრის და ფორმალურ სექტორში დასაქმებულების პენსიონერებთან შედარებით მცირე წილის ხარჯზე. 33%-იანი სავალდებულო შენატანის უდიდესი ნაწილი (სოციალური შენატანის 28% მოაზრებული იყო საპენსიო შენატანად ხოლო 5% - ჯანმრთელობის ხარჯების ასანაზღაურებლად) განკუთვნილი იყო არსებული შრომითი პენსიების და ახალად შემოღებული ინდივიდუალური სადაზღვევო ნაწილის დასაფინანსებლად. 28%-დან 8% მიმართული იქნებოდა ინდივიდუალურ ანგარიშებზე, ხოლო 20% მოხმარდებოდა ყველასათვის თანაბარი ე.წ. ბაზისური პენსიის დაფინანსებას. სამწუხაროდ, ზემოაღნიშნულ კანონთა პაკეტი გაუქმდა 2004 წელს და ამ ნაბიჯით ქვეყანამ კიდევ უფრო გაიხანგრძლივა საპენსიო სისტემაში არსებული პრობლემების მოუგვარებლობა. გასათვალისწინებელია ქვეყნის როგორც მაკროეკონომიკური მაჩვენებლები და მათი დინამიკა, ასევე საბიუჯეტო პოლიტიკის პრიორიტეტები და დემოგრაფიული სურათის ცვალებადობა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოს ეკონომიკას და ბიუჯეტს ნაკლებად აქვს იმის ფუფუნების საშუალება, რომ საპენსიო დანახარჯების გასტუმრება კვლავაც უპირატესად სახელმწიფოს მართვა-გამგებლობის ფუნქციად დარჩეს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში რეალურად მოქმედებს მხოლოდ სახელმწიფო საპენსიო სისტემა, უკვე რამდენიმე წელია გამოჩნდნენ კერძო კომპანიები, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს კერძო საპენსიო სისტემის შექმნას. ამჟამად მოქმედებს შვიდი საპენსიო სქემა, თუმცა მასში გაერთიანებულია მხოლოდ 15 000-მდე მონაწილე. შედეგებზე საუბარი შეუძლებელია, რადგან ჯერ არც ერთი პენსიის გაცემა არ მომხდარა კერძო საპენსიო სქემიდან. დღეს პენსიებს განსაზღვრავს და გაცემს მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტი. ამჟამად მინიმალური სახელმწიფო პენსია 55 ლარია,

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა - 70- 80 ლარი, ასაკობრივი პენსია კი - 100 ლარი.

2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, სახელმწიფო პენსიებზე გამოყოფილია 932,3 მილიონი ლარი (ბიუჯეტის 13,1%). ერთი შეხედვით, ეს თანხა საკმაოდ სოლიდურია, მაგრამ აშკარაა, რომ პენსია ახლოს ვერ მიდის საარსებო მინიმუმთან, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ ეს საპენსიო სისტემა რეალურად ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას - ვერ უზრუნველყოფს ადამიანების ფიზიკურ გადარჩენასაც კი. მოუხედავად იმისა, რომ 2003 წელთან შედარებით 2010 წლისთვის საშუალო პენსიის სიდიდე გაზრდილია 6.1- ჯერ, მისი მსყიდველობითი უნარიანობა მხოლოდ 3.0-ჯერ გაიზარდა, რადგან ამავე პერიოდში მოიმატა ფასებმა პირველადი მოხმარების პროდუქტებზეც. (geostat.ge) ბოლო წლებში სურსათზე ფასების ზრდა მნიშვნელოვნად უსწრებდა ფასების საერთო ზრდას. 2003-დან 2010 წლამდე საქართველოში სურსათზე ფასებმა მოიმატა 220.4 პროცენტით. იმავე პერიოდში ბუნებრივი აირის ფასი გაიზარდა თითქმის 4-ჯერ, ხოლო ელექტროენერჯისა - 1.6-ჯერ. შესაბამისად, 2010 წლის დეკემბრის პენსიის მსყიდველობითი უნარიანობა 2003 წლის დეკემბრის ფასებით მხოლოდ 40-42 ლარის ეკვივალენტურია. ამჟამინდელი პენსია პროცენტებში საშუალო ნეტო ხელფასთან (საშუალო დარიცხულ ხელფასს გამოკლებულ საშემოსავლო გადასახადი) 1990 წლის მაჩვენებელს თითქმის 2-ჯერ ჩამორჩება (1990 წ. - 36.7%; 2010 წ. - 17.5%). ხოლო თავისი მსყიდველობითუნარიანობით ორი ათეული წლის წინანდელი მინიმალური პენსიის დაახლოებით 45 პროცენტის ეკვივალენტურია და ფაქტობრივად, მხოლოდ სოციალური დახმარების ფუნქციის მატარებელია, ვინაიდან ადამიანის ოფიციალური საარსებო მინიმუმის დონეზე არსებობისთვისაც კი "საკმარისია" თვეში მხოლოდ არასრული ოცი დღის განმავლობაში.

თვალსაჩინოებისათვის, სომხეთში საშუალო პენსია დაახლოებით 65 დოლარია, აზერბაიჯანში -125, ხოლო რუსეთის ფედერაციაში - 240. ამასთან, საშუალო ხელფასთან საშუალო პენსიის თანაფარდობითაც ჩვენ მნიშვნელოვნად ჩამოვრჩებით ზემოჩამოთვლილ ქვეყნებს: საქართველო - 14.0%, სომხეთი - 20.1%, აზერბაიჯანი - 33.2%, რუსეთის ფედერაცია - 36.6%. (armstst.am; azstat.org) ამ სტატისტიკის უბრალო

გადახედვაც კი საკმარისია იმისთვის, რომ საქართველოში მოქმედი საპენსიო სისტემა არაეფექტურია და დაუყონებლივ რეფორმირებას საჭიროებს. თუ გავითვალისწინებთ, რომ გაეროს ანგარიშების თანახმად, საქართველო შედის „დემოგრაფიულად მომაკვდავ“ ქვეყნების რიცხვში, (ეროვნული მოხსენება 2009: 7) ე.ი. ერის დაბერების პროცესი გრძელდება, ასევე, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ქვეყანაში რეალურად დასაქმებული მოსახლეობის რაოდენობა, ყველაზე ოპტიმისტური გათვლებითაც კი, ძლივს უტოლდება პენსიონერთა რაოდენობას, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არსებული საპენსიო სისტემა არა მარტო არაეფექტურია, არამედ გაუმართლებელია ეკონომიკური თვალსაზრისითაც. ამდენად, მოქმედი საპენსიო სისტემის არსებობის პირობებში, ხელისუფლება მალე ვეღარ შეძლებს პენსიების გაცემას, თუმცა არ არის განსაზღვრული პრინციპი, თუ რის საფუძველზე მოხდება სარგოს განსაზღვრა დღეს დასაქმებული ადამიანებისთვის, რომლებიც ახლო მომავალში პენსიონერები გახდებიან. ნებისმიერ შემთხვევაში აშკარაა, რომ ქვეყანაში ამჟამად დასაქმებული მოსახლეობა, სოციალური გადასახადის არსებობის შემთხვევაშიც კი, ვერ მოახერხებს იმ ოდენობის თანხის აკუმულირებას ბიუჯეტში, რომელიც საკმარისი იქნება თუნდაც დღევანდელი სიმბოლური პენსიებისთვის, რადგან პენსიონერთა ხვედრითი წილი საზოგადოებაში იზრდება და უახლოეს მომავალში ეს ტენდენცია არ შეიცვლება.

ევროკავშირის შემთხვევაში, სოციალური დაცვის ხარჯების დინამიკა უფრო მრავალფეროვანია. 2002-2003 წლებში სოციალური დაცვის ხარჯი გაიზარდა. შემდეგ, 2005 წლის ჩათვლით სტაბილური იყო. 2007 წლამდე მნიშვნელოვნად მცირდებოდა. 2007-2008 წლებში კი ისევ მოიმატა – საშუალოდ 0.7%-ით. (epp.eurostat.ec.europa) ეს ძირითადად სოციალური დაცვის ნომინალური ხარჯების მომატებამ და პარალელურად, ევროპის მასშტაბით შემცირებულმა ეკონომიკურმა ზრდამ გამოიწვია. 2010 წელს, ევროპამ „ქამრების შემოჭერა“ რეალურად დაიწყო ამ სფეროში: ბრიტანეთმა თითქმის გაანახევრა პენსიები, საჯარო მოხელეების ხელფასები და სოციალური დახმარებები, გერმანიამ სახელმწიფო ხარჯი 80 მილიარდი ევროთი შეკვეცა – ძირითადად ბიუჯეტის სოციალური ნაწილისა და უმუშევართათვის შემწეობის კლების ხარჯზე. უნგრეთმა, ბიუჯეტის ხარჯების 15%-ით შეკვეცასთან ერთად, საშემოსავლო

გადასახადიც გაანახევრა, მცირე და საშუალო ბიზნესისათვის კი გადასახადები შეამცირა. საქართველოში კი პირიქით იზრდება საჯარო მოხელეთა ხელფასები ისე, რომ არანაირი მექანიზმი მათი შემოსავლების გადანაწილების სოციალური დაცვის უზრუნველსაყოფად არ არის ჩამოყალიბებული.

საქართველოში არსებული საპენსიო სისტემის ხარვეზებად ითვლება შემდეგი ფაქტები:

- პენსიების სიდიდე მნიშვნელოვნად ჩამორჩება საარსებო მინიმუმს;
- დასაქმებულთა შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი აღურიცხავია;
- აქტიური დასაქმებულების რიცხვის შეფარდება პენსიონერებთან საგანგაშოა, რაც არსებული საპენსიო სისტემის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას უპერსპექტივოს ხდის. პენსიების დაფინანსება-გაცემა უშუალოდ მიბმულია სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებებზე.

2008 წელს ჩატარებული ევროკომისიის ტექნიკური დახმარების პროექტმა „საქართველოს საპენსიო რეფორმის მხარდაჭერა“ უზრუნველყო. მოახდინა დეტალური ანალიზი და მიეცა რეკომენდაციები საქართველოში საპენსიო სისტემის განვითარებისთვის. ამ პროგრამის ფარგლებში გამოავლინა შემდეგი ნაკლოვანებები საპენსიო სისტემაში:

- ყველა სახის პენსია მიჩნეულია, როგორც სარგებელი/შემწეობა სახელმწიფო ბიუჯეტიდან;
- სოციალურ პენსიებსა (ინვალიდობის, მარჩენალდაკარგულის და ა.შ.) და ხანდაზმულობის პენსიებს შორის განსხვავების ნაკლებობა;
- სოციალური დაზღვევის სქემებისა და სტრუქტურების არარსებობა; და დეტალური საპენსიო პოლიტიკის არარსებობა.

2008 წელს ჩატარებული ევროკომისიის ტექნიკური დახმარების პროექტმა დაასკვნა, რომ არსებობდა საჭიროება საშუალო ვადიანი სპეციალიზირებული ტექნიკური დახმარებისა, რათა დახმარება გაეწია მთავრობისთვის საპენსიო პოლიტიკის, განხორციელების მექანიზმებისა და შესაბამისი კანონმდებლობის ფორმულირებაში.

როგორც მოცემული მასალიდან ჩანს, საქართველო სოციალური დაცვის სისტემა რადიკალურ ცვლილებას საჭიროებს. ჩვენ შევეჩვიეთ გამზადებული მოდელების გადმოტანას და მცდელობას რომელიმე განვითარებული ქვეყნის მოდელი მოვარგოთ არსებულ მდგომარეობას, რაც საქართველოს ეკონომიკას „საცდელ“ პოლიგონად აქცევს ხშირად. სოციალური პრობლემების მოგვარებაში სხვა სახელმწიფოს გამოცდილების გაზიარება დადებითი მომენტია, მაგრამ მასთან არსებული მოდელის გადმოტანა, უმეტეს შემთხვევაში, უშედეგოა, უარეს შემთხვევაში, ზიანსაც აყენებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას. ჩვენი აზრით, დროა სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების გარეშეც შევძლოთ გამოვიკვლიოთ მოსახლეობის არსებული მდგომარეობა, სწორად შევაფასოთ იგი, და ქვეყნის ბუნებრივი, ადამიანური, ინტელექტუალური, მატერიალური რესურსული პოტენციალის გათვალისწინებით ავაგოთ ისეთი სოციალური დაცვის სისტემა, რომელიც მეტწილად ორიენტირებული იქნება საბაზრო ეკონომიკის შესაბამისი ინსტიტუტების განვითარებაზე და სახელმწიფოს როლის თანდათანობით შემცირებაზე სოციალური პრობლემების მოგვარებაში. საქართველოში არსებული მდგომარეობა, განსაკუთრებით დასაქმების სფეროში არასახარბიელოა და შეიძლება სახელმწიფოს როლის შემცირებაზე სოციალური საკითხების მოგვარებაში არასწორად იქნას მიჩნეული, მაგრამ, ჩვენი აზრით, თუ სოციალური სფეროში არ გაიმიჯნება სახელმწიფოსა და ბიზნესის როლი, სოციალური დაცვის საკითხების გადაწყვეტაში მუდმივად იქნება ე.წ. „გადაბრალებას“ ადგილი ამა თუ იმ არასახარბიელო შედეგის მიღებისას. სწორედ ბიზნესის როლზე, ცალკეული მოქალაქეების სოციალურ პასუხისმგებლობის საკითხების განხილვას შევეცდებით არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის საფუძველზე. სოციალური დაცვის სფეროს კეთილშობილური მიზნების მიუხედავად, ხშირად გაუმართლებლად დიდი ხარჯი ეკონომიკურ ზრდას მნიშვნელოვნად ასუსტებს. ნებისმიერმა ქვეყანამ, განვითარების გარკვეულ ეტაპზე უნდა უპასუხოს შეკითხვას, თუ რა ურჩევნია: პირდაპირ დაეხმაროს სოციალურად გაჭირვებულ ადამიანს, მისი მოთხოვნილებების ზრდის პროპორციულად დაუსრულებლად ზარდოს სოციალური დაცვის ხარჯები და ამით დამოკიდებული გახადოს სისტემაზე, თუ პრიორიტეტად

ეკონომიკური ზრდა აქციოს; შექმნას დასაქმების შესაძლებლობა და საკუთარ კეთილდღეობაზე ინდივიდუალური პასუხისმგებლობის გრძნობის გაჩენას შეუწყოს ხელი.

2.3 კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა და სადაზღვევო ბიზნესის როლი მის განხორციელებაში

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა თანამედროვე პერიოდში ბიზნესის განვითარებაში მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს. სოციალური პასუხისმგებლობა – ეს არის საერთაშორისო ინიციატივის–ბიზნესის გამჭვირვალობის გადიდება, მისი საქმიანობის ანგარიშის გამოქვეყნება, დაკვირვების განხორციელება თუ რამდენად პასუხობს ბიზნესი საზოგადოების ეთიკურ, სოციალურ და გარემოს მოთხოვნებს. განვითარებული ქვეყნების მიერ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მიღწეულმა წარმატებებმა დაგვანახა, რომ მიუხედავად საბაზრო ეკონომიკის თეორიული ასპექტებით შეფასებისა, იგი ითვლება საზოგადოების სოციალურ ფენებად დიფერენცირების საფუძვლად, რომ სწორედ საბაზრო ეკონომიკა ყოფს ადამიანებს „მდიდრებად“ და „ღარიბებად“. იგი თავის ბუნებით „სოციალურია“ და მასშივე დევს ყველა ის მექანიზმი, რომლის სწორი დანიშნულებით გამოყენება ემსახურება ადამიანთა ინტერესებსა და მოთხოვნილებებს.

მსოფლიო პრაქტიკაში არსებული ვითარება ყველა სახელმწიფომ გაიარა და არსებობს მტკიცე აზრი, რომ შეუძლებელია ეროვნული ეკონომიკის განვითარება, მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანობის მოპოვება, საინვესტიციო მიმზიდველობის ამაღლება, თუ არ არის ყველა პოლიტიკა მიმართული ადამიანური კაპიტალის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

დიდი ბრიტანეთის და ევროკავშირის მთავრობები ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობას განიხილავენ, როგორც კარგი კორპორატიული მართვის ერთ ასპექტს, მათ ნებაყოფლობით საქმიანობას. თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში არის მოთხოვნა ბიზნესმა გადაანაწილოს რესურსები სოციალური მიმართულებით ღირებულების იძულებითი სისტემის ფორმით. მაგრამ ბიზნესის განვითარება, მისი წარმატებული საქმიანობა დიდად არის დამოკიდებული სოციალურად უზრუნველყოფილი საზოგადოების არსებობაზე. ამიტომ სოციალური პასუხისმგებლობა იქნება თუ არა ნებაყოფილობითი ქმედება, ბიზნესი ვალდებულია ყოველთვის უპასუხოს იმ გამოძახილს, რაც იქნება საზოგადოების მხრიდან. თუ გავანალიზებთ ბიზნესის

საქმიანობის ყველა ფაქტორს: სამეწარმეო უნარს, კაპიტალს, მიწას, შრომის იარაღებსა და სამუშაო ძალას – ადვილი მისახვედრია, რომ ყველა ფაქტორი უმოქმედო აღმოჩნდება სამუშაო ძალის გარეშე. ამიტომ ნებისმიერი საქმიანობის წარმატების ცენტრალური ფიგურა არის ადამიანური კაპიტალი, რომლის შესაძლებლობის სრული რეალიზაცია ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ამაღლების, ეროვნული ეკონომიკის ზრდის საწინდარია. ცნობილია, რომ ნებისმიერი საქმიანობის შესრულება წარმატებით შესაძლებელია მხოლოდ გაწონასწორებული, მშვიდი ფსიქოლოგიური მდგომარეობის შემთხვევაში. ეს პირობა ირღვევა, როდესაც ადამიანის – სამუშაო ძალის წინაშე დგას სოციალური სახის პრობლემები. ბიზნესის წარმატების ფორმულა არის წარმოების ყველა ფაქტორის კავშირი ადამიანთან, რომელიც ამ ფორმულაში გვევლინება არა მხოლოდ როგორც სამუშაო ძალა, არამედ წარმოებული საქონლისა თუ მომსახურების მომხმარებელიც. ამ ლოგიკიდან გამომდინარე, ჩვენ არ მივიჩნევთ, რომ სოციალური პოლიტიკა ბიზნესის ტვირთი აღმოჩნდეს, არამედ სახელმწიფოს მიერ გატერებულ სოციალურ პოლიტიკაში ბიზნესი აღმოჩნდეს მასთან დასაქმებული ადამიანების სოციალურად პასუხისმგებელი. ვთვლით, რომ კორპორატიულ სოციალურ პასუხისმგებლობაში არ არის რაიმე საშიშროება, მთავარია კომპანიის მენეჯმენტმა იგი განიხილოს თავისი საქმიანობის აუცილებელ ელემენტად და შეიმუშაოს შესაბამისი პოლიტიკა. წარმოების დონეზე გატარებული ადეკვატური პოლიტიკა უნდა იქცეს მისი საქმიანობის არა შემაფერხებელ ფაქტორი, არამედ წარმატება უნდა მოუტანოს თავისუფალი კონკურენციის პირობებში. ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა ახალი ტერმინია და მისი არსის გაგება ისეთ ქვეყნებში, სადაც ბიზნესის წარმოების პრინციპები ჯერ კიდევ სწორად არ არის რეალიზებული, რთულია, როგორც ბიზნეს-მენეჯერის მხრიდან, ასევე მისი აუცილებლობის შესახებ საზოგადოებას არ აქვს მოთხოვნა. ევროკომისიის განმარტებით „...სოციალური პასუხისმგებლობა არის კონცეფცია, რომლის დახმარებით კომპანია ნებაყოფილობით ახდენს სოციალური ვალდებულებებისა და გარემოს დაცვის ვალდებულებების ინტეგრაციას თავის საქმიანობაში და პარტნიორებთან ურთიერთობაში“ (Communication2011:6) ((Promoting a European Framework for Corporate Social Responsibility COM 2001: 366) ასევე,

დიდი ბრიტანეთის ვაჭრობის და მრეწველობის დეპარტამენტის განსაზღვრების თანახმად (<http://www.bis.gov.uk>) ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა ვარაუდობს, რომ: "... საწარმო ყურადღებას აქცევს იმას, რომ როგორ გააუმჯობესოს სოციალური გავლენა ეკონომიკის ლოკალურ სექტორზე, გარემოზე, ზემოქმედება საზოგადოებაზე და სოციალურ ერთობაზე, ადამიანის უფლებისა და გარემოს დაცვის წესებზე, ვაჭრობის წარმოების სამართლიანობასა და ამ სამართლიანობის დარღვევის შესაძლო გზებზე". თავისი ისტორიული წარმოშობით ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა არ არის ახალი მოვლენა. დაწყებული XIX საუკუნიდან არსებობს მრავალი მაგალითი იმისა, თუ როგორ ახდენდნენ მეწარმეები ინვესტირებას ექსპერიმენტული საცხოვრებელი სახლების მშენებლობაში, ჯანდაცვაში, დასაქმებულების განათლების ამაღლებაში, ხარისხიანი პროდუქციის გამოშვებას და სხვა მრავალი ღონისძიებების გატარებაში, რომელიც უშუალოდ ხელს უწყობს სახელმწიფოს სოციალური პროგრამების განხორციელებაში. თანამედროვე ბიზნესი მრავალ კავშირებსა და ურთიერთობებს საჭიროებს. ესენია: მომხმარებელთან, პარტნიორთან, კონკურენტთან, პოლიტიკოსებთან და ინვესტორებთან, სახელმწიფოსთან და კონკურენტებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან. ამიტომაც ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა მრავალწახნაგოვანია და იგი მოიცავს:

- ქონებრივი პასუხისმგებლობას ინვესტორების, აქციონერების და კრედიტორების წინაშე მათ საკუთრებასთან დაკავშირებით;
- მომხმარებელთან და კლიენტებთან – საქონლისა და მომსახურების ხარისხზე პასუხისმგებლობას;
- დასაქმებულების წინაშე – პასუხისმგებლობას სამუშაო ადგილზე, შრომითი უფლებების დაცვას, დასაქმებულთა სოციალურ კეთილდღეობას;
- პარტნიორებთან ურთიერთობა – პროფესიონალური პრინციპების და სტანდარტების, ფინანსური პასუხისმგებლობის დაცვა;
- მოსახლეობის წინაშე – გარემოს დაცვა, ბიზნესის განთავსებისას ტერიტორიის კეთილმოწყობა და სოციალური განვითარება;
- სახელმწიფოს წინაშე – კანონების დაცვა, გადასახადების გადახდა.

ჩამოთვლილ ფორმათაგან ვერც ერთი ვერ იქნება დომინირებული, თუმცა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, შეიძლება გამოიკვეთოს პრიორიტეტები:

- სამუშაო ადგილების შექმნა, ღირსეული შრომის პირობების და ხელფასების გადახდით;
- კვალიფიკაციის ამაღლება და პროფესიონალური კადრებით უზრუნველყოფა;
- დასაქმებულთა სოციალური საკითხების გადაწყვეტილებაში მონაწილეობა;
- ქველმოქმედების განხორციელება მოსახლეობის ცალკეული ფენების, ორგანიზაციების სასარგებლოდ;
- მონაწილეობა სოციალური პოლიტიკის გატარებაში.

ჩამოთვლილი ფორმები და პრიორიტეტები საერთო ჯამში ქმნის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის დონეს, რომლის ხარისხი ცალკეული შემადგენლის განხორციელებაზეა დამოკიდებული. აქვე ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ სოციალური პასუხისმგებლობა არ უნდა იქნეს განხილული მხოლოდ მათი მხრიდან სოციალური სახის ღონისძიებების გატარებით, მთავარი მომენტია თვით ბიზნესის განვითარება. ერთია, როდესაც ბიზნესისა და სახელმწიფოს წარმომადგენლების ერთობლივი მუშაობით ყალიბდება კონცეფცია, რომელიც განსაზღვრავს ბიზნესთან პარტნიორობისას ყველა სუბიექტის მოთხოვნას მისდამი, და მეორეა, თუ რა სურს ცალკეულ დაინტერესებულ პირს, პარტნიორს, საელმწიფოს უშუალოდ ბიზნესისგან სოციალური პასუხისმგებლობის მიმართულებით. ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის გაანალიზებისას ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ იგი უნდა განიხილებოდეს არა იმ კუთხით, რომ შესრულდეს დასაქმებულთა სოციალური დაცვის ღონისძიებები ან განხორციელდეს ნებაყოფლობით ქველმოქმედება, არამედ სოციალური პასუხისმგებლობა უნდა გახდეს კონკურენტუნარიანობის ამაღლების ინსტრუმენტი. კერძოდ, კომპანიის მხრიდან მაღალი სოციალური სტანდარტების დაკმაყოფილება მესაკუთრის წინაშე დააყენებს მოთხოვნას არსებული სამუშაო ძალა ჩაანაცვლოს ბაზარზე უფრო მაღალკვალიფიციური სპეციალისტით, ან შეინარჩუნოს მაღალპროფესიონალური

კადრები. ე.ი. დასაქმებული ადამიანები განიხილებიან, როგორც სოციალური პასუხისმგებლობის მასტიმულირებელი ძალა.

სხვადასხვა ქვეყანაში ბიზნესის მონაწილეობა სოციალური პრობლემების გადაწყვეტაში რეგულირდება მოქმედი შრომის, საგადასახადო და ეკოლოგიური კანონმდებლობით, ან ხორციელდება დამოუკიდებლად სპეციალურად დადგენილი მასტიმულირებელი შეღავათების ზეგავლენით. დასავლურ სამყაროში ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის ინიციატივებს დიდი ხნის ტრადიცია აქვს. 70-იანი წლების შუა პერიოდამდე გავრცელებული იყო შეხედულება, რომ თუ ორგანიზაცია კეთილსინდისიერად იხდის გადასახადებს, თუ თავის დარგში მშრომელებისთვის საშუალო დონეზე მაღალ ხელფასებს ადგენს, ასრულებს შრომის უსაფრთხოებასთან და გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ ძირითად მოთხოვნებს, მაშინ ასეთი ორგანიზაცია მთლიანად შეესაბამება სოციალურად პასუხისმგებლობის მქონე ორგანიზაციებს. უფრო ხშირად, სოციალური პრობლემების გადაჭრაში საზოგადოება მეწარმეთა ნაცვლად, სახელმწიფოს იმედად იმყოფებოდა. ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი *მილტონ ფრიდმანი* აზრს შემდეგნაირად აყალიბებდა: „ბიზნესს მხოლოდ ერთი პასუხისმგებლობა აქვს - გამოიყენოს თავისი რესურსები იმისთვის, რაც მოგება მოიტანოს, სანამ ეს საქმიანობა თამაშის წესების ფარგლებში ჯდება“. (Фридман 2006: 111) ფრიდმანის აზრით, კომპანიის როლი ფულის შოვნაშია და არა პლანეტის გადარჩენაში ან სხვაგვარ ჰუმანიზმში.

90-იან წლებში სოციალური პასუხისმგებლობის ცნება მნიშვნელოვანწილად ხელახლა გააზრებულ-გადაფასებული იქნა. ახალი კონცეფცია იმაში მდგომარეობდა, რომ მხოლოდ მოგების მიღებაზე ვიწროდ ორიენტირებულმა ბიზნესმა შეიძლება გაამწვავოს სოციალური პრობლემები (გამოიწვიოს მასობრივი სიღატაკე, გაძლიერდეს სოციალური უთანასწორობა, გაუარესდეს ეკოლოგიური მდგომარეობა). სხვადასხვა ტექნოლოგიურმა ავარიებმა, რომლებსაც მოჰყვა გარემოს დაზინძურება, რაშიც მსხვილი ტრანსნაციონალური კომპანიების ბრალეულობა იკვეთებოდა, გამოიწვია საზოგადოებრივი აზრის შეცვლა ბიზნესის ასეთი საქმიანობის მიზანშეუწონლობასთან დაკავშირებით. ვიდრე განვიხილავთ ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის

არსებულ მდგომარეობას საქართველოში გავანალიზოთ ამ ცნების თეორიული ასპექტები. სოციალური პასუხისმგებლობის ცნება ფართო გაგებით მოიცავს ორ ურთიერთდაკავშირებულ ელემენტს: ამა თუ იმ სოციალური ინსტიტუტის კონკრეტული პირების, ორგანოების (და ორგანიზაციების) მიმართ გარკვეული მოლოდინების (მოთხოვნების) არსებობასა და ამ უკანასკნელთა მხრიდან საზოგადოების (ქვეყნის, კორპორაციის, კოლექტივის, ოჯახის, ცალკეული ინდივიდების) წინაშე საკუთარი მოვალეობების გაცნობიერებას. (Деревьянченко 2006:159) ავტორი ავითარებს აზრს იმის შესახებ, რომ კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა აღიქმება, როგორც გარკვეული ტერიტორიის ან ადგილობრივი თანამეგობრობის მოქალაქეობა. ჩვენ ვეთანხმებით ა. ა. დერევიანჩენკოს (Деревьянченко 2006:68) პოზიციას, რომელიც კორპორატიულ მოქალაქეობას განიხილავს, როგორც კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის შემადგენელ ნაწილს, რაც ადასტურებს, რომ კორპორატიული მოქალაქეობის ცნება გაცილებით უფრო ვიწროა, ვიდრე-კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა.

ვიწრო გაგებით, სოციალური პასუხისმგებლობის ცნება განეკუთვნება ადამიანთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის უშუალო პირობების სფეროს, სხვადასხვა სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. მოცემულ ასპექტში, სოციალური პასუხისმგებლობის ცნება გულისხმობს ამა თუ იმ საზოგადოებრივი ძალის და ინსტიტუტის ვალდებულებების გადაჭრას, მოსახლეობის ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და სხვა პრობლემების მოგვარებით.

2002 წლის გაეროს (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის) გენერალური მდივნის – კოფი ანანის გამოსვლაში „კერძო სექტორის სოციალური პასუხისმგებლობის როლი და სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება“ განსაკუთრებით ხაზგასმული იყო, რომ „მსხვილ კომპანიებში კორპორატიულ სოციალურ პასუხისმგებლობაზე გარკვეული მანიფესტის არსებობა აუცილებელი პირობა ხდება წარმატებული კორპორატიული კომუნიკაციისათვის და საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიისთვის“. (Аннан 2002:174)

კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის ამერიკული მოდელი მე-19 საუკუნეში ჩამოყალიბდა. (Литовченко..... 2003:51) ამერიკული მეწარმეობის თავისებურებების გამო, რომელიც სუბიექტების მაქსიმალურ თავისუფლებას ეფუძნება. საზოგადოებრივი ურთიერთობის მრავალი სფერო დღემდე თვითრეგულირებადად რჩება. მათ შორის, შრომითი ურთიერთობები - დამსაქმებელი და დასაქმებული (ორმხრივი ხელშეკრულება), და სამედიცინო დაზღვევის ნებაყოფლობითობა. თუმცა აქ დახვეწილია ბიზნესის მონაწილეობის მექანიზმები (კორპორატიული ფონდების მეშვეობით) საზოგადოების სოციალურ მხარდაჭერაში. სხვადასხვა სოციალური პრობლემების გადაჭრა ბიზნესის ხარჯზე (პერსონალისთვის საპენსიო უზრუნველყოფის, სადაზღვევო პროგრამების და პროფესიული განათლების დასაპონსორება).

ევროპაში კომპანიის სოციალური მოღვაწეობა ძირითადად შესაბამისი ქვეყნების კანონმდებლობის დონეზე რეგულირდება. ევროპული ბიზნესი სახელმწიფოს განიხილავს, როგორც საზოგადოებაში მიღებული ქცევითი წესების აღსრულებაში მომყვან ინსტიტუტს. მაშინ როცა აშშ-ში სახელმწიფოს მსგავსი ჩარევები განიხილება ბიზნესის თავისუფლების დარღვევად. ევროპული ქვეყნების უმეტესობაში საყოველთაო სამედიცინო დაზღვევა, საპენსიო რეგულირება, საწარმოების ბუნების დაცვითი ვალდებულებები კანონმდებლობით არის განმტკიცებული. თუკი ამერიკული მოდელი კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის ძირითად დანიშნულებად მომგებიანობას და აქციონერების წინაშე პასუხისმგებლობას განიხილავს, ევროპული მოდელი მას დამატებით მშრომელთა და ადგილობრივ საზოგადოებრივ გაერთიანებებთან პასუხისმგებლობას აკისრებს. საქველმოქმედო პროექტები ევროპაში ისეთი დიდი პოპულარობით არ სარგებლობს, როგორც აშშ-ში, რაც აიხსნება უფრო არსებითი საგადასახადო ტვირთით. სოციალური პასუხისმგებლობის რეალიზაციის ფორმაა “სოციალური ინვესტიციები”. ტერმინი: სოციალური ინვესტირება მოიაზრება, როგორც დაბანდება და გულისხმობს სხვადასხვა სახით დამატებითი სარგებლის მიღებას. მაგალითად, საწარმოს ეკოლოგიურ უსაფრთხოებაზე ხარჯები, რომლებსაც ადგილობრივი ხელისუფლება მოითხოვს, ანაზღაურდება თანამშრომელთა დაავადების დაქვეითების ხარჯზე, აგრეთვე კომპანიის რეპუტაციის განმტკიცებისა და შრომის

ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე. ქველმოქმედება, ისევე როგორც დივიდენდური პოლიტიკა, გულისხმობს ორგანიზაციის შემოსავლების გადანაწილებას. ამიტომ მას უყენებენ კორპორატიული მართვის ხარისხისადმი და კომპანიის მფლობელების ინტერესებისადმი გამჭვირვალების საერთო მოთხოვნებს. ეს გამოიხატება სახალხოდ გაცხადებული პოლიტიკის არსებობაში, პროცედურების გამჭვირვალებაში, კომპანიასა და დახმარების მიმღებ მხარეს შორის (რომელიც გულისხმობს მხარეთა ურთიერთვალდებულებებს, მკაცრ კონტროლს სახსრების გამოყენებაზე, მიღებულ შედეგებზე ანალიზს), ინვესტირების პროექტების არჩევის კრიტერიუმებში.

სოციალურ ინვესტიციებს, წარმოებაში ან მარკეტინგში ჩადებული ინვესტიციებისგან განსხვავებით, რომლებიც უშუალოდ მოქმედებს ბიზნეს-პროცესებზე, გააჩნიათ დაბანდებული სახსრების ამოღების უფრო რთული და არაპირდაპირი მექანიზმები. მათი სარგებლიანობა განისაზღვრება იმით, თუ რამდენად ამაღლდა შრომის ნაყოფიერება, შემცირდა საწარმოო ხარჯები. და ა.შ.

უმეტეს შემთხვევებში, ინვესტიციებად, რომელთა ეფექტურობა მთელ კომპანიაზე ზეგავლენა განაპირობებს, გვევლინება პერსონალის (როგორც მოქმედი, ისე მომავალი პერსონალის) მომზადების პროგრამები, სოციალური გარემოსა და ინფრასტრუქტურის განვითარება, მუნიციპალური მმართველობის ხარისხის ზრდა.

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ჩამოყალიბებულია ორი ურთიერთსაწინააღმდეგო თეორია: კორპორატიული ალტრუიზმის თეორიის თანახმად, კომპანიები ვალდებულნი არიან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ მოქალაქეთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაში (გამოიყენება იაპონიაში), ხოლო მეორეს მხრივ – კორპორატიული ეგოიზმის თეორია (Friedman 1970:32-33,122-126) ამტკიცებს, რომ ბიზნესი პასუხისმგებელია მხოლოდ თავისი აქციონერების შემოსავლის გადიდებაზე. ამ ორ განსხვავებულ პოზიციას შორის არის მრავალი შუალედური მიდგომა. ერთერთია „გონიერი ეგოიზმის“ თეორია, რომლის თანახმად, კომპანია სოციალური ხარჯების გაწევით და ქველმოქმედებით ამცირებს მიმდინარე მოგებას, ქმნის ხელსაყრელ სოციალურ გარემოს მომავალში მაღალი მოგების მისაღებად. ამ ორი თეორიის მიმდევრებს შორის ჯერ კიდევ მიმდინარეობს მწვავე პოლემიკა. კორპორატიული

ეგოიზმის თეორიის მიმდევრები ამ თეორიას უწოდებენ „ტყუილზე“ აგებულ და „დესტრუქციულ“ თეორიას, რადგან იგი დაფუძნებულია „საეჭვო და მცდარ დაშვებებზე“, რომელიც იწვევს კომპანიის ხარჯების ზრდას და საქმიანობის შედეგების გაუარესებას. ნაკლებად რადიკალური მიდგომების მიმდევრები ცდილობდნენ ეპოვათ მ. ფრიდმანის თეორიაში კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის ადგილი. მაგალითად, დუგლას დენ ული ამტკიცებდა, რომ, ფრიდმანის კონცეფცია ცნობს კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპებს, მაგრამ გარკვეულწილად ზღუდავს აქციონერების ინტერესებს, რის გამოსასწორებლადაც, ის სთავაზობს კორპორაციის მმართველებს დადონ სპეციალური შეთანხმება აქციონერებთან მოგების მაქმიზაციის მისაღწევად.

ტ. დონალდსონი და ნ. ბოუი ამბობენ, რომ კორპორაცია უნდა იყოს მომგებიანი, მაგრამ ამავდროულად დაცული უნდა იყოს ადამიანის უფლებები. ამავე კონცეფციის მიხედვით, ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა – ეს არის უბრალოდ „კარგი ბიზნესი“, რადგან ხელს უწყობს მოგების დანაკარგებს გრძელვადიან პერსპექტივაში. (Donaldson, Dunfee 1994: 252-284) (Bowie, Duska 1990: 165-180) განსხვავებული კონცეპტუალური პოზიციების შედარებით შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ თითოეული მათგანი ასახავს საზოგადოების, სახელმწიფოს, პოლიტიკის და ბიზნესის ურთიერთკავშირის რთული პროცესების ასპექტებს.

დასავლეთის კომპანიების გამოცდილების თანხმად ბსკ-ის როლის ამღლება ბევრად მეტი დადებითი შედეგის მომტანია თვით კომპანიისათვის, ვიდრე საზოგადოებისათვის. მათ პრაქტიკაში დანერგილია სოციალური ანგარიშგების წარმოება და წარდგენა საზოგადოებაზე. სოციალური ანგარიშგება ინვესტორებისათვის კომპანიის მომგებიანობისა და ეკონომიკური წარმატების ინფორმაციის წყაროა. ის უნდა მოიცავდეს ორ ბლოკს: ეკონომიკური, რომელშიც შედის საბუღალტრო განაგარიშება, ინფორმაცია ხელფასის შესახებ, სამუშაო ადგილების რაოდენობა, ხარჯები გაწეული ახალი ტექნოლოგიების შესაძენად და სოციალური, რომელშიც შედის წარმოების უსაფრთხოების შესახებ ინფორმაცია, შრომის პირობების, პერსონალის ჯანმრთელობის, კადრების გადინების, შრომითი უფლებების დაცვის და ა.შ. ამ თეორიების ფონზე

ბიზნესის სოციალურ პასუხისმგებლობაზე საუბარი საქართველოს რეალობაში შესაძლოა ნაადრევად ჩაითვალოს, მაგრამ თუ თუნდაც გასული საუკუნის დასაწყისის ქართული ბიზნესის ისტორიას გავიხსენებთ, ქართული მეცენატობისა და ქველმოქმედების ინსტიტუტს საკმაოდ სერიოზული ტრადიცია გააჩნია. მიუხედავად ამისა, დღეს სოციალური და ალტრუისტული პროექტები მარტივი სპონსორობით და ერთჯერადი, ხშირად წმინდა სარეკლამო აქციებით შემოიფარგლება, მასში "გონიერი ეგოიზმის" საკმაოდ დიდი ანაზღაურება არსებობს, მაგრამ ძირითადად ეს აქციები არასისტემურ და არასტრატეგიულ ხასიათს ატარებს. რაც შეეხება თავად ფონდებს და ბიზნესის მხრიდან ინიცირებულ სპეციალურ ალტრუისტულ არასამთავრობო ორგანიზაციებს, ამ მხრივ განსაკუთრებული აქტიურობით არც ერთი არ გამოირჩევა. ითვლება, რომ ბიზნეს სოციალური პასუხისმგებლობისათვის ჯერ გაზრდა და მომძლავრება სჭირდება. თუმცა, თუ ისევ დასავლურ თეორიებს მივუბრუნდებით, სულაც არ არის აუცილებელი ამგვარი პროექტების ინიციატორებად მსხვილი კორპორაციები და წარმატებული ბიზნესმენები გამოვიდნენ. დღეს სოციალური პასუხისმგებლობა, როგორც აღვნიშნეთ, თავისებურ ბიზნესად და ფულის კეთების საშუალებად იქცა, იგი მარკეტინგის და ბაზარზე პოზიცირების თავისებური ტექნოლოგიაა, რადგან, მართალია, სოციალურ და ფილანთროპიულ პროექტებში ჩართვით, ბიზნესმენი ამცირებს მიმდინარე შემოსავალს, მაგრამ, გრძელვადიან პერსპექტივაში, ქმნის კეთილსაიმედო სოციალურ გარემოცვას და თავადაც იქმნის მყარ რეპუტაციასა და იმიჯს, დამაჯერებელ რეკლამას და იღებს დივიდენდებს ამ საქმიანობიდან. მთელს ცივილიზებულ სამყაროში სოციალური პასუხისმგებლობა დიდი ხანია წმინდა ეკონომიკურ კატეგორიას მიეკუთვნება რაც იმაში გამოიხატება, რომ საბოლოო ჯამში, ფილანთროპია ფულის ეკონომიკას უწყობს ხელს და ქართული ბიზნესიც, თუ უნდა, რომ ცივილიზებული ეკონომიკის ნაწილი გახდეს, აუცილებლად დაამკვიდრებს თავის არსენალში სოციალურ, კორპორაციულ პასუხისმგებლობას.

საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიამ Grant Thornton International ჩაატარა კვლევა, იგი კომპანიების მიერ კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპების პრაქტიკაში გამოყენებას აკვირდებოდა. მის კრიტერიუმებს რამდენიმე საკითხი

შეადგენდა, მათ შორის კომპანიების მიერ თანამშრომელთათვის სტაჟირებისა და მოქნილი სამუშაო გრაფიკის შეთავაზება. ასევე მათ ჯანმრთელობაზე ზრუნვა, საწარმოო ნარჩენებზე კონტროლი, საზოგადოებრივ ღონისძიებებში მონაწილეობა, ქველმოქმედება, სხვა კომპანიებისათვის ბიზნესის წარმოებაში ხელშეწყობა, ეკოლოგიურად სუფთა საწარმოო ნედლეულის გამოყენება და სხვა. როგორც ირკვევა, საქართველოს რეიტინგულ შკალაზე 26-ე ადგილი უჭირავს და იგი რეგიონის ლიდერია.

ამავე დროს საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის კვლევაში გამოკითხული ბიზნესმენების 29% ვერ განმარტავს სოციალურ პასუხისმგებლობას, დანარჩენები სოციალურ პასუხისმგებლობას განიხილავენ, როგორც თანამშრომლების მიმართ პასუხისმგებლობას, გადასახადების გადახდას, ბიზნესის გამჭვირვალობას. მხოლოდ ბიზნესმენთა მცირე ნაწილი ფიქრობს, რომ სოციალური პასუხისმგებლობა სოციალური სფეროს დაფინანსებას, საზოგადოებაზე ზრუნვას, დასაქმების პრობლემის მოგვარებას გულისხმობს. მიუხედავად იმისა, რომ ქართული კომპანიების დიდ ნაწილს სოციალური პასუხისმგებლობა ვიწროდ და სწორხაზოვნად ესმის, მათი მცირე ნაწილი მაინც ცდილობს, საკუთარ საქმიანობაში სოციალური პასუხისმგებლობის კომპონენტები შეიტანოს. მაგალითად, კომპანია „ვისოლი ჯგუფს“ სოციალური პასუხისმგებლობის მენეჯერის თანამდებობაც კი აქვს. მათთვის სოციალური პასუხისმგებლობაა „ბაზარსა და მომხმარებლებზე, თანამშრომლებზე, ჯანდაცვაზე, გარემოს დაცვაზე და ბიზნეს-პარტნიორებზე ზრუნვა“. თუმცა, პრაქტიკაში აქცენტს სპორტზე, ეკლესიების მშენებლობაზე და სოციალურად დაუცველი ბავშვების დახმარებაზე აკეთებენ.

2010 წელს ქველმოქმედებაზე „პე-ეს-პე“-მ ერთი მილიონ ოცდაერთი ათასი ლარი დახარჯა, მაგრამ თავშესაფრებისა და ბავშვთა სახლების მონახულების შემდეგ „პე-ეს-პე“-სთვის ისევე, როგორც კერძო კომპანიების უმრავლესობისთვის, კიდევ ერთი პრიორიტეტი ქველმოქმედებისას მართლმადიდებელი ეკლესიის დაფინანსებაა. თუმცა, დასავლური ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველოში რელიგიური ქველმოქმედება, ძირითადად, ახალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაში ჩართვას ნიშნავს. მაგალითად, მახათას მთაზე სამონასტრო კომპლექსის მშენებლობაში, რომელიც საქართველოს

პატრიარქის – ილია მეორის ლოცვა-კურთხევით შენდება, თითქმის ყველა მსხვილი კომპანია მონაწილეობს - „ვისოლისა“ და „ვი-თი-ბი ბანკის“-ის ჩათვლით. თითოეული მათგანი ამყობს, რომ „მადლიან, ისტორიულ საქმეში“ საკუთარი წვლილი შეიტანა; „ნატახტარის“ ლიმონათმა მზრუნველობამოკლებული ბავშვების დასახმარებლად მასშტაბური საქველმოქმედო პროექტი - „იზრუნე მომავალზე“ განახორციელა; სს "ვითიბი ბანკი ჯორჯიამ" ბაზარზე სოციალური ანაბარი გამოიტანა, რომლის განთავსებისას მეანობრე 1%-ით გაზრდილ წლიურ სარგებელს მიიღებს, ხოლო ანაბრის კიდევ 1%-ს ბანკი მიუსაფარ ბავშვთა დახმარების პროგრამაში ჩარიცხავს. ახალი ნათების მაღაზიათა ქსელში საქველმოქმედო აქცია ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა დასახმარებლად მოეწყო. (liberali.ge)

ამ ღონისძიებების განხილვის ფონზე შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ დასავლეთის კომპანიების ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობასა და საქართველოში ბიზნესის სოციალურ პასუხისმგებლობას შორის დიდი განსხვავებაა, რაც იმაში გამოიხატება, რომ საქართველოში სოციალური პასუხისმგებლობა აღქმულია ერთჯერად აქციად, დასავლეთის კომპანიები კი ახორციელებენ გრძელვადიან სოციალურ პროექტებს. ერთჯერადი ქველმოქმედება ვერ აჩენს საზოგადოებაში იმის განცდას, რომ ერთხელ მიღებული სოციალური დაცვა, საჭიროების შემთხვევაში, კიდევ განმეორდება. ნებისმიერი ორგანიზაციის სოციალური პასუხისმგებლობანი პოზიცია მნიშვნელოვანი უპირატესობაა პოტენციური მყიდველის თვალში. თუ საქველმოქმედო პროექტები კლიენტებთან ემოციური განწყობის გაზიარების საშუალებას იძლევა, სოციალური პასუხისმგებლობა – ეს არის მასობრივ ბაზარზე მომუშავე კომპანიის ეფექტური სტრატეგია, რომელიც მომხმარებელთა ლოიალობის მოპოვების და კორპორატიული ფასეულობების რეალიზების ხელშემწყობია.

ჩვენი აზრით, „სოციალური პასუხისმგებლობის“ გაანალიზება, სადაზღვევო ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის განხილვის გარეშე, არასრულყოფილი იქნება. ვინაიდან სადაზღვევო ორგანიზაციები საკუთარი სოციალური ვალდებულებების შესრულების გარდა, სხვადასხვა სადაზღვევო პროდუქტის მეშვეობით სხვა სფეროში

მოქმედ კომპანიებს საშუალებას აძლევენ – განახორციელონ სოციალური პასუხისმგებლობა.

სადაზღვევო ბიზნესის შიდა სოციალური პასუხისმგებლობა თანამშრომლების მიმართ მნიშვნელოვანწილად განპირობებულია დაზღვევის აგენტებით და სამტატო პერსონალის მომცველი კომპანიის სტრუქტურით. სადაზღვევო ორგანიზაციების დაზღვეულთა რაოდენობის გაზრდა დამოკიდებულია სოციალურად დაცული, კარგი შრომის პირობების მქონე პერსონალის არსებობაზე, ვინაიდან პერსონალის ურთიერთობა პოტენციურ კლიენტებთან დამოკიდებულია მათ მიერ მშვიდი გარემოს შექმნაზე.

არანაკლებ მნიშვნელოვან როლს თამაშობენ გარე სოციალური ინვესტიციები ბაზარზე სადაზღვევო კომპანიების პოზიციების განმტკიცებაში და კარგი იმიჯის დამკვიდრებაში. დამზღვევთა მხრიდან საქველმოქმედო პროგრამები და სპონსორობა განიხილება ბიზნესის და საზოგადოების ურთიერთქმედების ელემენტად. ამასთან, შესაძლებელია ჰქონდეს როგორც სისტემატური, ისე ერთჯერადი ხასიათი. როგორც წესი, დამზღვევთა საქველმოქმედო მოღვაწეობის ერთიან ჯგუფებს წარმოადგენენ მოსახლეობის ნაკლებშემოსავლიანი ფენები, რომლებსაც ფიზიკური შესაძლებლობების შეზღუდვის გამო არ შეუძლიათ თავიანთი თავის უზრუნველყოფა: ინვალიდები, ომის ვეტერანები, პენსიონერები და ა.შ. თუმცა დახმარების მიმღებნი (ბენეფიციარები) შეიძლება იყვნენ წარჩინებული სტუდენტები, ნიჭიერი მოსწავლეები. მრავალი სადაზღვევო კომპანია გარემოს დაცვის სხვადასხვა პროექტშიც იღებს მონაწილეობას.

უკეთესობისკენ შეცვლას საჭიროებს სადაზღვევო კომპანიების სერვისიც. კლიენტისგან სადაზღვევო პრემიის (შენატანის) მიღების შემდეგ მზღვეველებს ხშირად მისი არსებობა საერთოდ ავიწყდებათ. სადაზღვევო მოვლენის დადგომისას კი დაზღვეული კომპანიის ბიუროკრატიულ აპარატს აწყდება და უამრავი დოკუმენტი აქვს შესაგროვებელი სადაზღვევო ანაზღაურების მისაღებად. საქართველოში ჯერ კიდევ ადგილი აქვს დაზღვეულის სხვადასხვა ინსტანციებში უსასრულოდ გაგზავნის პრაქტიკას, რაც ხშირ შემთხვევაში იმდენად მომაბეზრებელია, რომ თავადვე ამბობენ უარს კუთვნილ ანაზღაურებაზე. *„დაზღვევაში ეთიკა - ეს არის ჯანსაღი აზრი და განზრახვა, უბედურებაში აღმოჩენილ დაზღვეულს დაეხმარო. ეს არის საკუთარ თავზე აღებული*

ვალდებულებების უპირობო შესრულება. ეს არის დამზღვევის ღირსება და პატიოსნება თავისი კლიენტებისა და პარტნიორების წინაშე“ (Дувановым 2008: 134)

სადაზღვევო კომპანიებმა უფრო მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ ბიზნესის კლიენტ-ორიენტირებულებს. ინფორმაციის ფართოდ ხელმისაწვდომობა კლიენტს საშუალებას აძლევს - სადაზღვევო შემთხვევების ანაზღაურების, საიმედოობის რეიტინგის, პრესაში და კლიენტთა მიერ ინტერნეტში გამოქვეყნებული გამოხმაურებების საფუძველზე, დამოუკიდებლად შეარჩიოს მზღვეველი. ეს გარკვეულწილად ასტიმულირებს მათ – სოციალურად ორიენტირებული საქმიანობა წარმართონ. დაზღვევა ხდება არა უბრალოდ ხალხისგან ფულის ამოღების ინსტრუმენტი, არამედ აგენტების კარგად ანაზღაურებადი მომსახურება.

პერსონალში სოციალური ინვესტირების შესაძლებლობის ერთ-ერთი საშუალებაა ნებაყოფლობითი სამედიცინო დაზღვევა. თანამედროვე ორგანიზაციაში, რომელიც მოქმედებენ დინამიური ბაზრისა და მკაცრი კონკურენციის პირობებში, ადამიანი გვევლინება არა მხოლოდ როგორც მართვის ობიექტი, არამედ როგორც ყველაზე ფასეული რესურსი. მასში აუცილებელია თანხის დაბანდება, ის უნდა განვავითაროთ და რაციონალურად გამოვიყენოთ. დღეისათვის, პრაქტიკულად, სპეციალობების მთელ სპექტრში მაღალკვალიფიციური კადრების მწვავე დეფიციტი იგრძნობა. იმისათვის, რომ მსგავსი პროფესიონალები მოვიწვიოთ კომპანიაში, საკმარისი არაა მათ უბრალოდ შევთავაზოთ ანაზღაურების საშუალო საბაზრო დონე, საჭიროა შრომის კარგი პირობები და საკომპენსაციო პაკეტი. სწორედ ეს არის ის განმსაზღვრელი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს პიროვნების გადაწყვეტილებაზე სამუშაოს არჩევის დროს. პირველ რიგში ეს შეეხება ბაზრის მიერ მოთხოვნად და მაღალკვალიფიციურულ სპეციალისტებს. თუმცა, ეს ტენდენცია უკვე შეინიშნება ნაკლებად კვალიფიცირებული მუშაკების მიმართაც, უფრო მეტიც, დამწყებ სპეციალისტებთან მიმართებითაც კი. ორგანიზაციის საკომპენსაციო სისტემის შემუშავებისას მთავარი როლი ფულად ანაზღაურებას ენიჭება, რომელიც მუშაკს საიმედოობის და დაცულობის გრძნობას უქმნის. ამასთან, სტიმულირების ეფექტური სისტემის შექმნისაკენ მიმართული ძალისხმევა უნდა მოიცავდეს ასევე მუშაკის შრომითი საქმიანობის მოტივაციის საშუალებებს. პაკეტის

სტრუქტურაში ნებისმიერი კომპენსაციის მნიშვნელობა წლების გასვლის შემდეგ არ შეიძლება მუდმივ დონეზე შენარჩუნდეს. საქართველოში დღევანდელ ეტაპზე სოციალურ პაკეტში ყველაზე მოთხოვნად ელემენტად ნებაყოფლობითი სამედიცინო დაზღვევა რჩება. ნებაყოფლობითი სამედიცინო დაზღვევის პროგრამები ბევრ დარგში არის არა მხოლოდ თანამშრომელთა სტიმულირების საშუალება, არამედ კომპანიის ეფექტური მუშაობის ამაღლების ხერხი, პერსონალის ჯანმრთელობის გაუმჯობესების ხარჯზე. სადაზღვევო პროგრამები საშუალებას აძლევს კომპანიებს განახორციელონ სოციალური პასუხისმგებლობის ღონისძიებები თავიანთ თანამშრომლების მიმართ. ამავე დროს სადაზღვევო კომპანიებიც კორპორატიული ხელშეკრულების გაფორმებით მოგების მიღების შესაძლებლობას ზრდიან, ვინაიდან მუშაკების დიდი ჯგუფის დაზღვევისას რისკები თანაბრად ნაწილდება თანამშრომლებზე, შესაბამისად, აღარ არის იმის აუცილებლობა, რომ კვლევები და რისკების შეფასება სათითაოდ მოხდეს თითოეული დაზღვეულის მიმართ. გარდა ამისა, ფიზიკური პირების დაზღვევისას რისკების გადანაწილება არ ხდება: პოლისებს უმეტესწილად ითხოვენ ის ადამიანები, რომლებმაც უკვე იციან, რომ მათ მკურნალობა დასჭირდებათ. ეს ზრდის ნებაყოფლობითი სამედიცინო დაზღვევის ღირებულებას კერძო პირთათვის, და ამასთან დაკავშირებით, ამგვარი პოლისი ნაკლებად მიმზიდველი ხდება კორპორატიულ ხელშეკრულებასთან შედარებით.

პროგნოზები კერძო ნებაყოფლობითი სამედიცინო დაზღვევით მოსახლეობის სრული მოცვასთან დაკავშირებით პოზიტიურია, მაგრამ ეს არ არის უახლოესი მომავლის საკითხი. ადამიანთა კეთილდღეობის დონესა და მათ ფსიქოლოგიაში უნდა მოხდეს ძირეული ცვლილებები იმისათვის, რომ დაზღვევამ მასობრივი ხასიათი მიიღოს, ძირითად დამაბრკოლებელ ფაქტორს მოსახლეობის დაბალი შემოსავლები და საშუალო კლასის არარსებობა წარმოადგენს, რომლებიც, თავის მხრივ, ნებაყოფლობით სამედიცინო დაზღვევაზე მოთხოვნას ამცირებს. პერსპექტივაში, ამ პრობლემის გადაწყვეტის შესაძლო ვარიანტად შეიძლება განვიხილოთ სახელმწიფოს მიერ გაწეული სუბსიდიები უმწეო მოსახლეობისათვის, რომელთაც ისინი ნებაყოფლობითი სამედიცინო დაზღვევის პროგრამებისათვის გამოიყენებენ. ამ შემთხვევაში, სადაზღვევო კომპანიებს შეუძლიათ

გახდნენ ჯანდაცვის დაფინანსების ძლიერ ინსტრუმენტად საკუთარი ინფრასტრუქტურის შექმნის ხარჯზე ან კიდევ ინვესტირების ხარჯზე არსებულ სამკურნალო დაწესებულებებში. ნსდ-ის განვითარებას ხელს უშლის თავად სამედიცინო დაწესებულებები. ბაზარზე დაბალი კონკურენცია იწვევს მკურნალობაზე ფასების ზრდას, ამასთან, სამედიცინო დაწესებულებები, რომელთაც შესაძლებლობა აქვთ გაუწიონ სრულყოფილი მომსახურება ასეთ პროგრამებს, არასაკმარისი რაოდენობისაა. სადაზღვევო კომპანიებისა და სამკურნალო დაწესებულებების თანამშრომლობის მასშტაბებს ზღუდავს ინტერესთა კონფლიქტი, რომელიც დაკავშირებულია გაწეული სამედიცინო მომსახურების ფასების ზრდასთან.

დასავლეთის ქვეყნების გამოცდილება აჩვენებს, რომ სწორედ ნებაყოფლობითი სამედიცინო პროგრამები არის სამედიცინო მომსახურების მიღების ყველაზე ეფექტური საშუალება, რაც დასტურდება იმით, რომ სულ უფრო მეტად პოპულარული ხდება ე.წ. „Health Management“ ანუ, პერსონალის ჯანმრთელობის მართვა, რომელიც ითვალისწინებს თანამშრომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნებისა და გაუმჯობესებისაკენ მიმართული ღონისძიებების კომპლექსს. ამის მიზანს კი წარმოადგენს სამუშაო დროის დაკარგვის შემცირება, მუშაობის ეფექტურობის ამაღლება და შრომის ოპტიმალური პირობების შექმნა.

რამდენიმე დამოუკიდებელმა კვლევამ აჩვენა, რომ თანამშრომელთა ჯანმრთელობა არის საკვანძო, განმსაზღვრელი ფაქტორი, რომელიც შრომის მწარმოებლურობაზე აისახება. ბრიტანული სადაზღვევო კომპანიის მონაცემებით, ჯანმრთელი ადამიანების მწარმოებლურობა 20%-ით უფრო მაღალია. (Готовац 2007:54) მოხსენება-ანგარიშმა “ცხოვრების ხარისხი სამსახურში”, რომელიც ორგანიზაციებმა „Chartered Management“ Institute Workplace Health Connect - გამოაქვეყნეს დაამტკიცა, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება მუშაკთა დემორალიზებას ახდენს და მუშაობის ეფექტურობაზე ნეგატიურად აისახება. საერთაშორისო ორგანიზაციამ Grant Thornton International გამოავლინა, რომ სტრესი სამუშაო დროის 5%-მდე „ყლაპავს“, რის გამოც, ამერიკული კომპანიები საშუალოდ 200-300 მილიონ დოლარს კარგავენ. (Готовац 2007:96) ამგვარად, პერსონალის ჯანმრთელობის მართვა – კოლექტივში ჯანმრთელი ატმოსფეროს

წინაპირობა და ზოგადად, კომპანიის მიერ მაღალი შედეგების მიღწევის შესაძლებლობაა. სწორედ ამიტომ, მსხვილი კომპანიების უმეტესობა ამ საკითს დიდ ყურადღებას უთმობს. შესწავლილი მასალის გაანალიზებამ მოგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ყველა ქვეყანაში „სოციალური პასუხისმგებლობა“ საბოლოო მიზნად თვით ბიზნესის წარმატებას ისახავს. ამავე დროს ძნელია რომელიმე ქვეყნის სოციალური პასუხისმგებლობის მექანიზმები ჩათვალო ერთნაირად, ვინაიდან პრინციპების გაგება და მათი განხორციელების გზები სხვადასხვაგვარად აღიქმება, როგორც ბიზნესის წარმომადგენლების, ასევე საზოგადოების მხრიდან. საქართველოში სოციალური პასუხისმგებლობა მეტნაკლებად გააზრებულია ბიზნესმენების მხრიდან, თუმცა მისი დაკონკრეტება თუ რას უნდა მოიცავდეს ეს მექანიზმი და როგორ უნდა განხორციელონ იგი, უმრავლესობას პასუხი არ აქვს. ამ კითხვებზე პასუხის გამცემად გამოკითხული იქნა 42 კომპანია. ჩვენ შევეცადეთ გამოკითხვა ჩაგვეტარებინა ცალკეული ინტერესების მქონე ჯგუფებთან. გამოკითხვის შედეგად მიღებული პასუხები დავაჯგუფეთ ცალკეული ინტერესების მიხედვით, საიდანაც ერთი სტატუსის მატარებელი რესპოდენტების პასუხები გავაერთიანეთ და ჩამოვაყალიბეთ ცალკეულ ჯგუფებად:

- დასაქმებულები - შრომის პირობების გაუმჯობესება, მინიმალური ხელფასის საარსებო მინიმუმამდე გაზრდა და სამუშაო ადგილის სტაბილურობა.
- მესაკუთრეები - მესაკუთრეთა უფლებების დაცვა და წილების გადანაწილების გამჭვირვალობა.
- ბიზნეს-პარტნიორები - თანამშრომლობის სტაბილურობა.
- სახელმწიფო ორგანოები - შემოსავლების აღრიცხვა, გადასახადების დროული გადახდა.
- ინვესტორებისთვის - კორპორატიული მართვის კულტურის ამაღლება, ინვესტორთა ინტერესების დაცვა.
- საზოგადოება-მომხმარებლები - ხარისხიანი პროდუქციის წარმოება, რეალური ფასების დაწესება.

მიღებული პასუხების ანალიზი საშუალება იძლევა შეფასდეს თუ რომელი ჯგუფი ახდენს ყველაზე მეტად გავლენას კომპანიის კომპურენტუნარიანობაზე. ჩვენი აზრით პირველ ადგილზეა მომხმარებელი, ვინაიდან საქმიანობის წარმატება დამოკიდებულია

კონკურენციაზე, ხოლო კონკურენტულ გარემოში გამარჯვება მომხმარებლის მოთხოვნაზეა დამოკიდებული. შემდეგ ჯგუფს, რომელსაც დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია კომპანიის წარმატებაზე არის დასაქმებულები, მათზეა დამოკიდებული დასახული მიზნის მიღწევა. გამოკითხვის შედეგად კითხვაზე: თუ რამდენად იცნობს ბიზნესის წარმომადგენელი კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპებს, აღმოჩნდა, რომ ბიზნესის წარმომადგენელთა 52% იცნობს სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპებს, 30% იცნობს, მაგრამ ვერ ახორციელებს. 18% საერთოდ არ იცნობს სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპებს. (იხ. დანართი 9)

როგორც გრაფიკიდან ჩანს დასაქმებულთა 65% მიაჩნია, სოციალურად რომ არ არის დაცული და 35% მიაჩნია რომ არის დაცული. (იხ. დანართი 10) სოციალური პასუხისმგებლობის სხვადასხვა მიმართულებების არსებობის შემთხვევაში საინტერესოდ ჩავთვალეთ გამოგვეკვლია, თუ როგორი სახის სოციალურ პასუხისმგებლობას ახორციელებენ ბიზნესის წარმომადგენლები, რათა სრული ინფორმაცია მიგვეღო ამ სფეროში არსებული მდგომარეობის შესახებ. კითხვაზე თუ რომელი სახის სოციალურ პასუხისმგებლობას ახორციელებდნენ ისინი, მეტი წილი (40%) უპირატესობას მხილოდ ქველმოქმედების სახით ერთჯერად დახმარებას ანიჭებდა, შემდეგ მოდიოდა ჯანმრთელობის დაზღვევა (34%) , თუმცა არა მხოლოდ დამსაქმებელთა მონაწილეობით, არამედ დასაქმებულების ჩართვით, მესამე ადგილზე გამოვლინდა ბიზნემენები, რომლებიც თვლიან, რომ დასაქმებულის მინიმალური ხელფასი არ უნდა იყოს საარსებო მინიმუმზე ნაკლები (12%), თუმცა იქვე ასახელებდნენ მიზეზებს, რომ მათ ჯერ კიდევ არ ეძლევათ საშუალება განახორციელონ სახელფასო ცვლილება ამ მიმართულებით. 14% კი თვლის, რომ მას არ აქვს სოციალური პასუხისმგებლობის ვალდებულება. (იხ. დანართი 11)

როგორც ჩანს, საქართველოსი ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა არცთუ სახარბიელოდ გამოიყურება, მიმდინარე ეტაპზე კი სოციალური პასუხისმგებლობის განვითარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან საქართველო რამდენიმე ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციისა და ინიციატივის წევრია, რომელთა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის განვითარება წარმოადგენს, ის

მიერთებულია მრავალ საერთაშორისო შეთანხმებებს, რომლებიც საერთაშორისო დონეზე არეგულირებენ ბსპ-ის კომპონენტების (ადამიანთა უფლებების, შრომითი უფლებების, გარემოს დაცვის და ა.შ.) განხორციელებას სხვადასხვა სექტორისა და ინსტიტუტის, მათ შორის ბიზნეს კომპანიების მიერ. ამ შეთანხმებებს მიეკუთვნება: გაეროს ადამიანთა უფლებების დეკლარაცია ILO „დეკლარაცია შრომით საქმიანობაში ძირითადი პრინციპებისა და უფლებების შესახებ“; ორჰუსის კონვენცია და სხვა. როგორც ბსპ-ის განხორციელების ფარგლებში აღინიშნა ერთ-ერთი ფორმაა საკანონმდებლო სტანდარტების შესრულება. ეს საკითხი დღესდღეობით პრობლემებს წარმოადგენს, რადგან სახელმწიფო არ ფლობს საკმარის ბერკეტებს, რათა უზრუნველყოს კანონმდებლობით განსაზღვრული მინიმალური სოციალური და გარემოს დაცვითი სტანდარტების შესრულება. ეს კი სერიოზულ პრობლემებს ქმნის, რადგან ზიანი ადგება როგორც საზოგადოებას ასევე გარემოს, ვერ ხდება ქვეყნის განვითარება. მართლია, კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა – ნებაყოფლობითია, მაგრამ კომპანიის პასუხისმგებლობა სწორედ საკანონმდებლო მინიმუმის შესრულებით იწყება და შემდეგ ნებაყოფლობით საწყისებზე უფრო მაღალი სტანდარტების დანერგვა ხდება.

საქართველოში კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებაში ერთ-ერთი შედეგი იქნება გარემოს დაცვის, შრომითი უფლებების, გამოშვებულ პროდუქტებზე პასუხისმგებლობის, სოციალური დონის ამალღების მიმართულებით მინიმალური სტანდარტის დაცვა. „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ მიერ ფრიდრიხ ებერტის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა ბსპ-ს კვლევა. რომელშიც ის ძირითადი კითხვები, რაც საზოგადოების დამოკიდებულებას გამოხატავდა ბიზნესის მიმართ იყო შემდეგი: ზოგადი დამოკიდებულება ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის, როგორც ბიზნესის ლეგიტიმური ნებაყოფლობითი არჩევანის მიმართ, როგორც საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვამ აჩვენა, მოსახლეობის 93% აქტიურობას მოელიან დიდი კომპანიებისაგან, და არა მცირე და საშუალო კომპანიებისაგან. საზოგადოების ნაწილი ავითარებს აზრს, რომ კომპანიისთვის ისედაც საკმაოდ ძნელია გადარჩენა და ბიზნესის კეთება და კიდევ უფრო ძნელია დამატებითი მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების აღება. გარკვეული

ნაწილი არ უკუაგდებს ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის არგუმენტს, მაგრამ ამტკიცებს, რომ ბიზნეს სექტორი ჯერ კიდევ სუსტია, სერიოზული რისკფაქტორებისა და გაურკვევლობების წინაშე დგას და საჭიროა საქართველოში საერთო ბიზნესგარემოს მეტად გაუმჯობესება. ამ ლოგიკით, მდიდარ და სტაბილურ ეკონომიკაში მომუშავე ძლიერი კომპანიებისგან ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის მოლოდინი, მეტიც, მოთხოვნა უპირიანი და სამართლიანია. მაგრამ უსამართლობაა იმავე მოთხოვნის დაწესება კერძო სექტორისთვის საქართველოს მსგავს განვითარებად ქვეყანაში. ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელების მსგავსმა დამატებითმა მოთხოვნებმა შეიძლება შეამციროს კიდევ ქართული კომპანიების სიცოცხლისუნარიანობა და კონკურენტუნარიანობა. აღნიშნული ორგანიზაციის და საკუთარი გამოკითხვების კვლევის მონაცემების შესწავლამ აჩვენა, რომ საქართველოში ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა საზოგადოებისთვის მეტ-ნაკლებად ცნობილია. სწორად აფასებს კარგი კორპორატიული მოქალაქეობის მნიშვნელობას ბიზნესმენტა დიდი ნაწილიც. თუმცა, სოციალური პასუხისმგებლობა ძირითადად ქველმოქმედების სახითაა წარმოდგენილი და არ იკვეთება ის ძირითადი პრიორიტეტი, რომელიც სამუშაო ადგილების შექმნას უკავშირდება. ჩვენი აზრით, კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის კრიტერიუმების ჩამონათვალში პირველ ადგილი კომპანიაში დასაქმებული ადამიანების სოციალურ უზრუნველყოფას უნდა მიენიჭოს, რაშიც ვგულისხმობთ შრომის ანაზღაურების იმ მინიმალურ დონემდე გაზრდას, რომლითაც დასაქმებული მოქალაქე საშუალო სიმძიმის სოციალური პრობლემის მოგვარებას საკუთარი შემოსავლებით შეძლებს, ხოლო კომპანიის გარეთ განსახორციელებელი სოციალური პროექტები და საზოგადოებრივად სასიკეთო ინიციატივები დაიგეგმოს, მართვის, შედეგების შეფასებისა და ანგარიშების მიხედვით.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ბიზნესის წარმომადგენელთა უმრავლესობის თავისი საქმიანობის პროცესში აქვს განხორციელებული სხვადასხვა სახით საზოგადოებრივად საკეთილდღეო საქმიანობა, თუმცა ეს არ ხდება სოციალური პასუხისმგებლობის ჩარჩოში, მას აკლია საფუძველია იმის, რომ სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპი უპირველესად უნდა იყოს ამ ბიზნესში დასაქმებულ

ადამიანზე, როგორი კონკურენტუნარიანობის მასტიმულირებელ ძალაზე და ეს შექმნის მყარ საფუძველს იმისა, რომ ყველა ფაქტორი, რომელიც დაკავშირებულია ბიზნესთან იმოქმედებს მისი წარმატების მისაღწევად და შექმნის ქვეყანაში მოტივაციას ყველა პარტნიორი იყოს ამ პრინციპებს განხორციელების მთავარი სუბიექტი სახელმწიფოს ჩათვლით.

3. სოციალური დაზღვევის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობა და მისი სრულყოფის მიმართულებები

3.1 სოციალური დაზღვევის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასება

საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე გადასვლამ მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მკვეთრი დიფერენციაცია გამოიწვია. საბაზრო ეკონომიკა უპირველესად თავისუფალი კონკურენციის ურთიერთობების ჩამოყალიბებას და საზოგადოების დემოკრატიზაციას უწყობს ხელს. მაშინ, როდესაც კონკურენციის შესაძლებლობა ქრება ბაზარზე, მას ანაცვლებს მონოპოლია, რაც არის სოციალური დეზინტეგრაციის საფუძველი: მონოპოლისტი მდიდრდება, ხოლო ყველა დანარჩენი ღარიბდება. საქართველოში ეს პროცესი ზუსტად ასეთი კანონზომიერებით წარიმართა და მცირე მდიდარი ფენის პირისპირ აღმოჩნდა უზარმაზარი ღარიბთა ფენა. ასეთ შემთხვევაში თეორიულად ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის დიდი ნაწილი სოციალურ პოლიტიკას უჭირავს, რაც ერთის მხრივ ემსახურება მოსახლეობის ცხოვრების მინიმალური სტანდარტებით დაკმაყოფილებას, მაგრამ მეორეს მხრივ, ზღუდავს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობას. გარდამავალი პერიოდიდან დაწყებული საქართველოში მოსახლეობის სოციალური დაცვა სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზებული ფინანსებით ხდებოდა, მაგრამ ცხოვრების მინიმალური სტანდარტებით დაკმაყოფილება ვერცერთი საბიუჯეტო წლის განმავლობაში ვერ ხერხდება. ქვეყანაში ტარდება სოციალური პროგრამები, მოქმედებს სოციალური დახმარების სამსახური, სოციალური უზრუნველყოფის მექანიზმი, მაგრამ სახელმწიფოს მიერ გათვლილ ცხოვრების დონის სტანდარტს, აბათილებს სამომხმარებლო საქონლის ფასების ზრდა. საბაზრო ეკონომიკის უნარი, მოემსახუროს საზოგადოების ინტერესებს დაფუძნებულია მის ფუნქციაზე - ოპტიმალურად გადაანაწილოს შეზღუდული რესურსები. მაგრამ ბაზრის სუბიექტები სოციალური ფუნქციის რეალიზაციისას აწყდებიან ისეთ ბარიერებს, რომელთა გადალახვა სცილდება საკუთარ ძალას. ბაზრის პირობებში სოციალური ეფექტი ალბათური ხასიათისაა, მისი შედეგი განუსაზღვრელობის ნიშნით ხასიათდება, ამიტომ მისი დაძლევა სახელმწიფო სოციალურ ფუნქციას წარმოადგენს. სოციალურ-ეკონომიკური სისტემა მთლიანობაში გულისხმობს რესურსების გადანაწილებით

საზოგადოების ყველა წევრის სოციალური მოთხოვნების დაკმაყოფილებას ანუ ინვესტირებას ადამიანურ კაპიტალში. ამ სისტემის, როგორც ერთი მთლიანის გამართულობას განაპირობებს სწორი ეკონომიკური პოლიტიკის გატარების შედეგად სამეურნეო სუბიექტების მიერ მიღებული შემოსავლების სამართლიანი გადანაწილება და ცხოვრების დონის მაღალი სტანდარტებით უზრუნველყოფა. საბაზრო ეკონომიკის პირობებში მსოფლიო პრაქტიკამ აჩვენა, რომ არსებობს წინააღმდეგობა განვითარების ეკონომიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ფორმებს შორის. ეკონომიკური განვითარება ხასიათდება სამეურნეო სუბიექტების შემოსავლების ზრდით, აქტივების კაპიტალიზაციის ამაღლებით და სახელმწიფო ბიუჯეტის პროფიციტით, ხოლო სოციალურ-ეკონომიკური განვითარება გულისხმობს სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის აგებას სოციალური მოთხოვნების დაკმაყოფილების შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარებით. სოციალური ინფრასტრუქტურა არის საზოგადოების მოთხოვნების დაკმაყოფილების ობიექტი და მისი განვითარება ხელს უწყობს გრძელვადიან ეკონომიკურ და სოციალურ ზრდას.

სოციალური ინფრასტრუქტურის ეფექტიანობა გამოიხატება სოციალური მომსახურების სისტემის სრულყოფაში. სრულყოფაში იგულისხმება ხელისუფლების ორგანოების ვალდებულებების რეალიზაცია მოსახლეობის უპირატესობა მინიჭებულ მოთხოვნებზე, სოციალური პოლიტიკის გატარებაში ბიზნესის ჩართულობებში, მოქალაქეების წინაშე სოციალური გარანტიების შესრულებაში.

სოციალური ინფრასტრუქტურა არის სახელმწიფოს სოციალური სფეროს ნაწილი, რომელიც თავის მხრის შედის სახელმწიფო სოციალურ-ეკონომიკურ სისტემაში. ის არის ყველა იმ დარგის, ქვედარგის და საქმიანობის ერთობლიობა, რომელთა ფუნქციონალური დანიშნულება მოსახლეობაზე მისაწოდებელი მომსახურების და კეთილდღეობის წარმოებაა. იმის ნათელსაყოფად, თუ რამდენად არის ქვეყანაში სოციალური ინფრასტრუქტურა გამართული, საჭიროა დაზუსტდეს მის განსაზღვრება. კერძოდ „სოციალური ინფრასტრუქტურა“ არის დარგების, ქვედარგების ერთობლიობა, რომლებიც პირდაპირ, თუ არაპირდაპირ ზემოქმედებენ მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობაზე, იგი მოიცავს ასევე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სოციალური

მომსახურების დაწესებულებებს, ნაკლებ უზრუნველყოფილი მოსახლეობის სოციალური მომსახურების გასაწევად, სოციალური დაცვის სისტემის სავალდებულო და ნებაყოფლობითი სოციალური დაზღვევის მექანიზმების ერთობლიობას, რომელთა საშუალებით შემოსავლები მაღალ შემოსავლიანი ფიზიკური პირებიდან გადანაწილდება ნაკლებ უზრუნველყოფილი მოსახლეობის ცხოვრების დადგენილი სტანდარტების უზრუნველსაყოფად“.

სოციალური ინფრასტრუქტურა ახასიათებს მატერიალურ-ნივთობრივ გარემოს და სოციალური სუბიექტის ურთიერთშემოქმედებას, რომელიც მიმართულია საზოგადოებრივი განვითარების ოპტიმიზაციისკენ, რაც ხელს უწყობს პიროვნების ყოველმხრივ განვითარებას, ცხოვრების წესის სრულყოფას. სოციალური ინფრასტრუქტურა წარმოადგენს მატერიალურ-ნივთობრივ ელემენტების მდგრად ერთობლიობას, რომელიც ქმნის ადამიანის საქმიანობის ძირითადი სახეების სტაციონალური ორგანიზაციის ზოგად პირობებს - შრომით და საზოგადოებრივ - პოლიტიკურ სფეროში (Важенин 2007:91).

ადამიანთა ცხოვრებისა და საქმიანობის სხვადასხვა ფორმები - არის განმსაზღვრელი კრიტერიუმები, რომლითაც ხორციელდება სოციალური ინფრასტრუქტურების გამოყოფა. ეკონომიკური პროცესების გაანალიზების საფუძველზე, ფუნქციები, რომლებსაც ასრულებს სოციალური ინფრასტრუქტურა შემდეგია:

1. პირობების შექმნა პროგრესული დემოგრაფიული პროცესების ფორმირებისათვის;
2. ოპტიმალური საყოფაცხოვრებო პირობების შექმნა;
3. ბაზრის ნეგატიური გავლენისაგან მისი მონაწილეთა სოციალური დაცვა;
4. ინდივიდების შრომისუნარიანობის ხანგრძლიობის გადიდება;
5. სამუშაო ძალის კვლავწარმოება, რომელიც უპასუხებს ტექნიკური პროგრესის მოთხოვნებს წარმოებაში.

ეკონომიკური თეორიის თვალსაზრისით, სოციალური ინფრასტრუქტურის მიერ რეალიზებული ფუნქციები არის მისი კლასიფიკაციის საფუძველი: მთლიანად ინფრასტრუქტურა და მისი ცალკეული ელემენტები ემსახურებიან ადამიანების

საქმიანობის ყველა სფეროს. ამის საფუძველზე სოციალური ინფრასტრუქტურის რგოლები შეიძლება დაჯგუფდეს შემდეგი სახით.

1. საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ინტელექტუალურ-კულტურული საქმიანობა (განათლება, მეცნიერება, კულტურა, ხელოვნება, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ასოციაციები, გაერთიანებები);

2. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და სოციალური მომსახურების ობიექტები (საცხოვრებელი სახლები, ტრანსპორტი, სოციალური დაცვის სისტემა).

სადისერტაციო ნაშრომის კვლევის საგანი სოციალური დაცვის უზრუნველყოფი ყველა სტრუქტურის, მათ შორის სოციალური დაზღვევის ინსტიტუტის არსებული მდგომარეობისა და განვითარების პრობლემებია.

სოციალური ინფრასტრუქტურის ყველა რგოლის საქმიანობა მიმართულია ერთი მიზნისკენ - ცხოვრების ღირსეული პირობების შექმნა, რომლის გაუთვალისწინებელი სოციალური რისკებისაგან დაცვას სავალდებულო და ნებაყოფლობითი სოციალური დაზღვევა ემსახურება.

ყველა სახელმწიფოს სოციალური განვითარება განისაზღვრება სოციალური ინფრასტრუქტურის ელემენტების განვითარებით, რომელიც ერთის მხრივ ახასიათებენ ცალკეული ინდივიდების საზოგადოებრივი კეთილდღეობის დაკმაყოფილების დონეს, ხოლო მეორის მხრივ იმ ინსტიტუტების განვითარების დონეს, რომლებიც სოლიდარობის პრინციპის საფუძველზე ახდენენ სოციალური რისკებისაგან მიღებული ზარალის კომპენსირებას. სოციალური ინფრასტრუქტურის ყველა რგოლის კომერციალიზაცია ზრდის ყოველი მათგანის ფუნქციონირების რისკებს და ასევე ცენტრალური სუბიექტის - ადამიანის - პიროვნებისა და ცხოვრების პირობებთან დაკავშირებულ რისკებს. სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების დინამიკა აჩვენებს, რომ სოციალური დაცვის ფუნქცია სახელმწიფო ორგანოებიდან თანდათანობით გადადის კერძო სოციალურ დაზღვევის ინსტიტუტებზე. სახელმწიფო დონეზე სოციალური დაცვა ითვალისწინებს ცხოვრების მინიმალური სტანდარტებით უზრუნველყოფას, ხოლო საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე აგებული სოციალური დაზღვევის მექანიზმი მიუხედავად ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებისა შეძლებს მაღალი ხარისხით იქნას

უზრუნველყოფილი სოციალური დაცვა. დაზღვევის მექანიზმის გამოყენებით სოციალური უზრუნველყოფის ანალიზი მნიშვნელოვანია, რადგან იგი ეძლევა საშუალებას შეფასდეს სოციალური დაზღვევის მექანიზმის ეფექტიანობა, გამოვლინდეს ნაკლოვანებები, სრულყოფილი იქნას სამართლებრივი ბაზა. როგორც სავალდებულო სოციალური დაზღვევის, ასევე კერძო დაზღვევის შედეგების გასაანალიზებლად აუცილებელია შემოტანილ იქნას „ხარისხის“ კატეგორია. ამ კატეგორიის გაანალიზებისათვის მოვიყვანთ ფილოსოფოსთა აზრებს, ვინაიდან „ხარისხი“ - ეს ფილოსოფიური კატეგორიაა.

ითვლება, რომ ის პირველად გააანალიზა არისტოტელემ, ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე III საუკუნეში. XIX საუკუნეში ჰეგელის მიერ შემოთავაზებული განმარტების თანახმად: „... ხარისხი პირველ რიგში არის ყოფნასთან გაიგივებული განსაზღვრულობა, ასე რომ ყველაფერი იცვლის სახელს, როდესაც იგი კარგავს ხარისხს“.

სოციალური ეკონომიკური ურთიერთობების სისტემა არის მოსახლეობის ცხოვრების მნიშვნელოვანი ინტერესების სფერო. მისი ხარისხობრივი და რაოდენობრივი მახასიათებლები მიუთითებენ სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაზე. სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების ეფექტური სისტემის ფორმირება შესაძლებელია მხოლოდ სხვადასხვა სახის სოციალური დაცვის საფუძველზე, რომელშიც მონაწილეობს დასაქმებული, დამსაქმებელი და სახელმწიფო.

„ხარისხის“ კატეგორიის გამოყენება სოციალური დაცვასთან მიმართებაში მნიშვნელოვანად გულისხმობს კონსტიტუციით განსაზღვრული „ღირსეული“ ცხოვრების პირობების შექმნას.

„ხარისხი“ და „ღირსეული“ პირობები - პოზიტიური კატეგორიებია, მაგრამ ჩვენი აზრით „ხარისხი“ გამოყენებულ უნდა იქნეს სოციალური ინფრასტრუქტურის რგოლების მიერ მოსახლეობაზე მიწოდებულ საქონლისა და მომსახურეობის შეფასებაში, ხოლო „ღირსეული“ პირობები უფრო ფართო ცნება და ის უშუალო კავშირშია მიწოდებული კეთილდღეობის დონესთან.

ასევე „ხარისხი“ განსხვავებულად აღიქმება სხვადასხვა ეკონომიკურ სისტემაში. გეგმიანი ეკონომიკის პირობებში ხარისხს განსაზღვრავს მწარმოებელი, ხოლო საბაზრო

ეკონომიკაში - მომხმარებელი. „ხარისხისა“ და „ღირსეული პირობების არსებობის“ კატეგორიაზე ჩვენი ყურადღების გამახვილება დაკავშირებულია იმასთან, რომ სოციალური დაცვის სისტემა უნდა აწოდებდეს ბენეფიციარებს იმ ხარისხის კეთილდღეობას, რომელიც თითოეული მათგანს უზრუნველყოფს ცხოვრების ღირსეული პირობებით.

ამერიკელი მეცნიერი არმანდ ფეიგენბაუმი ხარისხს განსაზღვრავს, როგორც „... მომხმარებლის გადაწყვეტილება და არა ინჟინერისა და მარკეტოლოგისა. ხარისხი დაკავშირებულია მომხმარებლის დამოკიდებულებასთან მიწოდებულ საქონელსა და მომსახურებაზე, ხოლო იგი იზომება მომხმარებლის მოთხოვნების დაკმაყოფილების შესაბამისად“. (Feigenbaum 1977: 18-21) ეს აზრი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სადაზღვევო კომპანიების მომსახურების ხარისხის ანალიზისათვის. ვინაიდან მისი ხარისხი გამოიხატება არა მხოლოდ მომხმარებლის მორალურ დაკმაყოფილებაში, არამედ დაზღვეულის ჯანმრთელობასა და ზარალის კომპენსირების ხარისხში.

თანამედროვე პირობებში საკუთრების სხვადასხვა ფორმების განვითარებამ რადიკალურად შეცვალა განმანაწილებლობითი ურთიერთობების მოდელი. ეს ყველა ქვეყანაში პირდაპირ აისახა სოციალური დაცვის სისტემაზე, რომლის რგოლებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი სოციალურმა დაზღვევამ დაიჭირა. გეგმიანი ეკონომიკის შესაბამისი სოციალური დაცვის სისტემის გარდაქმნა საბაზრო პირობებს შესაბამის სისტემად ხანგრძლივი პროცესია და რამდენიმე ეტაპს მოიცავს:

I ეტაპი - საკანონმდებლო ბაზის შექმნა, რომლის საფუძველზე განისაზღვრა სოციალური სტანდარტები.

II ეტაპი - სახელმწიფოს მიერ განსახორციელებელი ფუნქციების განსაზღვრა.

III ეტაპი - სავალდებულო სოციალური დაზღვევის მექანიზმის ფორმირება

IV ეტაპი - ნებაყოფლობითი სოციალური დაზღვევის ინსტიტუტების განვითარების ხელშეწყობა.

სოციალური დაზღვევის ინსტიტუტის განვითარებისთვის შემოგვაქვს დაზღვევის შერეული ფორმა–სავალდებულო - ნებაყოფლობითი, რომლის არსი შემდეგში მდგომარეობს: სახელმწიფო, სადაც ჯერ კიდევ მოსახლეობას სოციალური დაცვის

მექანიზმები სრულად ვერ მოერგო საბაზრო ეკონომიკის პირობებს, იმ მიზეზთა გამო, რომ მეწარმეებს არ სურთ და დასაქმებულებს არ ძალუძთ დააზღვიონ სოციალური რისკები, შემოდებულ უნდა იქნას სავალდებულო - ნებაყოფლობით დაზღვევის ფორმა, იმ სოციალური რისკებისაგან დაზღვევისათვის, რომელიც ხასიათდება განუსაზღვრელობით და რეალიზაციის შემთხვევაში ზარალდება დასაქმებულებს და დამსაქმებელიც. სავალდებულო ხასიათი გამოიხატება მეწარმეთა ვალდებულებაში დააზღვიონ მათთან დასაქმებული ადამიანები: პროფესიული რისკებისაგან, ჯანმრთელობის დაცვის რისკებისაგან და უმუშევრობის რისკებისაგან. ნებაყოფლობითობა გამოიხატება იმაში, რომ დამსაქმებელი თვითონ ირჩევს სადაზღვევო კომპანიას და სადაზღვევო ტარიფის განაწილების ფორმას მასა და დამსაქმებელს შორის, ხოლო რაც შეეხება უზრუნველყოფის სტანდარტებს და ხარისხს არეგულირებს და მონიტორინგს უწევს ხელისუფლების ორგანოები.

სოციალური დაზღვევის ამ ფორმით განხორციელება უზრუნველყოფს საზოგადოების სოციალურ სტაბილურობას და ამავე დროს ქმნის სადაზღვევო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის პირობებს.

სამეცნიერო ლიტერატურაში „სოციალური დაზღვევა“, ხშირ შემთხვევაში, ასოცირდება სავალდებულო სოციალურ დაზღვევასთან“. ეს გამოწვეულია იმით, რომ სახელმწიფოს როლი ამ სფეროში უფრო მაღალია, ვიდრე ნებაყოფლობით დაზღვევის წილია მთლიანად სოციალური დაცვის სისტემაში. „სოციალური დაზღვევის“ გაიგივება მთლიანად სოციალურ დაცვასთან არამართებულია, ვინაიდან სოციალური დაზღვევა მიმართულია დასაქმებული მოსახლეობის სოციალური რისკების რეალიზაციით მიღებული ზარალის ანაზღაურებასთან, ხოლო სოციალური დაცვა სოციალური დახმარების სახით მიმართულია მოსახლეობის იმ ფენის ცხოვრების მინიმალური სტანდარტების უზრუნველსაყოფად, რომლებიც საარსებო შემოსავალის გარეშე დარჩნენ.

სოციალური დაზღვევის ინსტიტუტის უნიკალურობა იმაში მდგომარეობს, რომ სოციალური დაცვის ფუნქციის შესრულებით, იგი აყალიბებს მოსახლეობის „სოციალურ საბაზრო“ მენტალიტეტს: ცალკეული ადამიანის პერსონალურ პასუხისმგებლობას და ამავე დროს კოლექტიური ურთიერთდახმარების პრინციპებს.

სოციალური დაზღვევის მექანიზმის გამოყენებით სოციალური უზრუნველყოფის ზოგადი შეფასებისათვის საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტები გამოყოფენ შემდეგ ელემენტებს:

1. ჯანმრთელობის დაცვის სისტემა უზრუნველყოფს დასაქმებულების კარგ ჯანმრთელობას;

2. საპენსიო სისტემა უზრუნველყოფს მოხუცებული ადამიანების ცხოვრების პირობებს და მათ მიერ გამოთავისუფლებული სამუშაო ადგილებით დასაქმების დონის რეგულირებას;

3. ავადმყოფობასთან დაკავშირებული ფულადი დახმარება ააცილებს დასაქმებულებს ფინანსურ დანაკარგებს;

4. ორსულობისა და მშობიარობის დაზღვევას დიდი მნიშვნელობა აქვს ჯანმრთელი სამუშაო ძალის კვლავწარმოების, ასევე დასაქმებული დედების ჯანმრთელობის დაცვისათვის;

5. საწარმო ტრავმებისაგან დაზღვევა მიმართულია სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დაზარალებული მუშახელის რეაბილიტაციაზე;

6. უმუშევრობის დაზღვევა - ამ სახის დაზღვევის განვითარება ამაღლებს დასაქმებული ადამიანების რწმენას იმასთან დაკავშირებით, რომ სამუშაოს დაკარგვის შემთხვევაში ის უზრუნველყოფილი იქნება შემოსავლით გარკვეული დროის განმავლობაში და უმსუბუქებს ახალი სამუშაოს ძებნის პროცესს;

7. დახმარება ბავშვზე მიმართულია ბავშვთა ნორმალური განვითარებისათვის და მათი ჯანმრთელი პირობების შესაქმნელად.

ჩამოთვლილი პუნქტებიდან სოციალური დაზღვევის მექანიზმის გამოყენებით მიღებულ კეთილდღეობის ეფექტიანობის შეფასებაზე არსებობს სხვადასხვა მოსაზრებები. მ. ბლაუგის აზრით „...არც ერთ საბაზრო კრიტერიუმს არ შეუძლია გამოავლინოს ან განსაზღვროს აუცილებელი საზოგადოებრივი კეთილდღეობის რაოდენობა“, ითვალისწინებს რა ამ მოსაზრებას (Блауг 1994: 67) კ. ვიქსელი ამტკიცებს, რომ მხოლოდ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს “(კერძოდ, არჩევნებს) შეუძლია

განსაზღვროს საზოგადოებრივი კეთილდღეობის ის რაოდენობა, რომელიც უნდა აწარმოოს ქვეყანამ”.

ჩვენი აზრით, ორივე განსაზღვრება ატარებს ზოგად ხასიათს და კონკრეტული სფეროების განსაზღვრის გარეშე რთულია დადგინდეს კრიტერიუმი, რომლის მიხედვით გათვლილი კეთილდღეობის ნორმა მისაღები იქნება საზოგადოების ყველა ფენისათვის. აქ მოვიშველიებთ ვ. პარეტოს განმარტებას, რომ საბაზრო ეკონომიკის ეფექტიანობა - ეს ისეთი მდგომარეობაა, რომლის დროს შეუძლებელია თუნდაც ერთი ადამიანის მოთხოვნების დაკმაყოფილება, ის რომ არ გაუარესდეს საზოგადოების სხვა წევრის მდგომარეობა. ჩვენ ვთვლით, რომ სოციალური დაცვის ნებისმიერი მექანიზმის, როგორც სახელმწიფოს ხელში არსებული, ასევე კერძო დაზღვევის მექანიზმის საქმიანობა მიმართული უნდა იყოს ადამიანთა მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე, მაგრამ ეს არ უნდა იწვევდეს სხვა ადამიანთა სოციალური მდგომარეობის გაუარესებას ანუ ეს პირდაპირი მინიშნებაა, რომ ის ფინანსური ბერკეტი, რომლითაც უნდა მოხდეს სოციალური დაცვის უზრუნველყოფა არ უნდა იყოს მძიმე ტვირთი საზოგადოების იმ ფენისათვის, რომელიც სავალდებულო თუ ნებაყოფლობითი ფორმით ჩართულია სოციალური დაცვის მექანიზმში. ეს მოსაზრება ნაწილობრივ ეწინააღმდეგება პარეტოს მოსაზრებას და შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში ადამიანთა მოთხოვნილების დაკმაყოფილება უნდა შემოისაზღვროს იმ სიდიდით, რომლის ზემოთ მიღებული რესურსი გადანაწილდეს ნაკლებად უზრუნველყოფილი მოსახლეობის სასარგებლოდ.

აქვე გათვალისწინებული უნდა იქნას, რომ სოციალური მიმართულებით გაწეული ხარჯები არ უნდა იყოს უსაზღვრო, იმ პირობებში, როდესაც ეკონომიკური რესურსები თავისი არსით არის შეზღუდული. სოციალური დაზღვევის ეფექტიანობის განსაზღვრა, მხოლოდ ბენეფიციარის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების ანალიზით მცდარი შეხედულებაა, აქ „ზიარჭურჭლის“ მეთოდი მოქმედებს, ანუ ყველა დარგის მიერ გაწეული ხარჯების ეფექტიანობა ამაღლებს სოციალურ სფეროს დაფინანსების დონეს და მის შიგნით ხარჯების სამართლიანი გადანაწილება პირდაპირ ასახავს სოციალური ხარჯების ეფექტიანობას.

სოციალური დაზღვევის სისტემაში, სადაც მნიშვნელოვანია სოციალური რისკი და განუსაზღვრელობა, რთულია ეკონომიურობის დაცვა, რის საშუალებითაც ხარჯების რაციონალური გადანაწილების სხვადასხვა მიდგომის გამოყენებით შესაძლებელია ჩვეულებრივ საწარმოში. საწარმოო რისკების პროფილაქტიკისათვის განკუთვნილ ხარჯების რაციონალიზაცია შეუძლებელია, ვინაიდან ეს არ ემსახურება ადამიანთა მიმდინარე მოთხოვნების დაკმაყოფილებას. მომსახურეობის სფეროს ეფექტიანობის შეფასებისათვის ერთმანეთს უნდა შეეთანაზომოს სხვადასხვა სამომხმარებლო ღირებულებები და მათი ხარისხობრივი მახასიათებლები. საბაზრო ეკონომიკის პირობებში თავისუფალი კონკურენციის არსებობისას ეფექტიანობის პირობების განსაზღვრა რაიმე სახის კრიტერიუმების განსაზღვრა - გაანგარიშებას არ მოითხოვს, რადგან საზოგადოებრივი კეთილდღეობის მიმწოდებელი ნებისმიერი მწარმოებელი, რომელსაც ექნება მაღალი დანახარჯები, ბაზრიდან ავტომატურად განიდევენება. მაგრამ თავისუფალი კონკურენციის არსებობა დღეს მთელ მსოფლიოში იშვიათობაა. ამიტომ საჭიროა განისაზღვროს ეკონომიკის ეფექტიანობის თავისებურებები ცალკეული სახის მომსახურების შეფასებით. სოციალური დაზღვევის დარგში მოსახლეობის ეფექტიანობის გაანალიზება უნდა დაიწყოს მისი ეკონომიკური საფუძვლის სამი სახის შინაარსის მიხედვით:

1. სოციალური დაზღვევა, როგორც ეკონომიკის ფინანსური სექტორის ნაწილი;
2. სოციალური დაზღვევა როგორც საზოგადოებრივი კეთილდღეობის ნაწილი;
3. სოციალური დაზღვევა როგორც განსაკუთრებული სახის მომსახურების მიმწოდებელი.

შესაბამისად, სოციალური დაზღვევის ეფექტიანობა შეიძლება განისაზღვროს სამ გზის:

1. სოციალური დაზღვევის ეფექტიანობა, როგორც ეკონომიკის ფინანსური სექტორის ნაწილი, მოცემულ შემთხვევაში სადაზღვევო დაცვის მასშტაბს განსაზღვრავს: სადაზღვევო შენატანის დონე, დაზღვევის ფონდის მოცულობა, სადაზღვევო გადასახდელების და მიღებული შემოსავლების ზარალიანების კოეფიციენტი. ამ დარგში გასათვალისწინებელია ისეთი უარყოფითი გარე ფაქტორები, როგორცაა პენსიაზე

ნაადრევად გასვლა, დაზღვეულთა შრომითი აქტიურობის დაცემა. ე. ი. სოციალური დაზღვევის განვითარებაზე აისახება საერთო ეკონომიკური მაჩვენებლების ცვლილება;

2. სოციალური დაზღვევის, როგორც განსაკუთრებული კეთილდღეობის ეფექტიანობა: ამ შემთხვევაში მხედველობაში მიიღება ოპტიმალური საგადასახადო განაკვეთები, პენსიის სიდიდე, დახმარების სიდიდე, მათი შესაბამისობა საარსებო მინიმუმების მაჩვენებლებთან. წინა განსაზღვრებისაგან განსხვავებით, აქ ეფექტიანობა განიხილება მომხმარებლის ინტერესის პოზიციიდან, რომელიც განმსაზღვრელი მაჩვენებელი არის ერთ სულ მოსახლეზე სადაზღვევო გადასახადის თანხა;

3. სოციალური დაზღვევის ეფექტიანობა, როგორც განსაკუთრებული სახის სამომხმარებლო კეთილდღეობის წარმოება; როგორც ნებისმიერი სხვა სარგებელი ამ კუთხით სოციალური დაზღვევის სფეროს ეფექტიანობის შესაფასებლად გამოყენებული უნდა იქნას საერთოდ მიღებული მაჩვენებლები: რენტაბელობა, ხარჯების დონე, მოგების დონე და სხვა.

თუ განვიხილავთ სოციალური დაზღვევის სისტემის გარე ფაქტორებს, აუცილებელია აღინიშნოს, რომ მისი განვითარების დონე თავის მხრივ გავლენას ახდენს შემდეგ მაკროეკონომიკურ მაჩვენებელზე:

- შრომაზე მოთხოვნა და მიწოდება;
- დაქირავებულთა შრომის ანაზღაურება;
- მოსახლეობის შრომის ანაზღაურება;
- ინვესტირების დონე.

სოციალური დაზღვევის თეორიული ეფექტიანობის შესაფასებლად ჩავთვალოთ, რომ ამგვარი სისტემა არ არსებობს. ასეთ შემთხვევაში იმისთვის, რომ დაქირავებული ადამიანების მიერ დამოუკიდებლად იქნას შექმნილი რეზერვები მოულოდნელი არასასურველი შემთხვევებისაგან მიღებული ზარალის ასანაზღაურებლად, მაშინ დამქირავებლებს მოუხდებოდათ ბევრად მეტი ხელფასის გადახდა, წინააღმდეგ შემთხვევაში შემცირდებოდა მოთხოვნა სამუშაო ძალაზე. გამოსავალი სახელმწიფო სოციალური დაზღვევაა, თუმცა ეს უკავშირდება გადასახადების გადიდებას და ისევ მივყავართ სამუშაო ძალებზე მოთხოვნის შემცირებამდე, რადგან გადასახადების

გადიდება ამცირებს ინვესტიციებს აქტივობას და შესაბამისად მცირდება მოთხოვნა სამუშაო ძალაზე.

ეკონომიკის სხვა დანარჩენი სფეროს ეფექტიანობის ერთ-ერთი მიდგომა ხარჯების რაციონალურად განაწილება. სოციალური დაზღვევის შემთხვევაში კი ხარჯების შემცირება იწვევს პირიქით მოვლენას - კერძოდ ჯამრთელობის დაცვაზე საჭიროზე ნაკლები კომპენსაციის გადახდა ვერ გაზრდის სოციალური დაზღვევის ეფექტიანობას, მხოლოდ იმ მარტივი რეალობიდან გამომდინარე, რომ სადაზღვევო კომპანია დაკარგავს პოტენციურ კლიენტებს. რ. ფ. გადაულინის და მ. მ. ლატიპოვის აზრით სოციალური დაზღვევის ფონდიდან რაციონალური ხარჯვა ეყრდნობა შემდეგ არგუმენტს, რომ: ავადმყოფობის შემთხვევაში სრული კომპენსაცია, აქვეითებს ადამიანის სტიმულს გაუფრთხილდეს ჯამრთელობას, და ასევე უმუშევრობის სრული კომპენსაცია კლავს მუშახელში ინიციატივას ეძებოს სამუშაო ადგილი. ამ მოსაზრების პირველ ნაწილში ვერ დავეთანხმებით, ვინაიდან ჯამრთელობის დაფინანსება იმ დოზით უნდა მოხდეს, რომელიც შეიძლება საჭირო აღმოჩნდეს ადამიანის რეაბილიტაციისათვის, ხოლო უმუშევრობის კომპენსაცია უნდა გაიცეს იმ ხანგრძლივობით, რომელიც საჭიროა ბენეფიციარის მიერ პროფესიული გადამზადებისათვის და ახალი სამუშაოს ძებნისათვის მინიმუმ სამი თვე. სოციალური დაზღვევის ეფექტიანობის ამაღლება მოითხოვს წინასწარ გაწერილი, ზუსტად ფორმირებული მიზნების შესაბამის პროგრამის შედგენა-რეალიზაციას. (Гатауллин : 47-54)

ჩვენი აზრით, ის ძირითადი მიდგომები, რომელიც უნდა იქნას გათვალისწინებული სოციალური დაზღვევის რეფორმის პირობებში არის შემდეგი:

1. სოციალურმა დაზღვევამ უნდა მოიცვას ქვეყნის მთელი მოსახლეობა;
2. სხვადასხვა სახის სადაზღვევო შემთხვევების დადგომისას ამაღლდეს დანაკარგების ანაზღაურების დონე;
3. მიღწეული იქნას მაქსიმალური შესაბამისობა სადაზღვევო გადასახადებსა და სადაზღვევო შენატანებს შორის;
4. შესაძლებელი გახდეს საზოგადოების მხრიდან კონტროლი სავალდებულო სოციალური დაზღვევის მიერ გაწერილი ხარჯებისათვის.

ჩამოთვლილი ამოცანების გადაწყვეტა დაფუძნებული უნდა იქნას აქტუარულ გაანგარიშებებზე. სოციალური დაზღვევის ეფექტიანობის ინფლაციური პროცესები მკვეთრად ამცირებს და საბოლოოდ წლების შემდეგ შეიძლება ეს მექანიზმი უმართავი და ფინანსურად არა მდგრადი გახდეს. სახელმწიფოს მხრიდან სოციალური ამოცანების შეუსრულებლობა გააღრმავებს სოციალურ კომფლიქტებს, ხოლო ამის თავიდან ასაცილებლად გადასახადების გადიდება ეკონომიკის დანარჩენ სექტორებს დააზარალებს. სწორედ ასეთი მოსალოდნელობა ხდის აქტუალურს სავალდებულო სოციალური დაზღვევის ეფექტიანობის შენარჩუნებისათვის პროგრესულად ამოქმედდეს საბაზრო პირობების შესაბამისი კერძო სოციალური დაზღვევა, მხოლოდ სახელმწიფო სავალდებულო სოციალური დაზღვევა ზღუდავს დამზღვევებს და დაზღვეულებს არჩევანის გაკეთებაში და დგება მომენტი, როდესაც ეს მოდელი წურავს თავის პოტენციალს. ეს რომ ასე არ მოხდეს საჭიროდ მიგვაჩნია სავალდებულო სოციალური დაზღვევის პარალელურად ამოქმედდეს და განვითარდეს ორ კომპონენტის სოციალური დაზღვევა: სავალდებულო სოციალური დაზღვევა და ნებაყოფლობითი სოციალური დაზღვევა. დაზღვევა საბაზრო ეკონომიკის პირობებში მოქალაქეთა ცხოვრებაში ასრულებს ფინანსური სტაბილიზატორის როლს. ამ ფუნქციიდან გამომდინარე შეიძლება, გაკეთდეს დასკვნა, რომ დაზღვევის გარეშე ადამიანების არსებობა გამწვანებულია. ქვეყნებში, სადაც სადაზღვევო ბაზარი და სადაზღვევო კულტურა მაღალ დონეზეა განვითარებული დაზღვევა სასარგებლოა არა მარტო ცალკეული პიროვნებებისათვის, ოჯახებისათვის, მეწარმეებისათვის, არამედ მთლიანად საზოგადოებისა და სახელმწიფოსათვის.

დაზღვევის ეკონომიკური ეფექტიანობა ვლინდება სახელმწიფოს გათავისუფლებაში დამატებითი ფინანსური ხარჯებისაგან, რომელიც გაიწევა არახელსაყრელი მოვლენების შედეგების კომპენსაციისათვის. საბაზრო ეკონომიკაში სახელმწიფო ვერ იქნება როგორც მეწარმეების, ასევე ცალკეული ადამიანების სხვადასხვა რისკებისაგან ერთადერთი დამცველი. განვითარებული ქვეყნების გამოცდილება მოწმობს, რომ სწორედ დაზღვევა არის ფინანსური დაცვის ის ეფექტური მექანიზმი, რომელიც რისკების რეალიზაციისაგან მიღებული ზარალს ანაზღაურებს და ხელს უწყობს წარმოებისა და ცალკეული

პიროვნებების კვლავწარმოებას. დაზღვევის საზოგადოებრივი ეფექტიანობა სახელმწიფოსათვის დროთა განმავლობაში გამოიწვევს დაზღვევისათვის გაწეული ხარჯების შემცირებას. ე.ი. რაც მეტად გაიზრდება დაზღვევის სისტემის მიერ გაწეული ხარჯები ზარალის ანაზღაურებისათვის, მეტ-ნაკლები ხარჯები გაიწევა სახელმწიფოს მიერ სოციალური დაზღვევისათვის და მით უფრო მაღალი იქნება დაზღვევის სისტემის ეფექტიანობა.

საქართველოში დაზღვევის ეფექტიანობის გამოთვლა ყველაზე მეტად შესაძლებელია სამედიცინო დაზღვევის პროდუქტზე, რადგან ამ პროდუქტს სადაზღვევო ბაზრის 68% უჭირავს.

დაზღვევის ეფექტიანობა გამოიხატება იმაში, რომ ერთის მხრივ დაზღვევის სისტემის გამოყენებით მცირდება ბიუჯეტის ხარჯები, გაწეული არახელსაყრელი მოვლენებისაგან მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად და მეორეს მხრივ დაზღვევის დარგის განვითარებით (დაზღვეულთა რიცხვის გაზრდით) იზრდება დასაბეგრი ბაზა, რასაც საბოლოო ჯამში მოჰყვება საბიუჯეტო რესურსების გადანაწილების ეფექტიანობის ზრდა და საგადასახადო ტვირთის შემცირება. სოციალური დაზღვევის ეფექტიანობა შეიძლება გაანგარიშდეს ერთი ადამიანის დაზღვევის ხარჯების მიხედვით, რაც შესაძლებლობას იძლევა ცალკეულმა ადამიანმა მიიღოს გადაწყვეტილება დაზღვევის შესახებ ამათუ იმ რისკებისაგან.

ერთი ადამიანის მიერ მიღებული დაზღვევის გადაწყვეტილების ეფექტიანობა ადამიანური კაპიტალის თეორიაზე დაყრდნობით წარმოადგენს სადაზღვევო კომპანიის მიერ ფაქტიურად ანაზღაურებული თანხის ფარდობას დაზღვევისათვის გაწეულ ხარჯებთან :

$$EF = \Sigma SK / \Sigma SX$$

სადაც, SK - არის სოციალური რისკის დადგომისას მიღებული ზარალის ანაზღაურების თანხა; SX - დამზღვევის მიერ სადაზღვევო კომპანიაზე გადახდილი დაზღვევის პრემია.

საქართველოს ჯანმრთელობის დაზღვევის საშუალო ღირებულების სამედიცინო პაკეტი არის 25 ლარის ფარგლებში, ერთი წლის განმავლობაში გადახდილი დაზღვევის

პრემია იქნება $25 \cdot 12 = 300$ ლარი. ეფექტიანობის გამოსათვლელად ჩავთვალოთ, რომ დაზღვეულმა სულ ცოტა სამჯერ მიაკითხა სამედიცინო დაწესებულებას, სამედიცინო მომსახურების მისაღებად და სადაზღვევო კომპანიის მიერ ანაზღაურებულმა თანხამ შეადგინა 1200 ლარი (მონაცემები აღებულია გამოკითხვის ანკეტებიდან), მაშინ ეფექტიანობა:

$$EF = 1200 / 300 = 4 \cdot 100 = 400\%,$$

სადაზღვევო კომპანიის ეფექტიანობის შეფასებისათვის ავიღოთ სამედიცინო დაზღვევის ჯამური პრემია და ანაზღაურების ჯამური თანხა:

$$EF = 174\,617\,513 / 200\,590\,584 = 0,87 \cdot 100 = 87\%$$

უბედური შემთხვევის დაზღვევისას ჯამური პრემია არის 2 952 506 ლარი, ხოლო ანაზღაურებული ზარალი 368 987 ლარი, სადაზღვევო კომპანიის ეფექტიანობა ტოლია

$$EF = 368\,987 / 2952506 = 0,12 \cdot 100 = 12\%$$

ცალკეული სადაზღვევო პროდუქტის ეფექტიანობა განიხილება მასზე გადახდილი ანაზღაურების მოცულობით, ამიტომ მოცემულ შემთხვევაში ეფექტიანობა განიხილება არა სადაზღვევო კომპანიის, როგორც ეკონომიკური საქმიანობის ეფექტიანობა, არამედ მოსახლეობის რისკებისაგან დაცვის ეფექტიანობა, ანუ დაზღვევის ეფექტიანობა.

დაზღვევის ერთობლივი ხარჯების ეფექტიანობის განსაზღვრისათვის საჭიროა განსხვავებული მიდგომა იმ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებზე დაყრდნობით, როგორც პირობებშიც უწევთ ადამიანებს ცხოვრება. საქართველოში თუნდაც სოციალური რისკების რამდენიმე სახით ერთობლივად დაზღვეით მოსახლეობა ვერ სარგებლობს, ამის მიზეზი დაბალ სადაზღვევო კულტურასთან ერთად დაბალი შემოსავლიანობაა. სოციალური დაზღვევის ეფექტიანობა პირდაპირპროპორციულია ადამიანური კაპიტალის კვლავწარმოებისა. ადამიანური კაპიტალის ცნება ფართო ცნებაა და დაფუძნებულია, როგორც ფილოსოფიურ მეცნიერებაზე, ასევე სოციალურზე. იგი თავის თავში მოიცავს ადამიანის ნებისმიერ თვისებას, ცოდნას, უნარებს, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნას და სარგებელი მოუტანოს თვით პიროვნებას, ფირმას, და საერთოდ საზოგადოებას. ადამიანურ კაპიტალში შედის ფიზიკური, მატერიალური, შრომითი,

ინტელექტუალური კაპიტალი. ჩვენი საკვლევი სფეროდან გამომდინარე, შევჩერდებით ადამიანის ფიზიკურ (ჯანმრთელობის) კაპიტალზე, რომელიც ადამიანური კაპიტალის განუყოფელი ნაწილია და წარმოადგენს ინვესტიციას გაღებულს შრომისუნარიანობის, ჯანმრთელობის შენარჩუნებისათვის. ჯანმრთელობაში ჩადებული ინვესტიცია უზრუნველყოფს სამუშაო ძალის ნორმალურ კვლავწარმოებას.

რაც არ უნდა ღრმა სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი იყოს ქვეყანაში ჯანმრთელობის დაცვისათვის ხარჯების შემცირებას ადამიანური კაპიტალის თეორია ვერ ამართლებს.

არანაკლებ მნიშვნელოვანია შრომითი კაპიტალი, რომელიც ადამიანის ცხოვრებაში ყალიბდება გამოცდილების დაგროვებით, შრომითი უნარებით, განათლებით. ყველა ეს თვისება განსაზღვრავს სამუშაო ძალის პროფესიონალიზმს, მაღალი პროფესიონალიზმის შემთხვევაში მცირდება პროფესიული რისკების სიხშირე და ხარისხი და დაზღვევის განვითარებაზე ახდენს დადებით გავლენას.

საქართველოში საწარმოო და უმუშევრობის რისკების დაზღვევა არ ხდება, ამიტომ ფუნქცია, რომელიც ასახავს ადამიანური კაპიტალის რისკების დაფარვას დაზღვევის საშუალებით ასე წარმოდგება:

$$\text{სანაზღ.} = f(S_{ფ.კ}; S_{შ.კ})$$

კვლევა არასრულყოფილი იქნება თუ არ განვიხილავთ სადაზღვევო კომპანიის კორპორატიულ ეფექტიანობას, რომელიც ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებლებით უნდა შეფასდეს. სადაზღვევო კომპანიის ეკონომიკური ეფექტიანობა განისაზღვრება მიღებული ფინანსური შედეგის (მოგების) შეფარდებით გაწეულ ხარჯებთან. ე. ი. სადაზღვევო კომპანიებს კორპორატიული ეფექტიანობა შეიძლება გამოითვალოს ფორმულით: $KE = \Sigma M / \Sigma X$, სადაც KE - არის კორპორატიული ეფექტიანობა, ΣM - კომპანიის მოგება, რომელიც მიიღება სადაზღვევო კომპანიის მიერ i -ური საქმიანობის შედეგად, ΣX - კომპანიის ხარჯი. რომელიც გაიწევა კომპანიის მიერ i -ური საქმიანობის განხორციელებისათვის. როგორც კომერციული ორგანიზაცია სადაზღვევო კომპანიაც ეწევა სამ სექტორში საქმიანობას: სადაზღვევო ოპერაციების წარმოება, საინვესტიციო საქმიანობის წარმოება და საკონსულტაციო საქმიანობის წარმოება. შესაბამისად

მიღებული მოგება და გაწეული ხარჯებიც გადანაწილდება სამივე სექტორზე. მოცემული ფორმულის გამოყენებით შეიძლება შევავსოთ საქართველოში მოქმედი სადაზღვევო კომპანიების საქმიანობის ეფექტიანობა:

2011 წლის მოგება–ზარალის ანგარიშის მიხედვით არა სიცოცხლის დაზღვევის საქმიანობაში მთელ ბაზარზე მიღებულმა მოგებამ შეადგინა 33 847 131 ლარი, ხოლო ამ საქმიანობისათვის გაწეულმა ხარჯებმა კი 326 630 374 ლარი, (geostat.ge) მაშინ სადაზღვევო კომპანიების ეკონომიკური ეფექტიანობა ტოლი იქნება: $KE = 33\,847\,131 / 326\,630\,374 = 0,10$. (საქართველოს ეროვნული, სადაზღვევო ბაზრის ფინანსური მაჩვენებლები) კომპანიის კომერციული ეფექტიანობის თეორიის თანახმად კორპორატიული ეფექტიანობა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

$$KE \geq 0, \quad KE \rightarrow \text{MAX.}$$

ამ პირობის თანახმად საქართველოს სადაზღვევო ბაზარი რისკიანი დაზღვევის სახეებში აკმაყოფილებს ეფექტიანობის პირობას.

ამრიგად, სოციალური დაზღვევის ეფექტიანობისა და სადაზღვევო კომპანიის კორპორატიული ეფექტიანობის განსაზღვრის საფუძველზე სადაზღვევო დაცვის მიღების სხვადასხვა სუბიექტებს ეძლევათ შესაძლებლობა მიღებული მაჩვენებლების მიხედვით მიიღონ გადაწყვეტილება არასასურველი შემთხვევებისაგან დაცვისათვის გაიღონ ის ხარჯები, რომელიც ეფექტიანობის მომტანი იქნება და ასევე ზედამხედველობის ორგანოებს ეფექტიანობის ანალიზის საფუძველზე შეეძლება განსაზღვრონ დაზღვევის სისტემის სტრატეგია და შეიმუშაონ რეგულირების მექანიზმები, სადაზღვევო ურთიერთობების გაუმჯობესებისათვის, რითაც უზრუნველყოფილი იქნება საზოგადოებრივი ურთიერთობების ყველა სამეურნეო სუბიექტების მდგრადი განვითარება.

3.2 სოციალური დაზღვევის ფონდები და ფინანსური მექანიზმი

საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობებზე გადასვლის პერიოდში ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნის წინაშე მრავალ პრობლემებს შორის ერთ-ერთი უმწვავესი იყო შექმნილი სოციალური მდგომარეობა. მთავარი ამოცანა, არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესაბამისი სოციალური დაცვის მექანიზმების შემუშავება იყო. საზოგადოება, რომელიც 70 წლის განმავლობაში შეჩვეული იყო მუდმივ დასაქმებას, სახელმწიფოს მხრიდან სავალდებულო სოციალური დაცვას, აღმოჩნდა მომრავლებული სოციალური რისკების წინაშე ყოველგვარის დაცვის მექანიზმების გარეშე.

პირველი საფეხური, რომელიც სოციალური დაზღვევის განვითარების საფუძველი გახდებოდა მისი ფინანსური მექანიზმის ფორმირება იყო. სოციალური დაზღვევის განვითარების ისტორიის თანახმად მსოფლიოში დასაზღვევი საქმიანობის ჩანასახის წარმოქმნა მე-17, მე-18 საუკუნეებში კაპიტალიზმის აღმოცენებას უკავშირდება. მრეწველობის, ვაჭრობის და ზღვაოსნობის განვითარებამ თავისთავად წარმოქმნა კერძო საკუთრების დაცვის და შენარჩუნების პრობლემა, რაც სხვადასხვა მექანიზმების გამოყენებით ხდებოდა, ხოლო 1911 წლის მიღებული იქნა „აქტი სახელმწიფო დაზღვევის შესახებ“, რომელიც სადაზღვევო შენატანებს არ ითვალისწინებდა, 1913 წელს საფრანგეთში მიღებული იქნა კანონი „მუშების პროფესიული დაავადებისა და უბედური შემთხვევისაგან დაზღვევის შესახებ“. სოციალური დაზღვევის უფრო ადრე მიმართავდნენ შვეციაში, 1907 წელს შემუშავებული კანონით „ინვალიდობის, ავადმყოფობის, სიბერის სავალდებულო დაზღვევის შესახებ“, 1913 წლიდან 16-დან 67 წლამდე ასაკის ყველა მოქალაქე ვალდებული იყო დაზღვეულიყო, რათა სიბერის ჟამს, ინვალიდობის შემთხვევაში და ავადმყოფობის დროს მატერიალურად უზრუნველყოფილი ყოფილიყო. სადაზღვევო შენატანს იხდიდნენ თვით დაზღვეულები, სადაზღვევო საზოგადოება და სახელმწიფო.

დაზღვევის ინსტიტუტი მოხსენებულია ქართულ სამართალშიც. XI საუკუნეში დავით აღმაშენებლის მეფობის დროს სასწილეობო წამლებით და სამედიცინო ინვენტარით მომარაგება ხდებოდა სამეფო ხაზინის ხარჯზე. მნიშვნელოვან როლს

თამაშობდნენ რელიგიური ინსტიტუტები. ეკლესია უზრუნველყოფდა მოსახლეობის სოციალური დახმარების სხვადასხვა ფორმების დანერგვას, რომლებიც დაფუძნებული იყო ქრისტიანული თანასწორობის უნივერსალური პრინციპებზე (სამოქალაქო კოდექსი: 127)

1917 წლიდან საქართველოს სოციალური დაზღვევის მცირედი ჩანასახიც კი გაქრა და დაექვემდებარა რევოლუციის შემდგომი მთავრობის მიერ შემუშავებული სოციალური დაცვის სიტემას. 1921 წლის 15 ოქტომბერს სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „დაქირავებული შრომის დასაქმებულთა სოციალური დაზღვევის შესახებ“. ფინანსური უზრუნველყოფა ხდებოდა საწარმოთა სავალდებულო შენატანების საფუძველზე. კონკრეტული ნორმების დადგენა სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას სადაზღვევო ანაზღაურების შესახებ დადგენილი იყო სახალხო კომისართა საბჭოს მიერ. კერძოდ, დროებითი უმუშევრობის, ორსულობის და მშობიარობის შემთხვევისათვის მატერიალური უზრუნველყოფა დასაქმებულის ფაქტიურ ხელფასის ტოლი იყო. ბავშვის დაბადებისას გათვალისწინებული იყო ორი სახის დახმარება: 1. ახალშობილის მოვლა და 2. ახალშობილის საკვებით უზრუნველყოფა 9 თვის განმავლობაში, დასაქმებულის საშუალო ხელფასის 25%-ით. უმუშევრობის შემთხვევაში დახმარება გაიცემოდა საშუალო ხელფასის 1/6-დან 1/2-მდე კვალიფიკაციისა და სამუშაო სტაჟის გათვალისწინებით. ამავე დეკრეტით დამტკიცებული იყო, რომ სოციალური დაზღვევის ფონდი არ გამოიყენებოდა სხვა მიზნებისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ მოგვიანებით მიუხედავად ნორმატიული აქტისა, სოციალური დაზღვევის ფონდები შეტანილი იქნა სახელმწიფო ბიუჯეტში, რამაც დადგენილი სადაზღვევო ანაზღაურების წესები და ნორმები შეამცირა. 1931 წელს დროებითი უმუშევრობის დახმარება დამოკიდებული გახდა შრომის სტაჟის უწყვეტობაზე, მეურნეობის დარგზე, პროფესიული კავშირის წევრებზე და ა.შ. კონკრეტულად ვინც წარმოებაში მუშაობდა უწყვედათ 2 წელზე მეტს და გაჩნდა წელზე მეტი შრომითი სტაჟი დახმარება გადაიხდებოდა სრული ხელფასით. ნაკლები შრომითი სტაჟის შემთხვევაში პირველი 20 დღე ავადმყოფობის შემთხვევაში გადაიხდებოდა ხელფასის მეოთხედი, ხოლო ის ვინც არ იქნებოდა პროფესიული კავშირის წევრი გაიცემოდა ნახევარი ხელფასის ტოლი დახმარება. ყოველი სახის

დაზღვევაზე ტარიფი სახელფასო ფონდის 28.5%-ს შეადგინა, რომელიც შემდეგნაირად ნაწილდებოდა 6-დან 9%-მდე ხმარდებოდა დროებით შრომისუუნარო და ბავშვის დაბადების, სამკურნალო ხარჯებისათვის 5-დან 7%-მდე იყო. 1933 წელს სოციალური დაზღვევის ინსტიტუტი გადავიდა პროფესიული კავშირის მართვაში და შეიქმნა პროფესიული კავშირების საკავშირო ცენტრალური საბჭო, რომლის დაქვემდებარებაში გავიდა შრომის დაცვის, შრომის უსაფრთხოების, შრომითი საგზურების, დახმარებების ფუნქციები. მოგვიანებით შრომის დაცვის საკითხები გადავიდა სახელმწიფო ორგანოების მართვაში, მაგრამ სოციალური დაზღვევა დიდი ხნის განმავლობაში დარჩა პროფესიული კავშირების მმართველობაში. როგორც ვხედავთ სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ფუნქციის სოციალური პოლიტიკის გატარების-მექანიზმი სოციალური დაზღვევა – აღმოჩნდა პროფესიული კავშირების მმართველობაში, რაც ჩვენი აზრით, სახელმწიფოს მხრიდან კონტროლის საგანი აუცილებლად იქნებოდა და შეზღუდავდა პროფესიული კავშირების დამოუკიდებლობას. სოციალური დაზღვევა, როგორც სოციალური ფუნქციის შესრულების მექანიზმი აუცილებლად უნდა ყოფილიყო სახელმწიფო ორგანოების ფუნქციებში, ხოლო პროფესიული კავშირების ამოცანა კი ამ ფუნქციის შესრულების შედეგების კონტროლის ფუნქცია უნდა ყოფილიყო, რაც სამწუხაროდ პირიქით განხორცილდა და პროფესიულმა კავშირებმა დაკარგეს მათი შექმნის პირველი საფუძველი - შრომითი ინტერესების დაცვა და სახელმწიფო ოპონირება. ამ მიმართულებით კიდევ უფრო შემზღუდავი აღმოჩნდა 1938 წლის სოციალური დაზღვევის ბიუჯეტის საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტში შემადგენლობაში შეტანით. ამ პერიოდიდან დაწყებული სოციალური დაზღვევა სულ უფრო კარგავს დაზღვევის ხასიათს და ღებულობს სოციალური უზრუნველყოფის ფორმას. ამ მექანიზმის მთავარ უარყოფით მხარეს წარმოადგენდა ის, რომ თუნდაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან სოციალური დაზღვევის გაწევა არ იყო ორიენტირებული სოციალური რისკებზე, რის შედეგაც სადაზღვევო შენატანების ტარიფი აიგებოდა არა წარმოების საშიში და მავნე ზემოქმედებების გათვალისწინებით, არამედ მათი რენტაბელობის მიხედვით. ამგვარი მიდგომა არათანაბარ მდგომარეობაში აყენებდა დასაქმებულებს და წინააღმდეგობაში მოდიოდა შრომის კოდექსთან. მეორე მსოფლიო

ომის პერიოდში, მიუხედავად სირთულეებისა, მიღებული იქნა ნორმატიული აქტები ომის ინვალიდების დახმარების გაუმჯობესების შესახებ. ომის შემდგომ პერიოდის სოციალური დაზღვევა გაუმჯობესებულ პირობებს სთავაზობდა დროებით შრომისუუნარო მოსახლეობას, გაიზარდა სადეკრეტო შვებულება 112 კალენდარულ დღემდე, გაიზარდა აგრეთვე სოციალური დაზღვევის პროფილაქტიკური ღონისძიებების დაფინანსება, რაც გამოიხატებოდა მშრომელებზე დასასვენებელ-პროფილაქტიკური საგზურების უფასოდ გაიცემით, ან ღირებულების 30%-ის თანაგადახდით.

1968 წელს სოციალური დაზღვევის ეკონომიკური ინტერესების ასამაღლებლად მიღებულ იქნა კანონი საწარმოებში ორი ფონდის ფორმირების შესახებ: პროფილაქტიკური სამუშაოების ფონდი, რომელიც ფორმირდებოდა დაავადების შემცირების ხარჯზე გამოთავისუფლებული რესურსებიდან და გამაჯანსაღებელი ფონდი, რომელიც ფორმირდებოდა სოციალური დაზღვევის ჭარბი შემოსავლის ნაწილისაგან. მაგრამ ორივე ფონდის საშუალებების გამოყენება დაშვებული იქნებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც ქვეყანაში შეიქმნებოდა რეზერვი, რომელიც გამოიყენებოდა დროებით შრომისუუნაროებისა და ზოგიერთ რეგიონში ეპიდემიის გავრცელების შედეგად დაავადებულების დახმარების გასაწევად. აღნიშნული ფონდების გამოყენების პრაქტიკამ აჩვენა, რომ საგრძნობლად შემცირდა დაავადების დონე მუშათა კოლექტივში. მოგვიანებით სოციალური დაზღვევა შეეხო იმ ადამიანებსაც, რომლებიც ეწეოდნენ შრომით საქმიანობის შრომათა ხელშეკრულების გარეშე (კოლმეურნეობები). 1970 წლიდან სახელმწიფო სოციალურმა დაზღვევამ დაფარა მთელი შრომითი კოლექტივები, მიუხედავად მათი დასაქმების ადგილსა, მათ შორის 1988 წლიდან კოოპერატივის წევრებიც. (Буркина 2006: 69-85)

როგორც განხილული მასალიდან ჩანს, საბჭოთა დროს სოციალური დაზღვევა მისი ჩასახვის დღიდან ასრულებდა სოციალური ფუნქციას, რომელიც სხვადასხვა სახის დახმარებებით რეალიზდებოდა, მაგრამ ასევე თანდათანობით იკარგებოდა დაზღვევების, როგორც ეკონომიკური საქმიანობის პრინციპები. ასევე გადაგვარებული ფორმით განაგრძნობდა საქმიანობას პროფესიული კავშირები. მიუხედავად

სოციალური დაზღვევისადმი შეუფერებელი ფუნქციების განხორციელებისა, სოციალისტური სახელმწიფო, რომელიც გამოდიოდა წარმოების საშუალებებზე მონოპოლიური მესაკუთრის როლში, ატარებდა სოციალურ პოლიტიკას, რომელიც ნებისმიერ მოქალაქეს უზრუნველყოფდა ცხოვრების სტაბილური დონით.

XX საუკუნის პირველი ნახევრიდან 90-იან წლამდე არსებული სოციალური პოლიტიკა ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნებში შედგებოდა ორი ძირითადი ნაწილის: საპენსიო დაზღვევისა და სოციალური უზრუნველყოფისაგან. თანდათანობით სოციალური - შრომითი ურთიერთობების სისტემის ჩამოყალიბებამ, სოციალურ რისკების გაჩენის ფაქტორების დადგენამ, სოციალური დაცვის სისტემების ძირითადი როლი სავალდებულო სოციალურ დაზღვევას მიაენიჭა. XX საუკუნის ბოლოსათვის ევროკავშირის ქვეყნებში სოციალური დაზღვევის დაფინანსებამ მშპ-თან მიმართებით 16-25% შეადგინა, რომელიც სახელფასო ხარჯების შემდეგ მეორე ადგილზე იდგა. ტრადიციულად სოციალური დაზღვევა სამ მიზანს ემსახურებოდა:

1. ყველა მოქალაქე დაცულია სიღარიბისაგან;
2. ყველა დასაქმებული მოქალაქის ხელფასი დაცულია სხვადასხვა სოციალური რისკების დადგომისას დანაკარგისგან;
3. უფროსი თაობის სოციალური ჯგუფებს გარანტირებული აქვთ მიიღონ პენსია, სამედიცინო მომსახურება.

დასავლეთის ქვეყნებში სოციალური დაზღვევისა და ხელფასის ურთიერთდამოკიდებულების სწორი ორიენტირის განსაზღვრამ „ჩუმი რევოლუციის“ სახელი მიიღო, რაც იმას გულისხმობს, რომ დასაქმებული ადამიანების მიერ ხელფასიდან გადახდილი სადაზღვევო შენატანი ყოველგვარი პრობლემების გარეშე ემსახურება იმ სადაზღვევო ანაზღაურებას, რომელიც ქვეყნის მოსახლეობის ნებისმიერი ფენის წარმომადგენლის გადაეცემა სოციალური რისკების რეალიზების შედეგად მიღებული ზარალის ასანაზრაურებლად.

სოციალური დაცვის სისტემაში თანამედროვე პერიოდში სოციალური დაზღვევას პირველი ადგილი უჭირავს, მაგრამ ამავე დროს უნდა აღვნიშნოთ, რომ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული მდგომარეობიდან გამომდინარე

შესაძლებელია სოციალური დაცვის სისტემაში პრიორიტეტები შეიცვალოს. აქედან გამომდინარე სოციალური დაცვის სისტემის სრული შემადგენლობიდან სახელმწიფოს მიერ შერჩეული უნდა იქნეს ის მდგენელები, რომლითაც მიიღწევა არსებული რესურსების ფარგლებში გადანაწილების მეთოდის გამოყენებით ცხოვრების მაღალი სტანდარტები.

თანამედროვე პირობებში სხვადასხვა ქვეყნების მიერ გამოყენებული სოციალური დაცვის მექანიზმები წარმოდგენილია შემდეგი მდგენელების სახით:

- 1) სოციალური დაზღვევა;
- 2) სოციალური უზრუნველყოფა;
- 3) სოციალური დახმარება;
- 4) კორპორატიული დაცვა დამსაქმებელთა საშუალებების ხარჯზე;
- 5) ინდივიდუალური დაცვა (პირადი დაზღვევა, საპენსიო სქემები);
- 6) საგადასახადო შეღავათები და კრედიტები;
- 7) ქველმოქმედება.

ჩამოთვლილი სოციალურ-ეკონომიკური მექანიზმები ქვეყნებში მოქმედებენ პარალელურად. ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით, როდესაც დასაქმებულია მოსახლეობის მხოლოდ 35%, მიგვაჩნია, რომ დასახლებული ინსტრუმენტებიდან პირველ ეტაპზე გამოყენებული უნდა იქნას სავალდებულო სოციალური დაზღვევა შრომისუნარო, შრომისუნარიანი დაუსაქმებელი, ინვალიდობის ჯგუფის მქონე მოსახლეობისათვის, ხოლო დასაქმებული ადამიანების სოციალური დაზღვევა უნდა განვითარდეს ისეთი ფინანსური მექანიზმის ფორმირებით, რომლითაც მთელი დაზღვევის ტვირთი არ დააწევა არც დამსაქმებელს და არც დასაქმებულს. სოციალური დაზღვევის მექანიზმის ფორმირება პირველ რიგში მოითხოვს სოციალური რისკების მიხედვით დაზღვევის ინსტრუმენტების დაჯგუფებას. არჩევანის გაკეთება სოციალურ დაზღვევასა და სოციალურ უზრუნველყოფას შორის დამოკიდებულია სოციალური რისკის ბუნებაზე. სოციალური დაზღვევის ეკონომიკური საფუძვლებიდან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ სოციალური რისკი იწვევს შემოსავლის შემცირებას, რომელიც საარსებო მინიმუმზე ნაკლები აღმოჩნდება -

იგი ექვემდებარება სოციალურ დახმარება–უზრუნველყოფას, ხოლო შემოსავლის დროებით დაკარგვის შემთხვევაში–სოციალურ დაზღვევას. არანაკლებ დადებითი როლის შესრულება შეუძლია საგადასახადო შეღავათებისა და შეღავათიანი კრედიტების, როგორც სოციალური ინსტრუმენტის გამოყენებას, რომლის საშუალებითაც შრომისუნარიანი მოსახლეობა ჩაერთვება შრომით სფეროში და შეიქმნება საფუძველი სამომავლოდ განვითარების შესაძლებლობა მიეცეს სოციალური დაზღვევის კერძო ფორმას. რაც შეეხება ქველმოქმედებას, ჩვენ მიერ წინა თავში იქნა განხილული. საიდანაც გამოვიტანეთ დასკვნა, რომ ქველმოქმედება საქართველოში ატარებს ერთჯერად ხასიათს, ის არ არის კავშირში სოციალური რისკების შედეგებთან და ამიტომ მისი, როგორც სოციალური დაცვის სისტემის ინსტრუმენტად აღიარება, ვფიქრობთ, ნაადრევია.

ინდივიდუალური, ნებაყოფლობითი სოციალური დაზღვევა კერძო სადაზღვევო კომპანიების გამოყენებით, საპენსიო უზრუნველყოფა საპენსიო სქემებში მონაწილეობით სახელმწიფოს ჩარევის გარეშე – ვთვლით, რომ ყველაზე მიღებული, ცივილიზირებული ფორმაა სოციალური რისკებისაგან დასაცავად. ამერიკელი მეცნიერები აღნიშნავენ, რომ სოციალური დაცვის სისტემის ჩამოთვლილი ინსტრუმენტებიდან საგადასახადო შეღავათები და დახმარებები იმ კატეგორიაზე, რომელიც დროებით შრომისუნაროა ბავშვის დაბადებასა და მოვლასთან დაკავშირებით, არ უნდა შედიოდეს სოციალური დაცვის სისტემაში. (Энциклопедия Социальной Работы 1993 :253)

ჩვენ ვეთანხმებით ავტორს, რომ საგადასახადო შეღავათი არ არის პირდაპირი ინსტრუმენტი სოციალური დაცვისა, მაგრამ ის არის ერთ-ერთი მძლავრი მექანიზმი, რომელიც სახელმწიფოს განტვირთავს სოციალური უზრუნველყოფისათვის საჭირო ფინანსური რესურსების გადახდის ნაწილისაგან და ასევე დადებითად აისახება მთლიანად ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

ჩვენი მიდგომა სოციალური დაცვის სისტემის მდგენელების შესახებ შემდეგია: პირველი ადგილი უნდა მიენიჭოს სოციალურ დაზღვევას, რომელიც განხორციელდება ორივე ფორმით: სავალდებულო და ინდივიდუალური. ასევე მკაცრად უნდა

განისაზღვროს იმ ბენეფიციართა შემადგენლობა, რომლებიც სავალდებულო სოციალურ დაზღვევას დაექვემდებარება, კერძოდ ადამიანები, რომლებიც არიან მუდმივად შრომისუუნარონი, ბავშვები, ინვალიდები და მოხუცებულები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩამოთვლილი კატეგორია უზრუნველყოფილი უნდა იქნეს უფასო სამედიცინო მომსახურებით. დროებით შრომისუუნარო მოსახლეობა უნდა დაექვემდებაროს უმუშევრობის დაზღვევას, რომელიც შეიძლება განხორციელდეს როგორც სავალდებულო, ასევე ნებაყოფლობითი ფორმით. სოციალური დაცვის კონკრეტული ფორმები და მეთოდები, როგორც აღვნიშნეთ, დამოკიდებულია სოციალურ-ეკონომიკურ, დემოგრაფიულ და პოლიტიკურ ფაქტორებზე და შესაბამისად იცვლება მასთან ერთად. ამიტომ, რომელიმე კონკრეტული მოდელი, რომელიც შემუშავებულია სხვა ეკონომიკური მდგომარეობის მქონე ქვეყნისათვის ჩვენი ქვეყნის სოციალური დაცვის სისტემის მოდელის ფორმირებისათვის ვერ გამოდგება. სოციალური დაზღვევის, როგორც სოციალური დაცვის ინსტრუმენტის გამოყენება საქართველოში უნდა ემსახურებოდეს მთავარ მიზანს: ნებისმიერი მოქალაქის შემოსავალი არ უნდა იყოს საარსებო მინიმუმზე ნაკლები და მისი სისრულეში მოყვანა უნდა მოხდეს ისე, რომ ერთი, დასაქმებულებისა და დამსაქმებლებისათვის სოციალური დახმარებისათვის საჭირო ფონდის ფორმირება არ იქცეს მძიმე ტვირთად და მეორე, მიღებული სოციალური დახმარება არ გახდეს შრომისუუნარიანი მოქალაქის პასიურობის საფუძველი. სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი ამოცანა არის საქართველოში სოციალური დაზღვევის ინსტიტუტის განვითარება, როგორც სოციალური დაზღვევის წარმოშობისა და განვითარების კვლევამ აჩვენა, რომ 1991 წლამდე საქართველოს სოციალური დაცვის სისტემა საბჭოური სისტემის ნაწილს წარმოადგენდა. საბჭოთა სისტემის დაშლის შემდეგ ძლიერი ეკონომიკური კრიზისის შედეგად 1995 წლისთვის ერთ სულ მოსახლეზე მხოლოდ ჯანმრთელობის დაცვისთვის 40 ცენტი გამოიყოფოდა. სოციალური პოლიტიკის წინაშე აღმოჩნდა უამრავი პრობლემა:

1. მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება;
2. ჯანდაცვის მომსახურების დაბალი ხარისხი;
3. ქრონიკული უმუშევრობა;

4. სამთავრობო ხარჯების კრიზისი.

დღის წესრიგში დადგა შექმნილიყო მექანიზმი, რომელიც ჩამოთვლილი პრობლემებიდან უმთავრესს – ჯანდაცვაში არსებულ პრობლემებს შეამცირებდა. შემუშავდა სოციალური დაზღვევის სისტემის მოდელი, რომელიც ცნობილი „ბისმარკის“ მოდელის ელემენტებს შეიცავდა. თუ რამდენად იყო შესაძლებელი იმ პერიოდისათვის ბისმარკის მოდელის რეალიზაცია? განვიხილოთ თვით ამ მოდელის მახასიათებლები:

1. სოციალური დაზღვევის ორგანიზაციისას შრომითი ურთიერთობების მაქსიმალურად გათვალისწინება, კერძოდ სადაზღვევო შენატანების და გადასახადების სიდიდეები ორიენტირებულია ხელფასის ჩანაცვლებაზე სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, ასევე იგი ითვალისწინებს სამედიცინო და სარეაბილიტაციო მომსახურების ანაზღაურებას.
2. დამსაქმებლებისა და დასაქმებულების ინტერესების ოპტიმალური შეთანწყობა .
3. სოციალური დაზღვევის ორგანიზებისადმი პროფესიონალური მიდგომა ცალკეული სოციალური რისკების გათვალისწინებით, სადაზღვევო, სოციალური და სამედიცინო ინფრასტრუქტურის შექმნის პოლიტიკის გატარება, ტარიფების დადგენა.
4. სოციალური დაზღვევის სუბიექტების სოციალური და ეკონომიკური ინტერესების ოპტიმალური ბალანსის მიღწევა.

ბისმარკის მიერ შემოთავაზებული სოციალური დაზღვევის ძლიერ მხარეს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობების ორი სუბიექტის დამსაქმებელი-დასაქმებული და სახელმწიფოს მონაწილეობით ფორმირებული ფინანსური მექანიზმი, როგორც დამსაქმებელი-დასაქმებულთა სადაზღვევო შენატანების ხარჯზე ითვალისწინებდა სადაზღვევო დაცვის უზრუნველყოფას, ხოლო სახელმწიფო, როგორც სოციალური პოლიტიკის გამტარებელი მარეგულირებელი და მაკონტროლებელი ფუნქციის შესრულებით უზრუნველყოფდა სადაზღვევო ფონდის სამართლებრივ

გადანაწილებას მოსახლეობის იმ ნაწილზე, რომლებიც შრომისუუნარობის, ინვალიდობის და სხვადასხვა სოციალური რისკების ზეგავლენით შემოსავლის გარეშე იყო დარჩენილი.

ბისმარკის მოდელი თავისთავად სოციალური დაზღვევის განვითარების ძლიერ მექანიზმებს წარმოადგენდა სოლიდარობის პრინციპის გამოყენება, თუმცა სოლიდარობა კერძო სადაზღვევო დაცვისაგან განსხვავებით, მოიცავდა დაზღვევაში ჩართული მოსახლეობის გარდა სოციალურად დაუცველი მოსახლეობასაც. ჩვენი აზრით, ამ მოდელის გამოყენება შედეგადაა ისეთი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის პირობებში, როდესაც დასაქმებულთა რაოდენობა, მათი საშუალო ხელფასი აჭარბებს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის რაოდენობასა და შემოსავლებს. საქართველოში მძიმე სოციალური პირობების შედეგად 2003 წლის მონაცემებით 1.700.000 ადამიანით შემცირდა მოსახლეობის რაოდენობა, უმუშევრობამ პიკს მიაღწია და ფანტასტიკური მასშტაბით გაიზარდა სოციალური დაცვის მოსურნე მოსახლეობის რაოდენობა, ბისმარკის მოდელის გამოყენება პრაქტიკულად შეუძლებელი იყო.

მსოფლიო პრაქტიკა იცნობს ბევრიჯის სოციალური დაცვის მოდელსაც, რომელიც მინიმალურ სოციალურ გარანტიებს უზრუნველყოფს საბიუჯეტო საშუალებებიდან დაფინანსებით. ამ მოდელის უარყოფითი მხარეა ის, რომ სოციალური დაზღვევის დონე დაბალია. უმუშევარი და დაბალი შემოსავლის მქონე მოსახლეობას არ აქვს საშუალება ისარგებლოს სახელმწიფო დაზღვევით. ამ პრობლემის მოგვარება ხდება მწირი სოციალური დახმარების გაწევით, რომელიც ფინანსდება სახელმწიფო გადასახადებიდან და დასაქმებული მოსახლეობის შენატანებიდან. სოციალური დაცვის სისტემა სახელმწიფო მართველი აპარატის შემადგენელია და მას არ აქვს კავშირი პროფესიულ კავშირებსა და დასაქმებულებთან.

ბისმარკის მოდელის საპირისპიროდ ბევრიჯის მოდელი სოციალური დაზღვევის შესაძლებლობის შეზღუდვით ორ უარყოფით მხარეს წარმოქმნის: ერთი, რომ მოსახლეობის დაუცველი ნაწილი მწირი დახმარების ფონზე ვერ მიიღებს ცხოვრების შესაბამის სტანდარტებით დაკმაყოფილების შესაძლებლობას და მეორე, ვერ

ჩამოყალიბდება სადაზღვევო კულტურა, რომელიც კერძო სოციალური დაზღვევის განვითარებას შეუწყობს ხელს.

სკანდინავიის ქვეყნებში ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება ისარგებლოს ერთნაირი სოციალური მომსახურების პაკეტით. დასაქმებული მოქალაქეები სავალდებულო სოციალური დაზღვევის ფარგლებში ღებულობენ დამატებით მომსახურებას. სახელმწიფოს მთავარი საზრუნავი არის დასაქმების მაღალი დონის მიღწევა. განხილული სოციალური მოდელების მექანიზმებში ჩვენ მნიშვნელოვან ადგილს სოციალური დაზღვევის ვანიჭებთ, რადგან სახელმწიფოს მხრიდან მოწოდებული ნებისმიერი სოციალური დახმარება ვერ გასწვდება ცხოვრების მინიმალური სტანდარტებით დაკმაყოფილების დონეს. ბისმარკის მოდელი, ჩვენი აზრით, სოციალური დაზღვევის განვითარების კუთხით ყველა ეროვნულ მოდელთან შედარებით მისაღებია, თუმცა ქვეყნის განვითარების ისტორიაში ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენები მოდელის სრული მექანიზმებით რეალიზაციის საშუალება არ იძლეოდა. სოციალური დაზღვევა, სოციალური რისკების ბუნებიდან გამომდინარე, მხოლოდ ნებაყოფლობით ფორმით ვერც ერთ ქვეყანაში ვერ იარსებებს, მაგრამ დასაქმების დონის გაზრდის პარალელურად თანდათანობით უნდა შემცირდეს სავალდებულო სოციალური დაზღვევის წილი და გაიზარდოს კერძო სოციალური დაზღვევის წილი. მსოფლიოში სოციალური დაზღვევის სისტემა სხვადასხვა პერიოდში წარმოიქმნა და ვითარდებოდა. (იხ. დანართი 12)

როგორც ცხრილიდან ჩანს განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში სოციალური დაზღვევა XIX საუკუნიდან იღებს სათავეს, რაც ყველაზე საყურადღებოა სოციალური დაზღვევა ძირითადად ორიენტირებულია ჯანმრთელობის დაზღვევაზე. თითქმის საუკუნის გამოცდილების მქონე ქვეყნებში თანამედროვე პირობებში, სოციალურ დაზღვევაში მიღწეული დიდი წარმატებებისა დაზღვევით სრულად მოიცვა ყველა სოციალური რისკისა ჯერ პრობლემად რჩება. (იხ. დანართი 13)

ო. ბისმარკის მიერ შექმნილი სოციალური დაზღვევის მოდელი იქცა სხვადასხვა ქვეყნებში ეროვნული სოციალური დაცვის მოდელების შემუშავების საფუძვლად. გარდა ჯანმრთელობის დაზღვევისა, დაზღვევის ობიექტებად გაჩნდა ინვალიდობის,

სიბერის, უმუშევრობის, ორსულობა-მშობიარობის სოციალური რისკებიც. დასაქმებულებისა და დამსაქმებლების გარდა, სადაზღვევო ფონდების დასაფინანსებლად სახელმწიფოს სუბსიდიებისა და დოტაციების სახით მონაწილეობდნენ. შემუშავდა ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნებში ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული პროგრამები. სოციალური დაცვის სისტემა, რომელიც თანდათანობით დაზღვევის კომპონენტებზე (შენატანებისა და ანაზღაურების ექვივალენტურებად) იგებოდა სოციალური დაზღვევის სახელწოდება მიიღო. (<http://www.cesifo-group.de/ifoHome/facts/DICE/Social-Policy/Basic-Protection/Guaranteeing-Sufficient-Resources/bsimarck-beveridge-dicereport408-db6/fileBinary/bsimarck-beveridge-dicereport408-db6.pdf>)

საქართველოს თანამედროვე სოციალური ეკონომიკური მდგომარეობის შესაბამისი ფინანსური მექანიზმის ჩამოყალიბებისათვის საჭიროდ მიგვაჩნია განვლილი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა სამ ეტაპად დავყოთ:

I ეტაპი - 1990-2001

II ეტაპი - 2002-2008

III ეტაპი - 2009-2011

1990 წლიდან საქართველოში კატასტროფულად შემცირდა წარმოება, რეალური შემოსავლები, მოხმარება, კაპიტალ-დაბანდებები და ყველა ეკონომიკური ინდიკატორი. 1990-94 წლებში მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა 71% შემცირდა. ამ ფონზე შეუძლებელია სოციალური დაცვის მსოფლიოში აპრობირებული მოდელების გამოყენება და მისგან შედეგის მიღება. 1995 წელს გაიზარდა უმუშევრობის დონე და 45% მიაღწია, 1995 წლისთვის 25%-მდე, ხოლო 2001 წლისთვის 11%-მდე შემცირდა.

1991 წლიდან საქართველოში სოციალური დახმარების პოლიტიკა მიმართული იყო მოსახლეობის დაცვაზე მხოლოდ უკიდურესი სიღარიბისგან. 2001 წლის საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №69, „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სისტემაში ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების შემცირებისა და კორუფციასთან ბრძოლის 2001-2003 წლების საშუალო ვადიან სახელმწიფო პროგრამაში“, აღნიშნულია, რომ სოციალური სფერო ამ

მიმართულებით ყველაზე დიდი მაშსტაბებით ხასიათდება, რაც დაკავშირებულია იმასთან, რომ ადამიანები სიღარიბის გამო კანონგარეშე საქმიანობაზე მიდიან, მაშინ, როდესაც ქვეყანაში ვერ ხერხდებოდა მათი სასიცოცხლოდ აუცილებელი მოთხოვნების მინიმალურ დონეზე დაკმაყოფილება. ამ პერიოდისთვის სოციალური რისკების ბირთვი ჯანდაცვაზე იყო ორიენტირებული, რომელსაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან მხოლოდ 350 მილიონი ლარი მოხმარდებოდა, რაც ქვეყნის მშპ-ს 5.3% შეადგენდა. ისედაც სიღარიბის ზღვარზე მყოფ მოსახლეობას ჯანდაცვაზე საკუთარი ჯიბიდან ხარჯების 87%-ის დაფარვა უწევდა (1998 წლის საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს და საერთაშორისო ორგანიზაციების ექსპერტების კვლევებიდან).

1990-1995 წლებში ქვეყანაში განვითარებულმა პოლიტიკურ-ეკონომიკურმა ფაქტორებმა მშპ-ს მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე 250 დოლარი შეადგინა, შესაბამისად დაიწია 0.81 აშშ დოლარამდე ერთ სულ მოსახლეზე ჯანმრთელობის დაცვის ხარჯი გაწეული ბიუჯეტიდან.

1997-2002 წლებში უმუშევრობის პროცენტული შემადგენლობა ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რაიონებში იზრდებოდა, თუმცა მისი საშუალო პროცენტი 7.3%-ის ფარგლებში მერყეობს. (იხ. დანართი 14)

ამ მონაცემების მიხედვით მწვავე სოციალურ მდგომარეობაზე აქცენტების გაკეთება არასწორი იქნებოდა, რადგან დასაქმებულთა რაოდენობა სწორი სოციალური პოლიტიკის გატარების შემთხვევაში შექმნის ფინანსურ ბაზას, რომელიც უზრუნველყოფდა სიღარიბის შემცირებას, თუმცა აქვე მოვიტანთ დასაქმებულთა სტრუქტურას ეკონომიკური აქტივობის მიხედვით. (იხ. დანართი 15)

1995 წლამდე სოციალური დაცვის სისტემა მხოლოდ ჯანმრთელობის პრიორიტეტებით განსაზღვრული სამედიცინო პროგრამებით ხორციელდებოდა, რაც მხოლოდ ჯანდაცვას ემსახურებოდა. 1996 წელს გადაიდგა პირველი ნაბიჯი სოციალური დაზღვევის ფინანსური მექანიზმების ამოქმედებაში, კერძოდ შემოღებული იქნა სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის 3% დამქირავებლის და 1% დაქირავებულის შენატანი. მოგვიანებით შემოღებული იქნა სოციალური დაზღვევის სისტემა და ამ წლებში სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის და სოციალური

შენატანების ხვედრითი წილი ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯებში 10%-დან 34%-მდე გაიზარდა. თუმცა ეს მექანიზმი სუსტი აღმოჩნდა, ვინაიდან ის შენატანები რომლებიც დადგენილი იყო (3+1) მხოლოდ დასაქმებული მოსახლეობისა და წარმოება-ორგანიზაციებზე მოდიოდა, სწრაფად მზარდი უმუშევრობა სოციალური დაზღვევის ფინანსურ ბაზას და სახელმწიფო ბიუჯეტსაც უძლურს ხდიდა. არსებული მიზნების განხორციელების საქმეში მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, თენგიზ ვერულავას შეფასებით, „სამედიცინო დაზღვევის სავალდებულო შენატანის აკუმულირება ხდებოდა სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო კომპანიებში, რომელიც წარმოადგენდა საზოგადოებრივ თუ კვაზი სამთავრობო სტრუქტურას, და ეს შენატანი, სინამდვილეში წარმოადგენდა შუალედურ კატეგორიას „სავალდებულო შენატანისა და მიზანმიმართულ საბიუჯეტო გადასახადს“ შორის, კერძოდ, შეგროვების ტექნიკით (მისამართი ექსკლუზიურად სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო კომპანია) „3+1“ შენატანს წააგავდა, ხოლო გადამხდელისა და გადახდის პროცედურის აღრიცხვის ტექნიკით - მიზანმიმართულ საბიუჯეტო გადასახადს. (თ. ვერულავა: Health Economic and Incuranse Journal 2010)

2003 წლიდან სამედიცინო დაზღვევის კომპანიამ შეწყვიტა ფუნქციონირება და შეიქმნა ახალი სტრუქტურა - სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, გაუქმდა სამედიცინო დაზღვევის სავალდებულო შენატანები და ჯანდაცვის სახსრები გაერთიანდა სოციალურ გადასახადში, რომლის საფუძველზე მოხდა სოციალური ხარჯების დამფინანსებელი საგანგებო ფონდის ე.წ. სპეციალური ფონდის ფორმირება. მიუხედავად იმისა, რომ სოციალურ დაზღვევის გადასახადი, ყველა სხვა გადასახადისგან განსხვავებით, განსაზღვრავდა გადასახადის მიზანს, მიმართულებას; ქვეყნის კანონმდებლობით წარმოადგენდა ბიუჯეტის ფორმირების წყაროს და შესაბამისად, სავალდებულო სახელმწიფო სადაზღვევო გადასახადს. ეს გადასახადი ისეთივე წესით შედიოდა ხაზინაში, როგორც სხვა წმინდა სუბიექტის გადასახადები ე.ი. ეს გადასახადი კვლავ შუალედურ კატეგორიას წარმოადგენდა, მიუხედავად მისი მიზანმიმართულებისა. 2003-2004 წლების განმავლობაში სოციალური დაზღვევის გადასახადი ვერ ჩაჯდა თავის ჩარჩოში და ვერ შეასრულა მიზანმიმართულების

ფუნქცია, ამიტომ 2005 წელს გაუქმდა სოციალური დაზღვევის გადასახადი და დაწესდა სოციალური გადასახადი, რომელიც ბიუჯეტში აკუმულირდებოდა.

2007 წლის ივლისში სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი გაიყო ორ სააგენტოდ: ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო, როგორც უფლებამონაცვლე საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდისა, რომლის მიზანია მოსახლეობის გარკვეული ჯგუფებისათვის ჯანმრთელობის და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნის მომსახურების/საქონლის შესყიდვა ან/და მომსახურების/საქონლის დაფინანსების ორგანიზება (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება № 198/ნ 2007 წ. 29 ივნისი, ქ. თბილისი).

2) სოციალური მომსახურების სააგენტო, რომლის მიზანია მოსახლეობის სოციალური დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაცია და მისი განხორციელების ხელშეწყობა. აღნიშნული სააგენტოს ფუნქციების ჩამონათვალში საერთოდ ამოღებულ იქნა სადაზღვევო ტერმინი, ორივე სააგენტოს ძირითადად მიმართულებად იქცა სოციალური პროგრამებით მომსახურებაზე გადასვლა, რაც ბუნდოვანი იყო და მოიხმარებოდა მეტწილად არარეციპიენტ ბენეფიციარის სასარგებლოდ. გარდა ამისა, საბაზრო ეკონომიკური სისტემა ყველა განვითარებულ ქვეყანაში ძლიერ ფინანსურ რგოლზე – სადაზღვევო სისტემის განვითარებაზეა ორიენტირებული. საქართველოში 2005 წლის 12/23/2005 № 2442 კანონით გაუქმდა ყველა კანონი, რომელიც კი სადაზღვევო ურთიერთობების ჩამოყალიბებას შეუწყობდა ხელს, კერძოდ, გაუქმდა კანონი სავალდებულო სადაზღვევო პენსიების შესახებ, სავალდებულო სოციალური დაზღვევის სფეროში ინდივიდუალური (პერსონიფიცირებული) აღრიცხვისა და ინდივიდუალური ანგარიშების შესახებ.

საკანონმდებლო სფეროში შეტანილი ცვლილებები გამართლებულია თუ იგი აისახება მოსახლეობის სოციალური მდგომარეობაზე. ქვემოთ მოცემული გრაფიკიდან ჩანს, რომ 2006 წლიდან სოციალური მომსახურების პროგრამულ უზრუნველყოფაზე გადასვლით არცთუ სახარბიელო შედეგია, მონაცემები მიუთითებს, რომ სოციალური დაცვის ხარჯები გაიზარდა 2007 – 2009 წლებში, ხარჯების საერთო სიდიდის ზრდა არ

გულისხმობს ცალკეული მოქალაქის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, ეს ის პერიოდია, როგორც საქართველო-რუსეთის ომის შედეგად გაიზარდა სოციალური დაუცველთა რაოდენობა და შესაბამისი ხარჯიც. თუმცა 3 პროცენტთან ზრდა კრიტიკას ვერ უძლებს. შეცდომა, რომელიც კვლევის საფუძველზე იქნა დანახული არის სოციალური დაზღვევის ფონდის გაუქმება.

თანამედროვე პირობებში ბევრ ქვეყანაში სოციალური დაზღვევა მეტწილად სავალდებულო ხასიათს ატარებს, ხოლო ინდივიდუალური და კოლექტიური დაზღვევა ავსებს სოციალური დაზღვევის სისტემას. სახელწიფოს, დასაქმებულისა და დამსაქმებლის ფინანსური მონაწილეობის ხარისხი განსხვავებულია სახვადასხვა ქვეყანაში და დამოკიდებულია სახელმწიფოს მიერ გატარებულ სოციალურ პოლიტიკასა და დაზღვევის დარგის განვითარების დონეზე.

სავალდებულო სოციალური დაზღვევა მოსახლეობის სოციალური დაცვის საბაზო ფორმაა. მისი გამოყენება შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც შრომითი რესურსების კვლავწარმოების უზრუნველყოფაზე, ასევე სოციალურად დაუცველთა მინიმალური სოციალური გარანტიების მიწოდებაზე. სოციალურად ორიენტირებულ ქვეყნებში სავალდებულო სოციალური დაზღვევა ხორციელდება სპეციალური სოციალური ფონდების ფორმირებითა და გამოყენებით. ამ ფონდის ფინანსური მექანიზმი მდგომარეობს შემდეგში: დასაქმებული მოსახლეობის და დამსაქმებლების სოციალური გადასახადის საშუალებით ფორმირდება ფულადი ფონდი, საიდანაც სოციალური დაცვის ხარჯები გაიწევა იმ მოქალაქეებზე, რომლებიც ამას საჭიროებენ. სოციალური ფონდების ფინანსური მექანიზმის სხვადასხვა განმარტება არსებობს:

დ. ი. ფედოტოვი არასაბიუჯეტო სოციალური ფონდებს განიხილავს როგორც ფინანსური რესურსების გადანაწილების და გამოყენების ფორმას, რომელიც მიიმართება სახელმწიფო ბიუჯეტის გარეთ არსებულ მოთხოვნების დასაფინანსებლად მკაცრად განსაზღვრული მიზნობრივი დანიშნულებით. (Федотов 2002:135)

ს. ი. იანოვას განმარტებით, სოციალური დაზღვევის ფონდი არის „ფულადი ფონდები, რომლებიც ფორმირდება მოქალაქეთა და სამეურნეო სუბიექტების სავალდებულო სადაზღვევო შენატანებისაგან და განკუთვნილია მოსახლეობის

დაზღვეული კონტინგენტის გადახდებისათვის დადგენილი პირობების შესაბამისად“. (Янова 2001:23) ამ განმარტების თანახმად არასაბიუჯეტო სოციალური ფონდები და სოციალური დაზღვევის ფონდები ერთმანეთთან გათანაბრებულია მათზე დაკისრებული ფუნქციების მიხედვით.

ჩვენი აზრით, ბიუჯეტგარეშე სოციალური ფონდი, რომელიც ფორმირდება დასაქმებული მოსახლეობის მიერ გადახდილი სოციალური გადასახადებისაგან, უფრო ფართო ასპექტში უნდა იქნეს განხილული, ვიდრე დაზღვეულთა სოციალური შენატანების წარმოებაა. კერძოდ ეს ფონდი ახდენს მოქალაქეთა მიერ გადახდილი ფულადი რესურსების გადანაწილებას არა მხოლოდ სოციალურად დაუცველთა ცხოვრების დონის ამაღლებისათვის, არამედ თაობათა შორის რესურსების გადანაწილებით უზრუნველყოფს, ცხოვრების ღირსეული პირობების შენარჩუნებას მიზნობრიობის მკაცრი დაცვით. ბიუჯეტგარეშე სოციალური ფონდი ახდენს მთლიანი შიდა პროდუქტის ნაწილის გადანაწილებას, გვევლინება გადამნაწილებლობითი ურთიერთობის ჩამოყალიბების მექანიზმად და, შესაბამისად, წარმოადგენს ფინანსური სისტემის შემადგენლ რგოლს. თავისი ფორმირების სპეციფიკით სახელმწიფო ფინანსებთან ერთ სიბრტყეში განიხილება; ორივე ფონდი ფორმირდება სავალდებულო გადასახადებით, მაგრამ მეორის მხრივ, ის არ შედის ბიუჯეტის შემადგენლობაში და აქვს მიზნობრივი დანიშნულება.

სოციალური ფონდის ფორმირება სოციალური გადასახადის საშუალებით მსოფლიოში აპრობირებული მეთოდია, მაგრამ არის ქვეყნები, სადაც სოციალური გადასახადი არ არის. მათ შორის არის საქართველოც. სადაც 2008 წლის 1 იანვრიდან საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით ერთიანი სოციალური გადასახადი გაუქმებული იქნა, ხოლო მოსახლეობის სოციალური დაცვისათვის ფინანსური რესურსები სახელმწიფო ფინანსებიდან გამოიყოფა. ჩვენ წინა თავებში განვიხილეთ საზღვარგარეთის ქვეყნების სოციალური დაცვის სისტემები, მაგრამ ფინანსური მექანიზმის ფორმირებისათვის აუცილებლად მიგვაჩნია განვიხილოთ კონკრეტულად ამ მექანიზმის ფორმირების თავისებურებები.

იაპონიის სოციალური ფონდის ფინანსური ბაზა ფორმირდება დაქირავებული მუშახელის და მეწარმეების სადაზღვევო შენატანებისაგან (დაახლოებით 60%-ზე მეტი), სახელმწიფო ფინანსებისაგან (დაახლოებით 20%), ფინანსური ოპერაციების შემოსავლებისაგან (12%-ზე მეტი) და სხვა. (<http://www.nstac.go.jp/en/>) ამ სტრუქტურამ ცვლილება განიცადა შემოსავლების ზრდით ფინანსური ოპერაციების ხარჯზე, საპენსიო ფონდის გადიდებით და სახელმწიფო ბიუჯეტის საშუალებათა წილის შემცირებით.

სოციალური დაცვის ხარჯების 1/3 - ფინანსირდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, 2/3 - სხვადასხვა სადაზღვევო საპენსიო ფონდებიდან. იაპონიის მოქალაქეებს ამა თუ იმ ფონდში შეაქვთ დაახლოებით 100 ამერიკული დოლარი თვეში. მასში ჩართულია იაპონიის მოსახლეობის თითქმის ყველა მოქალაქე 20-დან 60 წლამდე. სოციალური უზრუნველყოფის სისტემის მეორე კომპონენტია - ჯანმრთელობის დაზღვევა, რომლის სისტემა მოიცავს 6 ალტერნატიულ ვარიანტს, რომლებიც მოიცავენ იაპონიის მთელ მოსახლეობას. მესამე კომპონენტია - საზოგადოებრივი ურთიერთდახმარება, რომელიც მოიცავს იმ მოსახლეობას, რომელსაც არ შეუძლია უზრუნველყოს საკუთარი ოჯახის წევრებად ცხოვრების მინიმალური დონე. იაპონიის სოციალური პოლიტიკის მთავარი დამსახურებაა მოსახლეობის სრულად მოცვა. (<http://www.nstac.go.jp/en/>)

ნიდერლანდების სოციალური დაცვის სისტემის დამსახურება მოსახლეობის საყოველთაო სოციალური უზრუნველყოფაა. (www.cbs.nl)

სრულად ფინანსირდება: მოხუცებულების, მშობლების გარდაცვალების, ინვალიდობის, სამედიცინო რისკები, მათ შორის სავადმყოფოში ხანგრძლივი ყოფნა. ყველა მოქალაქე, რომელიც ცხოვრობს ჰოლანდიაში ღებულობს სოციალურ დახმარებას 18 წლამდე ბავშვებისთვის. სოციალური დაზღვევის სისტემა მოქმედებს შემდეგ პრინციპებზე:

- უზრუნველყოფს 65 წლის ყოველ მოქალაქეზე მინიმალურ სოციალურ გადახდებს. ამის გამო აქ ჯერ კიდევ 1957 წელს გამოიცა კანონი საყოველთაო საპენსიო უზრუნველყოფაზე;
- ყოველ დასაქმებულს ეძლევა შესაძლებლობა დააგროვოს რესურსები დამატებითი პენსიის მისაღებად, რადგან საბოლოო შედეგი აისახოს

შემოსავლების ისეთ დონეში, რითაც უზრუნველყოფილი იქნება ცხოვრების ღირსეული პირობები;

- ხელსაყრელი საგადასახადო პირობებით თითოეულ დასაქმებულს მიეცეს შესაძლებლობა შეიძინოს სხვადასხვა სოციალური დაზღვევის პროდუქტი. ეს პრინციპი რეალურად განსხვავდება გერმანიისა და დიდი ბრიტანეთის სოციალური დაცვის პრინციპებისაგან. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში სახელმწიფოს ჩარევა საპენსიო უზრუნველყოფაში მინიმუმამდეა დაყვანილი. დასაქმებული იძულებულია თვითონ იფიქროს თავისი მოხუცებულობის უზრუნველყოფაზე. ასევე თუ დამსაქმებელი შესთავაზებს დასაქმებულს გაერთიანდეს საპენსიო სისტემაში, დასაქმებული არ არის ვალდებული დაეთანხმოს მას. გერმანიაში დასაქმებულთა საპენსიო უზრუნველყოფა დამსაქმებლის ხელთაა. მის განკარგულებაში არსებული საპენსიო სქემებში აერთიანებს დასაქმებულებს და იმ შემთხვევაში თუ დასაქმებული წავა საწარმოდან, მას გადაეცემა საპენსიო ფონდში დაგროვებული თანხა.

ნიდერლანდებში ეს განმტკიცებულია კანონმდებლობით და საპენსიო სისტემა აგებულია შემდეგ სამ მიდგომაზე: (www.cbs.nl)

1. პენსიაზე გადის ყველა მოქალაქე 65 წლის ასაკში. ყველა მოქალაქე, რომელიც 50 წელი ცხოვრობს ქვეყანაში აქვს უფლება მიიღოს მოხუცებულობის პენსია, კერძოდ ქორწინებაში მყოფი პენსიონერი დებულობს ხელფასის 100%-ს, მარტოხელები - ხელფასის 70 %-ს;

2. ნიდერლანდების ოჯახების 80%-ს აქვთ უფლება მიიღონ დამატებითი პენსია. ეს გულისხმობს ცალკეული საწარმოების ან დარგის სოციალური უზრუნველყოფის სისტემის არსებობას. თუ დარგის შიგნით შედგება მოლაპარაკება საპენსიო უზრუნველყოფის დამატებით პირობებზე, მაშინ კანონმდებლობით შეიძლება გაიწეროს დამსაქმებლებისა და დასაქმებულების ვალდებულება – გახდნენ საპენსიო სისტემის მონაწილეები. ნიდერლანდების უდიდესი კაპიტალის მქონე საპენსიო ფონდების 2/3 ფინანსირდება დამსაქმებლების მიერ, 1/3 კი – დასაქმებულების მიერ;

3. სადაზღვევო კომპანიების მიერ მოსახლეობაზე ინდივიდუალური დაზღვევის პროდუქტების შეთავაზება. აქ სახელმწიფოს ჩარევა იზღუდება საგადასახადო შეღავათების დაწესებით განსაზღვრული სიდიდის შენატანებზე.

სოციალური უზრუნველყოფისა და სოციალური დაზღვევის ყველაზე მნიშვნელოვანი ანარიცხები არის შვეციასა და აშშ-ში. შვეციის ბიუჯეტის ერთ-ერთ მსხვილ მუხლს წარმოადგენს სოციალური გადასახადები დარიცხული სახელფასო ფონდზე. (იხ. დანართი 16)

ამერიკაში სოციალური დაზღვევის ანარიცხები ფედერალური ბიუჯეტის ერთ-ერთი მსხვილი მუხლია, იგი გადაიხდება როგორც დამსაქმებლების, ასევე დაქირავებული მუშახელის მიერ. განსხვავებით ევროპული ქვეყნებისაგან, სადაც სოციალური დაზღვევის შენატანის ძირითად ნაწილს იხდის დამსაქმებელი, აშშ-ში იგი იყოფა თანაბრად დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის. განაკვეთი შეიძლება შეიცვალოს ყოველწლიურად.

სოციალური უზრუნველყოფა საქართველოში დამოუკიდებლობის დღიდან დღემდე პრობლემურ საკითხად ითვლება. თანამედროვე პირობებში მოსახლეობის სოციალური დონე დაბალია, რასაც ადასტურებს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დიდი რაოდენობა, რომელთა ერთადერთი საშემოსავლო წყარო სახელმწიფოს მიერ გაცემული შემწეობებია. საქართველოს სტატისტიკის ოფიციალური მონაცემებით 2010 წელს საარსებო მინიმუმი 132.4 ლარია. იქიდან გამომდინარე, რომ ქვეყანაში ინფლაციის რეალურმა ტემპმა 50%-ს მიაღწია საარსებო მინიმუმის რეალობა არადამაჯერებელია. საშუალო ხელფასი განისაზღვრა 600.7 ლარით, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მათემატიკურად ეს მართლაც ასეა, მაგრამ დიდი სხვაობაა ჩვეულებრივი მოქალაქის ხელფასსა და ხელისუფლების წარმომადგენელთა ხელფასს შორის. ამ სიდიდეებზე დაყრდნობით საშუალო ხელფასის გაანგარიშება არ იძლევა საშუალებებს დადებითად დახასიათდეს ქვეყანაში არსებული სოციალური მდგომარეობა. (საქართველოს სახელმწიფო სტატისტიკის დეპარტამენტი: <http://geostat.ge>)

ქვეყანაში მოქმედი სოციალური ფონდი მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებდა მასზე წაყენებულ მოთხოვნებს. ამის ძირითადი მიზეზი იყო არა მისი არამიზნობრივი

გამოყენება, რომელსაც ცოტა თუ დიდი დოზით მაინც ჰქონდა ადგილი, არამედ ის, სოციალური ფონი – რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შეიქმნა ქვეყანაში. როგორც აღინიშნა, სოციალური გადასახადის გადამხდელი დამსაქმებელი იყო. აქედან გამომდინარე, გარდამავალ პერიოდში ეკონომიკური კავშირების მოშლით ფაქტიურად განადგურებული საწარმოები ვერ ამოქმედდა, ხოლო ახალი საწარმოების შექმნა რთულად მიმდინარეობდა. ამას თუ გავითვალისწინებთ ადვილი ასახსნელია სოციალური ფონდის ქმედითუუნარობა. მცირე რაოდენობის გადამხდელთა საპირისპიროდ აღმოჩნდა სოციალურად დაუცველთა უზარმაზარი არმია. ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე ერთიანი სოციალური გადასახადის არსებობა აზრს კარგავდა, ამ და სხვა მიზეზების გათვალისწინებით 2007 წელს საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებების შედეგად 2008 წლის 1 იანვრიდან გაუქმდა სოციალური გადასახადი და შესაბამისად, საშემოსავლო გადასახადი გაიზარდა 25%-მდე; 2009 წლიდან კი შემცირდა 20% - მდე. (საქართველოს საგადასახადო კოდექსი 2008 წ.)

სოციალური ფონდის ფუნქცია დაეკისრა სახელმწიფო ფინანსებს. სოციალური რისკი, სხვა რისკებისაგან განსხვავებით, ძნელად ექვემდებარება მართვას. რადგან იგი პირდაპირ დაკავშირებულია ფინანსებთან და ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობასთან. სოციალური დაცვის პრობლემები ყოველ პერიოდში და ყოველ ეკონომიური სისტემის პირობებში აქტუალურია. პრობლემების გადაჭრის ქვაკუთხედი არის შრომითი სფეროს სოციალური სამართლიანობის საკითხის გადაწყვეტა, რადგან შრომა და სოციალური დაცვა გადაჯაჭვულია ერთმანეთზე, ამიტომ შრომითი პრობლემების მოგვარება წყვეტს სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებს. სოციალური დაცვა არ განიხილება მხოლოდ ცხოვრების მინიმალური დონის უზრუნველყოფით, მისი ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორია მოსახლეობის შემოსავლების გარანტიების შექმნა და ამით სოციალური დაზღვევის გაფართოება. ამ მიზნის მისაღწევად ყველა დამსაქმებელმა და დასაქმებულმა სოციალური დაზღვევის შენატანი სავალდებულო დაზღვევის ფონდში კი არ უნდა განიხილოს, როგორც სახელმწიფოს სასარგებლოდ გადახდილი გადასახადი, არამედ მისი და მის ირგვლივ არსებული საზოგადოების ყველა წევრის ინტერესების დაცვის გადასახადი, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას.

სოციალურ გადასახადში დამსაქმებელი და დასაქმებულები წილის მიხედვით ზემოთ განხილული ქვეყნები შეიძლება გაერთიანდეს 3 ჯგუფად:

1. ქვეყნები, სადაც სოციალური გადასახადი დამსაქმებლებსა და დასაქმებულებს შორის თითქმის თანაბრად არის გადანაწილებული (აშშ, გერმანია, იაპონია, ინგლისი);

2. ქვეყნები, სადაც მეტი წილი გადასახადისა მიდის მეწარმეზე, ვიდრე დასაქმებულზე (შვეცია, საფრანგეთი);

3. ქვეყნები, სადაც, მეტი წილი სოციალური გადასახადისა მიდის დასაქმებულებზე (ნიდერლანდები).

მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყნებში სოციალური გადასახადის გადამხდელთა შორის თანაფარდობა გადასახადის წილით არის სხვადასხვა, ისინი საბოლოო ჯამში, პარიტეტული პრინციპით, მონაწილეობას ღებულობენ სოციალური ფონდის ფორმირებაში. დღემდე არსებული სოციალური დაცვის ფინანსური მოდელი არა სადაზღვევო ხასიათის მატარებელია. არაექვივალენტურობის პრინციპის არ არსებობა როგორც დამსაქმებლის, ასევე დასაქმებულის უკარგავს ინტერესს გაიღონ შემოსავლების გარკვეული ნაწილი სამედიცინო, საპენსიო, უმუშევრობის სადაზღვევო დაცვის უზრუნველსაყოფად.

2008 წლამდე არსებული სოციალური გადასახადი თავისი მიზნობრიობით სოციალური სფეროს დაფინანსებას უნდა მოხმარებოდა, მაგრამ მიუხედავად ამ პრინციპის მაღალი დონით დაცვისა, დასაქმებულებისათვის ბუნდოვანი იყო რა სახის სოციალური დაცვა შეიძლება მიეღოთ მათ სახელმწიფო სოციალური ფონდიდან, ამავე დროს ის სახელფასო ფონდის ჩრდილოვან მასშტაბების ზრდას უწყობდა ხელს.

სოციალური დაზღვევის ფინანსური მოდელი, რომლის აგების პრინციპებში გაითვალისწინება ქვეყნაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა სადაზღვევო პრემიის გადანაწილების ქვოტების დადგენისას დამსაქმებლის, დასაქმებულისა და სახელმწიფოს შორის მოემსახურება სამ მთავარ მიზანს:

1. სახელმწიფოს მონაწილეობა სავალდებულო სოციალური დაზღვევის ფონდის ფორმირებაში, შრომისუნარო მოსახლეობის სოციალური დაცვა საბაზისო სამედიცინო მომსახურებით და სოციალური დახმარების გაწევით;
2. დასაქმებულებისა და დასაქმებულების მიერ სავალდებულო სოციალური დაცვის შენატანებით ყველა საპენსიო ასაკის მოქალაქის სახელმწიფო პენსიით და სოლიდარობის პრინციპის საფუძველზე ქვეყნის სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მინიმალური სოციალური გარანტიებით უზრუნველყოფაში მონაწილეობის მიღება;
3. დასაქმებული მოსახლეობის სადაზღვევო ანაზღაურებით უზრუნველყოფა სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას;

ამ მიზნების შესრულებისათვის ძირითადი ამოცანა შესაბამისი ფინანსური ბაზის ფორმირებაა. საქართველოში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ჩამოვყალიბეთ სოციალური დაზღვევის ფინანსური მექანიზმი, რომელიც დაფუძნებულია დაზღვევის სავალდებულო და ნებაყოფლობით ფორმაზე, მონაწილეები არიან: სახელმწიფო, დასაქმებული და დასაქმებელი, რომლის საფუძველად გამოყენებული იქნა სხვადასხვა ქვეყნების სოციალური დაზღვევის ფინანსური მოდელები. (იხ. დანართი 17)

ცხრილში მოცემულ ქვეყნებში დასაქმების დონე იძლევა იმის საშუალებას, რომ აღნიშნული პროპორციებით გადანაწილდეს სადაზღვევო შენატანები. საქართველოს რეალობიდან გამომდინარე მიუხედავად ეკონომიკური ზრდისა, სიღარიბე ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა, რაც გაამწვავა 2006 წლის უმუშევართა ყოველნაირი დახმარების გაუქმებამ. ამავე დროს სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურის მიერ ახალი მეთოდოლოგიით გათვლილი სამომხმარებლო კალათა, რომელიც თითქმის მესამედით შემცირდა და ციფრებით ასახული სიღარიბე შეამცირა, არ იძლევა იმის საფუძველს, რომ სოციალური დაცვის სისტემის ფუნქციონირება იყოს ეფექტური. 2012 წლის იანვრის მდგომარეობით საქართველოში რეგისტრირებულია 1.639.264 კაცი უმწიფო მდგომარეობაში მყოფთა ბაზაში, რაც საქართველოს მოსახლეობის 36,7%. ამ მონაცემების საფუძველზე სოციალური დაცვის სისტემაში სოციალური დაზღვევის

მექანიზმის გამოყენება საკმაოდ რთულ პირობებთან არის დაკავშირებული, თუმცა მისი იგნორირება კიდევ უფრო აშორებს მოსახლეობას გადახდის ექვივალენტური სადაზღვევო დაცვის მიღების შესაძლებლობას და სოციალური დაზღვევის ინსტიტუტი, რომელიც ყველაზე საიმედო დაცვის მექანიზმია, ვერ განვითარდება. ამიტომ ჩვენს მიერ შემუშავებული იქნა სოციალური დაზღვევის ფინანსური მოდელი, რომელშიც ევროპის ქვეყნებისაგან განსხვავებით, სადაზღვევო შენატანი გადანაწილდება სახელმწიფოს, დასაქმებულის და დამსაქმებელს შორის შემდეგი სქემის მიხედვით. (იხ. დანართი 18)

სოციალური დაზღვევის შენატანის ბაზა, როგორც წესი, არის ხელფასი, რომლის მიმართ დგინდება პროცენტულ სიდიდეებში ტარიფები სხვადასხვა ქვეყნებში, როგორც განხილული მასალებიდან ჩანს არის სხვადასხვა, მაგალითად ევროპის ქვეყნებში სოციალური დაზღვევის ტარიფი იცვლება 24.4%-დან 55%. ტარიფის სიდიდე დამოკიდებულია სამ ძირითად ფაქტორებზე:

- ქვეყანაში სოციალური რისკების დონე;
- ამა თუ იმ სოციალური რისკის ზემოქმედების შედეგად შემოსავლის დაკარგვის საშუალო ხარისხი;
- სახელმწიფოს მიერ დადგენილი სოციალური დახმარებისა და პენსიის სიდიდე.

ჩამოთვლილი ფაქტორების გათვალისწინებით, ჩვენ მიერ დადგენილი ტარიფები საკმაოდ დაბალია, ვინაიდან პირველი ფაქტორი – სოციალური რისკების ხარისხი, საქართველოში ძალიან მაღალია; უმუშევრობა, ხელფასის დაკარგვა, უბედური შემთხვევები, პროფესიული ტრავმები, ამის გაგრძელებაა მეორე ფაქტორიც. მესამე ფაქტორიდან გამომდინარე შიძლება დადგენილი ტარიფები შესაბამისი იყოს, მაგრამ მეორეს მხრივ, სახელმწიფოს მიერ დადგენილი სოციალური დახმარება და პენსია დაბალია, სწორედ ამ პრობლემას მოაგვარებს სოციალური დაზღვევის ფონდის ფორმირება. ფორმირებულ მოდელში სადაზღვევო ტარიფები დიფერენცირებულია სახელფასო შემოსავლების მიხედვით. მაგრამ მისი დიფერენცირება შესაძლებელია მოხდეს სამეურნეო საქმიანობის დარგებისა და სფეროების მიხედვით, ვინაიდან

სოციალური რისკების ხარისხი განსხვავებულია სხვადასხვა დარგში. სადაზღვევო ფონდის ფორმირებაში უნდა ჩაერთოს თვითდასაქმებული მოსახლეობაც, რომლის შემოსავალი ტოლია საშუალო ხელფასის და მეტია მასზე, მაგრამ ეს პრობლემა ჯერ მოუგვარებულია საქართველოში, ვინაიდან არ არის სრულად აღწერილი თვითდასაქმებული მოსახლეობის რაოდენობა, არ არის დადგენილი მათი რეალური შემოსავლების სიდიდე.

სადაზღვევო ტარიფების დიფერენცირება დარგების, შემოსავლების დასაქმებულთა კატეგორიების, საქმიანობის სფეროს მიხედვით გამოიყენება ფინეთში, საფრანგეთში და იაპონიაში. დიფერენციაცია ხელს უწყობს შემოსავლების და რისკების სოციალურ გადანაწილებას. ექსპერტების აზრით, ნებისმიერი სოციალური შენატანი ამძიმებს დასაქმებულთა და დამსაქმებლის საგადასახადო ტვირთს, ჩვენი აზრით შეცდომაა. მართალია, თითოეული დამზღვევის ხელფასი მცირდება სადაზღვევო ტარიფის შესაბამისად, მაგრამ მისი დადებითი ეფექტი იმაში გამოიხატება, რომ თანაბრად ანაწილებს სოციალურ რისკებს დროში. საწინააღმდეგო ქმედებით, სოციალური რისკები უფრო ამცირებენ შემოსავალს, როდესაც მათი ამოქმედებით მიღებულ ზარალის კომპენსაცია დამოკიდებული იქნება მხოლოდ სახელფასო შემოსავალზე. აქედან გამომდინარე, სოციალური დაზღვევის შენატანი ახდენს მოსახლეობის შრომითი პოტენციალის შენარჩუნებას, ხარჯების შესაბამისად სახელფასო შემოსავლის კორექტირებას და ემსახურება ადამიანის კვლავწარმოებას.

დასაქმებულისა და დამსაქმებელის სადაზღვევო შენატანებით შექმნილი სადაზღვევო ფონდიდან სოციალური დაზღვევის პროდუქტის დაზღვევის ტარიფების მიხედვით, დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით გადაირიცხება კერძო სადაზღვევო კომპანიაში, ხოლო დარჩენილი ნაწილი მიიმართება სახელმწიფო სოციალური დაცვის ფონდში, მოსახლეობის იმ ნაწილის სოციალური დაცვისათვის, რომლებსაც სხვადასხვა მიზეზის გამო არ აქვთ შემოსავალი და ასევე საპენსიო ასაკის მოსახლეობის სახელმწიფო პენსიით უზრუნველყოფისათვის.

გამომდინარე იქედან, რომ საქართველოში ძალიან მაღალია თანაფარდობა მინიმალურ ხელფასსა და მაქსიმალური ხელფასს შორის, დაახლოებით 1/20. ჩვენს მიერ

შედგენილ სქემაში ვახდენთ ხელფასის სიდიდის მიხედვით დაკონკრეტებას, კერძოდ: ორი საარსებო მინიმუმის ტოლი ხელფასის მქონე დასაქმებული არ გადაიხდის სადაზღვევო შენატანს, მაგრამ მიიღებს იგივე სადაზღვევო დაცვას, როგორც გადამხდელი, სადაზღვევო შენატანის გადახდას ექვემდებარება საშუალო ხელფასიდან 1000 ლარამდე ხელფასის მქონე დასაქმებულები, რაც შეეხება 1000 ლარზე მეტი ხელფასის მქონე დასაქმებული გადაიხდის მხოლოდ სახელმწიფო სადაზღვევო ფონდში შესატან სადაზღვევო გადასახადს – ხელფასის 8%-ს, მაგრამ იგი მიღების სახელმწიფო პენსიას და საჭიროების შემთხვევაში ინვალიდობის პენსიას დადგენილი ქვეყნის კანონმდებლობით. სხვა სოციალური რისკებისაგან სადაზღვევო დაცვა მან უნდა შეიძინოს ნებაყოფლობითი ფორმით კერძო სადაზღვევო კომპანიებში.

სადაზღვევო შენატანების გადანაწილება ქვეყანაში დასაქმების დონის გადიდების, სიღარიბის დონის შემცირების, შემოსავლების გადიდების შემთხვევაში დაექვემდებარება ცვლილებას. მოცემულ მოდელში განსაზღვრულია დაქირავებული შრომიდან მიღებული ხელფასი. 2011 წლის საქსტატის მონაცემებით მოსახლეობის შემოსავლები ხელფასებიდან საქართველოს ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 13.6%-ს შეადგენს. ეს, რა თქმა უნდა, არ იძლევა ოპტიმისტურ სურათს მოცემული მოდელის ამოქმედებით მოკლე დროში უზრუნველყოფილ იქნას სოციალური დაზღვევის ეფექტიანობის მიღწევა, მაგრამ პროგრესი განვითარდება რამდენიმე მიმართულებით:

1. სახელმწიფო ბიუჯეტიდან სოციალური დაზღვევის ფონდის ფორმირების რესურსების გამოყოფა მეტწილად აღმოფხვრის მისი გამოყენების არა მიზნობრიობას;
2. დაქირავებით მომუშავე ადამიანები მიიღებენ სრულ სადაზღვევო დაცვას სოციალური რისკებისაგან და ჯანმრთელობის დაზღვევის მაღალი ხარისხის პაკეტს;
3. დაქირავებით დასაქმებული მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც უზრუნველყოფილია მაღალი ხელფასით, ექმნება აუცილებლობა

ჯანმრთელობის და სხვა სოციალური რისკებისაგან დაცვისათვის მიმართოს კერძო სადაზღვევო კომპანიებს;

4. აღნიშნული მოდელი ხელს შეუწყობს კერძო სადაზღვევო ინსტიტუტების განვითარებას, და შესაბამისად, განვითარდება ფინანსური ბაზარი, რომელიც წარმოება-ორგანიზაციების ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფის საქმეში მთავარ როლს ასრულებს.

სოციალური დაზღვევის სისტემა სამართლიანობის პრინციპის დაცვის საფუძველზე მოითხოვს, რომ სოციალური გადახდები და დაზღვევის შენატანები ექვივალენტური იყოს. საბაზო სადაზღვევო ტარიფზე დაყრდნობით სავალდებულო სოციალური დაზღვევის ტარიფი დიფერენცირებულად უნდა აიგოს სხვადასხვა რისკების დაზღვევისას. დღეს არსებული ტარიფები დადგენილია სოციალური რისკების შეფასებისა და აქტუალური გაანგარიშების გარეშე. ჩვენ მიერ შედგენილი მოდელი აგებულია კონკრეტული სოციალური რისკების დაზღვევაზე და სადაზღვევო შენატანებსაც მკაცრად მიზნობრივი მიმართულობა უნდა ჰქონდეს. მაგრამ როგორც სქემიდან ჩანს, სადაზღვევო შენატანების ნაწილი ასრულებს სადაზღვევო პრინციპს, ხოლო ნაწილი მიუხედავად იმისა, რომ მიზნობრიობა განსაზღვრულია სადაზღვევო ანაზღაურების პრინციპიდან შორის დგას, რადგან აქ დომინირებს სოლიდარობის პრინციპი, დასაქმებულთა მონაწილეობა სახელმწიფოს სოციალურ პოლიტიკაში. ამავე დროს არ გამოირიცხება, რომ დღევანდელი დასაქმებულის სოციალური სტატუსი შეიცვლოს და თვითონ გახდეს სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ფონდის ბენეფიციარი. დღევანდელი რთული ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე მეწარმეთა და დასაქმებულთა სადაზღვევო შენატანებით საგადასახადო ტვირთის გაზრდა შეიძლება გაუმართლებლად იქნას მიღებული, მაგრამ ჩვენ ვთვლით, რომ სოციალური დაცვის მექანიზმი უნდა იყოს მრავალსუბიექტიანი. სახელმწიფოს, დამსაქმებლებისა და დასაქმებულების გვერდით მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, საქველმოქმედო ფონდებმა, კომერციულმა ორგანიზაციებმა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ადამიანურ კაპიტალში დაბანდებული ინვესტიციები აჭარბებს წარმოების სფეროში კაპიტალდაბანდებებს, რასაც თავის დროზე მკაცრი მიმართულება მიეცა: თითოეულ ადამიანზე დახარჯული ინვესტიცია გაუადვილებს საბაზრო პირობებში სოციალურ ორიენტაციას. ამის შესაბამისად შემუშავდა ტექნოლოგიები, რომლებიც უზრუნველყოფენ ადამიანის სოციალურ დაცულობას.

საქართველოში არსებული სოციალური დაზღვევის სისტემა თავისი მახასიათებლებით, გამოყენების მექანიზმებით გადაქცეულია სოციალური დაცვის მექანიზმად. სოციალური რისკებიდან მეტი წილი ჯანმრთელობის დაზღვევაზე მოდის, თუმცა სადაზღვევო ხასიათი აქაც დაკარგულია, ვინაიდან მთლიან დაზღვევაში ინდივიდუალური დაზღვევის წილი 0.26%-ი იჭერს. (იხ. დანართი 19)

ხოლო დანარჩენი ბენეფიციარები მოკლებულნი არიან სამედიცინო დაზღვევის პაკეტის არჩევას და მაღალი სტანდარტებით სამედიცინო მომსახურების შესაძლებლობას. ბენეფიციართა უმრავლესობას წარმოდგენს არ აქვს სადაზღვევო კომპანიის ვალდებულებებზე და ხშირად სამკურნალოდ საკუთარი ჯიბიდან გადახდა უხდებათ. სოციალური დაზღვევის ჩვენეული ვარიანტის შემუშავებისას სადაზღვევო შენატანების ტარიფის აღება დაფუძნებული იქნა დასავლეთის განვითარებული ქვეყნების ფინანსურ მექანიზმებზე. საერთო სადაზღვევო შენატანები ამ ქვეყნებში 42-50% -მდეა. რა თქმა, უნდა საქართველოს სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა არ იძლევა მასთან მიახლოებული სადაზღვევო ტარიფის დადგენის შესაძლებლობას. ამიტომ დასაქმებულის ჯანმრთელობის დაზღვევისათვის შენატანის დადგენისას ვიხელმძღვანელებთ საშუალო ხარისხის სამედიცინო პოლისის ღირებულებით – 25 ლარი, რომელიც საშუალო ხელფასის 600 ლარის 4.2%-ს შეადგენს, პროფესიული რისკებისაგან დაზღვევის ტარიფი ავიღეთ საშუალოდ 5% დამსაქმებლისათვის, თუმცა წარმოების ტიპიდან გამომდინარე შეიძლება შეიცვალოს, უმუშევრობის დაზღვევაში დამსაქმებლისა და დასაქმებულის მონაწილეობა ჩავთვალოთ თანაბარი და 1 – 1.5% უნდა იყოს. სახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფისათვის დამსაქმებლის სადაზღვევო შენატანი - 7%-ს, დასაქმებულის კი 3%-ს შეადგენს. ვინაიდან

დასაქმებულთა ხელფასებს შორის განსხვავება დიდია, საჭიროდ ჩავთვალეთ სადაზღვევო შენატანების გადამხდელი დასაქმებულთა საერთო რაოდენობა დაგვეყო ორ კატეგორიად, კერძოდ 350 – 600 ლარამდე ხელფასის შემთხვევაში ჯანმრთელობის დაზღვევის შენატანი ავიღეთ 2%, ასევე საპენსიო დაზღვევის შენატანიც 2%, ხოლო უმუშევრობის დაზღვევის შენატანი 1%. 600 - 1000 ლარის ფარგლებში ხელფასის შემთხვევაში ჯანმრთელობის დაზღვევის შენატანი 4 %, უმუშევრობის შენატანი კი 1,5%.

სოციალურ დაზღვევის შემოთავაზებული მოდელის ძირითადი საფუძველი სოციალური დაზღვევის განვითარების ხელის შეწყობით სოციალური დახმარების ფორმიდან თანდათანობით გადასვლაა ნებაყოფლობით სოციალურ დაზღვევაზე. ქვეყანაში ამ დროსთვის არსებული არასახარებლო ეკონომიკური მდგომარეობა და სოციალური დაცვის სიმწვავის მაღალი ხარისხი ჯერჯერობით არ იძლევა საშუალებას სოციალური დაზღვევის ფინანსური მექანიზმი დაეყრდნოს მხოლოდ ნებაყოფლობით სოციალურ დაზღვევას. ამ მექანიზმში ნათლად ჩანს, რომ ნაწილობრივ იგი ემსახურება სოციალური დაცვის სისტემას სოციალურ უზრუნველყოფისა და სოციალური დახმარების მექანიზმის როლში გამოსვლით, კერძოდ: სახელმწიფო პენსიას, უმუშევრობის დაზღვევას, სადაზღვევო შენატანის გადამხდელი და ვერგადამხდელიც ერთნაირად მიიღებს, თუმცა შრომისა და დამსახურების მიხედვით პენსიების დანიშვნის შემოღება ამ ნაკლოვანებას გამოასწორებს. გარდა ამისა, გამომდინარე იქედან, რომ სახელმწიფო სადაზღვევო ფონდის ძირითადი ფინანსური წყარო ყველა ქვეყანაში არის მეწარმე-დამსაქმებელი, საჭიროდ მივიჩნიეთ დამსაქმებელის სადაზღვევო შენატანი სახელფასო ფონდიდან, გარდა ჩამოთვლილი სოციალური რისკებისა, ჯანმრთელობის დაზღვევის შენატანი განისაზღვროს 7%-ის ოდენობით. საბოლოოდ სოციალური დაზღვევის შენატანი გადანაწილდა შემდეგნაირად: (იხ. დანართი 20)

ამგვარად, დამსაქმებლის სოციალური დაზღვევის შენატანი განისაზღვრა 20%-ით, ხოლო დამსაქმებლის 5% და 8,5 %-ით. გარდა აღნიშნულისა, სქემა ეფუძნება ერთ თავისებურებას, რომლის მიხედვით ხდება დასაქმებულის, რომლის ხელფასი 2-ჯერ მეტია საშუალო ხელფასზე სადაზღვევო შენატანს იხდის მხოლოდ სახელმწიფო სადაზღვევო ფონდში, რითაც მონაწილეობს საკუთარი და უფროსი თაობის საპენსიო

უზრუნველყოფაში, უმუშევრობისა და სოციალურად დაუცველთა სამედიცინო დაზღვევაში ხელფასის 8%-ის მოცულობით.

საქართველოში სოციალურად დაუცველთა რაოდენობას + პენსიონერთა რაოდენობა = 1 639 264 + 800 000 = 2 439 264 კაცია, დაქირავებით დასაქმებული 620 000. თუ ჩავთვლით, რომ ამდენივე თვითდასაქმებული ღებულობს საშუალო სიდიდის შემოსავალს და მონაწილეობას ღებულობს სადაზღვევო ფონდში შენატანების გადახდით მივიღებთ, რომ

$$(2 \times 620\,000) \times 600 = 2\,439\,264 \times 150 = 74\,400\,000 = 36\,588\,960$$

$$K = 36\,588\,960 / 74\,400\,000 \approx 0.49 = 49\%$$

სადაც:

600 - მიღებულია საშუალო ხელფასის სიდიდედ;

150 - საარსებო მინიმუმის სიდიდედ;

K - სოციალური უზრუნველყოფის კოეფიციენტი.

როგორც ვხედავთ, ამ მონაცემების მიხედვით თითოეული საშუალო შემოსავლის მქონე ადამიანი შემოსავლის დაახლოებით 50% უნდა გაიღოს, რათა უზრუნველყოფილ იქნას სოციალურად დაუცველთა საარსებო მინიმუმის დაკმაყოფილება. აღარაფერს ვამბობთ სხვა სოციალური რისკებისაგან დაცვაზე. აქედან გამომდინარე, ჯერჯერობით მეტი დატვირთვა ისევ სახელმწიფო ფინანსებზე იქნება გადატანილი. სწორი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებით, უმუშევრობის შემცირების მიმართულებით შემოთაღნიშნული კოეფიციენტი შემცირდება, რომელიც ჩვენი აზრით 10 – 12%-ის ფარგლებში უნდა მერყეობდეს. სოციალური დაზღვევის შენატანის სახით დაგროვებული ფულადი ფონდის გარკვეული ნაწილი, რომელიც საჭირო იქნება კერძო სადაზღვევო კომპანიებისაგან შესყიდული იქნას სამედიცინო დაზღვევის, პროფესიული დაზღვევის პროდუქტი, დარჩება საწარმოს განკარგვაში. ეს ხელს შეუწყობს სოციალური დაზღვევის სფეროს განვითარებას, ამაღლდება როგორც დამსაქმებლების, ასევე დასაქმებულების სადაზღვევო კულტურის დონე.

შემოთავაზებული სოციალური დაზღვევის ფონდის ფინანსური მექანიზმის ამოქმედებისათვის მნიშვნელოვანია მისი სამართლებრივი რეგულირება. სოციალური დაზღვევის შენატანის განაკვეთის განსაზღვრა ზემოთჩამოთვლილ ცვლილებებთან ფუნქციური დამოკიდებულებით. ჩვენი აზრით, კანონმდებლობის ფარგლებში უნდა მოექცეს:

1. სოციალური დაზღვევის შენატანის წილის განსაზღვრა საწარმოსა და სახელმწიფოს შორის;
2. მეწარმეთა განკარგულებაში არსებული სოციალური დაზღვევის შენატანი გამოყენებული იქნას უპირველესად დასაქმებულთა სოციალური რისკებისაგან დაზღვევისა და პრემიის გადასახდელად (უმუშევრობა, პროფესიული რისკები, ჯანმრთელობის დაცვა.);
3. საწარმოს მიერ გადასახდელი სოციალური დაზღვევის შენატანის წილის გადანაწილება დასაქმებულსა და მეწარმეს შორის.

ამ მექანიზმის ამოქმედება ბევრ დადებით ფაქტორთანაა დაკავშირებული, ჯერ ერთი სახელმწიფო სადაზღვეო ფონდში გადახდილი სოციალური დაზღვევის შენატანი ნაწილობრივ განტვირთავს ბიუჯეტს სოციალური დაზღვევის დაფინანსებისაგან; მეორე, მეწარმეთა და დასაქმებულთა შემოსავლების გადანაწილებით შესაძლებელი გახდება სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება, რაც ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელების ერთ-ერთი მთავარი დანიშნულებაა. საქართველოში სოციალური დაცვის სისტემამ ბევრჯერ განიცადა ტრანსფორმაცია, თუმცა ქვემოთმოტანილი ანალიზი ადასტურებს, რომ დადებითი შედეგი ვერც ერთხელ ვერ მოეტანა.

2003 წლიდან 2007 წლის ჩათვლით ერთიანი სოციალური გადასახადით მიღებული შემოსავლები თითქმის 300%-ით არის გაზრდილი, იგივე წლებში ჯანმრთელობის დაცვის ხარჯები 2300%-ით, ხოლო სხვა სახის სოციალური დახმარებები კი 270%-ით. ამ პერიოდებში ერთიანი სოციალურ გადასახადი ემსახურებოდა სოციალურ უზრუნველყოფასა და ჯანმრთელობის დაცვას, ამიტომ ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფაზე გაწეული ხარჯების საერთო ჯამი გაზრდილია 314 %-ით.

ამ მონაცემებს თუ შევადარებთ ერთმანეთს მივიღებთ, რომ გარღვევა ერთიანი სოციალური გადასახადით მიღებულ შემოსავლებსა და ამავე მიზნით გაწეულ ხარჯების ზრდას შორის არც თუ ისე დიდია ($314\%-300\%=14\%$). ამავე დროს თუ გავითვალისწინებთ, რომ საგადასახადო ბაზა ნელი ტემპით იზრდებოდა, შეიძლება ჩაითვალოს, რომ სოციალური გადასახადი თავის დანიშნულებას ასრულებდა. შეპირისპირების მიზნით გავაანალიზოთ 2008-2011 წლებში გაწეული სოციალური მიმართულების ხარჯები, მანამდე გაწეულ ხარჯებთან. როგორც ცხრილიდან ჩანს 2008 წელს სოციალურ დაცვასა და ჯანმრთელობის დაცვაზე გაწეული ხარჯების ჯამია 636,1 მლნ. ლარი. კონკრეტულად სოციალური დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის ხარჯი 2007 წელთან შედარებით შემცირებულია, კერძოდ: 2007 წელს გაიწია სოციალურ დაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფაზე 777.6 მლნ. ლარის ხარჯი, ხოლო 2008 წელს სოციალური დაცვის ხარჯმა 323 მლნ. ლარი შეადგინა. ამის მიზეზი იყო გლობალური ეკონომიკური კრიზისი. 2010 წელი ერთადერთია, როცა სოციალური დაცვის ხარჯი 40 მილიონი ლარით შემცირდა. კლებაზე გავლენა გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისმა მოახდინა: 2009 წელს ეკონომიკა 3.9%-ით დაეცა. 2006-2008 წლებში ეკონომიკა ყოველწლიურად, საშუალოდ, 1.8 მილიარდი ლარით იზრდებოდა. სოციალური დაცვის ხარჯი, 2009 წლის ჩათვლით იმატებდა - ყოველწლიურად, საშუალოდ, 181.6 მილიონი ლარით. 2006-2010 წლებში სოციალურ დაცვაზე სულ 5.1 მილიარდი ლარი დაიხარჯა. (იხ. დანართი 21)

საქსტატის ინფორმაციით, 2010 წელს, 60 წელზე უფროსი ასაკის ადამიანები მთელი მოსახლეობის 18.3%-ს შეადგენდნენ. თითოეული მათგანი, სახელმწიფოსგან დახმარების სახით, საშუალოდ, ყოველთვიურად 92 ლარს იღებდა. 2011 წელს ხანდაზმულთა სოციალური დაცვისთვის დაგეგმილი ხარჯის პირობებში, თითოეული, ყოველთვიურად საშუალოდ 100 ლარს მიიღებს. (geostat.ge)

საქართველომ სოციალურ დაცვაზე ყველაზე მეტი - 1.3 მილიარდი ლარი ანუ მშპ-ს 7.4% - 2009 წელს დახარჯა. არა კლასიფიცირებულ საქმიანობას 178.6 მილიონი ლარი მოხმარდა, რაც მშპ-ს 1%-ს და მთლიანი სოციალური დაცვის ხარჯის 13.5%-ს შეადგენდა. სოციალურ დაცვაზე გამოყოფილი თანხის უდიდესი წილი - 895.9 მილიონი ლარი ანუ მშპ-ს 5% - ხანდაზმულთა სოციალურ დაცვაზე დაიხარჯა. შემდეგი პრიორიტეტული

ჯგუფი იყო სოციალურად დაუცველი ავადმყოფი ადამიანები, ოჯახები და ბავშვები (მშპ-ს 1.4%). ყველაზე ნაკლები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე ამ წელს დაიხარჯა (მშპ-ს 0.01%). (geostat.ge) (საქართველოს ბიუჯეტი)

სოციალური დაცვის სფეროს კეთილშობილური მიზნების მიუხედავად, გაუმართლებელი ხარჯები ეკონომიკურ ზრდას მნიშვნელოვნად ასუსტებს. ნებისმიერმა ქვეყანამ, განვითარების გარკვეულ ეტაპზე უნდა უპასუხოს შეკითხვას, თუ რა ურჩევნია: პირდაპირ დაეხმაროს სოციალურად გაჭირვებულ ადამიანს, მისი მოთხოვნილებების ზრდის პროპორციულად დაუსრულებლად ზარდოს სოციალური დაცვის ხარჯები და ამით დამოკიდებული გახადოს სისტემაზე, თუ პრიორიტეტად ეკონომიკური ზრდა აქციოს; შექმნას დასაქმების შესაძლებლობა და საკუთარ კეთილდღეობაზე ინდივიდუალური პასუხისმგებლობის გრძნობის გაჩენას შეუწყოს ხელი. სწორედ ამ მოსაზრებიდან გამომდინარე მიზნად დავისახეთ გამოგვეკვლია ეკონომიკის ზრდის პირობებში ერთიანი სოციალური გადასახადის მიზანშეწონილობა და შეგვერჩია ფინანსური მექანიზმი, რომელიც აგებული იქნება საბაზრო პირობებში სახელმწიფოს, დამსაქმებლის და დასაქმებულის საქმიანობაში სავალდებულო სოციალური დაზღვევის და სოციალური დაცვის მექანიზმების ურთიერთქმედებაზე.

ამგვარად, სოციალური დაცვის არსებული მოდელის შეცვლით სავალდებულო სოციალური დაზღვევის მოდელით მიიღწევა დამსაქმებლისა და დასაქმებულის ერთობლივი მონაწილეობა, როგორც საკუთარი, ასევე მოსახლეობის უმუშევარი ფენის სოციალური რისკებისაგან დაცვა. საპენსიო შენატანი მოემსახურება შრომისუუნარო საპენსიო მოსახლეობას, რომელსაც არანაირი სადაზღვევო შენატანი არ განუხორციელებიათ და დასაქმებული ადამიანების პენსიით უზრუნველყოფა შრომის სტაჟისა და გადახდილი საპენსიო შენატანების მიხედვით. მათ შორის დასაქმებულისა და დამსაქმებლის პარიტეტული მონაწილეობა სავალდებულო სამედიცინო დაზღვევაში სტიმულს მისცემს ნებაყოფლობითი სამედიცინო დაზღვევის განვითარებას და სახელმწიფო ბიუჯეტი თანდათანობით გამოთავისუფლდება სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის გადასახადისაგან.

ჩატარებული თეორიული და მეთოდოლოგიური კვლევის საფუძველზე გამოვლენილი იქნა ფაქტორები, რომლებიც აფერხებენ სოციალური დაზღვევის განვითარებას. ჯერჯერობით სოციალურ დაზღვევას გაორებული მექანიზმების როლი აკისრია, რადგან მასში გაერთიანებულია ეკონომიკური, ასევე სოციალური სისტემის ელემენტები.

სოციალური დაზღვევის ტარიფი არ უნდა იქცეს ეკონომიკის შემაფერხებელ ფაქტორად და ამავე დროს სოციალური დაზღვევის ვალდებულებების შესრულებას უნდა უპასუხოს ფინანსური მდგრადობითა და გადახდისუნარიანობით, რათა მაქსიმალურად მაღალ დონეზე უზრუნველყოს სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დაზღვეული და დაუზღვეველი (სოციალურად დაუცველი) მოსახლეობის დონე. არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე სოციალური დაზღვევის ეფექტიანობა მიიღწევა გრძელვადიან პერიოდში, რომლის განმავლობაში ეკონომიკაში გატარებულმა რეფორმებმა სოციალური დაზღვევა უნდა განტვირთოს არა სადაზღვევო ხასიათის გადასახადებისგან და განვითარდეს დაზღვევის მექანიზმი, რომელიც საბაზრო პირობების შესაბამისად ფულადი ნაკადების ორმხრივ მოძრაობებზე იქნება აგებული.

სადაზღვევო მექანიზმის განვითარება უნდა აისახოს დაზღვევადი სოციალური რისკების ჩამონათვალის გაფართოებაზე. იგი უნდა მოემსახუროს მოსახლეობის არა საბაზო ცხოვრების დონის მიღწევისათვის, არამედ უზრუნველყოს ადამიანთა შრომით მიღწეული მატერიალური მდგომარეობის შენარჩუნება-გაუმჯობესება. თანამედროვე ეტაპზე სოციალური დაზღვევის ეფექტიანობის შეფასება დაკავშირებულია რიგ პრობლემებთან:

- დაბალი სახელფასო შემოსავალი;
- სადაზღვევო შენატანების დაბალი განაკვეთი, გამომდინარე დამზღვევებს დაბალი შემოსავლიდან;
- სოციალური რისკების არასათანადო აქტუარული შეფასება, რომლის მიზეზი არასრული და ხშირ შემთხვევაში არასწორი სტატისტიკური ინფორმაციაა;
- დაზღვევის რეზერვების აქტუარული გათვლების უზუსტობა და შესაბამისად დროებით თავისუფალი ფონდების ინვესტირების შეზღუდვა.

სოციალური დაზღვევის ფინანსური სისტემის რგოლის ფუნქციიდან გამომდინარე, ის წარმოადგენს ურთიერთობათა ერთობლიობას, რომელიც დაკავშირებულია მთლიანი შიდა პროდუქტის გადანაწილებასთან სოციალური რისკების ამოქმედებისადმი დამოკიდებულებით. სოციალური დაზღვევის ფინანსური ხასიათი მისი ფონდების ფორმირებაში აისახება; სადაზღვევო შენატანების გამოყენებით დაქირავებულების სადაზღვევო პროდუქტის შესასყიდად, ჩვენ მიერ შემოთავაზებული მექანიზმი იძენს „სადაზღვევო“ სახეს, ხოლო სოლიდარობის და არა ექვივალენტურობის პრინციპის ჩართვით იგი (შემოთავაზებული მექანიზმი) ახლოს დგას სახელმწიფო სოციალური უზრუნველყოფის მექანიზმთან.

3.3. ნებაყოფლობითი სოციალური დაზღვევის განვითარების პრობლემები და სრულყოფის ძირითადი მიმართულებები საქართველოში

თანამედროვე ქართული საზოგადოების მოდერნიზების პროცესში მუდმივად წარმოიქმნება ახალი სარისკო სიტუაციები, რომელთაც აქვთ ბუნებრივი, ტექნოგენური, სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური ხასიათი. ამასთან დაკავშირებით კლებულობს არა თუ შორეული, არამედ ახლო მომავლის პროგნოზირების შესაძლებლობა, რასაც ადამიანების ყოველდღიური ცხოვრებაში თან ახლავს გაურკვევლობისა და არასტაბილურობის შეგრძნება. იმ პირობებში, როდესაც სოციალური რეალობა დიდი სისწრაფით იცვლება, რისკი ადამიანების საქმიანობის დამახასიათებელი თვისება ხდება. საბოლოოდ კი, ყოველი ადამიანის წინაშე დგება სხვადასხვა რისკისაგან თავის დაზღვევის აუცილებლობა.

XXI საუკუნის პირველი ათწლეულის უარყოფითმა ტენდენციებმა აჩვენა, რომ სახელმწიფოს არ შეუძლია მოახდინოს ყველა სარისკო სიტუაციის შედეგის კომპენსირება. ამიტომ, ერთ-ერთი საკვანძო ინსტიტუტი, რომელმაც საკუთარ თავზე აიღო მოქალაქეების ჯანმრთელობაზე, სიცოცხლეზე, ქონებაზე მიყენებული ზარალის ანაზღაურების ვალდებულების ნაწილი – არის დაზღვევის ინსტიტუტი. თავისი არსით დაზღვევა არის ეკონომიკის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი დარგი. მისი განვითარება უზრუნველყოფს ინვესტირების უმეტეს ნაწილს და სახელმწიფო ბიუჯეტს ათავისუფლებს გაუთვალისწინებელი გარემოებების გამო ზარალის ანაზღაურების ხარჯებისაგან. ამასთან, დაზღვევის განსაკუთრებული როლი საზოგადოების სოციალური პრობლემების გადაწყვეტაში ვლინდება. მოსახლეობას სოციალურ გარანტიებს მზღვეველი სახელმწიფოსთან ერთად აძლევს, ზოგჯერ კი უსწრებს სახელმწიფოს.

ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში დაზღვევა ორგანულად ერწყმის სოციალური დაცვის სისტემას, არის ცხოვრების ერთ-ერთი სავალდებულო ატრიბუტი. საქართველოში კი დაზღვევამ შესაბამისი განვითარება ვერ მიიღო მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო თავად გამოვიდა სოციალური რეგულირების სფეროდან. ამასთან დაკავშირებით, პოსტკრიზისულ პერიოდში ნებაყოფლობითი დაზღვევის სისტემის შესწავლა განსაკუთრებულ აქტუალურობას იძენს, რადგან შესაძლებლობას იძლევა

გავანალიზოთ მისი განვითარების ტენდენციები მოსახლეობის სოციალური დაცვის ფარგლებში და განვსაზღვროთ მისი როლი სახელმწიფო სოციალური პოლიტიკის მექანიზმებში. ჩვენი აზრით, XXI საუკუნის დასაწყისში, დაზღვევა, განსაკუთრებით კი პირადი, ადამიანის ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს მოიცავს. თავისი ბუნებით, მას აქვს მკვეთრად გამოხატული სოციალური მიმართულება. ნებისმიერი სადაზღვევო ურთიერთობების ძირითადი ამოცანაა – მხარდაჭერა აღმოუჩინოს დაზარალებულებს, არ დაუშვას მათი ცხოვრების დონის დაქვეითება.

დაზღვევის ქვეშ ჩვენ უნდა მოვისაზროთ ღონისძიებათა სისტემა, რომელიც იურიდიული და ფიზიკური პირების ხარჯზე შეიქმნება სპეციალური ფულადი ფონდის სახით და გამოიყენება მატერიალური ზარალის ასანაზღაურებლად სტიქიური უბედურებების ან სხვა არასასურველი მოვლენების დროს (ქონებრივი დაზღვევა), მოქალაქეებისათვის (და მათი ოჯახებისათვის) დახმარების გასაწევად მათ ცხოვრებაში არასასურველი მოვლენების დადგომის დროს (პირადი დაზღვევა), მესამე პირებისათვის ზარალის ანაზღაურებისათვის (პასუხისმგებლობის დაზღვევა). (Кагаловская 2005:10)

პირადი დაზღვევა დაზღვევის ის სფეროა, რომლის ობიექტია სიცოცხლე, ჯანმრთელობა, ადამიანის შრომისუნარიანობა. (Цыганов 2008:47) ამგვარი დაზღვევის აუცილებლობა დაკავშირებულია: მარჩენლის ან ოჯახის წევრის სიკვდილიანობის ალბათობასთან, ჯანმრთელობის დაკარგვასთან, რასაც, როგორც წესი მოჰყვება ოჯახის შემოსავლის შემცირება, მოქალაქეების მისწრაფებასთან ჰქონდეთ საოჯახო დანაზოგი მატერიალური შემოსავლის გამყარების მიზნით, გამოიყენებენ რა ამისათვის პირად დაზღვევას.

სადაზღვევო მეცნიერება პრობლემების ფართო სპექტრს მოიცავს, რომელთა გადაწყვეტის გარეშე საუბარი არ შეიძლება საზოგადოების ეკონომიკური სისტემის სტაბილურობის შესახებ. პირადი დაზღვევა უნდა განვიხილოთ როგორც სამამულო მეცნიერებისა და საბაზრო ურთიერთობების გარდაქმნის პროცესებში დაზღვევის პრაქტიკის ყველაზე აქტუალური პრობლემა. განვითარებული პირადი დაზღვევის არარსებობას მოსახლეობის სოციალური დაცვის ორგანიზებისათვის, საგანგებო

სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციას თან ახლავს მნიშვნელოვანი საბიუჯეტო ხარჯები, რაც საერთო ჯამში აუარესებს ქვეყნის ფინანსური მდგომარეობის საერთო პირობებს.

ქვეყნის ეკონომიკაში საბაზრო ურთიერთობების ფორმირების პირობებში მოსახლეობას წარმოეშობა საკუთარი ეკონომიკური ინტერესების დაცვის მყარი გარანტიების უზრუნველყოფის მოთხოვნა, რომელიც დაკავშირებულია სხვადასხვა სახის სამეურნეო საქმიანობის განხორციელებასთან, კეთილდღეობისა და ჯანმრთელობის გარკვეული დონის შენარჩუნებასთან. ეს კი იმით აიხსნება, რომ, ნებისმიერი საქმიანობის დროს ადამიანი სხვადასხვა სახის საფრთხის წინაშე დგას, რომელიც ემუქრება არა მხოლოდ მას, არამედ მის ახლობლებსაც. საფრთხეების ნაწილი, რომლებიც თავისი წარმოშობის წყაროებით, გაუთვალისწინებელია და არამართებულია თავისი შედეგების მხრივ, და რომელთაც საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვთ, დაცვადაც სახელმწიფოს მხრიდან (როგორც წესი, მინიმალურად სავალდებულო მოცულობით) თანამედროვე სოციალური დაზღვევის ფარგლებში. საფრთხეების ნაწილი კი თავად ადამიანის პასუხისმგებლობის ქვეშ რჩება, რაც დღეისათვის გამოიხატება ნებაყოფლობით საწყისებზე დაფუძნებული კომერციული დაზღვევის ფორმაში.

ობიექტური აუცილებლობა სოციალურ დაცვაში განპირობებულია როგორც თავად ადამიანის ბუნებით, ასევე ფაქტორების ფართო სპექტრის არსებული ურთიერთკავშირით, რომლებიც განსაზღვრავენ შრომის პროცესში ინდივიდუუმის ცხოვრებასა და საქმიანობას: საწარმო გარემო, შრომის პირობები, შრომითი ურთიერთობები, ბუნებრივი და ტექნოგენური მოვლენები და სხვა. ყოველივე ეს ერთობლიობაში განსაზღვრავს ადამიანის სოციალურ მდგომარეობასა და ცხოვრების ხარისხის დონის პარამეტრებს. ნებაყოფლობითი პირადი დაზღვევის ძირითადი სახეები სოციალური დაზღვევის ძირითად სახეებს ემთხვევა და მათთან უშუალო კავშირშია. ცნება “სოციალურად მნიშვნელოვანი დაზღვევა” ითვალისწინებს არა მხოლოდ სოციალურ დაზღვევას, და ზოგადად არ შემოიფარგლება დაზღვევის სავალდებულო სახეობებით. სოციალურად მნიშვნელოვანი დაზღვევა მოიცავს დიდ ბლოკს, რომელიც შედგება პირადი დაზღვევის ნებაყოფლობითი სახეობებისაგან, როგორცაა:

ნებაყოფლობითი სამედიცინო დაზღვევა, უბედური შემთხვევების დაზღვევა, უმუშევრობის დაზღვევა, სიცოცხლის დაზღვევა და ა.შ. (იხ. დანართი 22)

ბოლო ათწლეულის განმავლობაში სოციალური დაცვის სისტემაში მომხდარი ობიექტური სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებების გამო, ნებაყოფლობითი დაზღვევა ნამდვილად გასცდა ტრადიციული ცნების ფარგლებს, მისი ასოცირება უკვე სოციალურ დაზღვევასთან ხდება.

ნებაყოფლობითი სოციალური დაზღვევა არის ქართული სადაზღვევო სისტემის სტრუქტურული ელემენტი, რომელსაც საკუთარი რეგულირების სფერო გააჩნია. სოციალური დაზღვევის ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი და სახელმწიფოს მხრიდან რეგულირებადი პროდუქტია სამედიცინო დაზღვევა, რომლის მომსახურეობა სახელმწიფოსა და კერძო სადაზღვევო კომპანიების მხრიდან ფუნქციურად ემთხვევა ერთმანეთს. ასევე, სიცოცხლის დაზღვევა და საპენსიო უზრუნველყოფა. ნებაყოფლობითი პირადი დაზღვევის განმასხვავებელი ნიშანი ის არის, რომ ადამიანს შეუძლია თავად აირჩიოს დაზღვევის სახეობა, პირობები და ვადები, რომელთა შეფასება შეიძლება მერყეობდეს მოთხოვნების შესაბამისად. საქართველოში სოციალური დაზღვევის სხვა სახეები, გარდა სამედიცინო დაზღვევისა ითვლება განუვითარებლად, ამიტომ რთულია გამოავლინო აღნიშნული დარგის განვითარების ხანგრძლივი პერსპექტივები. უფრო მიზანშეწონილია განვიხილოთ მისი განვითარება უმოკლეს პერიოდში.

საქართველოში ნებაყოფლობით პირად დაზღვევაზე გავლენას ახდენს: სახელმწიფოს პოლიტიკა დაზღვევასთან მიმართებაში, მზღვეველთა სოციალური პრიორიტეტები და მათი დაინტერესება მომსახურეობის ხარისხითა და საკუთარი ვალდებულებების პატიოსნად შესრულებაში, დამსაქმებელთა მონაწილეობა კორპორატიული პიროვნული დაზღვევის განვითარებაში. ამასთან, დაზღვევის სრულფასოვანი განვითარების ერთ-ერთი სავალდებულო პირობა ადამიანის უფლებების პრიორიტეტების დაცვა ხდება.

ჩვენ ჩავატარეთ საქართველოს მოსახლეობის ანკეტური გამოკითხვა, სადაც კითხვარის შევსებაში მონაწილეობდნენ რესპოდენტები, რომლებიც მიეკუთვნებიან 20–

35 (81.0%); 35–55 (19.0%); 55–65 (1.0 %) ასაკობრივ ჯგუფებს. ანკეტა მოიცავდა კითხვებს: (იხ. დანართი 23)

როგორც კვლევამ აჩვენა 106 რესპოდენტიდან დასაქმებულია 81.8%-ი და 18.2% დაუსაქმებელი. (იხ. დანართი 24) ჩვენი გამოკითხვის შესაბამისად რესპოდენტების უმრავლესობას აქვს საარსებო მინიმუმზე მაღალი შემოსავალი. კერძო სადაზღვევო ბაზარი არის სპეციფიკური ეკონომიკური ურთიერთობების სფერო, რომელიც ყალიბდება დაზღვეულებს და მზღვეველს შორის. ჩვენი გამოკითხვის მიხედვით კერძო სადაზღვევო ბაზარი დინამიურად ვითარდება. რესპოდენტების 54.0% დაზღვეულია, ხოლო 47.0% არ არის დაზღვეული. (დაზღვეულთა მაღალი პროცენტი აჩვენა დასაქმებულთა გამოკითხვამ) (იხ. დანართი 25) ეს მონაცემები აჩვენებს, რომ კერძო დაზღვევა განვითარების გზაზეა.

ნაშრომის კვლევის ობიექტია სადაზღვევო ბაზრის ნებაყოფლობითი სოციალური დაზღვევა. ანკეტა შეიცავდა კითხვას სოციალური დაზღვევის რომელიმე სახის სარგებლობის შესახებ, რითაც გვინდოდა დაგვედგინა, თუ რამდენად იცნობს საზოგადოება სოციალური დაზღვევის პროდუქტებს და რამდენად ათვისებენ მათი გამოყენების აუცილებლობას. რაც შეეხება კითხვას: სარგებლობენ თუ არა რესპოდენტები სოციალური დაზღვევის რომელიმე სახის პროდუქტს: აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთა 24.5% სარგებლობს და 75.5% არ სარგებლობს. (იხ. დანართი 26) ეს მონაცემები აჩვენებს, რომ ნებაყოფლობითი სოციალური დაზღვევის გამოყენების დონე საკმაოდ დაბალია საქართველოში. არსებობს რამდენიმე ფაქტორი, რის გამოც მოსახლეობა თავს იკავებს ნებაყოფლობითი სოციალური დაზღვევისაგან, მაგალითად სადაზღვევო კომპანიის უნდობლობა, სოციალური სადაზღვევო პროდუქტების სახეებისა და პირობების უცოდინრობა, ასევე არასაკმარისი მატერიალური მდგომარეობა. უნდა გავითვალისწინოთ, რომ მოსახლეობის შინაგანი მზადყოფნაა საჭირო, რათა ისარგებლონ სოციალური დაზღვევის მომსახურებით. ამისათვის სავალდებულოა შესწავლილ იქნეს არამხოლოდ გარე ფაქტორები, რომლებიც ზემოქმედებენ სადაზღვევო მომსახურების მოთხოვნებზე, არამედ მოქალაქეთა ფსიქოლოგიური მზადყოფნა მიიღოს ეს მომსახურება. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად

რესპოდენტებს დავუსვით შეკითხვა – თუ სარგებლობენ ისინი სოციალური დაზღვევის რომელიმე სახის პროდუქტით? გამოკითხულთა 75,5 %-მა აღნიშნა, რომ არ სარგებლობს და უმრავლესბა არ იცნობს სოციალური დაზღვევის სახეებს, ხოლო 24,5 % სარგებლობს სამედიცინო დაზღვევის პოლისით. რესპოდენტებთან დაზუსტებით აღმოჩნდა, რომ კორპორატიული სამედიცინო დაზღვევის პოლისის მფლობელები არიან.

გამოკითხვის შედეგები საშუალებას იძლევა ჩამოვაყალიბოთ შემდეგი რეკომენდაციები:

1. სადაზღვევო კომპანიებმა უნდა აამაღლონ მოსახლეობის ინფორმირების დონე ნებაყოფლობითი პირადი დაზღვევის სახეობებისა და პირობების შესახებ. ამისათვის მნიშვნელოვანია მოხდეს მასობრივი კომუნიკაციების საშუალებების აქტიური ჩართულობა (ტელევიზია, პრესა, ინტერნეტი, რადიო, ბილბორდები).

2. სადაზღვევო კომპანიებს შეუძლიათ განახორციელონ გასვლითი საკონსულტაციო-სასწავლო სემინარები და ტრენინგები ორგანიზაციებსა და საწარმოებში.

3. სახელმწიფომ და მზღვეველთა კავშირებმა აუცილებელია აამაღლონ კონტროლი სადაზღვევო კომპანიების საქმიანობაზე: კლიენტების წინაშე მათი ვალდებულებების შესრულების მხრივ, და მათ ურთიერთქმედებებზე სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებთან, რათა თავიდან აცილებული იქნეს სადაზღვევო თაღლითობა.

4. სახელმწიფომ და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა უფრო მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ მოსახლეობის სადაზღვევო კულტურის განვითარებას. მოსახლეობა უნდა იყოს გათვითცნობიერებული, რათა რაციონალურად მოახდინოს საკუთარი მომავლის პროგნოზირება, გამოიყენებს რა ამისათვის ფულად სახსრებს.

უნდა აღინიშნოს, რომ რესპოდენტების 70.1% დადებითად უპასუხა კითხვას სურთ თუ არა საპენსიო დაზღვევის გამოყენება, ხოლო 29.9% არ სურს და 3-მა რესპოდენტმა არ გასცა პასუხი კითხვას. (იხ. დანართი 27) ე. ი. გამომდინარე აქედან, მოსახლეობას აქვს

სურვილი სოციალური პროდუქტებით სარგებლობის, მაგრამ გარკვეულ პრობლემების გამო ეს არ ხერხდება.

საქართველოს სადაზღვევო ბაზარმა განვითარების რამდენიმე ეტაპი გაიარა. პირველი ეტაპისათვის (1989-1996 წწ.) ძირითადად დამახასიათებელი იყო მომგებიანი მომსახურების ექსტენსიური განვითარება. ამ ეტაპზე სადაზღვევო კომპანიების ძირითადი აქცენტი გადატანილი იქნა მსხვილი კლიენტების მეშვეობით დიდი მოგების მოზიდვაზე. მეორე ეტაპისათვის დამახასიათებელია სადაზღვევო სისტემის შექმნა. მზღვეველების კომერციული ძალისხმევა, უპირველეს ყოვლისა, მიმართულია პროდუქციის გასაღების გაფართოების, რეკლამის, საზოგადოებასთან კავშირების გაძლიერების, პროდუქტის გასაყიდი ქსელის განვითარებისა და მისი სტიმულირებისაკენ.

2005 წლიდან საქართველოში მნიშვნელოზად გაიზარდა ბიზნესმენტა დაინტერესება სადაზღვევო სისტემით. ამავე წელს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურმა მნიშვნელოვნად გაამკაცრა სადაზღვეო კომპანიებისათვის შესავსები მინიმალური საწესდებო კაპიტალისადმი მოთხოვნები. მიღებული გადაწყვეტილებებით მინიმალური საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება: სიცოცხლის დაზღვევისათვის 600.000, არა სიცოცხლის დაზღვევისათვის 1.000.000, სხვა იურიდიული პირებისათვის 2.000.000 ლარით. (იხ. დანართი 28)

სადაზღვევო კომპანიები უკეთესი მუშაობისა და ბაზრის დიდი წილის დაკავებისათვის მიზნად ისახავენ სოციალური დაზღვევის ტრადიციული სახეების მოდერნიზირებას. თუმცა შიდა ეკონომიკური კრიზისები, უმუშევრობის ზრდა ართულებს დაზღვევის მსურველთა ჩართვას სადაზღვევო ურთიერთობებში. დღეისათვის საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე ფუნქციონირებს დაახლოებით 15 ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანია. კომპანიების სოციალური დაზღვევის პროდუქტების რეალიზაციის რაოდენობისა და მათი პოპულარიზაციის დადგენის მიზნით გავაანალიზეთ ყველა სადაზღვევო კომპანიის დაზღვევის პროდუქტებში სოციალური დაზღვევის სახეების წილი.

როგორც ცხრილიდან ჩანს, უბედური შემთხვევის დაზღვევა 2009 წელთან შედარებით 2010 წელს გაზრდილია 118 %-ით, ხოლო 2011 წელს 2010 წელთან შედარებით შემცირდა 48%-ით, რაც შეეხება ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისების რაოდენობაც 2009 წელთან შედარებით, 2010 წელს 20%-ითაა გაზრდილი, ხოლო 2011 წელს ისევ კლებას აქვს ადგილი.

იმ მიზეზების დასადგენად, თუ რატომ აქვს კლების ტენდენცია კერძო დაზღვევის პოლისების რაოდენობას, გავანალიზოთ მოზიდული ჯამური პრემია ამ მიმართულებებით. (იხ. დანართი 29) როგორც ჩანს, 2011 წელს უბედური შემთხვევის დაზღვევის ჯამურმა პრემიამ შეადგინა 2 952 506 ლარი, სამედიცინო დაზღვევის პრემიის ჯამმა კი 200 590 584 ლარი. 2010 წელთან შედარებით შემცირებულია უბედური შემთხვევის დაზღვევა 2%-ით, ხოლო სამედიცინო დაზღვევა- 22%-ით. კლებას აქვს ადგილი 2009 წელთან შედარებითაც.

შესაბამისად განვიხილეთ ანაზღაურებული ზარალი, რომლის დინამიკა შემდეგნაირად გამოიყურება: 2009 წელს უბედურ შემთხვევებზე ანაზღაურებულია 745 365 ლარი, 2010 წელს - 250 988 ლარი, 2011 წელს - 474 039 ლარი. სამედიცინო დაზღვევაზე ანაზღაურებული ზარალის მოცულობა ზრდის დინამიკით ხასიათდება, ყოველწლიურად თითქმის 9 -11%-ის ფარგლებში. (იხ. დანართი 30)

აქ მოტანილი სტატისტიკური ინფორმაცია ერთმნიშვნელოვნად მიანიშნებს, რომ კერძო სოციალური დაზღვევა საქართველოში განვითარების დაბალ დონეზეა, ჯერ ერთი, იგი არ არის მოცული სოციალური დაზღვევის ყველა სახით, უმუშევრობის დაზღვევა ქვეყანაში, სადაც ქრონიკული უმუშევრობაა სადაზღვევო კომპანიებისათვის არ არის მიმზიდველი პროდუქტი. სოციალური დაზღვევის რთულ მდგომარეობაზე ნათელ წარმოდგენას შეგვიქმნის ცალკეული პროდუქტების წილის გაანალიზება მთლიანდ სადაზღვევო ბაზარზე. (იხ. დანართი 30)

უბედური შემთხვევის დაზღვევის წილი როგორც ცხრილიდან ჩანს, სადაზღვევო ბაზარზე მინიმალურია, სამედიცინო დაზღვევა, რომლითაც შეიძლება ითქვას „სუნთქავს“ ქართული სადაზღვევო ბაზარი სტაბილურად ბაზრის 62-68 %-ს იჭერს. მიუხედავად იმისა, რომ სამედიცინო დაზღვევა მაღალი წილით გამოირჩევა, მას ვერ

მივაწერთ სოციალური დააზღვევის კერძო სექტორის განვითარებას, ვინაიდან მასში დიდი წილი უჭირავს სახელმწიფოს მიერ სამედიცინო დაზღვევას, რომელსაც ჩვენ ე.წ. სავალდებულო-ნებაყოფლობითი ფორმა ვუწოდებთ, კერძოდ დაახლოებით 1,5 მილიონ დაზღვეულში 84% სახელმწიფო პროგრამითაა დაზღვეული. ასევე დღეს საქართველოში არასახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფის სისტემა განვითარების ჩანასახოვან სტადიაზე რჩება. კერძო საპენსიო სისტემის განვითარება უშუალოდ არის დაკავშირებული დასაქმებულებისა და საშუალო ხელფასის დონესთან, რადგან ეს არის გრძელვადიანი ინვესტიცია მომავლის უზრუნველსაყოფად. (იხ. დანართი 31)

ჯანმრთელობის კერძო დაზღვევა სხვადასხვა როლს თამაშობს ჯანდაცვის დაფინანსების სისტემაში. ამ როლების მიხედვით ჯანმრთელობის კერძო დაზღვევის სამი სახე არსებობს: ჩანაცვლებითი, შევსებითი, და დამატებითი. (ვერულავა 2010: 86-99) ნებაყოფლობითი ჯანმრთელობის დაზღვევის ჩანაცვლებითი ფორმა მოსახლეობის გარკვეული ჯგუფისათვის წარმოადგენს ქვეყანაში არსებული სავალდებულო დაზღვევის სისტემის ალტერნატიულ (პირველად, ჩანაცვლებით) ფორმას, ანუ მოსახლეობის გარკვეული ჯგუფისათვის სავალდებულო ჯანმრთელობის დაზღვევა ჩანაცვლებულია ნებაყოფლობითი დაზღვევით. ჩანაცვლებითი ჯანმრთელობის დაზღვევის უფლება შეიძლება დამოკიდებული იყოს შემოსავლებზე (გერმანია და ნიდერლანდები რეფორმამდე), დასაქმებულის სტატუსზე (თვითდასაქმებულები ავსტრიაში, ბელგიაში და გერმანიაში), საქმიანობაზე (გარკვეული პროფესიები ავსტრიაში). საქართველოში უნდა გამოიყენებოდეს ჩანაცვლებითი კერძო დაზღვევა, ვინაიდან ჩვენს ქვეყანას არ აქვს ისეთი ფუფუნება, მაღალშემოსავლიანი თანამდებობის პირებისათვის გასწიოს ხარჯები. მათი ჩართვა კერძო დაზღვევაში მაღალი ღირებულების სამედიცინო პაკეტების შესყიდვით განავითარებს სადაზღვევო ბაზარს და სახელმწიფო ბიუჯეტი ორმაგად მოიგებს: ჯერ ერთი გათავისუფლდება ზედმეტი ხარჯებისაგან და მეორეც, სადაზღვევო კომპანიების მაღალი შემოსავალი გაზრდის გადასახადების მოცულობას.

შევსებით ნებაყოფლობითი ჯანმრთელობის დაზღვევა დასავლეთ ევროპის ყველა ქვეყანაშია გავრცელებული, თუმცა სხვადასხვა ფორმებით. იგი განსაკუთრებით იმ ქვეყნებშია გავრცელებული სადაც ჯანდაცვის ნაციონალური სისტემები

ფუნქციონირებენ, როდესაც სამედიცინო მომსახურება გარკვეულ პრობლემებთანაა დაკავშირებული (მაგალითად, დაცდის დროები, სასურველი პროვაიდერების არჩევა და ა. შ.). შევსებითი ნებაყოფლობითი ჯანმრთელობის დაზღვევა ფარავს თანაგადახდას ბელგიაში, დანიაში, შვეციაში (ძირითადად მედიკამენტები, სტომატოლოგიური მომსახურება), საფრანგეთში (ამბულატორიული სამედიცინო დახმარება), ირლანდიაში (ამბულატორიული სამედიცინო დახმარება), ლუქსემბურგში (სტაციონარული სამედიცინო დახმარების თანაგადახდა), ნიდერლანდებში (ძირითადად სტომატოლოგიური მომსახურება).

დამატებითი ნებაყოფლობითი ჯანმრთელობის დაზღვევა გულისხმობს სამედიცინო დახმარების იმ სახეების დაფინანსებას, რომლებიც საერთოდ არ შედიან სავალდებულო ჯანმრთელობის დაზღვევის სქემაში, ან შედიან, მაგრამ დამატებითი დაზღვევით პაციენტს სამედიცინო დახმარების მიმწოდებლების თავისუფალი არჩევანის უფლება აქვს, რაც ზრდის სერვისების სწრაფ ხელმისაწვდომობას (გეგმიური სამედიცინო დახმარების ან სპეციალისტთან კონსულტაციის ურიგოდ მიღება).

კონკურენციის თვალსაზრისით ჯანმრთელობის კერძო დაზღვევის ბაზარზე მნიშვნელოვანია, რომ მოსახლეობას შეეძლოს სარგებლის სხვადასხვა პაკეტების შედარება. ზოგი მკვლევარი მიიჩნევს, რომ სარგებლის სხვადასხვა პაკეტების შედარება იოლდება სტანდარტული მინიმალური პაკეტის არსებობის შემთხვევაში. ბენეფიციარს საშუალება ეძლევა მინიმალური პაკეტის ზევით სხვადასხვა კომპანიების მიერ შემოთავაზებული პირობები ერთმანეთს შეადაროს და გააკეთოს სწორი არჩევანი. შესაბამისად, მინიმალური ბაზისური პაკეტი დადებითად მოქმედებს სამომხმარებლო არჩევანზე და ზრდის კონკურენციას. ხშირად ბენეფიციართა უმრავლესობას სადაზღვევო კომპანიების მიერ შემოთავაზებული სარგებლის პაკეტების შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია არ გააჩნია, შესაბამისად კონკურენტი კომპანიების სარგებლის პაკეტებს ერთმანეთისგან ვერ განასხვავებს. ზოგ ქვეყანაში მარეგულირებელი ორგანოები სადაზღვევო კომპანიებს ავალდებულებენ სარგებლის პაკეტში სრულყოფილად იყოს ასახული მომსახურების სახეები. მაგ. თავისუფალი კონკურენციის ბრიტანული სამსახური (UK Office of Fair Trading) რეკომენდაციას იძლევა, რომ სადაზღვევო

კომპანიებმა შეიმუშავეთ ბაზისური პაკეტი, რომელიც ბენეფიციარს შეუმსუბუქებს სხვადასხვა პაკეტების ერთმანეთთან შედარებას. საბაზისო პაკეტის დადგენამდე მომხმარებელი არ ფლობს სრულ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რით განსხვავდება მოცემული კომპანიის მიერ შემოთავაზებული სარგებლის პაკეტი სხვა პაკეტისაგან. პრემიები დგინდება ინდივიდუალური რისკის (ანუ ავადობის საფრთხის ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე), საზოგადოებრივი რისკის (მოსახლეობის გარკვეული ჯგუფის გასაშუალოებული რისკის შეფასების საფუძველზე), ჯგუფობრივი რისკის (დაწესებულების პერსონალის გასაშუალოებული რისკის შეფასების საფუძველზე) მიხედვით. მაღალ რისკიან პირებზე, რომლებიც ხშირად საჭიროებენ სამედიცინო დახმარებას, სადაზღვევო ორგანიზაციებს დაწესებული აქვთ მაღალი სადაზღვევო პრემია. ცხადია, შედარებით ჯანმრთელი პირები დისკრიმინაციას განიცდიან, რადგან იშვიათად იყენებენ სამედიცინო მომსახურებას. რისკის გადანაწილების გამო კერძო სადაზღვევო ორგანიზაციები უპირატესობას ჯგუფობრივ (ჩვეულებრივ, დაქირავებული მუშაკები) დაზღვევას ანიჭებენ, ვიდრე ინდივიდუალურ დაზღვევას. ამის გამო, ინდივიდუალური დაზღვევის ღირებულება იზრდება, რაც ნაკლებად ხელმისაწვდომია დაუსაქმებელი ღარიბი მოსახლეობისათვის, რომელთა ავადობის რისკი საშუალოზე მაღალია. ზოგ ქვეყანაში დაბალშემოსავლიან მოსახლეობის დაზღვევისათვის სამთავრობო სუბსიდიები გამოიყოფა, ასაკის მატებასთან ერთად იზრდება სამედიცინო დახმარების საჭიროება, შესაბამისად იზრდება სადაზღვევო პრემიები. საზოგადოებრივი რისკების სქემა დაფუძნებულია სოციალური სამართლიანობის პრინციპებზე. თუმცა, კერძო დაზღვევის პირობებში დაბალი რისკის (შედარებით ჯანმრთელი) პირები საზოგადოებრივი რისკის საფუძველზე გათვლილ პრემიებს ძვირადღირებულად მიიჩნევენ და შეიძლება დატოვონ იგი და ინდივიდუალური სქემით დაეზღვიონ. ამის შედეგად, შედარებით მაღალი რისკების ერთად კონცენტრაციის გამო, საზოგადოებრივი რისკების საფუძველზე გათვლილი პრემიები უფრო ძვირადღირებული ხდება, ხოლო თვით დაზღვევა – ნაკლებად ხელმისაწვდომი. ამ მხრივ საქართველოშიც პრობლემაა, ვინაიდან სამედიცინო დამზღვევს პაკეტები ერთმანეთისაგან განსხვავებულია მხოლოდ მომსახურების

რაოდენობით და ის არ ითვალისწინებს ინდივიდუალური კლიენტის რისკებს. ეს ხშირ შემთხვევაში იწვევს ჯანმრთელი ადამიანის მხრიდან უკმაყოფილებას და მისი დაზღვევის სისტემიდან გამოსვლას.

ამრიგად, საქართველოში კერძო სამედიცინო დაზღვევა განვითარებულად ვერ ჩაითვლება, მისი დიდი წილი სავალდებულო სამედიცინო დაზღვევას უკავია. ზოგადად კერძო დაზღვევის სისტემა დადებით გავლენას ახდენს არაფორმალურ სექტორში დასაქმებულთა, ან საერთოდ დაზღვევის გარეშე დარჩენილთა მოცვის თვალსაზრისითაც. მცირდება ბიუროკრატიული აპარატი. კერძო სამედიცინო დაზღვევის განვითარების ხელშემშლელი მიზეზებია: მოსახლეობის დაბალი შემოსავლიანობა, ნაკლებინფორმირებულობა სადაზღვევო პაკეტში ჩადებული მომსახურების შინაარსის შესახებ, ხშირ შემთხვევაში კონკრეტული სამედიცინო მომსახურების დაფარვის მოლოდინის შეუსრულებლობა, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ სადაზღვევო კომპანიის წარმომადგენლის მიერ სამედიცინო პაკეტი სწორად არ იქნა ინტერპრეტირებული პოტენციურ დამზღვევზე; სადაზღვევო ბაზრის ფრაგმენტაცია, რომელიც იწვევს ფასისმიერი კონკურენციის მინიმუმაციას: სადაზღვევო ბაზარზე მცირე ზომის ბევრი სადაზღვევო კომპანიის და შესაბამისად პაკეტების არსებობა განაპირობებს ბაზრის ფრაგმენტაციას, ართულებს პაკეტების ერთმანეთთან შედარებას და პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის ფასის მიხედვით არჩევანის გაკეთებას; სადაზღვევო კომპანიების მხრიდან ქვეყნის მასშტაბით მოქმედ ყველა სამედიცინო დაწესებულებების მოუცვლობა. ნებაყოფილობითი სოციალური დაზღვევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელია კერძო საპენსიო დაზღვევა. საქართველოში მოქმედებს შვიდი საპენსიო სქემა. სტატისტიკური ინფორმაციის მიხედვით საერთო მდგომარეობა კერძო საპენსიო დაზღვევის ბაზარზე სახარბიელო არ არის. 2009 წლის მონაცემებით საპენსიო სქემაში გაერთიანებული იყო 14 175 მოქალაქე, რომელთა მიერ საპენსიო შენატანმა - 2 277 894 ლარი შეადგინა, პენსიის გაცემა არ ხდებოდა, ხოლო იმავე წელს გატანილი იქნა 1 590 562 ლარი. 2010 წელს მონაწილეთა რაოდენობა 16 879-მდე გაიზარდა, ხოლო შენატანი-2 393 288 ლარამდე. 2011 წელს მონაწილეთა რაოდენობაა 17 343, საპენსიო შენატანის მოცულობა - 2 117 817 ლარი. საპენსიო შენატანის მოცულობის შემცირება

განპირობებული იყო გატანილი პენსიის მოცულობის ზრდით, 2011 წელს გატანილი პენსიის მოცულობამ 1 116 177 ლარი შეადგინა. განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფო პენსია პენსიონერთა ძირითად შემოსავალს არ წარმოადგენს. მათი შემოსავლების დიდი წილი ინდივიდუალურ საპენსიო დაგროვებებს ეკუთვნის. ამ ქვეყნებში საპენსიო დაგროვებების წილი მშპ-თან მიმართებით საშუალოდ 75%-ს აღწევს. საქართველოში ეს წილი მიზერულია და 0,01 %-ს შეადგენს. (საქართველოს ეროვნული ბანკი, არასახელმწიფო საპენსიო სქემების სტატისტიკური მაჩვენებლები) კერძო საპენსიო დაზღვევის განვითარებლობის ძირითადი მიზეზი არის დაბალი ხელფასი, საპენსიო სქემებში მონაწილეობის არცთუ ისე მიმზიდველი პირობები, მოსახლეობის გაუთვითცნობიერება საკუთარი სიბერის უზრუნველყოფაში. შემაფერხებელი ფაქტორად მივიჩნევთ აგრეთვე იმას, რომ მოსახლეობის უმრავლესობისათვის კერძო საპენსიო დაგროვების შესაძლებლობა უცნობია, ასევე არ აქვთ პასუხი კითხვაზე: თუ რამდენი უნდა გაიღონ ხელფასიდან, რომ მიიღონ იმაზე მეტი ოდენობის პენსია, ვიდრე სახელმწიფო გასცემს. ჩვენი აზრით, თუ ქვეყანაში ჯანმრთელი ადამიანისათვის განისაზღვრება საარსებო მინიმუმი, მოხუცებულობის ცხოვრების პერიოდი არანაკლები ხარჯების გაღებას მოითხოვს ღირსეული ცხოვრების პირობებისათვის. ამიტომ აუცილებელია განისაზღვროს საშუალო ხელფასისა და პენსიის თანაფარდობის (ჩანაცვლების)კოეფიციენტი: თუ ავიღებთ საშუალო ხელფასს 600 ლარის ოდენობით და საქართველოში ამჟამად მოქმედი საპენსიო თანხას–100 ლარი, ჩანაცვლების (geostat.ge) კოეფიციენტი საქართველოში არის: $100 / 600 = 0,16 \%$. დასავლეთის სპეციალისტების აზრით, პენსიონერის შემოსავლების დონემ უნდა შეადგინოს ხელფასის 60 %. ამ თანაფარდობის მისაღწევად დღეს არსებული საშუალო ხელფასის ფარგლებში $600 * 0,6 = 360$ ლარი პენსიის მისაღებად დაგროვებად პენსიის გამოყენების შემთხვევაში იმ პირობით, რომ დაგროვება იწყება 30 წლის ასაკში და გროვდება 30 წლის განმავლობაში 64 800 ლარი, დარიცხული საპროცენტო განაკვეთი აღებულია მინიმალური 6% წლიური, პენსიის გადახდის საშუალო ვადად აღებულია პენსიაზე გასვლიდან საშუალოდ 15 წელი, მაშინ თანხა, რომელიც უნდა გადაიდოს ყოველთვიურად გადაანგარიშდება შემდეგნაირად:

$FVA30 = (FVIFA\ 6\%,30) * R$, სადაც $FVA30$ არის 30 წლის შემდეგ 15 წლის განმავლობაში ყოველთვიურად 360 ლარი პენსიის საერთო მოცულობა, ხოლო R -არის თანხა, რომელიც გადახდილი უნდა იქნას საპენსიო ფონდში ყოველწლიურად:

$$R = FVA30 / FVIFA\ 6\%,30 = 64\ 800 / 79.058 = 819,65 \text{ ლარი}$$

$FVIFA\ 6\%,30 = 79,058$ აიღება ჩვეულებრივი ანუიტეტის მომავალი ღირებულების კოეფიციენტი ცხრილიდან. (Джеймс..... 2004: 893)

ჩვენი აზრით, 30 წლის ასაკი ნამდვილად არის საპენსიო უზრუნველყოფისათვის ზრუნვის დაწყების შესაბამისი, ხოლო რაც ადრე დაიწყება შენატანების გადახდა მით მეტი პენსიის მიღება იქნება შესაძლებელი. ერთ–ერთი ძირითადი მიზეზი იმისა, რომ არა სახელმწიფო საპენსიო სქემები არ არის მიმზიდველი, ჩვენი აზრით, იმაში გამოიხატება რომ ასაკი, რომელიც საპენსიო დაგროვებისათვის არის მისაღები ეს შუალედია (25-40), როდესაც ცხოვრება სხვა ხარჯების გაზრდილ რაოდენობასთანაა დაკავშირებული და ზრუნვა მომავალი სიბერისათვის ნაადრევად მიაჩნიათ, ან სახსრების უკმარისობა არ აძლევთ ამის საშუალებას. ჩვენი გამოთვლების თანახმად, საშუალო ხელფასის მინიმუმ 11 % უნდა ჩარიცხოს მონაწილემ კერძო საპენსიო ფონდში, რომ დღეს არსებულ პენსიაზე სამჯერ მეტი, ანუ ხელფასის 60% მიიღოს.

პრობლემები, რომლებიც აფერხებს არასახელმწიფო საპენსიო სისტემის განვითარებას, უნდა გაიყოს ორ ჯგუფად: პრობლემების პირველი ჯგუფი სახელმწიფოს მოსაგვარებელია, მათ მიეკუთვნება:

- დასაქმების დონის გაზრდა, ისე, რომ დასაქმებულთა რაოდენობამ სამჯერ მაინც გადააჭარბოს პენსიონერთა რაოდენობას, შედეგად გაიზრდება სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები, შეიქმნება პირობები გადასახადების შემცირებისათვის, რაც დასაქმებულებს საშუალებას მისცემს ხელფასიდან შექმნან დანაზოგები კერძო საპენსიო ფონდში მონაწილეობისათვის;
- საბაზრო ეკონომიკის მსოფლიო პრაქტიკიდან გამომდინარე ბაზარი უკეთესად აკმაყოფილებს მოქალაქეთა მოთხოვნებს, ვიდრე სახელმწიფო, ამიტომ მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებით სახელმწიფო სოციალური დაცვის

სისტემა თანდათან განიტვირთება სოციალური უზრუნველყოფის ხარჯებისაგან (გარდა სხვადასხვა სოციალური ჯგუფებისა) და შეიქმნება შესაძლებლობა გაიზარდოს ხარჯები სხვა სოციალური მიმართულებით იმ მოცულობით, რომ უმწეოთა დახმარება „უმწეო“ მდგომარეობაში დარჩენის ინსტრუმენტს არ წარმოადგენდეს.

- კანონმდებლობის ნაკლებად მიმზიდველობა, კერძოდ: არასრულყოფილია საპენსიო დაგროვებისას პენსიაზე გასვლამდე გარდაცვალების შემთხვევაში დაგროვებული თანხის გადახდის წესი, ასევე ერთობლივი პენსიის შემთხვევაში ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალებისას მეორე მეუღლეს გადაეცემა 50% ერთობლივი პენსიისა, როდესაც ყველა ქვეყანაში ეს ციფრი 70-100 %-ია. (საქ. კანონი არს ახელმწიფო პენსიის შესახებ, მუხლი 5), გარდა ამისა კანონით განსაზღვრულია, რომ (მუხლი 5-ს 4) განსაზღვრული ვადით გასაცემი პენსია მონაწილის გარდაცვალების შემთხვევაში საპენსიო უზრუნველყოფის ვადის დამთავრებამდე მიეცემა მის მემკვიდრეებს. არ არის განსაზღვრული მუდმივი პენსიის სახისთვის გარდაცვალების შემთხვევაში დაგროვებული საპენსიო თანხის მემკვიდრეზე გადახდის პირობა;
- განუვითარებელია ფასიანი ქაღალდების ბაზარი, რომელიც საპენსიო სქემებში დაგროვებული შენატანების ინვესტირებას შეუწყობს ხელს და მომგებიანი ინვესტიცია შექმნის მონაწილეზე მაღალი საინვესტიციო შემოსავლის გადახდის შესაძლებლობას, შესაბამისად ამაღლდება პენსიის სიდიდეც.
- მეორე ჯგუფის პრობლემებს მიეკუთვნება მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდობის უნდობლობა ყველა იმ საკითხთან დაკავშირებით, რაც გრძელვადიან პერიოდში აჩვენებს შედეგს, ამ პრობლემის გამოსწორებას სჭირდება მოსახლეობის მეტი ინფორმირებულობა, მათზე მარტივი ენით ახსნა იმ წესებისა, რაც კანონით არის განსაზღვრული. პრობლემას ამწვავებს ისიც, რომ ჯერ საქართველოს მოქმედი საპენსიო სქემებიდან არ გაცემულა არცერთი პენსია, რითაც საზოგადოება დაინახავდა, რომ არსებობს სახელმწიფო პენსიაზე მეტი

სიდიდის პენსიის მიღების შესაძლებლობა, რაც ერთგვარ სტიმულატორის როლს შეასრულებდა კერძო საპენსიო სისტემის განვითარებაში.

- არასახელმწიფო საპენსიო სისტემის განვითარება უნდა დაიწყოს წარმოება-ორგანიზაციებიდან. დამსაქმებულებისა და დასაქმებულების ერთობლივი მონაწილეობით საპენსიო შენატანის გადახადა უნდა დაედოს საფუძვლად მოსახლეობის ამ პროცესში ჩართვას, ამას, ჩვენი აზრით, ხელი უნდა შეუწყოს სახელმწიფომ; კერძოდ, როგორც დამსაქმებლის, ასევე დასაქმებულის საპენსიო სქემაში გადახდილი შენატანი არ უნდა დაიბეგროს. წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველი მოქალაქის მიერ გადახდილი საშემოსავლო გადასახადის ნაწილი უნდა წავიდეს ამ მოქალაქის დაგროვებით საპენსიო ანგარიშზე.

როგორც სტატისტიკური მონაცემების შესწავლამ აჩვენა, საქართველოში უმუშევრობის დაზღვევის არც ერთი ფორმა არ გამოიყენება. მიზეზის დასადგენად განვიხილოთ უმუშევრობის მონაცემები საქართველოში. უმუშევრობა ქვეყნის მოსახლეობას მძიმე ტვირთად აწვება და ეკონომიკურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ დანაკარგებს იწვევს (McDowell ... 2006: 128). ოუკენის კანონის თანახმად, უმუშევრობის დონის ყოველი 1%-იანი ზრდა მშპ-ის დაახლოებით 2%-იან კლებას იწვევს (Knotek 2007: 88). გარდა ამისა, ხელისუფლება შემოსავალს კარგავს გადასახადის გადამხდელთა რიცხვის შემცირების შედეგად. განვითარებულ ქვეყნებში, და ზოგ განვითარებად ქვეყანაშიც, ხარჯი კიდევ უფრო იზრდება, ვინაიდან ხელისუფლებას მეტი უმუშევრობის კომპენსაციის გადახდა უწევს. სხვაგვარადაა საქართველოში, ვინაიდან ხელისუფლება არანაირ უმუშევრობის კომპენსაციას არ იხდის და უმუშევრობის ტვირთი მხოლოდ უმუშევრებს აწვება, მათი შემოსავალი იკლებს, ხოლო უნარ-ჩვევები, გამოუყენებლობის გამო, რეგრესიებს. ამავე დროს, უმუშევრობა სამუშაოსადმი მოტივაციას ამცირებს (www.economist.com). ამას უმუშევრობის ფსიქოლოგიურ ხარჯებთან მივყავართ, რომელსაც უმუშევარი ხალხი და მათი ოჯახები იმ სტრესის სახით განიცდიან, რასაც ეკონომიური გაჭირვება და შემოსავლის დაკარგვა იწვევს. ზოგადად უმუშევრობის სოციალური ხარჯი ერთად აღებული ეკონომიკური და ფსიქოლოგიური ხარჯებისგან გამომდინარეობს. რამდენად შეამცირებს უმუშევრობის დაზღვევა აღნიშნულ ხარჯებს

მათემატიკურად გამოთვლა რთულია, მაგრამ უმუშევრობის დაზღვევის პრობლემის გადაწყვეტის პირველი ეტაპი უმუშევრობის შემცირების გზების შემუშავებაა. კერძო სადაზღვევო კომპანიების საქმიანობა მომგებიანობის პრინციპზეა აგებული. მაღალი ხარისხის რისკის დაზღვევა კომერციული თვალსაზრისით მიუღებელია. უმუშევრობის რისკი საქართველოში განსაკუთრებით მაღალია. 2010 წლის სტატისტიკური მონაცემებით ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 44%-ია დასაქმებული, მათგან 60%-ი თვითდასაქმებულია. (geostat.ge). ნებაყოფლობითი უმუშევრობის დაზღვევის განვითარება საქართველოში შორეულ პერსპექტივას წარმოადგენს. ხოლო რაც შეეხება სოციალური დაზღვევის დანარჩენი სახეების განვითარებას საჭიროა შემდეგი ღონისძიებების გატარება:

- ნებაყოფლობით სამედიცინო დაზღვევაში გათვალისწინებული იქნას მოსახლეობის შემოსავლიანობა და დაზღვევის ტარიფი დადგინდეს ისე, რომ მისაწვდომი გახდეს საშუალო ხელფასის მქონე დასაქმებულებისათვის;
- დაზღვევის პოლისში გარკვევით გაიწეროს სამედიცინო მომსახურების სახეები და ასაკობრივი ჯგუფებისათვის შედგეს შესაბამისი სამედიცინო მომსახურების პაკეტი;
- მაღალშემოსავლიანი ჯგუფებისათვის გაუქმდეს სავალდებულო სამედიცინო დაზღვევა, საშუალო შემოსავლიანი ჯგუფებისათვის გამოყენებული იქნას შევსებით ტიპის პაკეტი, რომლის შევსებაში თანამონაწილეობას მიიღებს დამსაქმებელი;
- საარსებო მინიმუმის ტოლი ხელფასის მქონე დასაქმებულებისათვის სამედიცინო დაზღვევის ვალდებულება დაეკისროს დამსაქმებელს;
- უბედური შემთხვევის დაზღვევის ბაზრის განვითარება ცხოვრების საბაზრო რიტმიდან გამომდინარე აუცილებელ პროდუქტად იქცა, თუმცა საქართველოში ჯერ-ჯერობით ვერ მოიკიდა ფეხი, ისევ და ისევ სამედიცინო დაზღვევის უპირატესობის გამო; ნებაყოფლობითი საპენსიო დაზღვევის განვითარებისათვის საჭიროა დაიხვეწოს საკანონმდებლო ბაზა, დაცული იქნას სადაზღვევო სქემების ფინანსური ანგარიშგების გამჭვირვალობა, გაიზარდოს ინფორმირებულობის დონე.

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ ნებაყოფლობითი სოციალური დაზღვევის განვითარება ხელს შეუწყობს სახელმწიფოს დაზღვეული მოქალაქეების

სოციალური უზრუნველყოფის ხარჯებისაგან გათავისუფლებას, რითაც სახელმწიფო მეტი თანხების მიმართვას შეძლებს ნაკლებად უზრუნველყოფილი მოსახლეობის სოციალური დაცვისათვის, შენარჩუნდება და ამაღლდება მოქალაქეების ცხოვრების დონე, გაიზრდება ბიუჯეტის შემოსავლები და ამაღლდება სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა მთლიანად ქვეყანაში.

დასკვნა

სადისერტაციო ნაშრომში ჩატარებულმა კვლევამ საშუალება მოგვცა, საქართველოს სოციალური დაზღვევის სისტემის შესახებ გაგვეკეთებინა გარკვეული დასკვნები, გამოგვეკვეთა პრობლემები და დაგვესახა მათი გადაჭრის გზები. კვლევის შედეგები შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს:

✓ ცივილიზირებული საბაზრო ურთიერთობების ფორმირებისას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება დაქირავებული მუშახელის, დამსაქმებლის და სახელმწიფო ინსტიტუტების ურთიერთქმედებას. ერთ-ერთი ეფექტური მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს სოციალურ-პოლიტიკურ სტაბილურობას, არის სოციალური დაცვის განვითარებული სისტემა, რომელიც როგორც ორგანიზებული, ასევე სამართლებრივი ცვლილებების ქვეშ ფუნქციონირებს რიგი ფაქტორების გავლენით. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ჯერ კიდევ ჩამოყალიბებული საბაზრო ურთიერთობები სოციალურ ინსტიტუტებს ურთულესს საქმიანობის მთავარი მიზნის მიღწევას.

✓ საქართველოში საბაზრო ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბება რთულ სოციალურ და ეკონომიკურ პირობებში მიმდინარეობდა. მოსახლეობა შეჩვეული იყო ნებისმიერი პრობლემის სახელმწიფოს მიერ მოგვარებას და ამიტომ პრობლემების გათვითცნობიერება და მასზე ზემოქმედება არც სახელმწიფოს და მით უმეტეს ცალკეულ ინდივიდუმებს არ შეეძლოთ. დღემდე არ არის კარგად გააზრებული სოციალური რისკების შინაარსი, მათი ზემოქმედების ფაქტორები ცხოვრების დონეზე და ბუნებრივია ბრძოლა პრობლემის წინააღმდეგ ისე, რომ არ იყოს ცნობილი წარმოქმნის მიზეზები, უშედეგოდ მთავრდება. საქართველოში ერთდროულად თავი იჩინა მრავალი სახის სოციალურმა რისკმა, რომელთა სწორი მიმართულებით კლასიფიცირება წინადადებული ნაბიჯია მოსახლეობის სოციალური დაცვის მექანიზმების ფორმირებაში. ჩვენს მიერ შემოთავაზებული განმარტება სოციალური რისკის შესახებ, კერძოდ მისი დაყოფა წმინდა და არაპირდაპირ რისკებად, ხელს შეუწყობს როგორც სოციალური დაცვის საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბებას

მარტივად გასაგებ ენაზე, ასევე სადაზღვევო პაკეტს გამიჯნავს ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით;

✓ სოციალური დაცვის არსებული სქემები ერთმანეთისაგან განსხვავდება სტრუქტურით და სოციალური დაცვის (სავალდებულო დაზღვევის, სახელმწიფო სოცდახმარების და სოცუზრუნველყოფის) მნიშვნელოვანი ინსტიტუტების კონფიგურაციით (შეფარდებით). სოციალური დაცვის ერთ-ერთი ინსტიტუტის როლის დომინირებაზე მიმართული რესურსების სიდიდით შექმნილმა თეორიულმა ბაზამ დაგვანახა, რომ სოციალური დაცვის ეროვნული სისტემების აგების მნიშვნელოვანი მრავალფეროვნება აიხსნება მიზეზთა კომპლექსით: ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი განვითარების დონით, გეოგრაფიული მდებარეობის თავისებურებით, სახელმწიფო მოწყობით, კულტურულ-ისტორიული ტრადიციებით, განვითარებული სამოქალაქო საზოგადოების არსებობით და ა.შ. , რაც საფუძვლად დაედო სოციალური დაზღვევის ორგანიზაციული და ფინანსური მექანიზმების ფორმირების პროცესს;

✓ სამამულო ასევე უცხოელი მეცნიერები, სოციალური დაცვის სისტემის განხილვისას აღნიშნავენ მის დამოკიდებულებას კონსტიტუციით გამყარებულ სახელმწიფო წყობაზე (სამართლებრივი, სოციალური სახელმწიფო ან სოციალური კეთილდღეობის სახელმწიფო), ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაზე. ჩვენი აზრით, გარდა აღნიშნული ფაქტებისა, სოციალური დაცვის სისტემის ფორმირებაზე გადამწყვეტ გავლენას ახდენენ შრომითი ძალის რეპროდუცირების მეთოდების განმსაზღვრელი სოციალურ-შრომითი ურთიერთობები. სოციალური დაცვის არსებული მოდელების განხილვა, სოციალურ-შრომითი ურთიერთობების გათვალისწინებით, საშუალებას გვაძლევს უფრო დეტალურად მოვახდინოთ ეროვნული მოდელების არსის დემონსტრირება.

✓ დღეისათვის საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში გამოიყენება მოსახლეობის სოციალური დაცვის სხვადასხვა სახის საორგანიზაციო-

